

114
1940


საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მნათობი

2

თ ბ ი ბ რ ვ ა ლ ი

თბილისი

1940

შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა

გალაქტიონ ტაბიძე — საუბარი ლირიკის შესახებ	3
დემნა შენგელაია — ცისკარი (გაგრძელება)	20
კონსტანტინე კიჭინაძე — საბჭოთა უზბეკეთს (ლექსი)	45
გრიგოლ აბაშიძე — ორი ლექსი	45
ლევ. მეტრეველი — ამირანი (გაგრძელება)	45
გიორგი კაკაბიძე — ჩინარი (ლექსი)	6
მაყვალა მრევლიშვილი — აღმართზე (ლექსი)	48

ლიტერატურული დოკუმენტები

გრიგოლ ორბელიანი — მგზავრობა ტფილისიდან პეტერბურგამდის	69
პავლე ინგოროყვა — გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“	85

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

შალვა აფხაიძე — ბრძოლის პოეტი	95
ლევან ასათიანი — ცხოვრება აკაკი წერეთლისა (გაგრძელება)	110

წარსულიდან

გ. ბუხნიკაშვილი — გორი (ისტორიული ნარკვევი)	146
---	-----



მნათობი

სრულიად საქართველოს საშჩითთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელთვნო და საზოგადოებრივ-სამშობლივით
ქურონალი

10484
3630

წელიწადი მინვიდმობი



2

19 თებერვალი 40
საბოშობანი

საქართველოს
კავშირების
გამომცემი
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ასათიანი ლევან, გომიაშვილი ალექსანდრე, კალაძე კარლო,
ლორთქიფანიძე კონსტანტინე (პ/მზ. მდივანი), მავაშვილი ალიო
(პ/მზ. რედაქტორი), მოსაშვილი ილო, ჟუთათელი ალექსანდრე.

რედაქცია: თბილისი, მაჩაბლის 13, მწერალთა სასახლე. ტ. 3-71-84.

კანტორა: თბილისი, კაშის 40, საბელგამი, პერიოდსექტორი.

გალაქიონ ტახიძე

საუბარი ლირიკოს შესახებ

ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს, მთლად დამიმონა ცად ნატყორცმა
ქალების გაღმა ლურჯმა წიაღმა,
კავკასიონის კლდოვანი შთის პაეროვნებამ, საიდუმლომ
მოსჩანდა ფერდი. დაფარა ქედი.
სალამობით — ვით ხომალდი თითქო იმ მთაზე ისევ ისე
ასწიოს ნალმმა — ეწევარ გულალმა
მზით ენთებოდა და პქრებოდა და ვარსკვლავების დიდი წიგნის
ტიტანის მკერდი. უოველი გვერდი —
ბავშვობიდანვე ის სიშორე არის თეთნულდი, არის უშბა
მტანჯავდა ერთი — მთელი სევანეთი.
ლაქვარდოვანნი მიტაცებდნენ იმისი დილა და შუადღე
ნაქერალები მზით ნაალები,
და ვკითხულობდი, ვოცნებობდი, მისი სალამო ბინდთა ლურჯი
ვმღერდი თუ ვსწერდი — ოკეანეთი —
მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ
ის მწვერვალები. ის მწვერვალები.
რით შეაყენა ის ხომალდი მოგონებანი იმ მთებივით
გრძნეულმა დაღმა შემოირიგა —
შენ არ იცოდი, ვერც გაიგე — მწვერვალმა, რომლის სახელია
ისე დაბერდი. ქნარი, ლირიკა.
შემოიხვია მყუდროება არა ოცნებით, არ ზღაპარით
ღრუბლების ბაღმა, მის ცისამართ —
მოსჩანდა ხვამლი — როგორც თრთოლა, წყარო ყრმობისა მარადისთა
როგორც ხავერდი, ნაკადთ კამართ
როგორც უთოვლო ყმაწვილობის მიედინება. მაგრამ საით?
ულრუბლო ბედი, სამისამხარო
როგორც შემდეგთა ქარიშხალითა ქვეყნისკენ, სადაც პოეზიის
ცივი ბრწყალები, ბრწყინავს სამყარო,
როგორც სიცოცხლე, როგორც კუბო, სადაც არსებობს პოეზიის
როგორც იმედი — მარად მგზნებელი,
მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ლირიკის სული, სული მისი
ის მწვერვალები. მაცოცხლებელი!

პირველ ნაკადად მსურს გადიქცეს
ჩემი მიმართვა,
მიმართ კარგმავთა, მიმართ კაბუჯთ
სახემლიმართა.
მარად მოვიტხოვ ვით მეაბჯრეს,
როგორც მეფარეს,
მხოლოდ ცოცხალს და მიმგებარეს,
მხოლოდ მგზნებარეს.
მარად დიადი უნდა ჰქონდეს
სიტყვას მიზანი,
მარადის სიბრძნის აშუქებდნენ
სხივნი მზისანი.
მიზანი ჩემი აქ გამოსვლის
მხოლოდ ის არის
რომ სიმართლისთვის მოგრიალე
ჩანგის ფიცარის
გამოძახილი ახალგაზრდა
გულში ვალევიდეს,
რომ პოეზია მის სასურველ
მწვერვალს აღვიდეს.
მოზარდი — იგივე მოცარტია!
მულამ მოსავდა
თანაბრად ზეავი ქარიშხალთა
და მიმოზათა!
რომ პოეზიაც იყვეს საგნად
ახალ თაობის
აღფრთოვანების, დაფიქრების
და მოძრაობის,
რომ სეას ანკარა პოეზიის
მზე დაწურვილი
აი მიზანი! აი ერთად —
ერთი სურვილი!
დასაბამიდან მოლიველივებს
ლირიკის შუქი,
იგი არ არის უბრალო რამ,
რამე მსუბუქი.
ზენა-ნიქს ვარდა — გემოვნება,
მისას ეწნება
თავისებური გამოსახვა
და შემეცნება.
მისი ტექნიკა მრავალფერი
ხალხის მქსოვარი —
მიღწეულ იქნას ურყველი,
შეუბოვარი,

გულდადებული მუშაობით
შემდეგ სიტყვაზე.
ლირიკა ასე იკედდება
და მხოლოდ მასზე
მართალი არის, რომ პოეტი
ამბობს თაობის:
„გრამი ზოენისა ნაყოფია
წელთ მუშაობის,
მოღებულ იქნას და ერთ სიტყვად
უნდა გადადნეს
ათასეული ტონა მთელი
სიტყვიერ მადნის“.
ზეშთავონება — აწევია
შემომქმედ ძალის,
შედეგი ხანგრძლივ აღტყინების
შრომის სიალის.
მონგრევა გულში ნაგუბარის,
ვახსნა, კრიზისი,
დიდი ხნით გულში შენახულის
რამე მიზეზი —
იღებები და სახეები
თითქმის მზადქმნილი
ერთბაშად მხატვრულ სიძლიერით
გადმოხეტქილი.
ფიქრი, ოცნება, გრძნობა, სმენა
და ვაგონება
აი ლირიკა! აი მგოსნის
ზეშთავონება!
ზეშთავონებას მოიშველიებს —
მათი სიმია —
პოეზიაა, ისტორია,
ანუ ქიმიკა.
ზეშთავონება ასულდგმულებს
და აძლევს იმედს
თანაბრად — როგორც რუსთაველსა
ისე არქიმედს.
მეცნიერება, როდესაც მას
თან ახლავს ვნება —
თანაბრად არის პოეზიის
ზეშთავონება!
სრულუნაკლობას და სრულყოფას
მოითხოვს მგოსნის
შეგნება შრომის უმალღესის
და პატიონის.

პოეტს რომელსაც სურს იპოვოს
გამოძახილი

უნდა შეეძლოს სიტყვას მისცეს
გრძნობის მახელილი.

უნდა იცოდეს აზრისა და
ხმის შეხამება,

ერთგვარ წესრიგში მოიყვანოს
დღე, შეღამება.

რათა სიტყვათა მათ ცოცხალთა
თანაბგერება

თან სდევდეს და შიგ გაისმოდეს
ის ძლიერება,

რაიც აცოცხლებს და აღელვებს
მკითხველს და მსმენელს:

ის მიუთითებს, მოქმედების
არეს უჩვენებს,

ის წამყვანია, მებრძოლია
ან-და — პირიქით. —

ის ანუგეშებს და ამწვიდებს
იმავ ლირიკით.

აზრთ შინაგანი მოძრაობა,
ბუნება გრძნობათ —

უნდა გაიხსნას გარეგანად
იმ მოძრაობად,

რასაც იძლევა სიტყვათ რიტმი
და ჰარმონია;

ხელმარჯვეობა უმრავლესთა
ყვაელით მკონია.

მრავალნაირი მოძრაობით
შექმნილი ძეგლი

მრავალფერობა ხმათა — როგორც
ამბობს ჰეგელი,

ისე შექსპირი და ვირჯილი
ისე ვოლფანგი,

და უფრო გზნებით — რუსთაველის
უკვდავი ჩანგი.

მძლე ჰარმონიის კანონების
დაცვის გარეშე

ჩნდეს პოეზია სიბნელეში
და სიმცდარეში;

დამარცხებულა — ვისაც ენის
გზა შეუტყვლია,

მაგრამ გონებას არასოდეს
არ შეუძლია

დაკმაყოფილდეს ჰარმონიის
მხოლოდ თამაშით.

კვლავ პოეზია იღვევს მძულ
ცივ აკლდამაში.

მთავარი ძარღვი პოეზიის
ზომია, რითმა;

მისით მარადის გაიელვოს
შუქმა ბედითმა

მაინც იმაზე უმთავრესი
სხვა დედა-არსი

არის მწვენიერ პოეზიის
იდეა, აზრი.

მათში იხსნება მკონის ძალა
და მოქმედება,

ისეთი, ყველას სიხარულად
რომ მოედება

და მოფარავს გზებს ვარდით, დაფნით
და ალოეთი.

იდეა, აზრი, ზომა, რითმა;
აი პოეტი!

იდეიურით უნდა იყოს
მადლით ფენილი.

მისით სულდგმული, შთაგონებით
აღმოჩენილი,

ტემპერამენტის სიდიადით
არეს ავსებდეს

აღვეამალუბდეს, გვიტაცებდეს,
მოგვათავსებდეს —

სხვა გზით იქნება ეს ისეთი
„შედევრი წმინდა“ —

რომელიც პოეტს ირონიულ
ლიმილსა ჰგვრიდა:

„ლექსებში ხშირად ყველაფერი
თავის რიგზეა

სახე და ფორმა. რიტმიც თითქო
საკმარისია,

მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი:
ყოველი წესით

თითქო ლექსია, მაგრამ მაინც
არ არის ლექსი“!

მრავალთან ერთად პოეზიას
თვალის იხილავს

როგორც ცხოვრების სახეობას,
როგორც მის დილას.

გამოსახებას — ამ შეცნობის
 ვრცელი გაგებით,
 რაიც შეიცავს მთელს მსოფლიოს
 მასზე ნაგებით
 მთელ სხეულებრივ და ზნეობრივ
 სამყარო-არეს,
 მის მწვერვალისკენ მისწრაფებას
 ჩანვით მოარეს.
 და საზოგადო ცხოვრება ქმნის
 ჩანვის გარემოს,
 ჩანვის ხასიათს, საარეოს,
 სამდგომარეოს.
 საზოგადოთა ფორმაციას
 თვითონ თავისი
 იდეოლოგიის უმძაფრესი
 და უმწვევესი
 მოძვეება რწმენა, გზის ჩვენება
 მსოფლმზებდელობა
 რევოლუციის ფაზისები
 და წინმსვლელობა
 უარყოფელი დრომოქმულთა
შემეტნებათა,
 ყოველნაირთა შემეტნებათ
 რაც ძველს ებადა,
 კაცობრიობის განუსაზღვრელ
 წინსვლის სახელით,
 სრულყოფილობის მიზნისაკენ
 თვალის გახელით.
 სიყვარული და კლასთა ბრძოლა
 იდეა, შრომა
 ერომელთოთაც დღეს მსოფლიოს
 არა აქვს ცხრომა,
 რომელთ გარეშე არ არსებობს
 კაცობრიობა,
 ვიდრემდის მათში ისახება
 აზრი და გრძნობა,
 შეცნიერება, უმადლესი
 ფილოსოფია —
 დაძაბულობის, გამძაფრების
 წინათმგრძნობია
 მხოლოდ ლირიკით, მისი ღელვით
 და აზვირთებით
 ტრიუმფალური და უბრალო
 ყვავილთ ტვირთებით.

ეხლა განვიცდით ქაროშხლიან
 შფოთიან ხანას,
 მოუსვენარს და მოგანგაშე
 ვებდავთ ქვეყანას,
 კაცთა უკეთეს ნაწილის წინ
 სდგას ამოცანა
 უუდიდესი ამოცანა:
 შესძრას ქვეყანა,
 რევოლუციის შეაერთოს
 ყველა ძალები,
 წარმართოს იგი სასიცოცხლო
 აგრიალებით,
 რათა მან შესძლო კაპიტალის
 დასამარება,
 მისი სახელით კაცთა სისხლის
 აკამარება.
 და ჩვენ, პოეტებს, ხალხთან ერთად
 ვით არ გეახსოვდეს
 რომ ჩვენს სამშობლოს ვემსახუროთ
 ვით არასოდეს.
 სიმებო, ჩანგებს უკვდავების
 ძალად ექნებით —
 მოვალეობის სიყვარულის
 მტკიცე შეგნებით.
 მაშ ვემსახუროთ კვლავ სამშობლოს
 მის დაძახებას
 მის ბორკილამყრელ მისწრაფებას,
 მხნე მისწრაფებას.
 პოეტის ჩანვი არასოდეს
 არ მდუმარებდა
 ადამიანურ გაღვიძების
 პირველ კარებთან,
 ისევე აღრინდელ საფეხურთან,
 როდესაც ბასრი
 ადამიანის აღმოცენდა
 გრძნობა და აზრი —
 აღმოცენების წამიდანვე
 გაჩნდა ლირიკა,
 ხალხმა არ იგრძნო, შეიყვარა
 და შეირიგა.
 მას აქეთია, რა კი გულის
 კარი ვაიღო
 ყოველ ხანაში და ყოველ დროს
 ლირიკა იყო

ხალხის სულიერ, პოლიტიკურ
 შრომითი აღის
 ცხოვრების აღის უდიდესი
 სიმზნე და ძალა,
 ორთეოსს ხალხი მიაწერდა
 მაგიურ ძალას
 ის სიმღერებით სძრავდა კლდეებს,
 ტყესა და ჭაღას,
 აჯადოებდა თვით უგულოთ,
 ღმერთებს ძლიერებს.
 ლირიკა მისი მხეცებხაც კი
 ათვინიერებს.
 თვით ლირიული პოეზიის
 მამათმთავარი —
 იყო არხილოს, მისი ფუძე,
 მისი ჯგავარი.
 მას იამბებით ემხრობოდა
 ჩანგის აწყობა,
 ვერ აიტანა — რა ღირსებით
 შეურაცხყოფა...
 ეივონებით — როგორც გარდასული
 დროით და ჭაშით —
 დაფარულ ძალას ატარებდა
 ლირიკის შხამი!
 ლირიკის წინსვლას სივრცეებში
 რა შეანელებს.
 მცირე რიცხოვანს, უმწეობად
 მყოფ სპარტანელებს
 მრავალრიცხოვან მესსინელთა
 მოერთყა ალყა.
 სპარტანელებმა მაინც სძლიეს
 მძეინვარე ტალღა
 ტირტეს მგზნებარე სიმღერების
 სძლიეს წყალობით
 პოეტი ჰკრებდა თავის ჩანგის
 დაუმცხრალობით
 ხალხის საომარ ენერგიას
 და ნებისყოფას,
 გამამზნეველად უმღეროდა
 მეომართ წყობას!
 მეგერიანთა მიერ ბრძოლის
 დროს წართმეული,
 არათანასწორ ომის შემდეგ
 ცეცხლში ხვეული,

ათინელებმა დაიბრუნეს
 კვლავ სალამინი,
 ოდეს სოლონი სიმღერებდა
 გაისმა ეინოსის ხმა
 მისმა სამხედრო სიმღერებმა
 დაიგუგუნა,
 და მსწრაფლ ათინამ სალამინი
 კვლავ დაიბრუნა.
 ეამთა სიავემ ფერფლად ქნარი
 რომ ვერ აქცია
 გამოსცდა წარსულს და ჩვენამდეც
 კი მოაღწია
 ელგეებმა, რომელშიაც
 სოლონი ხვევდა
 ფილოსოფიურ, სოციალურ
 შეხედვათ სევდას.
 თავის კანონებს, ძველისდებას
 წერილს, ბრძანებას —
 ლექსს უკავშირებს, პოეზიის
 ახმოვანებას.
 სამშობლოსადმი სიყვარულსა
 და მის დიდებას
 მღეროდა მძაფრი პოეზია
 სიმონიდისა
 და მერე როგორ! მიუწდომლად
 ნათელ-მკაფიოს
 მის მიერ შექმნილს, მრავალთ-მრავალ
 ეპიტაფიას
 საშვილიშვილოდ გადასცემდენ
 ვმირთ საფლავები
 თუმც სამუდამოდ დამცხრალია
 ის მხარ-მკლავები
 უკვდავყოფელი სიანს წარწერა
 გრძნობის თბილისა,
 იმ ადგილს, სადაც ხეობაა
 თერმოპილისა:
 «ლაკედემონელთ ამცნე მგზავრო,
 და გადაეციოთ
 ყველა-ერთგულნი სამშობლოს
 ჩვენ აქ დავეციოთ».
 რაოდენ ბრწყინვით მიდიოდა
 ძველი ელადა
 ლირიკა მისი ეროვნული
 იყო და სადა.

რა ძლიერია უბრალოებით
ქნარი იმდარი,
რა საოცარი ხმით მღეროდა
მაშინ პინდარი.
ბრწყინვალესი და მშვენიერის
მქონე იერის
მღერდა ელადის სიდიადეს
და სიძლიერეს.
მისი ოდები და პიმნები
რა ალტაცებით
შეჯიბრებებზე გამარჯვებულთ
პატიესაცემად
ოლიმპიისა და პითიის
ხატავდა სახეს,
იმ ხალხის რწმენას, იმ სიმაღლეს
და სიამაყეს
გენიის კართან, მოწოდების
მგრგვინავ ზარებთან
პოეტის ჩანგს არასოდეს
არ მდღუმარებდა.
სტროფიკა უხვი და სახეთა
სიმშვენიერე
მსახველი ძალა, მკერმეტყველი
და მოსიმღერე
უპირველესი პირველ ზორის
არის პინდარი —
ელინურ ჩანგის სიმახვილე
და საწინდარი!
თავისუფლების მისწრაფებას
რომ გაპყოლია
სახელგანთქმული მრავალია
ძველი სხოლია
ლექსი თავისი სიმახვილით
ხანჯალის მსგავსი,
სამშობლოსადმი თავდადების
გრძნობებით სავსე.
„მინდა მახვილი მოვრო ტვიით
მათ მსგავსად, ოდეს
არისტოგიტონ გამებდავი
და მხნე ჰარმოდეს
მიერ ტირანის მოკვლით ხალხის
მონობა კვდება,
კვლავ დაუბრუნეთ ათინელებს
თავისუფლება.“

არა, ჰარმოდე, შენ ანა ხარ
არასდროს მკვდარი
იმ უნეტარეს კუნძულებზე
გიპოვისთ ქნარი,
სად უსწრაფესი აქილესი
და დიომედი
ძე ტიდეასი — რომ ცხოვრობენ
გიპოვისთ ზედი.
მახვილი ჩემი მსურს ვატარო
ტვიით და ხაესით
არისტოგიტონ და ჰარმოდის
დღეების მსგავსად
ოდეს თქვენ მიერ — პალლადის დღეს —
მოკლული იქნა
იპარხი, მხეცი და ტირანი.
მხარე ვარდიქმნა
სახელი თქვენს საუკუნეთ
ხსოვნისთვის ზიდონ
ძვირფასო წყვილო, ჰარმოდე და
არისტოგიტონ!
მისთვის-ტირანის მოკვლის შემდეგ
ათინა სდგება.
ისევ შექმენით ათინისთვის
თავისუფლება“.
თავისუფლების, — ხალხისათვის
მებრძოლ კარებთან
პოეტის ჩანგი არასოდეს
არ მდღუმარებდა!
რად უწოდებენ საქართველოს
მგოსანთა მხარეს?
მის მთებს და ჰალეებს, ულრან ტყეებს
ლამაზ ხეობებს
მის ძველ ნანგრევებს, ციხე-კოშკებს,
შემოგარეებს,
მის ჯიროთობას, ბურთობას,
ხალხურ დღეობებს
უძველეს ხნიდან პოეზია
სდევდა ზეპირი
(ადრე სანამდის შეუყვარდა
ხალხს პერგამენტი)
მპლავრი-ვით ქარი, ნაზი — როგორც
მთების ზეფერი,
ომის დრო იყო, თუ უღრუბლო
იყო ამინდი,

უძველეს ხნიდან დაწყებული
 რუსთაველამდე,
 რუსთაველიდან დღემდე რეკავს
 ივერთა ჩანგი.
 მასთან უძლური იყო ცეცხლი
 ასული ცამდე.
 ათასი ჩინვის, მაჰმადხანი
 და თემურლანგი.
 ეხლა კი, ჩემთვის ნათელია
 თუ ივერიის
 მცირეზე მცირე რიცხვობრივად,
 პატარა ერი
 მარად, ყოველმხრივ შემორტყმული
 უამრავ მტერით
 მაინც გადარჩა, და გადარჩა
 ის, როგორც ერი.
 აქ პოეზია იყო მისი
 შემშვიდროება
 ანკარა წყარო მომჩქეფარე
 იმ ხალხის გულით,
 მის სასიცოცხლო ძალთა-ძალა,
 და საზრდოება.
 აი ლირიკა, მთელი მისი
 დიდი წარსულით,
 აი რად უყვართ საქართველო
 მსოფლიო ჭნარებს,
 რად უწოდებენ საქართველოს
 მგოსანთა მხარეს.
 სამხრეთის შუის ქვეშ, მთის ჰაერში
 ჰყვავიან ვარდნი —
 ფერად-ფერადნი, მშვენიერნი
 სურნელით წმინდა.
 არ ეშინიათ არც ვრიგალის
 და არც თოვლვარდნის.
 მათში ძალა და სიხარული
 მოსჭვივის მზიდან
 უძველეს მიწას, უძველეს ერს
 ლაევარდი ცისქვეშ
 მძლავრი, გმირული პოეზია
 უნათებს თვალებს,
 წარსულისადმი უდიდესი
 მადლობის გრძნობით
 რუსთაველისას კვლავ ეახსენებთ
 სახელს ბრწყინვალეს.

პოემა ვეფხის — პოემა
 გრძნობის მზიურის
 სიყვარულისა, თავდაცვლის
 გმირობის, სიბრძნის!
 მას იმეორებს მკაცრი სვანი,
 გმირი ხევსური
 მთლად საქართველო, როდესაც ის
 შრომობს ან იბრძვის.
 თუმც ბევრი სისხლი, ჩვენო მიწა,
 მიმოიღვარა
 მაინც, როგორც შენ, ვერამცდენმა
 სიმწრის ფიალის
 ამაყი ქედი პოეზიამ
 არ მოიხარა
 შემოსეულთა, დამპყრობელთა
 წინაშე ძალის
 ღრმა მწუხარება მოზობელ მხარეს
 მოდებულ ჩრდილის
 იყო გულწრფელი მეოლოდია
 გურამიშვილის.
 ვით ახალგაზრდა ქაეჭვაძის
 რომანტიულ სულს
 სამშობლო მხარის დამპყრობელის
 სივერაგე სძულს.
 რომ თვით ჯალათებს, გადაქციულს
 სმენად და ჰვრეტად
 მკოდნეთ: რა ძალა, რა სიმტკიცე
 ჰლვივის გზნებისთვის
 შიშის ზარს სცემდა პოეზია
 უფრორე მეტად,
 ვინემ ფერმკრთალი შეთქმულება
 აჯანყებისთვის.
 როგორ მიჰქროდა ის მერანი
 ფაფარგაშლილი
 საესე პათოსით და გრძნული
 ვით კორმორანი,
 იკაწრებოდა ხალხის ბედით
 ბარათაშვილი,
 იმ ხალხის, რომელს თვალეზიდითი
 სდევდა ყორანი.
 ცხარე ბრძოლის ხმა. ეპოქასთან
 გადაზრდილია
 ხმა სიყვარულის, ხმა მონობის
 წინააღმდეგი

ციხლი — აკაკი, გმირი — ვაჟა,
 ბრძენი — ილია —
 რამდენი გმირი და რამდენი
 კიდეე ყაზბეგი.
 მათი ხმით ზარი ვალეიდების
 კვლავ დაირეკა.
 ხალხის ზრახვებს და წინათგრძნობებს
 მათ მისცეს მხარი.
 აი რა მიზნებს ისახავდა
 ჩვენი ლირიკა,
 რად ეწოდება საქართველოს
 მგოსანთა მხარე!
 როგორ ბრწყინავდა, საქართველოვ,
 ის შენი ლექსი.
 შენი ლირიკა უმდიდრესი
 უსაყვარლესი.
 მრავალ სხვადასხვა სიმღერების
 წყობად წყობილი,
 კეთილშობილი, ხალხის გულით
 წარმოშობილი,
 ისტორიული სინამდვილის
 ხმით დატვირთული,
 გარემოცვათა უმრავლესთა
 განცდათ სირთულით
 ლირიკა იყო ჭეშმარიტად
 ღრმა, ეროვნული;
 ლირიკა იყო ხალხის სული
 და ხალხის გული.
 ის არ მოეწყვედა პიროვნულ და
 ინტიმურ სფეროს,
 ის ასახავდა ურთულეს,
 უღრმესს, საეროს.
 ადამიანის საეროსთან
 დამოკიდებას
 საემირო საქმეთ, სამშობლოს
 მისის დიდებას
 მოუწოდებდა ბრძოლისაკენ,
 სძრავდა მშვიდობას,
 ნიღაბს აცლიდა, დასკვნოდა
 პირობითობას.
 ებრძოდა, სთხრიდა კაცთა ყოფნის
 დრომოკმულ ფესვებს
 უემდაფრესი გულის ყურიით
 ისმენდა ლექსებს,

ვით მოწინავე, ისე მთხი
 წინააღმდეგი,
 ჩანგის, ჩონგურის და
 იყო დამღევი
 რაჰსოდიები, ელეგია,
 ოდა და ჰიმნი
 იმღერებოდა, ითქმებოდა
 ლელავდენ სიმნი.
 ვალეიდებულნი სხვა საგანთან
 შეჯახების დროს,
 არ მღელმარებდა პოეტების
 ჩანგი არასდროს
 იყო ხან ნაზი, ხანაც მძაფრი
 ხანაც მქუხარე;
 აი რად ჰქვია საქართველოს
 მგოსანთა მხარე.
 ლირიკა ჩვენგან დაშორებულ
 იყურთა დროის
 ისევ გვაოცებს, გვართობს, როგორც
 სუნთქვა ადოეს.
 იმ ხანებიდან უშორეს და
 დიდი ხნის შემდეგ
 რად არ დავკარგა მან თავისი
 სიხალე დღემდე?
 რისთვის გვალელებს მისი ძალა
 ცხოველმყოფელი,
 რისთვის გვანიჭებს მხატვრულ შვებას
 განუქრობელი?
 რისთვის, სახელდობრ, ჩვენს მხარეში
 აელერდა ქნარი
 მომჯადოები, მშვენიერი,
 დაუფიწყარი?
 ვისგან მიიღო ამნაირი
 ქმედითი ძალი
 რომ თვით შეიქმნა მოძრაობათ
 ძლიერი ალი?
 იგი ლირიკა არის ძალა
 და ვერვის უთქვამს
 მარადისობით და სიცოცხლით
 რომ ზს. არ სუნთქავს
 ვადაქცეული გულის შთამტეგ
 მეომარ მკერდათ.
 საქართველოს ვითარება
 და სელასთან ერთად.

ლირიკას ჩვენსას უყვარდა და
 უყვარს ბუნება
 იგი ხალხის გულს სიხარულით
 ესაღბუნება.
 ლირიკა იჭერს ქარის ქუხილს
 და მერნის ჭიხვინს,
 ლირიკას ხიზლავს სილუეტს
 მთაზე მდგარ ჯიხვის:
 წვიმამ გადილო, მთლად გაბრწყინდა
 ხე და ხეხილი
 მუხლი მგზავრისა სკრის კიბეებს
 მთისას, კეცებრივს.
 ტყე, ბილიკები და ლატვარის
 უღელტეხილი
 მხოლოდ ზევის ხმა, ანუ ყეფა
 მწვეარ-მეძებრის.
 უცრად კლდეზე შევენებასა
 ხედავ ზეცებრივს
 სდგას — როგორც ჯილა-კავკასიის
 მთების მჯეხარის,
 იგი ჯიხვია სიმბოლო აზრთ
 ვაასკეცების.
 თავისუფლებას, სიამაყეს
 იგი შეჰხარის.
 გვიყვარს ბუნება: ცისარტყელა
 მოსჩინს ტეხილი,
 ნაზი საგანი არე-მარეთ
 თვალმიცეცების.
 ჯიხვს ცისარტყელა მწყობრ რქებზე
 აქვს
 გადაგრეხილი,
 დიდი იმედი მას შეიდგურად
 ზედ ეკეცების.
 ჰაეროვანი სიდიადე
 ფერად ლერწების!
 სიმაღლე სალკლდის, თმათეთრის და
 ქიშნამეხარის
 თავისუფლებას, სიამაყეს
 ჯიხვი შეჰხარის.
 გვიყვარს ბუნება, მთა გუგუუნებს
 გულგაღვლილი,
 მარადი მტერი დაცემის და
 დანამცეცების.

მაღალი კოშკი და ისევ ტყე
 გაუჩხეხელი. ეკონომული
 თავშესაფარი და ბუნებრივი
 დაღლილ მხეცების.
 ჯიხვი სჯის: არა, ბუნებისგზა
 არ ილუწება
 ვერც წარსულისთვის სკრიდეს ძალა
 ვერვის, ველარის.
 საღამოვდება, მთებს ირიბი
 ჩრდილი ეცემა.
 თავისუფლებას, სიამაყეს
 ჯიხვი შეხარის.
 ჩამოქარ ჩანგებს, ჯუნჩირისა
 ხმა უყვართ ლექსებს,
 იმღერე ჯიხვზე სიმღერები
 გულუტეხარის,
 ჯიხვი ღირსია დათმობის და
 მიაღერებინს:
 თავისუფლებას, სიამაყეს
 იგი შეჰხარის!
 ეხლა ეპოსი თუ რომანი
 დრამა მრავალი.
 ლირიკა როგორც ნაწილი რამ
 შიგ შემავალი
 თავის სიმძაფრით, თავის ენებით
 სიტყვის ამ დარგებს
 ამოუწურავ ენერჯით
 უფრო აქარგებს.
 აღრმავებს განცდებს, აცხოველებს
 გრძნობებს და მოსავს
 ახალ ელფერით, ახალი ვზით
 მიმავალ პროზას.
 რაც უფრო მაღლა მიდის აზრი
 ესევეთარი,
 ლირიკა ხდება უფრო მძლავრი,
 უფრო მდიდარი.
 ის შინაარსით ისევეა, რაც
 ფილოსოფია.
 ხმათა შერჩევით კი მუსიკის
 ჰანგთან მყოფია.
 როგორ სარკეობს იმისი ხმა
 და როგორ ბროლობს —
 ბევრი რამ გვითხრას, შეუძლია
 ფაუსტის პროლოგს:

აღტაცებული მომღერალი
 გულთ რით აჩვილებს,
 მარტვით, სტიქიონთ იმ მომღერალს
 ვინ უმორჩილებს
 თუ არ აკორდი, შემოქმედის
 უმძლავრეს მწველი
 გულით ნახეთქი, მსოფლიოს
 მთელის შემცველი.

სული პოეტის სარკე არის
 სივრცის, დროისა,
 სული პოეტის არის ცენტრი
 მსოფლიოსა.
 სული პოეტის არის მისი
 ყოფნის დღეები
 არის ფოკუსი, ერთდებიანი
 სად იდებები
 ყოფნის ერთობის შემცველი და
 შემთვისებელი
 რაც უფრო ღრმაა შემეცნება —
 წარმოდგენაში
 ყოველი ერის ღრმად ჩანერგილ
 რამე რწმენაში
 რაოდენ გრძნობით. სამყარო წინ
 არ შეჩერდება —
 მხოლოდ და მხოლოდ ლირიკაში
 სახიერდება.
 სული პოეტის — ჰეგელის თქმით —
 წარმოადგენდეს —
 უნდა გარემოს. იგი სული
 უნდა დადგინდეს.
 ენებათ, იდეათ, შეჯახებათ
 მთელ სიავკარგეს,
 ყველაფერისას ხელთ გეაძლევედეს
 ერთ მთლიან სარკეს,
 რაიც კი ძალუძს დაიტოოს
 ადამიანთ გულს;
 სხვანაირი გზით პოეზიას
 წინსვლა არ ძალუძს.

სხნის რა ლირიკის არსს, ბუნებას
 ჰეგელი ამბობს:
 შთაბეჭდილებათ და იდეათ
 რომლითაც ლამობს

შექმნას პოეტმა, უნდა ჰქონდეს
 მას ნიშნადობა
 საერთო. რათა შეშმარება
 იყოს ის გრძნობა
 რომლისათვისაც პოეზიის
 ცოცხალი ჭნარიც
 ჰქმნის სახეობას და აგრეთვე
 ისევე შეშმარებს.
 ასე: ლირიკა გვევლინება
 ღრმა აზროვნების
 ერთ მხარედ, რომლის მიზანია
 კაცთა ხსოვნება,
 შეშმარებთ ძიება და
 გამოვლინება
 გამოცხადება, ამ ცხოვრების
 მხარეს დინება.
 რათა მთესველი — უდაბურსაც
 ნედლით შეთესდეს —
 გაუმჯობესდეს ეს ცხოვრება,
 გაუკეთესდეს!
 „თუ რომ ცხოვრება ჩამოკვეთით
 ვით ჭანდაკება
 და ცხოვრებითვე რომ აეავსოთ
 აზრი, გაგება —
 ძალას, რომელსაც ჩვენ ცხოვრება
 გეაძლევეს — მკედელი
 მიეცი ნება იყოს მჭენელი
 ჩამომკვეთელი...
 რაკი არსებობს ხალხის ენება
 ყოველდღიური,
 რა კი მოითხოვს — იყოს მძლავრი
 ტიტანიური
 მისი ტრიბუნი, მოციქული,
 მისი მესია —
 მოვალე არის რომ ცხოვრება
 და პოეზია
 ერთმანეთისგან არ გათიშოს
 არ დააშოროს —
 ირამედ უფრო განამტკიცოს
 და დააშუროს.
 თორემ რა მიზნით, რა იმედით
 ვისთვის და რისთვის
 ხმა გაისმოდა: პოეზია —
 პოეზიისთვის?

რად მდინარებდა პოეზია
 რაღაც თვითმიზნად
 დაშორებულად ხალხისაგან
 უცხო გულთმიზნად?
 რად ესწრაფოდენ ცხოვრებისგან
 განცალკევებას,
 ჩამოშორებას განზე დგომას
 და განტევებას?
 რად ივიწყებენ, რომ პოეტი
 ხალხის წინ მდევგი,
 თვით პოეზიაც — ამ ცხოვრების
 არის შედეგი.
 მაინც რა მიზნით, რა იმედით
 ვისთვის და რისთვის
 გაიძახოდნენ: ხელოვნება —
 ხელოვნებისთვის!
 რისთვის ფანტავდენ ამ ლოზუნგით
 სიტყვათ შედეგებს —
 რისთვის ეძებდენ საამისოდ
 ერთგულ მიმდევრებს?
 სხვა სიაშეთა მაძლარ წყურვილს,
 ვნებათა წყურვილს,
 და პოეზიას — საუცხოვოდ
 ჩაცმა-დახურვის
 შოიან, მორთულ და დახვეწილ
 განცდების მორევს,
 გრძნობიერებათ სიმახვილეთ
 ბურუსთ სიშორეს,
 თორემ რა მიზნით, რა იმედით
 ვისთვის და რისთვის
 აჭანდაკებდა მოყმე ვინმე
 სიტყვას-სიტყვისთვის?
 განირჩეოდა ჩამოკვეთით
 ვით სარკე თქმულთა
 ზოგიერთის ხმა თავის წმინდა
 შევნების კულტით
 ღრმა კონცეპციით — მხედველობის
 დიდი სინათლით
 რა მოხდა შემდგომ? ან რომელი
 პარნასის მადლით
 მიმართეს ეფექტს, უცნობლობას,
 უვალობის ზევს —
 გრძნობიერებათ სახეებში —
 პოეზია ზევს

და მითში ზედავს უმაღლესი
 იდეუმალების —
 გამოვლინებას: დიდმ. ტანჯვებს,
 დიდი წველებს,
 მარადისობის სიმბოლოებს,
 ნიშნებს გვიანებს,
 ნიშანი, რაიც ყველა იმათ
 აერთიანებს
 რომლის ქვეშ ყველას იდეუმალი
 გზა ეგულება:
 წმინდა, უმწიკვლო ფორმისადმი
 ბრმა ერთგულება!

არ შეიძლება სილამაზე
 პლასტიურ ლექსის
 ვინმემ უარყოს: სილამაზეს —
 თან უკეთესის
 ზღავს მშვენიერ გარეგნობის
 ნორჩი რტოები,
 რაღაც ახალით და ძვირფასით
 მომჯადოები!
 არ შეიძლება! უარყავი
 და არ იახლე
 უსიკალური აკორდების
 მძლავრი სიახლე!
 მხოლოდ მდიდარი ემოციით
 პოეტის ქნარი,
 მ აკორდებით შეიქნება
 ნაზი და მყარი.
 არ შეიძლება რომ უარყოს:
 სწორედ ამ ბგერამ
 ჰიმომღერების, მრისხანების,
 სინანის ეღერამ
 არც ისე დიდი ხანი არის —
 რაც ყოჩაღურად
 მსოფლიოისა პოეზიას
 მიემსახურა
 „ვეფხის ტყაოსნის“ სტრიქონების
 კარგ თარგმანებით.
 რაც უნდა საქმე არა ჰქონდეს
 უცხო ზმანებით
 საესე ლირიკას, სხვა იდეურ
 უნაყოფობას —

ქსელში, რომელი აქ გაუბამს
 ცბიერ ობობას,
 კართან, რომელიც ასე გულქვად
 მათთვის ჩაჰკეტეს:
 არცინ უარყოფს: ძლიერ ბევრი
 რამ გააკეთეს:
 მარტო პოეტურ ეფექტისთვის
 მსყლელი როდია
 ზომიერება, მკაფიო ხმა
 და მელოდია.
 სხვა გარემოით მიიმართვის
 ჩვენი მსვლელობა.
 მრავალ ლოზუნგებს აღარა აქვთ
 ის მნიშვნელობა
 რას ესთეტიურ მანიფესტთა
 ითხოვდა ღალა —
 არ შეიძლება ჩვენთვის ჰქონდეს
 რაიმე ძალა —
 მაგრამ იშვიათ ყურადღებით
 ყოველდღეობა
 ყველაფერს — რასაც ეწოდება
 მემკვიდრეობა
 თვალწინ იყენებს და თვის მიზნებს
 უქვემდებარებს:
 მიზნებს მშობლიურს, წინდახედულს,
 მიზნებს მგზნებარეს.
 ჩვენ გამოვშორდით იმ ბურჟუებს,
 იმ თვალახვევას
 და არ ვეძლევეთ უსარგებლო
 თავბრუდახვევას
 მხოლოდ ეს არის: უსარგებლო
 როდი იქნება
 თუ პოეზიით განიცდება
 და შეიგნება
 თუ მიეჩვევა სმენა კეთილ —
 ახმოვანებას
 ამით ლექსს ვერც დრო დააბერებს,
 ვერც ხმოვანება.
 უნდა იშრომოს ახალგაზრდამ,
 უნდა იღონოს,
 იმ ხმოვანების ძლიერება
 რომ შეიგონოს.
 მაშინ გადმოშლი ლირიკისთვის
 რაც ეგულება

ჩვენი ეპოქა, მისი დიდი
 ღირებულება,
 ეპოქის
 ამხანაგებო! მე ვსაქმობ
 როგორც პოეტი
 აკადემიურ აზრთა მარად
 დამპყერი მხარის
 მაგრამ მე მინდა მოგავგონოთ
 ის უცხოეთი
 სადაც მოკვდავზე იძახიან:
 „უკვდავი არის“.
 ჩვენს იქ ყოფნაში საფრანგეთის
 აკადემიას
 უსრულდებოდა ანგარიშის
 წელი სამასი
 და დღესასწაულს, ფერად-ფერად
 ნაკადებიანს
 მოგონებათა ეღებოდა
 ფერი ლამაზი.
 მაგრამ მე ფრანგი პოეტები
 არ მეცოდება
 წმინდა ფრანგული მოწიწებით
 ეძლევა ოდეს —
 აკადემიის წევრს უკვდავის
 სახელწოდება,
 და მომაკვდავის უბრალოსი
 ბალზაკს და დოდეს.
 არც მოპასანი, არც ფლობერი
 არც მოლიერი
 უკვდავთა შორის არ იქნება
 დაფნით მივალი —
 სამავიეროდ იქ ჰერცოგი
 შედის ძლიერი
 დე-რიშელიე, კარდინალთა
 შთამომავალი.
 ის რიგიანად თუ ვერ დასწერს
 უბრალო წერილს,
 არის სიმბოლო საფრანგეთის
 ძველი დიდების.
 აქ ხმის მქონე სდუმს გაოცებით
 უხმო კი მღერის,
 თავდავიწყებით, ხრინწიანად
 გაბეღითებით.

კათოლიკეებს, ფეოდალებს
 სარდლებს, პრელატებს
 იმ დარბაზებში ვერვინ ეტყვის
 „დაფნა ჩემია“
 ძალმომრეობის და დაცივნის
 ფერადებს მატებს
 ეხლაც, წინადაც, ამნაირი
 აკადემია.
 გზაზედ მუნდირი შემხვდა მწვავე
 ქცეული ამხად
 (აკადემიკოსს ამ მუნდირში
 ვინ არ ადიდებს)
 მხოლოდ კონგრესზე ვეჩქაროდი
 მოვშორდი სწრაფად
 აკადემიას, ლუვრის დარბაზს,
 კარიბატლებს.
 თუნდაც სხვა მხარე, ხედავთ პოეტს
 როგორ სდევნიან
 შეხედეთ მხეცი რამდენს აღრჩობს,
 აწვალებს, ბორკავს,
 თუმც უნამუსოს, უსულგულოს,
 ხალხს ურჩევნია,
 მაინც თავისი ფედერიკო
 გარსია ლორკა.
 ფუქია ღრენა მის სახელთან
 ქვეყნის ბებერის:
 ის მღერდა ვით გმირს, უანგარო
 პოეტს შეპფერის.
 მაგრამ სახელი მისი მკვლელის
 კაპიტალია.
 აი პატარა, უსულგულო,
 ეიწრო ვალია
 სადმე ევროპის შუაგულში,
 მყუდრო ბინაში:
 ადამიანი მარტო დარჩა
 თავის წინაშე.
 მრავალ კითხვებში ის მარტოა
 ის პოეტია.
 ის მსოფლიოში არ იქნა და
 ვერ დაეტია.
 და აქ შენს ფრთებს ქვეშ შემუდრულა
 მწარედ ნასეტყვი.
 მის მარტოობას, კაპიტალო,
 ენახოთ რას ეტყვი.

რამენაირად დაიმკვიდროს
 სურს, თავისთავი.
 შენ ბურუსში ხვევ და, ჩაწერ მძლე
 სულთამხუთამგა...
 აწუხებს მწარე ბედისწერა,
 ღმერთი, ღრუბელი —
 არა ბუნებრივ გალაქული
 და დამლუპველი.
 ჩანგის სიმები ჩამოქნილი
 დროთ სათარეშოდ
 სუნთქავს, ბუტბუტებს და ხმაურობს
 უანგარიშოდ.
 და მარტოობა, მარტოობა
 ფარავს მის სიტყვებს:
 მსოფლიო თითქო არ პასუხობს
 პირად შეკითხვებს.
 მარტოობაში ცხოვრობს იგი
 ოქროს სიზმრებით
 თავის მტანჯველი, საშინელი
 გამოღვიძებით.
 მითხარით ეხლა, პოეტია
 კაცი ამგვარი?
 არა და არა, ის მკვდარია,
 სიცოცხლით მკვდარი.
 პოეტი არის ვისიც მარად
 მასსას ედება
 მდიდარი, რთული, ფრთამახვილი
 შემოქმედება,
 ვინც ესპანეთი სასიცოცხლო
 ვარდებით მორგა —
 დიდი პოეტი: ფედერიკო
 გარსია ლორკა!
 ვინც უანგაროდ ხალხს შესწირა
 მგზნებარე ქნარი.
 ის მოჰკლეს, მაგრამ ის არასდროს
 არ არის მკვდარი!
 მრავალი რამე შეიძლება
 ამ ქვეყნად გაჰქრეს —
 დრო ვერ სძლევს მხოლოდ ამღერების
 ციხე-სიმაგრეს.
 იყო სკანეთში მშვენიერი
 სოფელი მხარის,
 სახელად ერქვა ლალავერი.
 ეხლა არ არის.

დილით რომ ლილეს
 მღეროდა ჩანგი
 მზის რომ ათრობდა მოგონება
 ათას-ათასი
 შორი ღრუბლების ჩერდებოდა
 ფერადი ჟანგი.
 მშვენიერ ქალთა, ხორუმელთა,
 როკავდა დასი,
 შუქი თეთნულლის ელვარესი,
 შუქი უშბასი,
 რომ ეხვეოდა ღრუბელს, როგორც
 სახლს ტალავერი
 სიზმარებრ გაჰქრა აღნაგობათ
 რიგი ძვირფასი.
 სიზმარებრ გაჰქრა მშვენიერი
 ის ლალავერი!
 ხან სანადიროდ, ან ნადიმად
 წასული, ხან კი
 მარხების ჰერქვეშ მომღერალი
 ვაჟი კისკასი;
 ზეცა მოთეთრო როგორც ქულა,
 ჰერი — ვით ზანგი
 მკაცრი — ვით მთები მშობლიური,
 ნაზი, ვით საზი
 ხელში რომ ღვინის მოელვარე
 გვირა თასი
 უტკბესი უფრო, ვინემ შორი
 ბარის ჩხავერი
 სიზმარებრ გაჰქრა მშვენიერი
 ის ლალავერი.
 მოაწყდა როსმე უცარი
 სისხლისა თანგი
 თუ შხამი რამე უნდობარის —
 გველის, — წარბასი,
 იქნებ მოვარდა ამომწყვეტი
 სნება და მანკი,
 ან ცეცხლმა შთანთქა ნაცრად იქცა
 ეზო-დარბაზი,
 დაღეწა კოშკი უმაღლესი,
 ჩაღეკა ვაზი,
 დასძრა ფიქალი ფიქალებზე
 როგორც ყავარი,
 ვინ უწყის, როგორც მძლავრი მუხა
 თუ უსურვასი,

სიზმარებრ გაჰქრა მშვენიერი
 ის ლალავერი!
 ვდგევარ და ვფიქრობდა
 რად არის ასე
 აქ ხომ არც ქვეა, არც ნაფოტი,
 არც ბალავერი.
 არავენ იცის, თუ ვის მიერ
 როდის ან რაზედ
 სიზმარებრ გაჰქრა მშვენიერი
 ის ლალავერი.
 მაგრამ სიმღერა გაიგონა
 მეორე მთამა,
 როგორც შვილს ანდერძს დაუტოვებს
 მოხუცი მამა
 ისე დასტოვა ლალავერმა
 სიმღერა ლილე.
 თვით სამუდამოდ შეესია
 წარსულის ჩრდილებს
 მრავალი რამე შეიძლება
 ამ ქვეყნად გაჰქრეს —
 ვერვინ გააქრობს ამღერების
 ციხე-სიმაგრეს!
 არ არის ქნარის დღემილისთვის
 რამე მიზეზი
 მხარეში, სადაც მშენებლობა
 გვაქვს უდიდესი.
 რა დიდიია, რა მძალა
 ეს მშენებლობა.
 რა მრავალია კიდევ მეტი
 შესაძლებლობა!
 რომ აწამებდა მოწინავეთ
 მრავალ ხანაში
 ხორციელდება იდეალი
 ერთ ქვეყანაში.
 ჩვენ პოეტები, საუკუნით
 ვართ მოვალენი
 რომ მის ნათებას მოწინავეთ
 მივაპყროთ თვალი
 გზა გავუკაფოთ სხვებთან ერთად
 დიად იღებებს
 იმათ დროშებს და სიმამლევებს,
 მათ სიდიდეებს.

ვიპოვოთ წყარო, უწმინდესი
მისი სათავით
უბრალოებით, მარტივობით
და სისადავით!

ლირიკა თრთოდა, მძლავრდებოდა,
ჰქუხდა საერთოდ
კაცობრიობის სელასთან ერთად,
მასასთან ერთად!

რევოლუციით ვიდოდა წინ —
როს უახლესი

კაცთა ცხოვრების იდეალი
ჩნდა უმაღლესი.

გარდატეხები მსახურებდნენ
რა ნიადავად

ძვრები წინ სწევდნენ პოეზიის
ცეცხლოვან ნაკადს —

ჯერედ მდინარედ. შერე ზღვებად
რომ გასწვდენია

იბადებოდა ბუმბერაზი
მაშინ გენია

და მომავალი თაობისთვის
სწყვეტავდა ძლიერ

დიდ ამოცანებს, დასმულთ წინა
თაობის მიერ.

მისწრაფებანი, ქმნილი რყევად
და ამბოხადა,

თუ არ შექსპირმა, თავის დროის,
ვინ გამოხატა?

ჰამლეტის ეპეში უმრავლესი
წინასწარ სჭვივის

ფილოსოფიის მონათებათ
შემდგომი სხივი.

აგრეთვე წიგნი და ეპოქა
ალიგიერის

ანარეკლია შეჯახების
ძლიერ-ძლიერის,

რუსსოს გენიას ქარიშხლიანს
შეეძლო რისთვის

შეეწყო ხელი ახალგაზრდა
გოეტეს ხმისთვის

თანაბრად ხმისთვის, რომელმაც ვით
ცეცხლის ბზრაილა

2. „მნათობი“ № 2,

მარსელიეზად საფრანგეთზე
გადიგრილა.

ლირიკად ყველა, უმჯობესესი
რაც სიმავრემს აღმოცენდა

რევოლუციის ქარიშხალნი
წინარ დაჰქრიან.

რამდენი ერთი როგორნაირს
მისდევდა ვნებას

მკაცრ ეპოქაში რომ აქებდა
თავისუფლებას!

ლეჟი ცოცხალი მოწამეა
როგორც დღე-ღამე,

საბედისწერო ქარიშხალთა
დიდი მოწამე!

როს მომწიფდა დრო-აღელვებულ
ხალხში ნათესი

აზრით და საქმით ოქტომბერი
უდიადესი

კაცობრიობის ჯერარანახული
მზის ამონთებით —

თვალუწვდენელი გაიშალა
ჰორიზონტები.

უკეთესთ შორის უკეთესი
ამ ხნით იქნება

ლირიკის სული, მისი ხალხთან
გადაწიგნება.

შემარყვევლი ნებისყოფა
და მრისხანება,

ძლევის პათოსით, სიყვარულით
მიექანება

ლეჟსით, რომელსაც ჰქვია ინტერ-
ნაციონალი

ერთაშორისად მოკვეთილი
და ეროვნული.

მილიონების მისწრაფების
თანაზიარად

აგი გენიის უმძაფრესად
გადიქცა ჭნარად

ერმა თავისი უშიშარი
მონაბა ბინა.

ბელორუსია, საქართველო
თუ უკრაინა

ერთმანეთს შეხვდა პოეზიით
მოიგზივნული



ადერბეიჯანი, ტაჯიკეთი
და ყირგიზეთი
სიმღერით მიდის. ის სომხეთი
იგი რუსეთი
არ არის ძველი ჯოჯობეთი
და ბურუსეთი —
არამედ, ვრცელი შშვენიერი
გადასახედი.
თურქმენეთია, უზბეკეთი
თუ ყაზახეთი
მომღერალია უძლეველი
თერთმეტი დროშის
ყველა თავის ხმით, ისე როგორც
საქართველოში.
ამ მეგობრობას სამუდამოდ
გამჭრალ ღრუბელით
ახალ ქალაქით, ახალ სოფლით
ახალ ყანებით
გრძნობდა და ვივგრძნობ ჩემის ჩანგის
თავისუფალის
თავისუფალზე თავისუფალ
აღფრთოვანებით.
ყოფნა კავშირში, ყოფნა ძმობა —
მეგობრობაში
ურყვევლ გრძნობად ყველას გულში
გვექმნდეს წრთობილი
და საბოლოოდ მიღწეული
იქნება მაშინ
მიზანი ლექსის, გულწრფელი და
კეთილშობილი.
თუ საზღვარს იქით ბოროტებამ
გააძნაობა
და დაათოვა არე-მარეს
ბრმა ძლიერება,
თუ უმართლობა, სიბნეავე
და ძალადობა
გაუტანლობა, სიხარბე და
ბიწიერება
ანებიერებს და ამოძრავებს
დიდ ფუფუნებით
ოქროთი მოსილ უსირცხვილო
დარბაზთ ზნეობას,
თუ ეკლესია კვლავ გუგუნებს
ვით გუგუნებდა

კაპიტალს, მდიდართ მორჩილებას
პირმოთნეობას,
თუ მონას ვისაც ჯოჯობეთი —
ამწუხარებდა
ჩაგრულ მხარეთა მძიმე შრომის
და მონობის გზა
არ ახარებს კვლავ, ვით არასდროს
არ ახარებდა
არც გაზაფხულის, არც ზაფხულის
შშვენიერი ცა
თუ ხეთ სიგრილეს-სიყრმიდანვე
გადაჩვეული
შემოხვეული ქართა ქროლით,
ნისლოთა ობობით,
ხალხი სწეული, უსახლკარო
და დამშეული
ხელდაცარული, მოკლული დგას
შემოდგომობით
თუ ვერ გრძნობ ისე, ვით ვერ
გრძნობდა
სითბო-სიმშვიდეს
ოოცა ზამთარის დაიქროლებს
სიცოცე ავი,
თუ ცით დასცქერის, ვით დასცქერდა
კიდითი-კიდეს
საბედისწერო, ულმობელი
შავი ვარსკვლავი —
დიდი ხანია, რაც ვარსკვლავი
ჩვენში გაბრწყინდა
დიდი ვარსკვლავი მეგობრობის
ძმურ სიყვარულის
ფრიალებს დროშა ქვეყნის მხსნელი,
გრძნობათა წმინდა
ზეავით აზვიენდა პოეზიის
ცეცხლის ფარულის.
დროა სიმღერით რომ მოსაველის
ზღვა მოაქუჩო,
დროა სიმღერით რომ დაზგები
ააკანკალო,
გულმხიარულად და სიმღერით
დაქკარ ჩაქუჩო,
გულმხიარულათ და სიმღერით
მოდის ნამგალო.

ოქროსთავთავეი, მეგობრებო
 ავართვათ სამკალს
 და სამკაულად ეპოქისთვის
 დაეწნათ გვირგვინი.
 გვირგვინი იგი გარს მოვავლოთ
 ჩაჭუჩს და ნამგალს
 რომ გზა შეამკოს პოეზიის
 ნათელი ბრწყინვით.
 გზებით, გაშლილით მომავლისთვის
 მეომარ ლექსით
 აქეთ, ადიდეთ ჭეშანიზმით
 გატანა კვალის.
 გზებით — წარსულში ანთებულთ
 მარქსით, ენგელსით,
 მომავლისაკენ მივეყვართ ჩვენ
 ლენინს და სტალინს.
 აქეთ, ადიდეთ სამშობლოს
 ბედნიერების
 მეცნიერებით სასწაულნი,
 მზე და კანდელი.
 ვმირთ სიმამაკეთ მარადისი
 ჩანგი იელერებს
 რომ სძლიეს ყინულთ და ღრუბელთა
 კორიანტელი.
 ახალი ერა, მისი აბლად
 ამეტყველება
 თან გდევდეს ოდეს სამოძრაოდ
 ცად შევარდები
 იყვნენ დღეგრძელნი, ჰე მამულო
 შენი მცველები

მგოსნებთან ერთად, დევმარები
 და შევარდნები
 ახალგაზრდობა, ყვავილენი
 და მწვერვალები
 შენი ქალები, მშვენიერი
 შენი ქალები.
 ჯარი ღუშმანით არასოდეს
 არ კმაყოფილი
 მტრის უნდობელი, მტერთან მტერი,
 ძმასთან კეთილი,
 რევოლუციის მოგუგუნე
 ცეცხლში შობილი
 ცხარე ომების ქარიშხალში
 გამობრძმედილი,
 სასო, იმედი მსოფლიოს
 ყველა ერების,
 ყველა ერების მოერთვულე
 ფარ-მუზარადი,
 შემსრულებელი გარდუვალი
 და დიდი ვალის
 თავისუფლების დიდებულის —
 მცველი მარადი —
 სიმღერით მოდის. არ გადუხვევს
 რჩეულ გზისაგან
 სხვა გზა-უცნობი — ვერასოდეს
 ვერ შეირიგოს...
 იგი ისწრაფის კომუნისმის
 გამარჯვებისკენ.
 მაშ გაუმარჯოს სიმართლისთვის
 მებრძოლ ლირიკას.

1940 წ.

25 — 27 იანვარი

დღისა შიგნელაია

მ ი ს კ ა რ ი ¹

რომანი

18.

კინახულითა და დოვლათით ჩამომდგარი სექტემბერი ხილისა და ხორავის სურნელებით იფშინებოდა.

შუა ზაფხულიდან გამოყოლილ პაპანაქებს ნირი ჯერ კიდევ არ ეცვალა და ახლად ამდგარ ხვატში სუნთქვა სჭირდა.

თბილისში საკვირაოდ დიდი ბაზრობა იმართებოდა.

ამ დღეს სოფლებიდან ქალაქს აუარებელი ხალხი აწყდებოდა, — ზოგი სასყიდლათ, ზოგი გასასყიდლათ, მაგრამ ადრეულ შემოდგომის ბაზრობებს მაინც არცერთი არ შეედრებოდა.

შორავალიდანა და მარნეულიდან ფქვილი და ხორბალი მოდიოდა, ყარაი-დან ბრინჯი და ბამბა, აღდაშიდან ნესვი და საშამთრო, ზაქათალიდანა და გორიდან გულაბი მსხალი, ვაშლი და ხიდისთავური ატამი, კახეთიდან ყურძენი და ლეინო, მუხრანიდან ხახვი, შშლოიდან ყველი, თუშეთ-ყარაბაღიდან ცხვარი, ერბო და მატყლი, ჰამამლუდან კვერცხი, ჯალალოლიდანა და მანგლისიდან კარტოფილი, აღზეენიდან მარილი, ბორჯოლოდან ხილ-ბოსტნეული, თხინვალი-დანა და საგურამოდან შეშა-ნახშირი, ბორჯომიდან ტივები და აბანოებში, მიე-დნებში, ქულბაქებში ხალხი ბუზივით ირეოდა.

ასეთ დღეს ხელოსანთა უმრავლესობა, თუმცა არ მუშაობდა, მაგრამ დარაბები ოდნავ მაინც შეელოთ და, სუფთად ჩაცმულნი, მორწყულ-დაგვილსა და ბინდიან დუქნებში უსაქმოდ ისხდნენ.

დურგლებს დაკეტილი სახელოსნოების წინ ახლად გათლილი მაგიდები, სკამები, კამოდები და ჭრელა-ჭრულა ზანდუკები გასასყიდათ გამოედგათ და ხის წებოსა და ფიჭვის საამო სუნი ერთი მეორეში ირეოდა.

ზაფხულის ჰაპანწყვეტაში გამოვლილი გლეხობა საშემოდგომო ჭორწი-ლებისათვის დიდის ამბით ემზადებოდა და ჯავაჩრჩის დუქნებს მუშტარი ერთითაოდ ემატებოდა, — პატარძლებისათვის ნიშანსა და ბელგას ყიდულობდნენ.

ოსტატები სახელოსნოში დინჯად ისხდნენ და, მუშაობის მაგიერ, ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული, — მთელი კვირის ნამუშევარს ამ დღეს ასაღებდნენ.

შეგირდებსაც სუფთად ეცვათ, მაგრამ ფეშტამალი მაინც აეფარებინათ, რადგან სულ უსაქმობა არ იქნებოდა. სოფლებიდან მოხვედრულ მუშტარს ძველ დანაკვეთს აბარებდნენ, ახალს იღებდნენ.

¹) დასაწყისი იხ. „მნათობი“ № 1.

ფუჩეჩაანთ ბეჩარა თავის სახელოსნოში ჰადრატული ყაიდით თასებზე გადა-
კრულ დაბალ სკამზე დინჯად იჯდა და შევირდს ვანკარულუნას უკანკარ-
გულებაზე აძლევდა:

— ბიჭო, მევანს მიხედე, ნუ ალოდინებ!

— მევანს თავისი საქონელი ჩააბარე.

— ეგ არა, ეგ არა... აი ისა, თაროზე რო დევს! — და მუშტარს ნივთს
რომ აბარებდა, თან კმაყოფილებით ლოცავდა:

— მშვიდობაში! ბედნიერებაში!

ვანოც ჯარასავით ტრიალებდა და, წუთი რაა, წუთის მოცალეობა არა
ჰქონდა.

ბოლოს მუშტარიც მოილია და მასთან შემოვლილ გულნარას ოსტატის
ნებართვით სათამაშოდ გაჰყვა.

სახელოსნოს ბინდიანი სივრცის შემდეგ მაღალი შუადლის მზის სხივები
და ცხელი ჰაერი ტანს მდულარესავით შემოეფლო, მაგრამ ბალლი იყო და
არად ჩაუვლია. დოსტს ხელი ხელში მაგრა ჩასჭიდა და გზას შეითანაზარისაკენ
აუქციეს.

ქუჩებში ხალხი ზუზუნებდა, სავაჭრო მეიდანს მოვარდნილი წყალივით
აწყდებოდა. აქლემები, ხარ-კამეჩები, ცხენები და აზიმზიმებული ხალხი ერთი-
მეორეში ირეოდა.

ყველა ჩქარობდა, ყაყანებდა, ჩხუბობდა და ჰაერში მტვერი, ალბი და
გაბმული ზუზუნი იდგა.

— ჰაი, პაპ-პაპ-პაპ! — ყვიროდნენ ფართო შარვალისანი ბაყლები. — ნესვი
მოვიდა, ლეღვი მოვიდა, ვაშლი, რა ვაშლი-ი! ვახ, ეს ღმერთძალი საზამთროც
რო მოსულა, დააპ! მსხალი, ატამი, ჰანჭურ-ი! — და გულგადაბნული მწიფე
საზამთროები, ბროწეულები შუადლის მზეზე ცეცხლივით გიზგიზებდნენ.

— ვინც არა სკამოს, ჩემი ცოდო ჰქონდეს, ვინც არ იყიდოს, დედა მოუ-
კვდეს! — კი არ იძახის, მოსთქვამს გულის დამწველად ვილაც და მას ისევ
პირველი ართმევს სიტყვას:

— იფ-იფ-იფ, ეს რა მოსულა, კაცო-ო? გულაბი მოსულა, ღოდნოშოც
მოსულა! იიპ, შენ კი გაიხარე, ჰანჭურო! სად მოხველ, ვის ბალში მოხველ.
რომელმა პატარძალმა გკრიფა, იმ ჩემი ცოდვით სავსემ, ვისი კობტა ვირით
მოგიტანეს?

— ვაშლებო, თურამაულებო! — გაკივის ახლა მესამეც, — ნუ გეშინია,
ჩემო გულაბო მსხლოჯან! ფიქრი ნუ გაქვს, აქა ვარ, — საღამომდე სუყველას
გაგათხოვებთ, პატრონს გაგიჩენთ! მაშ მოკვდეს ბიჭი, თუ კობტა გოგო თავის
ბროლის კბილებით დღესვე არა გკებრდეს! — მაგრამ სიტყვა აღარც იმას დაა-
ნებეს და ახლა ისევ პირველი გაყვირის ცეცხლმოკიდებულებით:

— ვახ, ეს რა შრი? ვაშლებია თუ პატარძლის ლოყები? ყურ-
ძენია, თუ ქარვა? ყურძენია, თუ გიშრის მარცვალი? შავიც არი, თეთრიც არი,
პაპ-პაპ-პაპ, არა ხედავთ, როგორ ჯიქნებივით ავსებულან!

ბალები დგანან, დგანან და ამაოდ ინერწყებებიან.

ვანომ ამდენი ხორაგი ერთად რომ დაინახა, „ბუნების კარში“ ამოკითხული
„ხილთა ქება“ მოაგონდა და ერთი აზრი მაშინვე გუნებაში ჩაიღო, — ეს
დოვლათი ერთ დიდ აკიდოსავით ძვირფას ნივთად ჩამოექნა. ყოველ ხილსა და

ნაყოფს შემსგავსებული ფერის ქვას შეუფარდებდა, ფოთლებს, ტოტებსა და მტევნებს ერთიმეორეში დახლართავდა და გულნარას ფეშქაშად მიარტყევდა. მერე რა, რომ ტყუილი იქნებოდა, სამაგიეროდ ნამდვილიც იქნებოდა და პირს თუ არა, თვალს მაინც გაახარებდა.

გულნარაც იღვა, იღვა და ამდენი სასუსნავის ერთად ცქერას ველარ გაუძლო. ოცნებად წასულ დოსტს ხელი ხელში ჩაავლო და იქით წავიდნენ, საითაც თვალმა მიიხედა და ფეხებმა წაიყვანეს.

ქათმები კრიახებდნენ, ინდაურები, ბატები და იხვები ყყაყნებდნენ. ნანადირევით სავაჭრო ფარდულში მოკლული ირემი თავდაღმა ეკიდა და მუშამბასავით შავი და მშრალი დრუხნი მიწაში ხარბად ჩაებჯინა. ჩანგლებზე ხობებები, როჭოები, კაკბები და დურაჯები კონწიალებდნენ, დაზვაზე ეყარა ჭანარი, მურწა, კალმახი და თან უღრან ტყეების, იალალების, მინდორ-ველებისა და მთის მდინარეთა ლალი სურნელება ჩამოეტანათ.

აქ თათრები ხმელი ხილითა და ნულლით ვაჭრობდნენ, იქ დოქებსა და ქოთნებს კაკუნით ამოწმებდნენ და საიდანაც მესპილენძეთა ჩაქუჩების დაეინებული რაკუნი მოისმოდა. ვილაც თავხედი ცხენს შუა ბაზარში საცდელად დააქენებდა და დალალიც თან დასდევდა, სინიღისისა და სიყმის ფიცით რაშს სიარულს, თავის დაჭერასა და ჯილაგს უქებდა.

სოფლებიდან ჩამოსული ფუროკაბიანი გლეხის ქალები ცივი ხმით გაპასობდნენ და გაქირზე გამდგარ მეფართლე ებრაელებს ყოველ გროშზე გაანჩხლებით ევაჭრებოდნენ.

იალალებიდან ჩამოლალულ რქამალალ ხარებს პაპანაქებად ამდგარ მტვერსა და ვნაისში სული ეხუთებოდათ, თვალეზში სისხლმოწოლილი მფრთხალად ფშვინავდნენ, — ცად ატანილ ტკბილ შალდაყიან საძოვრებს მონატრებულნი შესაბრალისად ღმუოდნენ.

ერთ მყუდრო ადგილას ვილაც წიგნით მოვაჭრე მოხუცს „შვიდ ვეზირიანი“, „ყარამანიანი“ და „ქალვაიანი“ ვაეშალა. უთში რალაც წიგნები ცალკე შეენახა და ზოგიერთებზე მალულად ჰყიდა. იქ კი, მტკერის პირას, დაბახანის გვერდით, აქლემებსა და მამლებს აჭიდავებდნენ. ხოლო ბაზრის თავზე ვილაცას უზარმაზარი ბაგირი ვაება და ზედ გრძელჭოკიანი ჯამბაზი გაღმაგამოღმა ცეკვა-ბტუნვით ვადი-გამოდოდა.

სირაზხანაში ხარ-კამეჩგამოხსნილ უზარმაზარ კასრიან-რუმბიან ურმებში მეარლანეს ფეხები ვანიერად ვაეშალა და „ახალი მოდნის სუსანას პენანას“ დამწველად აკენესებდა.

ღვინის საყილად გამოსული მიკიტნები ქაშნიკის ალებაში ლახათიანად შეზარხოშებულებიყენენ და ახლა ვარიგების ტომბახსა სვამდნენ.

სურფსაქისის ტადრის ეზოში ხალხი მჭიდროდ შექუჩულიყო, მტვერი კორიანტელად ადვა თავსა და ბულივით ბორიილებდა. ყვირილი, ღრიანცელი, და ოხვრა-გმინვა იქაურობას აყრუებდა.

— მიდიიპ, მიდიიპ, შენი სულისა!

— ვანიიპ, ვანიი!

ზურნა ჰყვიტინებდა, ხალხი ზიშნიმებდა და წრის შუაგულიდან ისმოდა ფშვინვა და ვახუნჩი ისეთი, თითქოს ტყეში ტოტებსა ლეწდნენ.

ეს, — ყოჩებს აჭიდავებდნენ.

ორ დასტად გაყოფილი ხალხი თავთავის ფალავანს ყვირილით, აღერსი-
ანი მურმურიტა და გინებით აქეზებდნენ.

წუთით ხალხი გაჩქარდა, სულთქმა შეიკრა და ერთბაშად

— ააა!

— უუუ!

— ბასტა! — ატყდა ყიყინი, სტვენა, და ყველაფერი ისევ აირია.

14.

მაცქერალნი კმაყოფილი ბაასით, ყაყანით იშლებოდნენ.

ყველას გამარჯვებული ყოჩის სახელი ეკერა პირზე.

ზოგი მუხლის ძალას უქებდა, ზოგი კისრისას და ზოგიც შუბლის სიმაგრეს.

ხნიერი ბაბამი მეყოჩენი დაეას ყურს დინჯად უგდებდნენ და ხანდახან
თავის გადამწვევტ სიტყვასაც ჩაურთავდნენ:

— საქმე შუბლია, შვილო, შუბლი!

— მარტო შუბლი როდია! — არ ეთანხმებოდა მეორე. — თუ ყოჩს თავში
მატლი გაუჩნდა, შუბლი რას უშველის! — და თან ცხვირს ქვემოდან პეშვით
გადმოშვერილ ყვითელ უღვაშებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს რალაცას
სჭამსო.

უფერად ყვირილიც გაისმა:

— დნგრა მოდის, დნგრა-ა! — და მას არღნის ჰყვიტინი, ეტლების გრია-
ლიც მოჰყვა თანა.

— ხაბარდა-ა! ხაბარდა-ა! — ღრიალებდნენ შეეტლენი და ცხენებს სადა-
ვით გეზს უსწორებდნენ.

წინა ეტლში ციმფა მეარღნე მარტოდმარტო იჯდა და არღანს, რაც ძალი
და ღონე ჰქონდა, აჭიჭყინებდა. მიმყოლ ეტლში საკინძემოლედილი დნგრა
საზურგეზე გადაწოლილიყო, მუხლის თავზე წითელი მამალი შემოესვა და,
ტიკპორიდან ღვინოს პირში ძალით რომ ასხამდა, მთვრალი ფრინველი ყელ-
ჩახეული გაჰყიოდა, პატრონი ხარხარებდა და თან გაჰყვიროდა:

საცა არი გათენდება,

ნუ გძი-ინა-ავს შენ, ნუ გხვრინ-ავს შენ!

შენი შრომა დაფასდება,

ნუ გხვრი-ინა-ავს შენ, ნუ გძინა-ავს შენ,

შენ, შენ, შენ!

არღანი ჰიჭყინებდა და, ეტლის საზურგეზე შემხტარი მამალი აქეთ-იქით
მთვრალი ბანდალით რომ დაბორიალებდა, თან ფრთების ფხორვით ქოთ-
ქოთებდა.

დნგრას წითელი ბაღდადი მხარზე არხეინად გადაეგდო, ქუდიც გვერდზე
დაეხურა და ბარივით ხელები განივრად გაეშალა.

მე რო ვლოთობ, შენ რას გიშლი, მშობილო,

ბატონებო, ან თქვენ, კათილშობილო?

მთელი კვირა ოფლს სულ ეგრე ვიწურავ,

კვირა დღეს კი გამოვდივარ მშა-ბიქში.

მათ მთელ ქალაქში განთქმული სულელი ალექსანდრე ღრეჭოთ, როყინით ფეხშიშველი, საცვლის ამარა ფეხდაფეხ მისდევდა და ბაზრის ყალყზე დადგა.

— დნგრრრ! დნგრრრ! — გუგუნებდა ხალხი და აივნებზე, ბანებზე, ქუჩაში ტევა აღარ იყო.

სადღაც პოლიციელი ყურის წამლებად სტვენდა, იქ გულგახეთქილი ბავშვი ცივი ხმით წიოდა, აქ ვიღაცა ხველებითა თუ სიცილით იხრჩობოდა და არღნის ჭიჭყინში იჭაურობა სულმთლად ყრუდებოდა.

— ჰაქშა, შე გასატიალებელო, ჰაქშა! — ხელი აუქნია გვერდით ჩაჭროლებულ ეტლში მჯდომ მამალს ვიღაცამ, მაგრამ იმ მართლაც გასატიალებელმა შეძახება არად ჩააგდო.

ღუქნის კარებზე მომდგარ დინჯსა და გაუცინარ სტეფანა დალაქს კისერი გვერდზე მოქცეოდა და ქუჩაში სიერს ღიმილით გასცქეროდა. თან ღვედზე გულიანად აფურთხებდა და ზედ სამართებელს მტლაშა-მტლუშით ლესავდა.

ნახევრად ვაპარსტული და ნახევრად შესაპნილი ფურჩხანთ ბეჩარა გულზე მოგლეჯილ თეთრ წინსაფარს განივრად იქნევდა და მამალს ოხუნჯური მოწიწებით მდაბლად მიესალმებოდა. მერე ერთი საზარელი ხმით დასტყვივლა, გადაჯვარადინებულ ხელთათმანით მოხატულ დალაქის ფანჯარაში გამოდგმულ წყლით საესე წურბლებიან ქილას ხელი დასტაცა და ეტლს ხარხარით ესროლა. ქილა მიზანს ასცდა და მიწაზე დავარდნილი გრიალით გასკდა.

მტკვრიდან მომავალ მეზადურს სველი შარვალი მზეზე ატლასივით უბზინავდა და გამხდარ კანქებზე ადგილ-ადგილ აკვროდა. სასროლი ბადეც მხარზე გადაეგდო და ტირიფის წნელზე ასხმულ ცოცხალ ციმორს, ქანარსა და მურწა თევზებს ჰაერში აფართხალებულებს იქნევდა.

ბანზე დონიჯ შემოყრილი ოსტატი შიოც გამზიარულებულიყო და ხმამალა ყვიროდა. იქვე მისი მეველე, თევზეულის ვაჭარი დედალი სოლომონაც, რალაცა ოინბაზურ სიტყვებს ხმის ჩაწყვეტამდე ღრიალებდა.

ზოგნიც რუმბიან ურმებზე შემდგარიყვნენ და სიცილით, ურიამულით გასცქეროდნენ, ეტლებს კი არა, მათგან დატოვებულ ბღღვირსა და კორიანტელს.

— დნგრრაა! — ყვიროდა მთელი ბაზარი. თვალბგაფაციცებული ვანო თავდავიწყებული კისკისით ხან აქეთ მობრუნდებოდა და ხან იქით:

— მამალს უტკირე, გულნარ, მამალსა! — და, ტაშს ტაშზე რომ სცემდა, თან სიხარულით ერთ ადგილას ხტოდა.

— დნგრრა!

— დნგრრა!

ხალხი ეტლებს გნიასით, ღრიანცელით დაედო. ყველა იცინოდა და, რომ აღარ დაცხრნენ, ქეიფში შესულ ვაგაკს გული მოუფიდა. ერთი გამძვინვარებულ ნადირივით ამზრუნენად დაიღმუქლა და ეტლში ჩადგმულ კიბესავით ცად იტოტყა. ცალი ხელით მამალი კრიახით მალლა აიქნია და ცხვირის თავის ოდენა მუშტი უროსავით მძიმედ მოიღერა.

— დნგრა ვარ, დნგრა! — დაიღრიალა. — დაიწით, დაიწით, უუ, თქვენი დედის ღმერთიც არ იყოს, თქვენი! მიგანგრევთ, მოგანგრევთ და მეგრე, იცოდეთ, ატვენი არა ვარ!

ამ ღრილზე ცხენები დაფრთხნენ, ეტლი უეცრად გაიტაცეს და დაზარბა-
ცებული ამბაზი თავისი მამლიხანად ხვევრდვადარულ წითელ სავარძელში
გადაიქცა.

იქვე, სახვადგეში, ნასუქა და ნაიალღარ ხვადგებსა ჰყიდდნენ.

მოხვევებული ხალხის ღრიანცელზე ხარები დაფრთხნენ და ერთი მათგანი
ისე გადაირია, რომ ხესა და მიწას გლეჯდა. აქეთ გაქანდა, — თოკმა არ გაუშვა,
იქით გაქანდა, — ვერც იქით იპოვა გზა, სისხლით გატენილი თვალეში ერთი
საზარლად დააბრიალა და, ღმუილით, თქრიალით რომ გაქანდა, საბელმა ვერ
გაუძლო, გაწყდა და კუნტრუშით, ბულრაობით ქუჩებს სულ დვანდვარი აუყენა.

ხალხი დაფრთხა, ზარდაცემული თავის საშველად აქეთ-იქით წივილ-კივი-
ლით გარბოდა.

ბაზარი ერთ წუთში აიშალა. ყვირილმა, ალიაქოთმა ერთიორად იმატა.
ეტლები შედგნენ.

არღანიც გაჩუმდა.

დნვრა ერთხანს გავოგნებული იჯდა.

თავში ღვინო ერთბაშად გამოუნელდა და არ ესმოდა რა მოხდა, ან რა
ღვთის რისხვა დატრიალდა ირგვლივ.

მედუქნეებმა დარაბები დაკეტეს, სახლის პატრონებმა ალაყაფები და ბა-
ნებზე, ღობის თავებზე, აივნებზე გადმომსხდარნი აურზაურს ყიჟინით ზემოდან
დასცქეროდნენ.

გაგიყებული ხარის დანახვაზე ვანომ ერთი „ვაიო!“ დაიძახა და, ღობეზე
რომ გაჩნდა, ამხანაგი მხოლოდ მაშინ გაახსენდა.

— გულნარ, აქ მო, აქ მო მეთქი, გოგო! — ეძახდა გულგახეთქილი,
მაგრამ გულნარას არაფერი არ ესმოდა. შიშით მუხლები მოსხლეტოდა, ადგი-
ლიდან ველარ იძროდა. ხმაოწყვეტილად რალაცას ხავოდა და თან ხელებს ისე
ასავსავებდა, თითქოს ცეკვავსო.

— ხალხნო! — დაიღრიალა ვანომ შემზარავად. — ხალხნო, მიშველეთ! —
და თვითონაც არ იცოდა როგორ მოხდა, ღობიდან ისევ ძირს გადახტა, — ხი-
ფათში ჩავარდნილ დოსტს საშველად მიაშურა.

დნვრა ამის დანახვაზე ეტლიდან ძირს გადმოხტა.

— ვაი დედიჩემის ღმერთსაო! — დაიგმინა და ფშვინით წამოსულ პი-
რუტყვს გზა გადაუჭრა.

— დადექ, შენი საღავათიც არ იყოს, შენი! — და რქებში ხელი მარჯვედ
უტაცა.

ხარ-კაცის კიდილს ყველა სულგანაბული დასცქეროდა.

მთანი ნაზარდმა, ხალხს უჩვევემა პირუტყვემა ერთი მშვიდვარედ დაპტ-
ვინა და ცხელი ჰაერი ვაყვაცს ქარივით შეაყარა. განიერი შარვალი მიწაში
მუხის ტანივით ჩაზრდილ ბარკლებზე ტალღებად დაერბა, მაგრამ დნვრა არც
ისე ალაალად იყო ნაკერი, რომ ეგრე ადვილად წახდენილიყო. კისერი ღონივ-
რად მოუგრიახა, რქებით მიწაში ჩაარქო და სისხლით გატენილი თვალეში
მალლა ღმერთს შეახედა. ძირს რომ ბრაგვანით დასცა, სახტად დარჩენილს გუ-
ლი ბრაზით აემღვრა. უკან დაიწია, ერთხელ კიდევ დახედა და ზიზლით
ჩაიბუბუნა:

— ფუჰ, გამჩენიც გაგიწყრეს! ხარი კი არა დედალი ყოფილხარ, შე ვერანავ, შენა! — და ისევ თავის გზას გაუდგა.

ამ ამბავს ზურია გოლიაშვილიც შეესწრო და მისი ვეფხვკლამისძიებარული მას აქეთ გულში მტკიცედ ჩაიდო. იმდენს ეცადა, იმდენი იღონა, რომ ბოლოს დაუდოსტდა კიდევაცა.

15.

გოლიაშვილი სოფელს იმდენად უყვარდა, რომ დიდი და პატარა საალერსოდ ბოლრა ბიჰს ეძახდა.

შავად გადაწურულ წარბებს ქვემოთდან მუდამ გოროხად გამოიციკრებოდა, აჯეჯილებული უღვაშებიც კობტად უბიბინებდა და მაინც მიაშიტი იყო, ალალი გუნებისა. გულიც ისევე ჩვილი ჰქონდა და სალბუნიათი, როგორც ზაფხულის ღამეში ტკბილი დუღუნით გაპარული ანკარა მტკვარი, მტკვარივითვე ლალი და ბობოქარი, როცა მოდიდებული, თავაწყვეტილი ჩაქცეულ ფლატეებს ღვართქაფა ტალღებით ეტლასუნება.

არწივი იყო არწივად დაბადებული, მაგრამ გული დარდით მაინც ეღრღნებოდა.

— ერთი ბატონი მყაა, — სჩიოდა იგი, — ერთი მბრძანებელი და ისიც მოსისხლე მტრად ვადამკიდებია.

— ვინა, ქოო, ვინ არი ეგ შენი დუშმანი? — ეკითხებოდნენ ძმობილები. — გვითხარ მაინცა, რო ამ სამზეოზე აღარ ვაგაქაქანოთ.

— აპაი, დედას მტრისასა, თქვენ რას მიშველით, ბეჩაენო! როგორ არ იცით ი ტიალი ამილახვარი! იიპ, ჯანიც იმას ვაეარდნია! სამაგიეროდ ორი ძმაცა მყავ, — ჩემ გუთანსა და თელის ფანდურს შემოვევლე იმ აქლემივით მრუდე ყელში, — ისინი ხო ჩემთან არიან! ერთი მარჩენს, მეორე გულის ჯაფრსა მიყრის!

ორშაბათ დილიდან კვირახალამდე წელგაუმართავად მუშაობდა, ხნავდა, ფარცხავდა. ტყეს სჭრიდა. თავისუფალ დროს მიახლებდა თუ არა, ქვრივობლებსაც წაუქრავდა ხელს საქმეებზე, — ახლა იმით უხნავდა მიწებს, უფარცხავდა. წვიმას ქერში რომ არ გაეტანებინა, საზეპელათი ბანს მოუზეპავდა, წყაროდან წყალს მოურბენინებდა და თან მზრუნველობით დაუტატანებდა:

— იიპ, ყვიციანებო, რა არი ცხვირ-პირი რო ეგრე ჩამოგტირისთ! ხელი ვანძრით, იყვირით, სთქვით რა გაგჭირვებიათ და, მეზობლები ვართ, მტერი ხო არა ვართ, ხელს გაგიმართავთ!

— იი, შენ კი გაიხარე და შენმა ჯანმა! შენ რომ არა გვეყვანდე, ვინ იქნებოდა ჩვენი ნუგეში? ვაქირვებულისათვის სიტყვაც დიდი სარფაა და შენგან საქმეც არ გვაკლია! — ლოცავდნენ საწყლები და არ იცოდნენ ამდენი ამაგის სამაგიერო რითი მიეზლოთ.

კვრა დღეს კობტად ჩაცმული, კობტადვე თმაგადავარცხნილი კალოზე სამხიარულოდ გამოფენილ გოგო-ბიჭებში თავმომწონედ გაერეოდა.

იმას რა სჯობდა, ის რო თავის თელის ფანდურს ტკბილად ჩააქვრიავდა და თანაც ტილა ყელის მოღერებით სედიანად შემოსძახებდა:

ამილახერიანთ ყმობითა
 ზური ვერ დადგი გოდრიითა,
 ვერც გავიტანე გუთანნი,
 ვერც კალო ვლევწე მოზერითა.



ავ კაცს ქვეყანაზე რა დაღვეს და ავის მქნელსა? ქვეყანაზე ისიც ცხოვრობდა, — ავის მქნელი და ღუშმანი იმასაც ჰყავდა. სოფლის გაწუწუებულმა გზირმა ეს შაირი გაიგონა თუ არა, ენა მაშინვე ამილახეარს მიურბენინა.

გულზეიად ბატონს იმისი ამბავი წინადაც სმენოდა, მაგრამ საბით ვერა სცნობდა. რომ ენახა კიდევაც, საით დაიმახსოვრებდა, — ვინ იცის რამდენი ლატაკი და ბოგანო დაეხირებოდა მის მიწა-წყალზე, პირში სულს იდგამდა.

— ხელმწიფის სწორი კაცი ვარ, — აყვირდა იგი, — და რა გამოვიდა ის ტურტლიანი, ამდენს რომ მიბედავს?

მხლებლებს უბრძანა, სადაც წაეწეოდნენ, აეკლოთ და მით ჰკუთა ესწავლე-ბინათ გათავხედებულ ტეტიასათვის.

ერთ დღეს ზურია ყანასა ხნავდა და, ოროველსაც რომ დაჰგუგუნებდა, ამ დროს, საიდან არ იყოს, ბატონის კაცები თავს წამოადგნენ. ის მარჩენალი ღვინია ხარი გუთანში გამოუხსნეს, დაუკლეს და ბალღივით ატირებულ ზურიასაც იმდენი სცემეს, რომ ისიც კინალამ ზედ წააკლეს.

აღმათ, წერამ თუ აიტანა ის ბიჭი და ჰკუთაზედაც იმიტომ ვერ მოვიდა. ლოგინში წელი აითრია თუ არა, მაშინვე თავისი განუყრელი ფანდური მოითხოვა და ნაღვლიანად შემოსძახა:

ამილახერიანთ მომასწორეს.
 წელი მამწყვიტეს ცემითა,
 შავთვალა ხარი წამართვეს,
 თვალი ამევსო ცრემლითა.

ეს რომ ბატონმა გაიგო, სულ ცეცხლი ჰყარა პირიდან:

— ერთი მაჩინეთ მაინცა, ენახო ვინ არი. იწებ, მდეგია და ჩამოვეხსნე-ბი! ის სულძალი და ჩულიანი ჩემი მიწებით სულს პირში იდგამს და ლანძღვასაც მემართლება?

16.

ერთ კვირა დღეს გლეხები სოფლის კანცელარიის წინ შეკრებილიყვნენ და თავის დუხჰირ ბედს ხმამაღლა სჩიოდნენ.

ზურია იქვე ძელბზე იჯდა და მეზობლების ბაასს უბრაღ ისმენდა.

ბოლოს ყაყანში ისიც ჩაერია და თავადერილად დაიძახა:

— კაცი კაცის ზურგით არის და ჩვენ კი ბატონის მათრახისათვის მიგვიშვებია. ერთი პირი არა გვაქვს, ხალხნოუ, ერთი პირი და ერთურთის გატანაი! ძალა აღმართსა ხნავსო, — ძალა ჩვენა გვაქვს და იმათ კი ფეხქვეშ ვეფინებით! იმათაც რა ენაღვლებათ, — გეხნავენ, გეფარცხავენ და გვლევწენ კიდევაცა! თვალ გამაბზილეთ, ხალხნოუ, თვალები!

გლეხები გაყურდნენ.

პასუხი ვერაგინ მოუქრა.

— ეეჰ! — წამოიძახა ბოლოს ერთმა მათგანმა ნაგვიანვედ. — გინა ყველა მართალი ნამდვილია რა... ჩვენ რა შეგვიძლია ბეჩავებსეჰ...
 ზურიას უნდოდა პირში სცემოდა ამის მოქმელსა, მაგრამ მამა (ძროსის) სოფლის ბოლოში ცხენთა თქრიალიც გაისმა. სოფელელებმა გამორკვევეთ ვერ მოასწრეს, რომ ამილახვრის ეტლი ევენების ტყბილი უღარუნით ორლობეში შემოგრილდა. თან ცხენოსანი მხლებლებიც მოჰყვენენ.

მათ დანახეზე ყველა ქუდმოხდით წამოიშალა, სული განაბეს და ქედმოხრილნი მორჩილად იდგნენ. სადღაც ძუძუთა ბავშვმა დაიჩხვლა, მაგრამ „სსუო!“ — მიიძახეს და, ბატონი რომ არ შეწუხებულეყო, იქაურობას საჩქაროდ გააცალეს.

ზურიასაც რა ძალა ჰქონდა, — წელი ზანტად აითრია. ქუდმოუხდელი ისიც თავდახრით იდგა და თან თვალებს შებლ ქვემოდან მგელივით ამრიალებდა.

კნიაზმა თვალი შეასწრო თავხედ ბიქსა.

— ეინა გლიზარ, შე ოხერისტილო, ჩემთვის სალამიც რო არ გემეტება? — აღრიალდა ბრაზმორეული.

ბიქს სახეზე მიწის ფერმა ვადაურბინა. სისხლი ყელში მოაწვა და, ალბათ, დაახრობდა კიდევ ტიალი, მაგრამ მოზღვავებული რისხვა მალე დაიოკა, — მხოლოდ კბილები გააბრქიალა სიმწარისაგან.

— მე ერთი საწყალი მეფანდურე ვარ, მიწის მუშა...

— მეფანდურეო? — ელდანაცემი შედრკა ბატონი. — მაშ შენა ხარ ის მოშაირე ლომაკი არაა? დაარტყით მაგას მათრახები!

ზურიას ბრაზით პირი გვერდზე მოეღრიცა, მაგრამ თავს მოერიდა და ისე დაიწყო, რომ ემუდარებოდა და მუდარაში მუქარაც გაისმოდა:

— რაზედ მიწყრები ბატონო? შენი რისხვა არა მაქვს, ისედაც აბეზარსა ვარ მოსული...

— რაო, შემუქრები კიდევაცა? რას უყურებთ, დაარტყით მეთქი მათრახები! — მაგრამ, სანამ მხლებლები მისცვივოდნენ, ბიქმა ერთი ლალად დასქყივლა და თავაწყვეტილი გაქანდა ორლობეში.

სადღაც თოფი გავარდა.

ვილაცამ ცივი ხმით დაიკივლა.

ერთ წუთში ყველაფერი აირია. მათრახები აშუილდნენ და გულგახეთქილი გლხეხები თავის საშველად აქეთ იქით ლობე-ყორეს მიაწყდნენ.

ცხენთა თქრიალით, მდევართა ყიყინით გაყრუვდა სოფელი, მაგრამ ზურიამ მოასწრო. გრიალით, ლაწანით ხილის ბაღებში გადაეშვა და გომურებზე, ეზოებზე გზა გადასქრა, თვალს მიეფარა.

ეტლი დაძრულიც არ იყო, რომ სერზე შეფენილ ტყიდან ყვირილიც მოისმა:

— ამილახვარო, ჩამომეხსენი-ი, ჩამომეხსენი, თორემ დედას ვიტირებ, დედასა!

იმ დღის შემდეგ ზურიას სოფელში აღარ ედგომებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა, — ადგა და წყალში გადაეარდა, მეტივეობა დაიწყო.

ის რომ ტივს შეჰკრავდა და ზედ ორთაყვირებს დაასხამდა, რა სჯობდა იმის ნახვას, — თუნდ სალიანში ჩავიდოდა დაურღვეველად.

ბორჯომიდან ქალაქის სატიომდე ყოველი ჰორომი, მოზრეკი და თოპანი და ასაქცევი ზეპირად იცოდა. რომელი ჭევა სად იდო ისიც ვუშინდელ დღესებით ახსოვდა და ბატონის რისხვას რა ჯანდაბა დაიფიცებდა.

ორთაყვირებით დაგეზებული წყალდაწყალ ირიად რომ დაეშვებოდა, გეგონებოდა, — წყალი კი არა, ნიაღვრად მოვარდნილი ვაჟკაცი მიაქანებს ამ ტივებსაო.

— აჰაი, ტა-ტა-ტაჰ, ჩემო ნათალო ტივებო, სადამდე მატყვტივებო! — დასძახებდა და, რაც უნდა ცუდი ვიწროები ყოფილიყო, მაინც მშვიდობით გაატანდა. განიერში რომ გავიდოდა, ერთს განიერ მეტიურსაც შემოსძახებდა და წყალში გადაბრუნებული ორთავ ნაპირი თავისი ზოზინა კამეჩებით, მთებით, ყანებითა და ნაღვლიან ურმულში ჩაძინებული მთვარიანი ღამეები მიჰქროდნენ უკან.

სატიოზე ტივი შევკარ, —
ტივი არი ნაძვის ხისა.
ორთაყვირები მოვასხი, —
მოსასმელი არი წყლისა.
ჩემო ტიეო, მაშინ გაქებ,
რომ ქალაქში ჩასულიყო,
თავს მუშტარი დაგხვევოდეს,
სხვაზე მეტად გასულიყო.

ბანებზე გადმომდგარი უფლისციხელი, მეტეხელი და ძეგველი გოგოები თავაწყვეტილ ვაჟკაცს მიზნედილი ღიმილით აცილებდნენ, თანაც ეშხიანად გასძახოდნენ:

— იიჰ, შენ კი დაურჩი შენ დედასა, შე გასატიალბელო ბიჭო, აჰაანდე! — და ხელებისა და მანდილის ქნევით ნაზად ეთხოვებოდნენ.

მცხეთაში, მტკვრის პირად, ობლად გათბრილ არსენას საფლავს რომ ჩაუქროლებდა, გული მტურად აუტოკდებოდა.

— ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, ოძელაშვილო არსენა! — და მერე კოდმანისა და კარსნის ვიწროებიდან დიღმის ველზე გადაქნეული, ერთსაც ლალად დასწყვილებდა:

თბილისმა ამოანათა
ფუძე შეიძრა ცისაო!

და განთიადის ნისლში აცურებული, მშით დაფერილი ქალაქი თავისი ცისფერი ჰრელა-ჰრულად ნახარატევი აივნებით, მთაწმინდითა და ხილის ბაღებით ტივს ყელამდე შემოადგებოდა.

18.

დნვრა და ზურია მტკვრის პირას სატიოზე ისხდნენ.

ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ. მტკვრის სადინელს მშის მცბუნვარებით გაოგნებული თვალებით გასცქეროდნენ.

ბორჯომის წიწვოვან ტყეებიდან დაცურებული ფიჭვის ტივები მსოილით მოჭროდნენ.

— აჰაი, ტა-ტა-ტაჰ, მარჯენივ დაუჭი, ჭოუ, მარჯენივა! ექვედნენ წითელი ხელსახოცით თავწაკრული მეტივეები.

ორთაყვირები იზნიქებოდნენ, ებრძოდნენ ჩქერებს, ჭორომებს, რიყიან ნაპირს მძიმე ჭრატუნით ადგებოდნენ.

— ხიი, ჰამოო! — ჯავრობდნენ მეკამეჩენი და წყალში გათეინებულ კვარიან მორებს ხე-ტყის სახერხ ჭარხნისაკენ ეზიდებოდნენ. თან გეხს უსწორებდნენ, — ცდილობდნენ ტივის ხე ლაპ მერდევეანში ჩაეგდოთ, რომ სათრევეად იოლი ყოფილიყო.

ფარდალალა ფიცრულ დუქნიდან არღნის ტუატუა ისმოდა, — საქმემოცარული მეტივეები ქეიფობდნენ.

ზურია მ ერთხანს არღანს უსმინა. შეიშმუნა და მხეს შეფიცებული კისერი ჭირვეულად მოიფხანა. მერე დნგრას ირზბულად გახედა და ეტყობოდა გუნებაში თავისთვის რალაც გაიელო, მაგრამ თქმისა, ერიდებოდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ ძმაკაცს ისე გასძახა, თითქოს ის აქ კი არა, საღლაც ცხრა მთას იქით ყოფილიყოს:

— ჭოუ! — თავისმა ძახილმა თვითვე შეაკრთო, ბოდიშიანი უხერხულობით გაიღიმა და ხმის ოდნაეი დაწვეით განაგრძო:

— იცი, რა უნდა ვითხრა? — და მხოლოდ ახლა შეატყო, — დნგრა თავის ფიჭრებში ისე ვართულიყო, რომ არ უსმენდა. მხარში ხელი დაჰკრა, მოაბრუნა და კვლავ ხმამაღლა მიმართა:

— ჭოუ, ერთი მეც გამიგონე!

დნგრა გამოერკვა.

— იცი რა ვითხრა? — და მერე ერთბაშად მიახალა: — აარა, ძმაე, არ შემიძლია. მორჩა, ქალაქში უნდა დავიჩე!

დნგრა უსიტყვო საყვედურით მიაჩერდა და იმითი უთხრა ყველაფერი.

ზურია უხერხულად აიმრიხა, ჯიუტად ჩაიციებულ ძმაკაცს თვალი აარიდა და ისე ამოხდა:

— ვა, სოფლად თუ აღარ მედგომება! — და მერე თაბაუთიანად განაგრძო: — ხელობა უნდა ვისწავლო. ქვეყანა თავს ირჩენს, ცხოვრობს და მე რა ღმერთი გამიწყრება!

— ბიჭო, არ შასცდე! — კი არ სთქვა, შეეხვეწა გულწათხრობილი დნგრა და მის ხმაში მუდარა, გულსწყრომა ერთად გამოჰკრთოდა. — ბიჭო, არ ინანო. აქ რა ვიზიდაეს? ამ ჯოჯოხეთში კარგი რა ნახე, გული ეგრე რო მოგიწყევს? ეს ქალაქი ეგრე ქრელად და ზიზიად რო ჭიატებს, ორმოა, ჯურღმულია, ზრამია კაცური კაცის დასალუპავად გათხრილი!

ზურია მ ხმა ჩაიწყვიტა.

ისეე ყოყმანობდა, არ იცოდა რა გზას დადგომოდა.

სოფლად უნდოდა. — ბატონი არ აყენებდა, ქალაქში უნდოდა, — არ ურჩევდნენ.

გამოსავეალი რამ ვერ იპოვა, თავი დარდიანად ჩაჰკიდა.

აღარც დნგრამ გაუგრძელა სიტყვა, ხმა იმანაც ჩაიწყვიტა.

ორნიე კვლავ თავთავის საგონებელს მიეცნენ.

შუადღის მზით გავარვარებულ რიყიანზე, პაპანაქება ალაოდ იდგა და თანდათან მძლავრდებოდა. გვალვის ხეტიან ზუზუნში მდინარის ეს გრილი შხელი კიდევ უფრო საამო იყო, სახალისო და დამაფიქრებელი. ჩაბნის წიქვლები თავბრუდამხვევად ტრიალებდნენ და ისედაც აღმტრით დაბნედილი გონება მთლად ლენჩდებოდა. საიდანღაც, თითქოს დასაკარგავიდან, თულუხჩების გაუთავებელი ყაყანი და მრეცხავ დედაკაცთა ჭობინების ტლაშენი მოისმოდა.

ხე-ტყის სახერხ ქარხნებში ხუროხერხები გამაბეზრებლად ხრიალებდნენ და მეტივეებისა და ტივის მუშტართა ფრიაბული ყურთასმენამდე ხშულად აღწევდა.

არღანი ისევ ჭყიოდა, ოღონდ ახლა სხვა ჭრელს უკრავდა.

და, აი, გვალვისა და ხალხის ყრუ ზუზუნში, ჯერ წყნარად, გულის წიაღამდე ჩამწვდომი ხმით აღიღინდა ვილაკა ტბილად:

ახალ აღნაგო სულოდა,
ედემში ამოსულოდა,
ჩემს ეტლზე დანერგულოდა...

მერე ხმას თანდათან აუწია და მეტის გაბედულებით შემოსძახა:

სიკოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი...

ყველა გაყურდა, სმენად იქცა.
თულუხჩებმა წყლის ზიდვა შესწყვიტეს.
მეტივეები გაწყნარდნენ.

ალარც ხერხები ხმაურობდნენ.

არღანიც დადუმდა.

მეთევზეებმა ჩრდილისფერი სველი ბადეები დაუშვეს და ტბილ სიმღერას იმათაც მიაყურეს.

ყველას ყურთასმენა იმ თვალცინცხალა ბიჭისაკენ მიიქცა, ტივის ხეზე მუხლაკეცილი რომ იჯდა.

მტკვარი დუღუნებდა, თითქოს ბანს ეუბნებოდა და წისქვილის ჩარხები ტალღებზე ისე ჩქაფუნობდნენ, თითქოს მდინარის ზედაპირზე აღმა მიგორავდნენ.

ამღერებულ ყრმას გვალვისაგან ბრინჯაოსფრად ამწვარ შიშველ წვივებზე ხელები მჭიდროდ შემოესალტა, სახე მზისათვის შეეშვირა და თვალდაბუქული თავდავიწყებით ღალადებდა. იქვე, მის გვერდით, გულნარა მორზე პირაღმა გამოტილიყო, მზის მწველი სხივებისაგან თავის ასარიდებლად სახე ხელებით დაეფარა და თავისთავად ამღერებულ ამხანაგს სულგანაბული უსმენდა. ერთხანს ეგრე იწვა უძრავად. მერე სიმღერით ატანილი, ტბილი წუთები რომ არ დაეღვია, სიზმარეულივით წყნარად წამოიწია და კაბის კალთის ამოფენათ ფეხები იმანაც აიკეცა. ამხანაგის წაბაძვით წვივებიც ხელებით შემოისალტა. შუბლით მუხლის თავებს დაეყრდნო და მშვილდივით მომართული თავჩაღუნული კვლავ სმენად იქცა. სიმღერა მდინარესავით ღალად მოედინებოდა და ეგონა, — ეს ტივის ხე, ზედ რომ იჯდა, სიმღერაში ნანაობით მიიჩნეოდა. ეს

წინაობა ხან სულს სტაცებდა, ხან გულს უჩუყებდა და კულში მოწოლილი ცრემლი, სიხარული და ბოლმა მთელ მის არსებას ნეტარებით ავსებდა. არასოდეს ასე ტკბილად, ასეთი თავდავიწყებით არავის უმღერია. თითქოს ეს რიყის ქვეები, ეს ცა და ეს მზეც იმას უსმენდნენ. არსაიდან ხმა, ჩამიჩუმე არ მოისმოდა.

მხოლოდ მტკვარი ბორგავდა რიყიანში და შორეულ მატარებელთა ცივი გადაკვივლება მოისმოდა ყრულ და შემაშფოთებლად. გულწარა მიხვდა, რომ ასე მხოლოდ ერთხელ მღერიან, რომ ასე ტკბილად, ტრუნტელის მომგვრელად მისთვის მღეროდნენ და კიდევ უფრო გაყურდა, თავდავიწყებით გაჰყვა ტკბილ ხმათა დენას. ხან ნეტარებით ილიმებოდა, ხან უხმოდ სტიროდა და გრძნობით გულამომჯდარს ჟუჟუნა თვალთავან ცრემლები ლაპალუბით სდიოდა.

ვანო ისევ მღეროდა. მღეროდა ისეთი ვატაცებით, რომ ირგვლივ არაფერს არ ამჩნევდა, არც არაფერი ესმოდა. მღეროდა ისეთი გრძნობით, რომ ქვა ადუღდებოდა. მღეროდა ისეთი თავდავიწყებით, რომ, თითქოს ეს ხალხი თავისი გულისტკივილებით, ჯავრითა და ღზინით, ეს ვარემოც თავისი იდუმალეობით, მადლობა და ბარაქით გულში უსხდნენ და ერთად გალობდნენ. მერე ჯადო ხმას ერთბაშად აუწია, კილო იცვალა და ახლა სიტყვებსაც სხვანაირს ამბობდა, მწველსა და გულის ამაჩუყებელს.

ტკივილით, გულისწყრომით შესჩიოდა მთასა და ბარს, ქალაქს, მდინარესა და მთელ დუნისს, რომ მან, ესდენ ნორჩმა და გამოუცდელმა, ბევრი მწუხარება, ბევრისბევრი დარდი და ვარამი განიცადა. ნორჩია და მაინც მოასწრო, პატარაა და გული დიდი აქვს, — დიდათაც სტკივია. სჩიოდა, რომ ეს სატიალე ცხოვრება ასე უკულმართად იყო გაქედილი. სტიროდა, რომ ამ ვერანა ქვეყანაზე სამართალი ასე მრუდდეთ იყო მოჭრილი.

მისი ხმა ხან ნიავეისაგან წაწვენილ ბალახივით ბიბინებდა, ხან ფრთააწყვეტილი და ნაღვლიანი მაღლიდან ზეატანად ჩამოხვეებულ მზეს გულგახეთქილი აწყდებოდა.

სიმღერა იგი ხან მოდიდებულ მდინარესავით ზვირთდებოდა, ხან ზედასავით მძიმედ ეშვებოდა და ხან ვერცხლის ეფენივით გულში ჩამწვედომად წკრიალებდა. უცებ ის საღამო გაახსენდა, თელომ ზელი კინალამ რომ მოსტება და სიმღერა კვლავ გამართა:

შენ აზრუმის ვარსკვლავი ხარ,
გულწარა,
ამომხდარი მანათობლად,
გულწარა...

ეს აზრუმის ვარსკვლავი მის გვერდით, ტივის ხეზე, ბრძანდებოდა და გულწარა გრძნობდა როგორ ქალდებოდა იგი ამ სიმღერით, მწიფდებოდა, შვეტად აყრილი გაზაფხულის ნედლი ტოტივით წვენივით იესებოდა.

— რას სჩადის ე ბიჭი?

— რა დაემართა, ან რა ვასჭირვებია ეგეთი? — ჰკვირობდნენ მსმენელები და ტკბილი წუთების დარღვევის შიშით ხმის ამოღებას ვერა ბედავდნენ.

მებაღემ უსმინა, უსმინა, ვერ მოითმინა და დაქრილ ნადირივით დაიღმუვლა:

— ბიჭო, რას სჩადი? ბიჭო, ეგრე ნუ მღერი, თორე ცოდო ხარ! ეგეთი რა გაგჭირვებია, შე უღმერთოვ, შენა?

ვანომ თითქოს მართლა ისმინა იმის მუდარა, — სიმღერე ^{ეგრე უღმერთო} — სიმღერე ^{ამრეცხვად} მალე დუმილიც ჩამოვიარა.

ზურია ადგა, ბავშვს ფეხაქრეფით მიუახლოვდა და გულჩუქებული ხმით შეეკითხა:

— ჭოო, შენ იყა, ეგრე ჯიგრიანად რო მღეროდი?

მალღმა აიხედა, — თავს ვიღაც ტანაურილი ვაყვაცი წამოსდგომოდა. მაშინვე უხეზე წამოიჭრა და, გაოგნებული თვალებით ირგვლივ რომ მიიხედ-მოიხედა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა. ერთი პირობა ვერც მიხედა რას ეკითხებოდნენ, მაგრამ მალე გაისაზრა, შერცხვა თავისი ამგვარი თავდავიწყებისა და გაქცევა გააპირა. გარნა მუხლები ნებას არ დაჰყენენ, — აღვლილან ფეხი ვერ მოიცვალა. მხრებში უმწეოდ აიწურა და ერთბაშად ისეთი სიცარიელე, ისეთი უთვისტომობა იგრძნო, რომ მზად იყო ეტირა.

— მეე? — ძლივს მოაბრუნა ენა. — შე აარა! აბა სიმღერისა შე რა ვიცი! — სცადა ტყუილი, მაგრამ იოინი არ გაუვიდა.

— აბა რათა სტყუი „ჰა“? — წაუდგა პირში მებაღე და ტივის ხეს, ვილაცის ბრაზით, ტოტყით ფეხი ისე ღონივრად წაჰკრა, რომ კამფებით ამოტანილი კინალამ ისევ წყალში არ ჩააგორა.

— ეგ არი, ზური, სიყმის მშემ, ეგ არი ის იადონი, ისა!

— ოპიი! — ამოხდა მეტივეს ბოღმიანად. — ნეტავ შენი ტკბილი ხმა ერთხელ კიდევ გამაგონა და შემრეე... შემრე. თუნდა მოგვედეს, არას ვინაღვლი! ჩვენი სიმღერებიცა სთქვი, ჭოო, ჩვენებური, გლეხური სიმღერები! იიპ, ნეტავ ერთი შენთან ერთად მამღერა იმ ჩემი ყელმრუდე ფანდურზედა და სხვა არა მინდა რა, იიპ! — უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაცა, მაგრამ გრძნობამ ყელი გადაუქერა.

დნგრა ჩუმად იდგა.

ზურია მ ისევ დაარღვია დუმილი:

— აპაი, ტა-ტა-ტა! — დასძახა მეტიურად და თვალები მუგუზლებივით აენთო. — თუ ბიჭადაც ეგეთი ხარ... ალალი იყოს შენზე ი შენი დედის ტკბილი ძუძუი! — და ერთი იმნაირად ამოიოხრა, თითქოს შთელი გულის დარღები ერთად უნდა ამოჰყაროსო. — იიპ, იმ ოხერა გლტკაცის ბედსაც რა ეუთხარ, აპანდე!

ისევ გაჩუმდა.

გულნარა იქვე მოკრძალებით იდგა და ამხანაგს აცრემლებული თვალებით შესცქეროდა. ენაჩავარდნილი კაბის კალთას რატომღაც ისე მაგრადა და გულიანად ჰმუჭუნდა, რომ ჩაქი მალლა წამოსწეოდა და მზისაგან ამწეარი შვეტი ფეხები მუხლებს ზემოთ უჩანდა.

დნგრას ხარბი თვალები იგრძნო თუ არა, კალთას ხელი უშვა და გულ-მოდგინედ ჩაისწორა. მერე თავი ჯიუტად გაიქნია, ათრთოლებული ხელი შუბლზე ოდნავ გადაისევა და გაშტერებული ვანოსაკენ წყნარი ნაბიჯით ჩრდილივით უჩუმრად გაემართა. გამორკვევაც ვერ მოასწერეს, რომ ბიჭს კისერი გადაუღო და შუბლში აკოცა.

— გულნარ, რას სჩადი? — კი არ იციოთა, სთქვა ვანომ და მაშინვე გაი-
საზრა, — ხმა არ უნდა ამოელო. ვოგო გველნაკებნივით შეკრევა ამ სიტყვებზე,
ბიჭი ხელის კვრით იქით მიაწყვიტა და ამდულრებულმა მსხრბოლნი მსახლს
მიაშურა.

ვეელამ აღერსით გააყოლა თვალი და მხოლოდ ახლა მოესმათ, — დე-
დალი სოლომონა მეთევზეებს რალაცას ეყაყანებოდა და ახლა ვანოს დანახვაზე
გინებით მუშტების ქნევით აქეთ გამოქანდა.

— ეს შენა ხარ, შე ჩულიანო, მეთევზეებს რო მიცდენ? ტირილის მაგიერ
მღერი კიდევაცა? — და ამ სიტყვებით ბიჭს ზედ შევარდა, მაგრამ ზურია მქე-
როში ხელი ჩაავლო, — თავი შრისხანედ გადაულო და თვალეში ისე ჩახედა.

სოლომონა უცებ წახდა, მაგრამ გვიანლა იყო, ზურია მხელის კვრით ტი-
ვის ხეზე ზღართანით გადააწყვიტა.

იმ დღის აქეთ დაკარგა მოსვენება პატარა ვანომ.

ის სიტყვები, რომლითაც ასე უადგილოდ მიმართა გულნარას, სანანებლად
გაუხდა და ისე იყო, თითქოს დიდი ცოდევა რამ ჩაედინოს.

იმ მეტივის დარღებიც აბეზარად აეკვიტა და სულ იმის ფიქრში იყო თუ
საიდან მოვიდა იგი, რა აწუხებდა, ან რათ იყო იმ დღეს ისეთი.

თავისუფალ დროს მოახელებდა თუ არა, ხან მარტო, ხან გულნარასთან
ერთად სატიოზე გაჩნდებოდა და, მტკვრის პირას მდგარი, ელოდა, მოლოდი-
ნით გული უწერილდებოდა.

ერთხელ რაა, ერთხელ არ გაუტრა იმ ვერანა იღბალმა, ვერ ნახა იგი, რომ
ერთი იმისი გულის ნატვრა აესრულებინა და მასთან ერთად ემღერა.

სახელისა და ზელობის მეტი არა იცოდა რა იმისი, არც გვარი, არც სა-
დაურობა.

უგზოუკვლოდ დაიკარგა.

სიზმარივით გამოეცხადა და სიზმარივითვე გაუჩინარდა.

წავიდა და თან წაიღო და ის გლეხკაცური ბედის ჩივილი.

სობრტყით ვატყორცნილ სალა ქვებს წყლის ზედაპირზე ბილაბილად ახ-
ტუნავენდა და ჯავრიან გულს იმით ირობდა.

მეტივეები გამოჩნდებოდნენ თუ არა:

— ზურიი, პაი, ზურიი, სადა ხარ, ჭოო? — გასძახოდა სეველიანი ხმით,
მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა.

19.

ერთხელ მამამ ქარხნიდან ოთხი მიაშიტი ძმის წიგნი მოიტანა. შინ ჩაი-
კეტა და შვილს დიდი საიდუმლოებით ხმამაღლა წააკითხა. თვითონაც გვერ-
დით უჯდა და წაკითხულს ჯერ ხმის ამოუღებლად უგდებდა ყურსა. ამბავმა
თანდათან ისე გაიტაცა, რომ ხან მწუხარებისაგან და ხან გაოცებისაგან თავს
აქეთ-იქეთ იქნევდა.

ახლა ის გულნარას უამბობდა იმ ოთხი ძმის ფათერაკიან თავგადასავალს
და ცელქი ვოგონაც ხან თავდავიწყებით იცინოდა და ხან დარდიანი შუქუნა
თვალეები ცრემლით ერთეილებოდა.

ბეჩარას მათ ძებნა-ტუქსაში ილაჯი იმდენად გაუწყდა, რომ ერთ დღეს,
მოთმინებიდან გამოსულმა, შეგირდი მაგრა მიბეგვა. თავისი ქალი საცემრად

ვერ გაიმეტა და იმითი დასაჯა, რომ იმ დღეს ორთავე დააპატიმრა. ბიჭი მარტო ცემის როდი დააჯერა, — ნაშუადღევამდე თავულებლიე კმულმა ვაჟმა ნაშაბაშევს, საქმეს რომ მოაჩინენ, სახელოსნოში ჩაქეტა.

ახტაჯანა და თავვეყიფა გულნარამ აინუნშიაც არ ჩაავდო ეს „ზეკუცია“. გულს მხოლოდ ის უკლავდა, რომ ორთავე ბრალიანნი იყენენ და ვანო მაინც იმაზე მეტად დასაჯეს. ახლა სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ ენახა თავისი განსაცდელში ჩავარდნილი მეგობარი ისე, რომ შინ არ გაეგოთ. აქეთ ეცა, იქით ეცა, ხან უმიზეზოდ იტირა, ხან რალაც უჩვეულო აიხიარა, მაგრამ, არა-ეინ რომ არ დაუყვავა, ისევე გაიბუტა, სიჩუმე ამჯობინა. ბოლოს იმდენი ილონა, იმდენს ეცადა, რომ დრო იხელთა და შინიდან უჩუმრად გაიპარა.

სახელოსნოსთან რომ მივიდა, მეგობარი წუთით პატიმრად წარმოიდგინა და გული სიბრალუღით აუძგერდა.

დარაბას უზარმაზარი კლიტე ედო.

ჩაქეტილ კარებს იქეთ ვანო იჯდა.

ვიწროდ გამოჭრილ სარკმელს ახედა, შიგ არაეინ სჩანდა.

გულმა არ მოუთმინა და მონატრებული ხმით ფრთხილად დაუძახა:

— ვანოუ, ჰაი, ვანოო!

ტუსალმა მაშინვე იცნო ამხანაგის ხმა და სარკმელს გულამოვარდნილი შიასკადა.

— გულნარ, შენა? — შეეკითხა გაკვირვებით და თვალები სიხარულით ვაუბრწყინდა.

ოსტატის ქალს ეს შეკითხვა იმდენად უაზროდ მოეჩვენა, რომ გულმოსულმა სიტყვა უქმეხად შეაჭრა:

— მეე, მა რაა!

პატიმარს ხმამალლა გაეცინა.

გულნარასაც მეტი არ უნდოდა. ხუთგირვანქიან ბოჭლომს მაშინვე ფეხით დაებჯინა, ხელით აგურს მოეჭიდა და დასტანდაზზე დიდის ვაიეავალახით აცოცდა. თავი სამშვიდობოს რომ დაიფულა, საქმე სწორეთ აქ გაუჭირდა. თუ რამდენიმე თვის წინათ ამ ვიწრო სარკმელში ლაღად ძვრებოდა, ახლა თედონებში ისე დასრულებულიყო, რომ შიგ ვაიქედა და დოსტის დახმარებით ვაჭირვებით გაეტია.

ვანოს ღამით სახელოსნოში ეძინა ზოღმე და ტახტიც იქვე ედგა.

გულნარამ უწესრიგოდ აშლილი ლოგინი მაშინვე კობტად აუკეცა, დუქანნი დაგავა და, ყველაფერი წესრიგში რომ მოიყვანა, კმაყოფილნი ერთად დასხდნენ.

დღეს დილით მამამ ვანოს გზად გამოუარა, საჩუქრად ერთი ლოყაწითელი ვაშლი დაუტოვა. ძან უნდოდა შეეჭამა, ბევრი ელოლიავა, ბევრი იყოყმანა, მაგრამ ბოლოს თავს მაინც სძლია და განჯინაში გულნარასათვის შეინახა. ახლა მარჯვე დრო იშოვა და ფეშქაში ხელში მოუხერხებლად შეაჩეჩა. გოგომ ვაშლი მაშინვე პირში გააჭანა. თან მაღიანად სკამდა და თან მაღლა დადგმულ ტახტიდან ძირს ჩაიკიდებულ ფეხებს შესაქცევად აქანავებდა. უცებ მოავგონდა, რომ ვაშლი დოსტისთვისაც უნდა გაეყო. ნახევრამდე შექმულს დახედა, უნდოდა მიეცა, მაგრამ ერთი კიდევ ჩამოკბინა და ისე უწილადა.

ცოტაც და გულნარა დოსტის ნამუშევარ ნივთებს ყურადღებით სანჯავ-და, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მაშინ, როდესაც მიზეზიანი გოგონა მის საფარჯიშო ნახელაუთა ცქერით გერა ძღებოდა, ის, მათი შემქმნელე, თავდა-ხრით იღგა. რცხვენოდა, რომ ასეთი უმწიფარი და დაუსრულებელი შემწილე-ბანი გამოაჩინა. ყოველ ნაკლას და სიზაღეს მხოლოდ ახლა ამჩნევდა, თითქოს გულნარას აქ ყოფნა ჰქონდა შექსა და მუშაობის წყურვილი კიდევ უფრო მეტად იპყრობდა.

თავის თავზედვე გაბრაზებული ნივთებს კუთხეში მიყრილ ლითონისა და ძვირფასი თვლების ნამუსრეველი თითო-თითოდ ზიზლით ისროდა და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ხელში აღარაფერი არ შერჩა. გადასწყვიტა, რომ მისი ნელიდან ასე უბადრუქად გამოსულ აზრებს ისევ ოცნება სჯობდა. ის უფრო აზრიანი იყო, სრული, მაგრამ ისიც მაშინვე გაისაზრა, რომ ეს ოცნება იმედის დაკარგვას ნიშნავდა.

— რა ექნა, გულნარ, ჰა? — მიმართა მეგობარს აცრემლებით. — აი, ვმუშაობ, ვმუშაობ და, მეგონი, უბრალოდ ვცდები.

გულნარამ თვალები თანაგრძნობით გაუსწორა. თავში ხელები აქეთ-იქი-დან სათუთად ამოსდო, სახე სახესთან მიიტანა და აღერსით, იმედის მომცე-მად ისე ახლო ჩასსურჩულა, რომ ბიჭს მისი სუნთქვა სახეში თავბრულდამხვევად აელამუნა:

— იცი, როგორ? როგორცა მღერი, ვანოჯან, როგორცა მღერი...

და ვანო ისევ აივსო მუშაობის წყურვილით. თითქოს სული ჩაბერეს პი-რში და ახლა მიხვდა, რომ ისე, როგორც იქ, მტკვრის პირას, მხოლოდ მისი სიახლოვით მოგვრილი სიხარულს შეემლო აემღერებინა, რომ ისე მხოლოდ იშვიათად, ათასში ერთხელ მღერია. მაშ ისე უნდა გაიწაფოს, სწავლას გადა-ეგოს, რომ ამგვარად მღერა მუდამ შეემლოს. სასოება კვლავ აღედგა, გული კვლავ აევსო და პატარა ბავშვივით თვალგაფაცვიცებით ატიტინდა:

— იცი, გულნარ. აი, მაშაშენი რო არი... ნივთებს სულ ზებირად აკე-თებს... განა კაცს ყველა ქვა და ლითონი მოუხდება? ისე უნდა მუშაობდე, რომ თითო კაცზე თითო სამკაული მოიჭრას... თუ კაცი კაცს არა ჰგავს, ნივ-თები რათ უნდა ჰგვანდნენ ერთუროსა? აი, ხელს რო გავემართავ, ოსტატი გაეხლები, ივით საყურეებს გავაკეთებ, ქოშებს, გულქანდებს, უნაგირსა...

გულნარა გატაცებით ისმენდა მის ტიტინს. რა უყოთ რომ ტყუილი იყო, მაგრამ ეს მოქედილი უნაგირის ამბავი კი ნამეტანი მოუვიდა ბიჭსა, იმდენად გადამტებელი, რომ გაგულისდა კიდევაც.

— ბიჭო, უნაგირს რა თავში ვიხლი?

ვანომ დოსტს გაკვირვებით შეხედა.

— ბიჭო, — მაინც არა სცხრებოდა გულნარა. — რა ეგრე გაკვირვებით მიცქერი. ცხენი სადღა ვიშოვო? თუ, — ტყუილი არ გენანება?

— გიყიდი, გულნარ, გიყიდი.

— იპ, ერთი შენცა, დააპ! საიდან მიყიდი? ან რა მოვალე ხარ, კაცმა რო სთქოს, ჰა? დაი არა ვარ შენი და დელიდაშვილი...

— ჩემმა მშემ გიყიდი... გიყიდი მეთქი, დაა, ვაპ! — ამოხდა აცრემლებულ ვანოს გულის სიღრმიდან.

გულნარამ თვალი თვალში გაუყარა და სახეზე სიხარულის იერიშა გადაუქროლა.

— კარგი, ვანოჯან, კარგი... — უცებ დაჰყაბულდა და ამჩინებულად, მინდობილად გაუღიმა.

კარიც გაიღო.

სახელოსნოში ბეჩარა ისე, შემოვიდა, რომ საუბარში ვართულ ბავშვებს არა გაუგიათ რა.

ოსტატს გაცვირვებისაგან ხელში შერჩენილი ბოქლომი ძირს დაუვარდა და ხმაურით შემკრთალნი ორნივე ფეხზე წამოიჭრნენ.

20.

ვანო საქმეში თანდათან ისე გაიწაფა, რომ ოსტატი წუთით ვერ ელეოდა. თითქმის მთელი დაკვეთები მის კისერზე გადადიოდა და მამის სანახავად დროც აღარ რჩებოდა.

მოცალეობა არც გიგოს ჰქონდა. ხანდახან მთელი კვირა და მეტიც ისე გავიდოდა, რომ შეიღისა არა იცოდა რა. ან საიდან მოიცილიდა, როცა მუშაობას ღამიანად იწყებდა და შემდეგი შეღამებისას ათავებდა. დღელამეებს ერთი-მეორეზე ასწორებდა და მის შრომას ბარაქა მაინც არა ჰქონდა.

ბოლოს ისევე ვანომ იხელთა თავისუფალი დრო და მამას ქარხანაში ჩააკითხა.

იქ, სამკრობეში, ყველგან თრიმლისა და ტყავის მძიმე სუნი იდგა.

აუტანელი შრომითა და პირობებით გამწარებული მუშები გულის ჯავრს ღვინოში იქარებდნენ, მაგრამ გიგო სასმელს მაინც არ ეტანებოდა. იმთავითვე თავისავით ფხიზელ მუშებს დაუახლოვდა და ღოთებისაგან თავი განზე ეჭირა. ისინიც, თავისუფალ დროს მოახელებდნენ თუ არა, ჯიბიდან გაზეთს ან რაიმე წიგნს ჩუმად ამოაკოცებდნენ და ერთად ხამალა კითხულობდნენ.

ყველა გამორჩეული ყურადღებით ეპყრობოდა იმათ, ყველას უყვარდა და ვანოს გაცუებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მათ შორის მეტივე ზურციც დაინახა.

სატიოზე ეძებდა და ის კი თურმე აქა ყოფილა.

მაშინვე მისკენ გაქანდა და გვერდში ძველი ნაცნობივით ამოუდგა, მაგრამ საქმეში ვართულმა მეტივემ ვერ იცნო იგი, ბიჭს ერთი აღერისიანი ღმილით გადმოხედა და ისევე თავის დაზვას მიუბრუნდა, ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის.

ვანო უხერხულად აიწურა და ამგვარი შეხვედრით გულმოკლულმა ზურგი მაშინვე შეაქცია. მალე ქარხანაც ისე დასტოვა, რომ მამასთან გამოთხოვებაც დაავიწყდა.

— რათ ვმღეროდი? რათ ველოდი? — ნანობდა და გული ბოლმით უღულდა.

21.

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა.

უბნის გოგო-ბიჭები მთელ დღეებს ქუჩაში ატარებდნენ. გუნდაობდნენ, თოვლის პაპასა დგამდნენ, — თეთრ წვერასა და თეთრად გაპენტილს ხელში

მეეზოვის ცოცხი ეჭირა და თავზედაც ძველი ძროგავარდნილი თუნუქის სათლი ჩაჩად ეხურა.

თოვდა და, თეთრი ფიფქების რბილად ცვენას ფანჯარაში უახედედელი, ისე სჩანდა, თითქოს სახლი აღიოდა მალლა და თეთრ ფანტელებს დაბლა სტოვებდა.

მთელი უბანი დაყრუებული იყო მხიარული ყრინითა და გაუთავებელი ყრიაშულით. ცივაობდნენ, თხილამურებზე თროკილით თავს ირთობდნენ.

კვირა-უქმე დღეებში მათ დიდებიც ემატებოდნენ.

მამამ ერთი კარგი ცოგა გულნარასაც გაუმართა, მაგრამ, მოყინულზე წაქცევის შიშით, ქუჩაში მარტოკას არ უშვებდა და სათამაშოდ, გულის გასართობად ვანოც გაუამხანავა.

ამ ზაფხულს აქეთ სულ გამოიცვალა ეს გოგო. მარტოობის ეშინოდა და არც სხვებთან უნდოდა ყოფნა. ხშირად უმიზეზოდაც ტიროდა. ხასიათი გაუფუჭდა და ტოლ ბიჭებს თავს ეგრერიგად აღარ უყადრებდა. სულ თავის ბაბულ გოგოებს ეტანებოდა და რალაცას დიდის ამბით ეჭურჩულებოდა. კაცმა არ იცოდა რა ჰქონდა ამდენი დასამალი, მაგრამ დიდხანს ვერც იმათთან ძლებდა, — მათთან მეგობრობაც მალე ბუტიაობით თავდებოდა.

სისბლზორციტაც ერთბაშად აივსო, დასრულდა და აღარც ისეთი ფაფხაქვლა იყო. შკერდიც აიფეთქა, კოკრებივით დაასხდა და სირცხვილით არ იცოდა როგორ დაეფარა თავისი ეგრე მოულოდნელად გაფურჩქენილი ქალობა. აყვავებული გულ-შკერდი რომ დაემალა, ვიწრო ელელს იცვამდა, მხრებში იხრებოდა და მაინც არაფერი არა შველოდა. ბიჭური ხმაც ტკბილად დაეწმინდა, სიარულიც ქვევქვეით იწყო და სვილისფერი ჭუჭუნა თვალები უჩინარინატვრითა და იღუმალეებით დაუეშხდა, — შიგ გამოუცნობი სევდა და გამოუცნობელისავე მოლოდინი აღებეჭდა. მაგრამ ზანდახან ისევ თავისებურად რომ აიწყვეტდა, ველარაფერი ამაგრებდა. ცელქობდა უღარდელად, კისკისებდა თავდავიწყებით.

ვანო სამიოდ წლით იყო მასზე უფროსი, მაგრამ მაინც ბიჭად დარჩა. ის ტკბილი ხმაც უშნოდ დაენჯღრა და ნედლსა და უმწიფარს წვერ-ულვაშიც სასაცილოდ აევიგლა. არც გაპარსვად ღირდა და აღარც გაუპარსაობა იქნებოდა. ის კი, ის გასატიალებელი გოგო, ისევ თურაშაულივით ღუოდა, ჭუჭუნა თვალებს დამწველად აფოფინებდა, მალალი თეძოებიც განივრად დაასხდა. თანაც გაიპრანქა და ერთი უყადრისი რამ შეიქმნა. აქაოდა გრძელი კაბა ჩამაცვესო, ძველ დოსტებს თავს ეგრერიგად აღარ უტოლებდა. აქაო და გასათხოვრად შეველრდიო, თავს განივან იჭერდა და ლაპარაკითაც სხვანაირად ლაპარაკობდა, — დამტკბარ ხმას ქრუანტელის მომგვრელად აწყრაილებდა. თავი რაც უფრო შორს ეჭირა, მით უფრო მიმზიდველი და სანახავადაც სანატრელი ხდებოდა.

ვინ იცის რამდენი უძილო ღამე გაუთენებია და რამდენ დილას შეხვედრია იმისი ვესლით გულმოკლული და სასოწარკვეთილი ვანო. ღამით მოსვენების რომ დაჰკარგავდა, გულის ჯავრის გადასაყრელად ლოგინიდან დგებოდა და ისევ მუშაობას იწყებდა. ქურა გუგუნებდა, ლითონი დნებოდა, პატროსანი თვლები იჩარხებოდნენ და ეს მუშაობა ისე ტკბილი იყო და თავისთავადი, როგორც ის მაშინდელი სიმღერა.

საღად მოფიქრებულსა და ჯერ გამოუცდელად ჩამოსხმულ ან ნაქედნივთს ვათენებამდის ჩაპკირკიტებდა და ისე ერთობოდა, რომ ვერ ატყობდა, როგორ წამოადგებოდნენ თავს შინიდან მოსული ალა და გაფრთხილდა: დილა. ახლა ამ თოვლმა სულ გამოაფხიზლა ოსტატის ქალი. *ისევ—ისი ცქტტა გოგონა იყო, ისევ ის ანცი და ახტაჯანა გულნარა და ვანო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.*

სახლები, ხეები, გორაკები თოვლით დაიბარდნენ.

ქუჩაში რომ მიდიოდნენ, თეთრად დაყურსული ტოტები კურდღლის ბუნჩულა თათებივით ირხეოდნენ და სპეტაკი ფიფქი ძირს უჩუმრად ცვივოდა.

ციხფერ სურაიან აივნებზე და წვიმის სადენ თუნუქის მილებზე ლოლუები წყნარად ეკიდნენ და ბუხრებიდან ცად ამართული ბოლი მიიმედ და პირდაპირ ადიოდა.

ქალაქს სულ ახალი და ახალი თოვლი ემატებოდა.

გახარებული ვანო ხისაგან ხესთან სიცილით გადარბოდა და თავის შერაგებულ დოსტს იღუმალი გაფაციცებით ეძახდა:

— გულნარ, ერთ წუთას აქ მო, რაღაც უნდა გითხრა.

გოგონამ კარგად იცოდა, რაც უნდა ეთქვათ იმისთვის და თავს ყასიდათ რკატუნებდა. უხაროდა, რომ ატყუებდნენ, უხაროდა, თავს რომ იტყუებდა. გაეკლჭებულ ბიქისაკენ მიამიტად მიემართებოდა და გვერდში რომ ამოუღებოდა, ვანო ხეს ხელის უეცარი კვრით დაარხვედა და თავზე რბილად დაცვენილი თოვლით გახარებულნი ბედნიერნი და უზრუნველნი, თავდავიწყებით იცინოდნენ. მერე მოყინულ თავქვეზე ცოვით ერთად მიფრინავდნენ და გრიალით, წივილიკვილით ერთ ელიაქოსას სტებდნენ. უკანიდან შემომჯდარ გოგოს შოლტივით ფეხები ბიქისათვის მაგრა მოეხვია და თავებუ დამხვევი ქროლვით სულშეტაცებული წიოდა შიშით, იცინოდა სიხარულით. როგორღაც ისე მოხდა, რომ ცოვა ქვას წამოედო და, ორნივე ყირაზე რომ გადავიდნენ, — პერი, ბიჭო, კოტრიელა, კოტრიელა! კისკისით, ელვილით მაშინვე ფეხზე წამოიჭრნენ, თოვლში ამოგანგლულები ხელით ხელს ჩაეჭიდნენ და ათრეული ცივით აღმართი ისევ აირბინეს.

— უკან კოპი, შუბლზე კოპი, კოტრიელა, კოტრიელა! — კიოდა გულნარა ყურთასმენის წამლებად და ვანო უსაზღვრო ბედნიერად გრძნობდა თავსა უხაროდა, რომ ის გარდუვალი ხრამი, რომელიც მათ შორის ამ მოკლე ხანში გაითხარა, ახლა ასე ერთბაშად ამოივსო.

ოსტატის ქალი თავდავიწყებული კისკისით მუხლის თავებზე ხელებს იცემდა და თან წინ და უკან შესაქცევად ქანაობდა. ქანაობაში უეცრად ფეხი დაუცურდა, რომ არ წაქცეულიყო, ხელით ვანოს წაეტანა, მაგრამ თავი ვერც იმან შეიმაგრა და ორნივე ყირაზე გადავიდნენ. ძივტივილში ბიქს ხელი უცაბედათ დოსტის ახლად აფეთქილ მკერდში მოუხვდა და თვითონაც არ იცოდა რა დაემართა, გონება ერთბაშად დაუბნელდა.

გოგომ ერთი შესწივლა და დაბნედილ ბიქს სახეში ქორივით შეაფრინდა.

მერე სირცხვილინაჰამი და ატირებული შინისაკენ ტუტტუსით დაეშვა.

— ჰაი, შე ვერანავ, შენა! ე რა ჰქენ, ჰა? — დააყარეს სიცილ ხარზარი სახტად დარჩენილ ბიქს აქეთ-იქიდან.

ამ დროს საიდანადაც ფურჩიანთ ბეჩარაც გამოტყვრა.

— ემას რას ხედავს ჩემი თვალები! — აღრიალდა ყელგამოჭრილივით და თან გამხდარ ხელებს პაერში ჭობინებინით იქნევდა.

— არ გამიშოთ, არ გამიშოთ, თორემ ბრაზით გავგიტეი და ეს არი! გეუბნებით, შემკარით მეთქი! მოვკლავ მაგ ბიჭსა, მოვკლავ, ვაი არა აქვს ბეჩარასა!

გაცეცხლებული კაცი მართლაც არ გაუშვეს, მაგრამ ის მაინც არა ცხრებოდა. რამდენი ამშვიდებდნენ, იმდენი უფრო ბრაზდებოდა, დარცხენილი ბიჭისაკენ, რაც ძალი და ღონე ქონდა, მიიწევდა.

— ხალხნო, ხო ხედავთ? თავი მოშკრა, ქალი გამიღანძლა! სადღა გამოვეყო თავი სირცხვილითა? გამიშვით, შუაში გავგლიჯო. ეგ ლაწირაჟი ეგა! გამიშვით მეთქი და, ვახ!

ვანო თავდახრილი იდგა და გულნარას თითებით ჩამობჯღალულ სახეზე სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა.

იდგა და თვალებზე ცრემლი ადუღდებოდა.

იმ დღის აქეთ სულ გაიბუტნენ ისინი. ერთი მეორეს ხმას არა სცემდნენ, მაგრამ ბეჩარამ მარტო ეს როდი აკმარა, — შევირდი დაითხოვა და მამას უკანვე დაუბრუნა.

სხვა გზა არ იყო, გიგომ ერთხელ კიდევ სთხოვა დარაშვილს, რომ უსაქმოდ დარჩენილი ბიჭი როგორმე შევირდათ აეყვანა. იმანაც აღარ გააწმილა და ვანომ მალე ახალ ოსტატთან დაიწყო მუშაობა.

ახალმა შევირდმა თავისი მუყაითობით მაშინვე მიიქცია ოსტატის ყურადღება, ერთხელ რომ რამეს აუხსნიდა მეორედ თქმა აღარ სჭირდებოდა.

წლებულს ქარგლობის ყველიც გასდიოდა და ისიც საქმეს ერთი ათად მიეძალა. დღე და ღამეს ერთი მეორეზე ასწორებდა და, რაც დრო ბეჩარასთან დაჰკარგა, ახლა ამასთან ანაღლებდა, მაგრამ ის ციგაობა რომ ვაახსენდებოდა, თავბრუ ახლაც ესხმოდა.

22

დნგრამ წლებანდელ ყველიერის კრივიც ყველა წიწილებინით შემოიღალა ირგვლივ და ამ მიღეთის ხალხში ისევე იგრძნო რომ მარტო იყო, — არ იცოდა ვის დასჯებებოდა და რაზე შელია ეს ამო ღონე, ასე მოკარბებულად რომ უდგა ჯანში.

უმწურო ბრაზით გაანჩხლებული შუა ქუჩაში უშნოდ გაიბოტა და სამლიტრიანი მუშტები დამუქრებით მოიქნია.

— გამოდიოთ! გამოდიოთ! გამოდიოთ! — ღრიალებდა და თან განიერი ლაჯებით აქეთ-იქით გამოშწევდა დადიოდა.

გამოსვლა რომ ვერავენ ვაბედა, ადლნახევიარი ტორები წელზე შემოიწყო და თავი მწუხარედ ჩაჰკიდა.

ხმას არავენ იღებდა.

შხოლოდ ფურჩიანთ ბეჩარა კენესოდა თავის ბანზე დიაკურად და ამ რამდენიმე წუთის წინ ეს ქუჩა, მუშტების მავა-ბუგითა და ღრიალცულობით რომ იყო დაყრუბული, ახლა დუმლიმა მოიცვა.

— გამოდით! გამოდით! ნუ თუ ამ მიღების ხალხში მეჯობნი არ არი? — დაიბლაველა კიდევ უფრო ხმაშალა ფალავანმა და ბრაზით პერანგი მუცლამდე შემოიფხრინა.

— დედლები ყოფილხართ, თქვე ღმერთძაღლებო! — ამოხდა ზიზლით და ხელში შერჩენილ პერანგის ნაკუნს, თითქოს ენანებოდა, ისე დახედა.

ფუჩიჩაანთ გულნარა ბანზე იჯდა და პირი კევის ღმუჯვაში გასჩერებოდა. ეშით დაბინდული თვალებით ხან ვაჟკაცს გასცქეროდა და ხან შეწუხებულ მამას. შეშფოთებულს სულ დააეიწყდა, რომ კალათში თავისი საყვარელი ხატურა უჯდა და იმისი მაჯის სიმსხო ნაწნავეებს თათით ეთამაშებოდა. ეგრე რომ, იყო, ვილაცას ჯრუტად მოჩერებული თვალები გუმანით იგრძნო. მოხედა, — ბანის პირდაპირ უზნის ბიჭებთან ერთად ლობეზე ვანო იჯდა და ისეთი მომუდარე თვალებით შესცქეროდა, რომ გული ტბილად აუქანკალდა, მაგრამ უცებ თავისი ძველი სამღურავი გაახსენდა და სვილისფერი ტბილი თვალები ბიქს გოროზად გადააანათა.

— მაშ არაეინ გამოდიხართ რალა! — ისეთი შემზარავი ხმით დაიღმუვლა დნგრამ, რომ ხატურა შეკრთა და თვალის დახამამებმაში შუა ქუჩაში რბილად გადაბტა. ერთი შედგა, ონავრულად გაიზმორა და ფეხში წამოდებულ ქალაღის ნახევს დაეშხებულად გაეთამაშა. თამაშობაში თავისი ბუმბლიანი კუღის ბოლოს შეავლო თვალი. ქალაღს თავი გაანება და ახლა იმას წაეტანა. იწეედა და ვერ იკერდა, იწეედა და ვერ იკერდა და ეგრე ერთ ადგილას ტარაბუასავით სასაცილოდ ბრუნავდა. მერე მობეზრდა, პირი მსუნავად გაილოკა და ქვემოფეხის ფალავნისაკენ აზიზად გაემართა. მიწაში ჩაზრდილი ვაჟკაცის ტოტყ ფეხებს ნაზად აელამუნა და, განიერი შარვლის ტოტყ, ქვეშ მყუდროდ რომ შეეფარა, ხალხმა სიცილი ატეხა.

მდეგვაკი ფრთხილად დაიხარა და განაზებული ფისო ტბილი ბუბუნით ხელში სათუთად აიყვანა.

— კატებმა კატა ფალავნად გამოგზავნეს! — სთქვა დამცინავად და შიშველ მკერდში ალერსიანად რომ ჩაიკრა, ბექებში სატივე თოკებივით ჩაგრეხილი კუნთები ისე ათრთოლდნენ თითქოს ყამირზე გუთანმა გაიარა და ხსული ბელტებად ამოაკორაო.

მერე ფუჩიჩაანთ ბანს საწყლად გახედა და გულნარას მწველი თვალები გულში ისე ძალუმად დაეჯახა, რომ წელში ოთხად მოიღუნა.

ის წყეული გოგო ისეე ისე ეშხიანად იცქირებოდა, ყუყუნა თვალებს ისეე ისე მწველად ნაბავდა და გარინდებული დნგრა პირველად ზედავდა მის მშვენებასა და კაცის დამღუბველ ლაზათს. ხატურა კიდევ უფრო ნაზად ჩაიხუტა მკერდში და, ტბილად რომ გაიღულა, ერთი ქალივით შესწივლა, ზარდაცემულმა ციცა იქით ისროლა, — ნაბჯღალავიდან შიშველ მკერდზე შედედებული შავი სისბლი ოთხ ზოლად ჩამოსტიროდა.

გაქცეულ ციცას თვალი დარდიანად ვაყოლა და:

— არ მინდა, არ მინდაო! — შეპლალადა. მერე ფუჩიჩაანთ ბანისაკენ პირი ობრუნა, მორჩილების ნიშნად თითი მოკაკეა და თავჩაღუნული, ბალღივით ატირებული შინისაკენ ტორტმანით ვაემართა.

— ბენარ. მაჯობე, — ბუტბუტებდა თვალცრემლიანი. — მაჯობე, შე ბებერო მელაე, შენა!

ვერავინ გაიგო რა არ უნდოდა, რა ქვეყნიდა ან რით აფლანკებდა ბენიარამ ამ ვეება კაცსა.

გულნარა ისევ ისე უძრავად უჯდა ბანზე და სახეზე ცხმდნო მისი ნატამალმა ჩრდილივით გადაუქროლა.

28.

როგორც ყოველ დიდ ოსტატს, შიოსაც თავისი ხელობით მოსწონდა თავი, ოღონდ მარტო ძველთაგან გადმოცემულ ცოდნასა და გამოცდილებას როდი ჯერდებოდა, თვითონაც ახალსა და ახალ გზებს ეძებდა. ახალმა შეგირდმაც იმედებით აავსო იმისი გული, მეტი ხალისით მუშაობდა და იმდენად შეუყვარდა, რომ გვერდით არ იშორებდა. თუ რაიმე საიშვიათო რამ დაკვეთა გაუჩნდებოდა, ვანოს დაავალებდა. მით თედო ჯავარაშვილი თანდათან იჩრდილებოდა და მათ შორის იმათვეთვე ჩამოვარდნილი შუღლი და მტრობა კიდევ უფრო ღვივდებოდა.

თუ უწინ მის სახელოსნოში ძველი ყალიბები არასოდეს არ ინახებოდა და ყოველი ახალი დაკვეთისათვის ახალი მზადდებოდა, თუ უწინ იმისი სახელოსნოდან გამოსული ნივთი ერთადერთი იყო და უბადლო, რადგან იმისი ყალიბი მაშინვე ნადგურდებოდა, ახლა პირიქით ხდებოდა, რაფებსა და თაროებზე, ზედმეტი ხარჯის შიშითა და დროის მოგების მიზნით, ერთი ყალბისა და ნირის საგნები სალდათებივით ეწყო მწკრივში.

მუშაობაში ვანოც ოსტატივით დინჯი იყო და დაკვირვებულნი.

სანამ მუშაობას შეუდგებოდა, საქმეს ასჯერ გაზომავდა, ასწონ-დასწონიდა და, რომ მოსჭრიდა, გათავებულნი იყო. სამაგიეროდ მხოლოდ ის მუშაობდა ერთადერთ ყალიბზე, მხოლოდ მას ქონდა ნება ქედვითა და ჩამოსხმით მუშაობისა. ისიც შრომობდა თავაულებლად და მისი ხელიდან სულ ახალი და ახალი სამკაულები, ოჯახში სახმარი ნაირნაირი ნივთები ჯანსაღ ბავშვებივით სრულყოფილნი და ერთიმეორეზე უკეთესნი იზადებოდნენ. თუმცა ამგვარი ჯაფა ძვირი ჯდებოდა და ძნელადაც ნაზღაურდებოდა, მაგრამ შიო მანც კმაყოფილი იყო, რომ ამდენი ხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, სადერო შეგირდს წააწყდა, ისეთს, რომელიც დარაანთ საამაყო სახელსა და ხელობას ძირს არ დააგდებდა, ამიტომაც იმისთვის არაფერს არა ზოგავდა.

სხვებს დღედაღამ ასწავლიდა, ტუქსავდა, მზამზარეულ ყალიბებს აძლევდა, ვანო კი თავის ნებაზე ყავდა მიშვებულნი, თავისი ჩარევითა და რჩევა-დარიგებით იმისი ბუნება რომ არ დაესახიჩრებინა და მისი მეობის ლალად გამოქვლავნებისათვის ხელი არ შეეშალა, არასოდეს არას კკითხავდა. სამაგიეროდ ყველაზე დიდი მოუთმენლობითაც მის ნახელავს მოელოდა, ყველაზე მეტსაც იმას მოსთხოვდა, რადგან იცოდა იმისი ხელის მადლი, ზინეთი და სარიჩტანობა.

დიღათ მიზეზიანი კაცი იყო შიო დარაშვილი, — სხვისი ნახელავი ეგრე ადვილად როდი მოეწონებოდა, მით უფრო ისეთისა, რომლისგანაც ბევრს მოელოდა. კარგად ხედავდა, რომ მისი შეგირდი თავის ამოწურვამდე ვერ მუშაობდა, გამოცდილებაც ღალატობდა და აკი იმიტომაც არ უსვენებდა:

— ბიჭო, ჯერ კიდევ ლალად ვერ მუშაობ, ხელები გაშალე, ნუ გეშინია! ოგრე იმუშავე, თითქოს გემღერება და არ შეგიძლია არ იმღერო.

ამ სიტყვებზე თედოს გესლიანად ეცინებოდა, მაგრამ ვანო მის დაცინებას არად აგდებდა, რადგან მათი გზები სხვადასხვა მხრივ მიემართებოდნენ.

თედოს ნივთი მუდამ ბრწყინვალენი იყენენ და უცებ მიმტაცდებიან, მაგრამ თვალს დიდხანს არ ატკობდნენ და თავის კნინსაც თანტანამ ამქაღვინებდნენ. ვანოს ნახელავი კი თვალში ერთბაშად როდი მოგზვდებოდა, მისი ლახათი და აზრი, რამდენი მეტს უტკეროდი, იმდენად უფრო მკლავდებოდა, ქვებიც მისთვის ყველა ერთი იყო, — ფირუზი, ლალი, აყიყი და იამანი, აქატი, ამეთვისტო, ზურმუხტი და საფირონი, იავუნდი, მთის ბროლი, ცის დანაკი და უბრალო კაყი ან რიყის ქვა, — ყველას ერთგვარად ელოლიავებოდა, რადგან ყველას თავისი ნირი ჰქონდა, ადგილი და იერი. თედო სხვა იყო, ის მხოლოდ ძვირფას ქვებს აღმერთებდა და უბრალონი ჭირივით სძულდა.

ვანომ ის პირველად იმის გამო აითვალწუნა, რომ მან უბრალო ტალის შნოიანი ნატები, როგორც უვარგისი რამ ზიზღით გადაავდო. ვანო ტალს დასწვდა, სულის შებერვით მტვერი გააქალა და თავის უჯრაში სათუთად შეინახა. მალე ვანომ იმდენად დიდი სახელი მოიხვეჭა, რომ ჯავარაანთ თედო უკვე აღარავის ახსოვდა. ფურჩიანთ ბეჩარაც სულ იმას ნანობდა, — რათ არ აბატია ის დანაშაული და ეგრე იოლად რათ შეეღია იმის ოქროს მარჯვენას.

ვანო ჯავარაშვილმა მალე საუკეთესო ხელოსნის სახელი დაიგდო და ყველგან ოქროს ხელებიან ოსტატს ეძახდნენ.

— ღმერთმა აკურთხოს იმისი მარჯვენა, — ემადლიერებოდა ყველა. — მისგან ჩამოსხმული ბეჭედი მუდამ საბედნიეროა და იბლბიანი.

პატარძლებსა და სასძლოებსაც იმისი სახელი დღემუდამ პირზე ეკერათ, — ბელგად და ნიშნად მის ნახელავ სამკაულებს ნატრობდნენ, მაგრამ ვანო იმით ჭებას არად აგდებდა, მუშაობდა თავისთვის და საქმეში ისე ერთობოდა, რომ ის თავისი ნანდაური, ფურჩიანთ გულნარაც ავიწყდებოდა ხოლმე. თითქოს ორთავე, — ისა და საქმე მის არსებაში ერთად ვერა თავსდებოდნენ, ორნივე მთლიანად მოითხოვდნენ მის გულისყურს.

ღარაშვილის გამოცდილ თვალებს რა გამოგებარებოდა, კარგად ხედავდა, თუ რა სახმილიც უდაგავდა გულს საწყალ ბიჭსა და მისი მუშაობის ბარაქისაც ძალზე სცარავდა.

— ადგე, ბიჭო, რა არი, რო მთელი დღეები სახელოსნოში ზიზარ. ვაიარე, გამოიარე, თვალს წყალი დააღვეინე და მერე მუშაობაც უფრო გავიადვილდება.

ისიც სამუშაოზე ხელს მაშინვე იღებდა და, ხელპირდაბანილი, სუფთად ჩაკმული მთელი დღე უქმად ხეტიალობდა. თუ ქარხანაში მამის სანახავად არ წავიდოდა, ფურჩიანთ სახლს ხან აღმა აუვლიდა და ხან დაღმა. ის კი ვანზრახ არა ჩნდებოდა. ლობეს მოფარებული ჩუმის ნატვრით უთვალთვალებდა მისი ეშხით დამწვარსა და გულაფორიაქებულ ბიჭსა.

— წავალ, ისევე მამასთან წავალ, ქარხანაში მუშად დავდგები და იგრე ვიცხოვრებ! — ამბობდა თავისივე თავით იმედგაცრუებული, მაგრამ საკმარისი იყო ერთხელ მოეკრა თვალი გულნარასათვის, რომ ამ უსაგნო ბურანისაგან უცებ გამორკვეულიყო და დაკარგული რწმენაც კვლავ ეპოვა.

ერთ დღეს ოსტატმა რომელიღაც ტაძრის დაკვეთით მას ფიცარზე წამლით ნახატი ჯვარცმა შესაჭედად გადასცა.

ვანომ დახედა და სახტად დარჩა. მხატვარს ქრისტე ლეთიანად ვი/არა, ადამიანად გამოესახა.

მთელი თვე იმუშავა, თავი მალა არ აუღია და ისე სქედითვე დასრულდა მისი მუშაობა.

ერთი თვე აქანდაკებდა ვანო ქრისტეს ირგვლივ შემოჯარულ მოწაფეებს, წმინდანებსა და მთავარ ანგელოზებს. აქანდაკებდა და მათთვის ფრთა და ნიშნები რომ მოეზორებინათ, წმინდანნი კი არა, გლეხები იქნებოდნენ, მებაღენი, მეტივეეები და თბილისის ქარხნის მუშები. ჯვარცმის ძირას მგლოვიარედ მდგომი ხეთიშობელიც ის იყო, — ფუჩჩიანთ გულნარა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, — ხატს ქვემოდ ქრისტეს აღდგომა იყო გამოჰქედილი და იგი ღმერთი კი არა, ღმერთის მობრძავ აწყვეტილ ამირანივით იყო ვერცხლზე ამოკვერილი.

ერთი თვის შემდეგ ხატიც მოიკითხეს და, დამკვეთელმა ზედ რომ დახედა, ნივთი, როგორც უწმინდური რამ, იქით ვადაავდო, ყვირილით, აყალმაყალით გარეთ გაიჭრა.

ოსტატი ხატს დასწვდა და უარით კმაყოფილმა იქვე, თავისი დაზვის წინ, სათუთად დაჰკიდა.

თედოს გული ბოლომით ევსებოდა, რომ იმისი გულის მურაზი, ის ფუჩჩიანთ გულნარა, ამ ხატზე ასეთი სიყვარულით იყო გამოქანდაკებული.

იმდენს ეცადა, იმდენი ჰქნა, რომ დრო იხელთა და გამოროტებულმა ვანოს ქმნილება სულ ნაკუნაყუნად აქცია. მერე სახელოსნოდან გაიპარა.

(ვაგრძელბა იქნება).

ქონსტანტინე ზიზინაძე

საბჭოთა უზბეკეთს

შენ გაზაფხულზე ირთეები,
როგორც შირანი, ¹⁾ მწვანით.
შემოდგომაში შედიხარ
შემობამბულის ტანით.

შრომის ნაყოფით იესება
შენი ბარი და მთები.
ლამაზი იყავ და კიდევ
უფრო ლამაზი ხდები.

პირი უცვდება ტრაქტორებს
შენი ყამირის ზრუნვით.
სირ-დარია და ჯეონი ²⁾
გარს გველებიან ზრუნვით.

სადაც გვაღვისგან გამშრალი
გამოფიტული მიწა
წვიმის წვეთების შემყურე
მოწყურებული იწვა, —

გავლებულია ახლა იქ —
დიდი არხების კვალი
და საყანურებს აგიეებს
შიგ შევარდნილი წყალი.

ვიციო და კიდევ გვაოცებს
აუწერელი ენით,
შენი გმირული წარსული
გამბედაობა შენი.

¹⁾ შირანი — უზბეკი დიდი კლასიკოსის ნავოის პოემის „ფორბოდის და შირინის“ გმირი ქალია.

²⁾ ჯეონი — მდინარე, ამუ-დარია — იხსენიება ვეფხისტყაოსანში.



მტერზე საომრად მისული
 ავაზი იყავ მალი,
 ზეცას ელვებით სერავდა
 შენი შიშველი ხმალი.

ახლა კი წყლულებს აშუშებ
 თავდადებულის შრომით.
 მაგრამ თუ მტერი თავხედი
 დავვემუჭრება ომით, —

აიზიდება ზეიადად
 მხარ-ბეჭი ალბამიშის. *)
 და ძველ ქვეყანას დაურბენს
 კვლავ ერუანტელი შიშის.

რა დიდი შუქით გამშვენებს,
 შენ ეს ხუთმეტი წელი!
 წინსვლის და აღმავლობისა
 ვხა გედოს კიდევ გრძელი!

აქყვადი, როგორც ედემი,
 განმტკიცდი, როგორც რვალა:
 შენ მზრუნველობით გიკქერის
 დიდი სტალინის თვალი.

ტაშკენტი, 23 დეკემბერი, 1939 წ

*) ალბამიში — უზბეკთა ხალხური ეპოსის გმირია.

გრიგოლ აბაშიძე

მ რ ი ლ ე ქ ს ი

შვიდი მუცისოვნა

მთებში დაეზივნეთ ქონება და ჩვილა ბავშვები,
დასეტყვილივით მივატოვეთ ქართლის ბალები
და როცა ქართლში შემოვიდნენ ყიზილბაშები,
კაცი არ დახვდათ მოჩილი და ხარკის გამღები.

გარს გვერტყა ალყა, მტრების ურდოს რა მოუვლიდა,
კაცი არ იყო ტყვიაწამლის და წყლის მომტანი,
და რომ არ ეგრძნო მტერს, რომ ციხეს შეერჩით ცოტანი,
რიგით ვისროდით შვიდნი, შვიდ-შვიდ სათოფურიდან.

შიმშილს და წყურვილს გაეუძელით, ბინდი გვეხურა,
როდესაც ტყვიაც გაგვითავდა. უჩინარ ბილიკს
ჩუმად ჩავევიით და ვეკვეთეთ ურდოს ვეფხურად.

ბეგრის სიკვდილი არ დაგვცალდა მცირერიცხოვნებს,
ჩვენც მტკვარი გვერგო სასაფლაოდ შვიდ მეციხოვნეს
და იყო მტკვარი საახალწლო თოვლივით თბილი.



ფიჭვის უსწრაფეს მიპჭრიან დღენი,
 რა დიდი არი ჩვენი დროება,
 რა პატარაა სამშობლო ჩვენი —
 ნიაგის ერთი ჩამოქროლება.

რბიოდენ ჩემნი დღენი სიჩქარით,
 კვამლს გაპყვა ზამთრის წილაღობილა,
 ძმობილად მყავდა დეკემბრის ქარი
 და გაზაფხულის წვიმა დობილად.
 მინდოდა გასვლა წლების ჩეროდან,
 ნაპერწკლად, ლეჭსად ან მაპრის შხეფად,
 და გაზაფხული მესიზმრებოდა
 ხანმოკლე, როგორც თავდავიწყება.

არ მომიცადეს...

მიპჭრიან დღენი
 რა გრივალა ჩვენი დროება,
 რა პატარაა სამშობლო ჩვენი —
 ნიაგის ერთი ჩამოქროლება.

ს მ ი რ ა ნ ი ¹

14.

ლაშქარი.

ლიხის კალთებზე სულგანაბულ ტყეში ჩურჩულაოთ მიიკვლევინ გზას ამირანი და მისი ძმები. ხანდახან ბეყო თუ დაიყმუფლებს ეულად. მაგრამ ამირანი მაშინათვე ამოსდებს ყბაში ხელს და ისიც კრიჭაშეკრულივით გაკმინდავს ხმას.

პირველივე მამლისყვილზე მიალწიეს შეგულეებულ ადგილს. აქ ამირანმა მთელი რაზმი დაანაწილა რამდენიმე პატარა ჯგუფად და ყველას შიურინა შესაფერი ადგილი გვირაბის ირგვლივ — რკინიგზის არდიგარდმო. თვითან დაიტოვა შაქრა, კოდალა და სინკა ბიჭი. უგზო უკვლო სიარულით ყველას ეტყობოდა მოქანკვა და მიწვნენ თვალის წასატყუებლად.

სძინავთ ბიჭებს. სძინავს მრავალი ჭირვიარამითა და შრომით დამაშვრალ სოფლებსაც. მხოლოდ გუშაგი ფხიზლობს ამ მთელემარე ტყეში. დარბაისელი მთვარეც პისაესედ დასჭერებია დამცხრალ არემარეს. ასე უშუშებს დღიური ჭაბანწევით დაბუთულ სახსრებს ამ უსამანო შრომით დაბეჭრილ ქვეყანას.

შის პირველ სხივებთან ერთად ამირანმაც გაახილა თვალი. ბიჭებაც შეიშმუშნენ, მხარი იცვალეს, თოფი უფრო მაგრა ჩაიხუტეს გულში ძმად ნაფიცივით და განაგრძეს ფშვინვა. ეს დალოცვილი კოდალა მაინც ისე არხვინად ხვრინავს, თითქოს მარტოდ-მარტო იყვეს ამ უშველებელ დედამიწაზეო.

ამირანმა ცოტა წინ გაიარა, იქ მალღობზე მდგომ მარტოხელ მუხას მიეყუდა და გადასცქერია თავის წინ გაშლილ ქართლის ნაწიბურებს:

მთელი ლიხის თავდაბალ მთავრებელზე გადმოფენილია კაცის დაუზოგავ ხელიდან ჯერ კიდევ გადაჩრენილი ქოჩორა ტყეები. წინ კი — შრომის საუკეთესო სარბიელად გადაშლილა ზემო ქართლის დოვლათიანი ველები. ამირანის თვალი ქორივით გადაპქოლავს ამ ფერად-ფერად ველებზე — ცის კედლებამდე და გულიც იხიბლება ასეთ უხრწნელი საღებნებელით.

მარტხნივ მიიკლავნება ლიხის ქედი, რომლის დანაოკებულ კალთებზე ჯადოსნურ სამკაულად შეფენილან მაყრიონივით ხელიხელ გადახვეული ლამაზი სოფლები.

მარჯვნივ ცისქვეშითი ვეშაპივით გაწოლილა თრიალეთის მთავრებელი, ალაგ-ალაგ ჯერეთ უხუნებელ მის კალთებზე დაუბუღიათ კოპწიად გადმომ-

¹) იხ. „მნათობი“ № 1

ყურე პატარა სოფლებს. ზოგჯერ ნაძალადევად გამოჩეხილ ადგილებში მოსჩანს შეუპოვარი მარჯვენის ნაყოფი — სიმინდის ან ყანის ნათესები. ძირს კი ამ მთებსა და ბარის მოსაზღვრედ უკვე აღჩქარებლივ მიიზმოვრება ცოცხელი ღრეებთან ბრძოლებში დაქანცული ტაშისკარიდან თავდაღწეული მედიდური მტკვარი.

მრავალ ადგილას კაკლისა და წაბლის მხარბეჭიანად აზიდული უზარმაზარი ხეები მეტყველებენ აქაურ სოფლების ათასწლოვან არსებობაზე. ამათსავე მოწმობს ქვიშხეთის საქორჩეუ ალმართული ძველისძველი აკლდამა მთაწმინდისა. აგრეთვე ქვევით — სოფლის მკერდზე მოყვლევე ფრთამონგრეული კოშკი და მთების სიღრმეში თავშეფარებული ბულბულის ხანდაზმული ციხე.

მაღლა, ცის ტატნობზე ნებიერად დასრიალებს სადაველად გამოსული ქორი და მის ფრთაშეუშლელ მედიდურ ნავარდს თითქოს შურით შესცქერის ამირანი.

მზე უფრო გაიმართა უბიწოდ მოკრიალებულ ცაზე. ქარვითა და ზურმუხტით მოქარგულმა ველ-მინდორმა უფრო ჯადოსნურად დაიწყა ბზინვა. ალბად მოურავის ხმალიც ამ ცხრათვალა მზის სხივებივით ელავდა თათარხანთან შეკვეთების დროს.

პეი! ბევრი სასტიკი დღეები უნახავს ამ ბრძოლების წილხდომილ ქვეყანას. მაგრამ ისეთი მართებული და ხალხის ტკივილების გამკურნავი ბრძოლა არასდროს არ ჰქონია — როგორც ეხლა. ეს შემართვა არის ყველაზე წმინდა, ყველაზე ღიადი, რადგან აქედან მოელის მრავალგზით გატანჯული ხალხი შრომის სუფევასა და მთელი ცხოვრების გამოდარებას. ამირანს სჯერა ამ ბრძოლის ძალაც და გამარჯვებაც. თავის ტყის მშებსაც უნერგავს ამ ქვეითკროსან რწმენას. ასეთივე ვაკაყებული რწმენით მიაფრიალებენ ცეცხლოვან ალამს მშრომელი ხალხის მოწინავე რაზმები მთელ საქართველოში, მთელ რუსეთში, ოო, ამ დიდ შეჯახებებს უშეშველად მოჰყვება დიდი დღეობაც. და ამირანსაც სჯერა ამ ქართლის თავზე დანთებულ მზის ბრწყინვალეობასავით: თუ უკან დაუხვევლ ბრძოლაში არ დაიღუპა, უშეშველად მოესწრება ამ სანეტარო დღეობას.

მზე უხათრულად შეიჭრა გვერდელა ტყის ჩარდახში და ბიჭებმაც გამოიღვიძეს. კოდალამ ერთი ლაზათიანად გააზმორა:

— უჰ, რა გემოზე მეძინა ბიჭებო! (თან მიწაზე ღონიერად ურტყამს ხელს) ვენაცვალე ამის მაღლსა და ძალასა! რომელ დომაკზე დამეძინებოდა ასე მაღლიანათა!

— მენაც კარგა მეძინა, თითქოს ბანგი დამელიოსო. ხო არავინ შემილოცა ნეტავი?

ამირანმა თოფის კონდახი წაჰკრა ნამძინარევე კოდალას:

— შე ოჯახქორიანო ისეთნაირად ხვრინავდი, ალიზანს რო ცოტა ყურმახელი ხელქვეითები ჰყავდეს, კიდევაც მოგვაგნებდენ აქა.

— მოგვაგნებდენ და რა კაი მოსაკითხს წაიღებდენ თუ იცი! — ამბობს ბურტყუნით შაქრა და თან თვალებს იფშენეტავს ხვედისოდენა მუშტებით.

— არა სჩანან ი მამაძაღლები! გვერდი ხო არ აგვიარეს ნეტავი.

— სა ჯანდაბაში აგვიელიდენ გვერდსა! რომელი ყარამანიანები ისინი არიან, რო ყაფის მთასავით ასწიონ ე ლიზის ქედი და ესტუმრანთ თუ ვასასელელია აქ უნდა გაიარონ ამ სოროში და აქ უნდა უტორიან დღესა, მა!

— ჯერ დაიცადონ ბიჭებო! ერთი პირი გავეგრილო ამ ხევის წყლითა და მერე ვისაც გინდათ დამჭიდეთო!

— ლუარსაბის გოგოს რო დაგჭიდოთ?

— ჰო, იმას დამჭიდე, იმასა — თუ გინდა ჩემი ძმობა და ამხანაგობა!

— როგორღა დაგჭიდო შვილოსანიასა! გუშინ შენ თვითან გაუშვი სამ-შვიდობოსა და ეხლა რაღას მისწამეტუნებ უკანა.

აქ ამირანმა ქებით გაჰკრა ბეჭებზე ხელი კოდალას:

— ყოჩაღ კოდალა, ყოჩაღ! ბიჭიც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხუ-რია ძმავო! შე რო იმ დღეს ლაპარაკობდი ი გოგოზედა, მე შეშინოდა გუშინ: ვაი, თუ საძრახისი რამე ჩაიდინოს მეთქი. ყოჩაღ, ვაჟკაცი ყოფილხარ ძმავო!

— მერე როგორ იმუდარებოდა ი საწყალი: რაც გინდა მიყავიო, ოღონდ პირში სული შემარჩინეთო!

— იმი ცოდოში როგორ უნდა ჩამდგარიყავი კაცო! ქვას დაალობდა იმი მდუღარე ცრემლები. ალბად ეგეთ ვარსკელაზე დაბადებულა რო კოდალას ხელით არ სწერებია წახდენაი! ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს. ბარემ ე პირძალ შაქრასაც კი მოსდიოდა ნერწყვი, მაგრამა...

— მე რალა ეგეთი სულმოკლე მნახე შე კოდალა, რო შენი დანდობილი ადამიანი მე გაეწირო ნადირივითა! არა, ეგეთი მუხანათობა ახალთაობის კაცსა-როგორ შეჰფერის.

ამირანი რალაც ზენაარ სიამაყესა გრძნობს ასეთ უმწიკლო ამხანაგებით:

— ხო ძმაც მოუკალით, მამაც მოუკალით! მაინც მე დარწმუნებული ვარ, იმ ქალის ენა-პირი თქვენი ქებისა და ლოცვის შეტს არაფერს იტყვის მთელ სიცოცხლეში.

— ...მაგრამა, ნეტა ანთებულ საკირეში ჩამეხედა და იმი გულში კი არა! ეგეი, რა იყო ღმერთო, რა იყო!

— ჰაი დედასა გორისასა, რო მენაც იქ არ ვიყავი თქვენთანა!

— მერე რას იზამდი, რო ყოფილიყავი?

— ერთ თვალს მენაც ჩავგაორებდი და მეტი რა შემრჩებოდა! რავი, ეგე-ბი დღესაც მიწერია სიკვდილი.

— წამო ძმავო, წამო, ე ხევის ანკარა წყლით გავეგრილოთ სახე, ვიდრე უარესად არ დაგცვბოშია ალიზანის ყაზახებისგან.

— თქვენ ეხლა გავრილდით და მერე ვის უფრო დაცხება, ამას ჩვენა ენახავთ!

სინკამ გამოხსნა წითელ თავშალში გახვეული ორი პური, დააღბო ცივ წყალში და მოუმტერია ამხანაგებს შესანაყრებლად. ბეყოც არ დასტოვა გულ-ნაკლულად: ისიც ხომ მათი მოწილეა ჭირში და ლზინში.

ბიჭები ჯერ კიდევ გულიანად იღმურძლებოდენ ცარიელი პურით, რომ რკინიგზის გასწვრივ გამოჩნდა ორმოციოდე ყაზახი. ეს იყო მოწინავე რაზმი ალიზანისა. ყაზახები მოდიან ერთი-ერთმანეთისაგან დაშორებით. ეს შეიძინეს უკანასკნელ გამოცდილებიდან — რევოლუციონერებთან შეჯახების დროს.

ივინი გვირახის ახლომახლო ჩამორიგდენ, ეტყობა გუშაგობა ჰქონდათ დაკისრებულნი.

ჩქარა გამოჩნდა მათუკან მომყოლი ჯარის ნაწილები.

ტყის მაღლობებში ბიჭები სულგანაბული არიან და ელიან ნიშნის მისაცემ პირველ სროლას ამირანისას. არც დიდხანს დასჭირდათ ლოდინი.

აგერ გავარდა პირველი თოფი. ამის მიყოლებით, გარეშემო ტყეებიდანაც დაიწყო სროლა და მთელ არემარეში დატრიალდა სიკვდილის ურუნტელი. ალიხანის რაზმებმაც საჩქაროდ მოსძებნეს საფარები და იმათაც დაიწყეს გაცხარებული სროლა. ესერიან ვარაუდით ირგვლივ ტყეებში, ჩირგვებში და ჯაგებში. მიზანში ზედება ვისმეს თუ არა — ვინ გამოარკვევს.

სალამომდის გაგრძელდა ასეთი შეუჩერებელი სროლა. როცა კარგა შებინდდა ალიხანმა უკან დაახვეინა თავის რაზმებს. ის სრულიად ვერ წარმოედგინა თუ სოფლის ვაუწვრთნელი ბიჭები ამდენ თავზელობას გამოიჩინდენ და შებრძოლებას გაუბედავდენ მის მრისხანე ლაშქარს. ამიტომ გადასწყვიტა მეორე დღეს უფრო თადარიგიანად შეუდგეს საქმეს.

დაბინდებასთან ერთად ტყის ძმებმაც შესვენება იგრძნეს და თავისუფლად ამოისუნთქეს. ამირანმა ყველა ჯგუფი შეკრიბა ერთად. თვალი გადაავლეს დღევანდელ ნამოქმედარს. ყველანი კმაყოფილი იყვნენ, რომ მტერს შესაფერი ვაკვეთილი მისცეს და ასე სამარცხვინოდ დაახვეინეს უკან. ამირანმა უფრო დაააღმასა ბიჭები. თვითუღს გულში დააკვესა მისი თავმოყვარეობის წამქეზებელი ნაბერწყალი. დღეობასავით უხარია, რომ იმათ რიგებს არაკენ არ გამოკლებია. სამაგიეროდ ყაზახებს კი რამდენიმე კაცი გაუხადეს დასატირები. ამ დღევანდელი დღით წაქეზებულნი უფრო ომბიხანათ შეუდგნენ ზეალინდელი დღის სამზადისს. დაე, იწვნიონ თვითმპყრობელობის ჯალათებმა, თუ რას ნიშნაეს — როცა ხალხის შეილები თავს გამოიდებენ წმინდა საქმეზე.

აგერ საზრდოზე გაგზავნილი ბიჭები მოვიდნენ ხურჯინებით დატვირთულნი. ბლომად პური, მწვანელი, ყველი, ერთი გაბღენძილი ტიკორაც კი მოჰყვა თან. ეს სულ ლექსო მეველის მოხერხებაა. ააშენოს ღმერთმა, ყოჩაღა ბიჭია! უამისოდ ცოტა კი არ გაუჭირდებოდათ ამ ტყისამარად მიტოვებულ ბიჭებს! იცოცხლე. ყველამ ისე მადიანად მოუღზინეს სუფრას როგორც კი ალოს გამოყვანმა მეხრებმა. ესენიც ხომ ნამდვილი მეხრეები არიან თავიანთ მშობელი ხალხის ნატერისა და სასოებისა!

15.

მეორე დღეს ალიხანი ნამდვილი საბრძოლო განწყობილებით წამოვიდა. წინასწარ ათიოდჯერ ზარბაზანი ესროლა გვირახის ახლომახლო ქედებს. ზარბაზნის ქუბილმა შეარყია განა მარტო ლიხის ტყეების მყუდროება, არამედ მთელი ზემოქართლის სოფლების გულიც. ამ ზარბაზნის გრილით მთელმა ხალხმა იგრძნო, რომ ამიერიდან უკვე სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა გამოცხადებული მისა და თვითმპყრობელობის შორის. უკვე ცხადი გახდა, რომ აქედან აღარ შეიძლება არც მორიგება აღარც ბრძოლაზე ხელისაღება: ან ხალხი ან — თვითმპყრობელობა! მაგრამ ხალხმა იცის, რომ იგი უკვდავია, რომ იგი საფუძველი ცხოვრებისა და არსებობისა. მაშ უნდა აღიგავოს თვით რუს-

ხელმწიფე და მისი წყალობით ხალხის ზურგზე მონაევარდ სხედასტეა ჯურის ბატონები. ოო, ეს დღეც შორს აღარ არის. ალბად ჩქარა გაფუნდებამდე, ამის წინამორბედია ეს თავისუფლების მოვარდნილი ქარიშხალი. ლეონი ქაფხმა დიდ შრომასთან ერთად მოიკალა დიდ ბრძოლისათვისაც.

დადუმდენ ზარბაზნები, მაგრამ მათი ქუხილი ვადადის ველიდან ველზე, მთიდან მთაზე და აფხიზლებს ყველას. ვინაც აქამდის ქედმოარეკით ეზიდებოდა საუკუნოებით ნაჭედ მონობის უღელს.

ზარბაზნებს მიჰყვა გახშირებული თოფის სროლა. ტყიდან არაფერი პასუხია. ნუთუ წითლებმა უკვე აიღეს ხელი უნაყოფო წინაღიმედობაზე? ასე სროლით, სიფრთხილითა და ეგებ შიშითაც ძლივს მიალწია ალიხანის პირველმა რაზმმა გვირაბამდის. აქ კი ისევ დაიწყეს ტყვიებმა ლაწალუწი გარემო ტყეებიდან. მტერმა ისევ მოსძებნა საიმედო საფარები. ისევ დაიწყო სასტიკი ბრძოლა, დაუნდობარი. ეხლაც სადამომდე გაგრძელდა სროლა. მხოლოდ ბინდისას ჩამოვარდა მყუდროება. ალიხანმა დღესაც უკან დაიხია ღირსება-შელახულმა.

მთელ საქართველოს მოედო ლიხის ბრძოლების ამბავი. დიდმა ქალაქმაც ამ ამბებით დაიწყო ტორტმანი. ყველა გულისფანქვალთ მისჩერებოდა იმ კუთხეს, სადაც ქართლის ქედანა ბიჭები ნაცად შებრძოლებით გადებლობენ წინ ალიხანის დამუქრებულ რაზმებს და სირცხვილს სირცხვილზე აქმევენ ამ ხალხის ჯგალათს.

სალამოზე ისევ შეიკრიბენ ბიჭები ერთად. ყველანი სიამაყეს გრძობენ, რომ ამხედრებულ ხალხის დასათრავუნად წამოსულ მტერს ასეთ უმწეო მდგომარეობაში ავდებენ. დღესაც რამდენიმე ყაზახს აუგეს ანდერძი. თვითან კი... მხოლოდ ბექას მოხვედრია ტყვია ბექის თავში. მაგრამ თვითონვე ბექა აინუნში არ ივლებს ამას:

— ეს არაფერია ბიჭებო! სირცხვილიც არის — ორ დღეს ამოდენა ლაშქარს ევბრძოდეთ და არავითარი ზიანი კი არ მოგვივიდეს! სად ვაგონილა ბრძოლა, რომ არავინ მოკვდეს ან არ დაიჭრეს!

ქარვა რო მოლამდა, ბექა წაიყვანეს ქედგადაღმა სოფელში თავის შესაფარებლად.

შორე დღეს იმერეთიდანაც გადმოვიდა პატარა რაზმი ამირანის დასახმარებლად. თანაც ახარეს, რომ იმერეთის რაზმებიც მზად არიან ასევე ბრძოლით შეეგებონ ალიხანს. ამან უფრო კიდევ წაახალისა ამირანის ძმები და სიხარულით ელოდნენ დღის გათენებას, რომ უფრო მწარე გაკვეთილი აწვნიონ ხალხის აქასლებად მოსულ მტერს.

გათენდა მესამე დღეც.

დღის სიწყნარე არსაიდან არ დარღვეულა. სამხრობის მზეც ვადაიხარა. მაინც ისევ მყუდროება სუფევს ირგვლივ.

უეცრივ ამირანმა ყური მოჰკრა ნიშანდობლივ სტვენას. პასუხი მისცა. ჩქარა გამოჩნდა არხია ბიჭი, რომელსაც თან მოსდევდა ვილაც უცნობი, მაგრამ არა! ცოტაოდენი დაკვირვების შემდეგ ამირანმა იცნო ვინც იყო. ეს ხომ მეთქია არის — შენშევიკური კომიტეტის წევრი.

ალბად „საყურადღებო“ რამ მოიტანა მეთქიამ. უიმიოდ აქ რა მოიყვანდა. ცოტაოდენი წახალბრების შემდეგ მეთქია პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

- მე კომიტეტის დავალებითა ვარ მეთქი გამოგზავნილი.
- აბა კარგს რას მახარებ ამხანაგო მეთქი! მე გისმენ. ექვეყნული
- ჩვენმა კომიტეტმა დაადგინა, დაუყოვნებლივ შეგხვდეთ! მადონის

გაოცებული ამირანი უსიტყვოდ მისჩერებია მეთქიას, თითქოს არა სჯერა მისი სიტყვებით.

— დიად, თავი უნდა გაანებოთ ეხლავე მეთქი წინააღმდეგობას. ეს უფრო აღიზიანებს მთავრობას და უარეს დღეს დააყრის გლეხკაცობას. თქვენ ცხადია ხელიდან წაუხვალთ და სოფლებს კი სულ აიკლებენ. თქვენი გულისთვის რამდენი ხალხი უნდა დაისაჯოს ტყუილუბრალოდ მეთქი!

ამირანი ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტია: ეს კჳუთიმყოფელი ადამიანი ლაპარაკობს თუ ვინმენ კჳუა-დამთხვეული. ბიჭებიც პირდაღებული მისჩერებია მეთქიას და ვერაფერი ვერ გაუგიათ.

— ერთი კარგა გაიმეორე ამხანაგო მეთქი! მე უკულმა ხომ არ გავიგე შენი სიტყვები?

მეთქიამ უფრო დაბეჯითებით გაუმეორა კომიტეტის დავალება. ამირანისთვის აქ საეჭვო და გაუგებარი აღარაფერი იყო.

— „ამხანაგო“ მეთქი! განა იმიტომ მოგვაგენი წვალებითა, რომ ეგეთი ამბავი გვახარო!

— ერთი სიტყვით ეს კომიტეტის გადაწყვეტილებაა და შენ უნდა შეასრულო მეთქი.

— ეგ გადაწყვეტილება თქვენთვის არის სავალდებულო და არა ჩვენთვის. რომ არ შევასრულოთ?

— მაშინ იძულებული ვიქნებით ჩვეულებრივ ყაჩაღებად გამოგაცხადოთ და სოციალ-დემოკრატიული პარტია აღარც პასუხისმგებელი იქნება მეთქი თქვენს მოქმედებაზე.

ბიჭები გაოცებითა და თან ბრაზმორევით მისჩერებია მეთქიას.

— გეყურებათ, რას ამბობს კაცო! ესა სადაური სად მოსულა ნეტავი!

მეთქია უკმაყოფილოდ მიუბრუნდა ბიჭებს:

— ამხანაგებო! თქვენ რა იცით საქმის ვითარებისა, მე ამირანთანა მაქვს საქმე, როგორც შეგნებულ ამხანაგთანა მეთქი!

ამირანი კი დაფარული ზიზღით უპასუხებს:

— რათა გვონია ამხანაგო მეთქია, რომ ამირანი სხვა მიწიდან არის ამოქნილი ვიდრე ეს ბიჭები?

არხია ბიჭსაც დაეტყო მოუთმენლობა:

— თუ მცოდნოდა, ასეთი დაბარებით მოდიოდა, ამას აქ როგორ გავაქაქებთ!

აქ კოდალამაც ველარ მოითმინა:

— ყაჩაღებათ გამოგაცხადებთო! ვაიმე, ვაიმე! ამ ცეცხლის კიდების დროსა მუშაობისთვის თავი მიგვიწებებია, სახლკარზე და ოჯახზე ხელი აგვიღია! ამისთანა ტალიკ-ტალიკი ბიჭები ხალხის მტრებთან სასიკვდილოდ გამოვსულვართ! ტყე-ტყე ნადირივით დავედივართ მშიერ-მწყურვალი! ჩვენ გვვონია კია საქმეს ვაკეთებთო და ესა კი — ყაჩაღებათ გამოგაცხადებთო!

— მენაც ვერაფერი გამიგია შენიჭირიმე ამ კაცისა! ეგა რომელმაც კომიტეტმა დაგაბარა კაცო? ახალთაობისამა თუ მთავრობისამა? — *მან დღესაც გორისასა!* ჩვენ აქ თავს ვაკლამდეთ ალიხანსა, თქვენ იქ ალხეიწანად ისხდეთ და თანაც ყაჩაღებად მოგენათლოთ ჰა! ამხანაგობაც ეგეთი გამიგია სწორედ!

ამირანი თანდათან უფრო ღელავს, მგრამ მაინც სკდილობს თავდაჭერილად მოიქცეს:

— საიდანაც მოსულხარ, ისევ იქ წადი ჩემო ძმაო მეთქი და შემდეგისთვის მსგავსი წინადადებით აღარ მოხედო აქ მოსვლა!

მეთქია დაემზადა წასასვლელად.

— მაშ რა პასუხი წავილო?

— ვერ გაიგე ყველას პირით — რა პასუხიც უნდა წაილო?

— მაშ თქვენ თავს დააბრალებთ, თუ დღეიდან ყაჩაღებად იქნებით გამოცხადებული და კომიტეტსაც ბრალი ექნება აყრილი თქვენს საქციელზე.

მეთქია დაემზადა წასასვლელად, ათიოდე ნაბიჯი არ გადაედგა, რო ამირანმა მოატრიალა მკვავზე შეძახილით:

— შენ ეი! მოტრიალდი აქეთ! მაშ ყაჩაღებად უნდა გამოგაცხადოთ ჰა?

— თუ კი არ ემორჩილებით კომიტეტის დადგენილებას, — რასაკვირველია!

— ჰოო? მაშ მიიღე ჩვენნაირი ყაჩაღების დამსახურებული პასუხიც!

იქეკა რევოლვერმა და შუბლგანგმირული მეთქია იქვე ჩაიკეცა უსულოდ.

— ენგრე, მაგი სარჯულაფი კი დაიჭკეს!

— ახია, მაგის... დამიხედე ახალთაობის კაცსა ამ გამწარებული ბრძოლის დროს! მა რა გეგონა!

— თუ არ დაუშლია, წავიდეს — ეხლაც გამოგაცხადოს ყაჩაღებათა!

ამირანმა ჩამოიწმინდა შუბლზე ერთბაშად მომსქდარი ოფლი:

— ეგ ლაჩრების კომიტეტია და არა მებრძოლებისა. ვინც მებრძოლია, ისინი კიდევაც არიან ჩვენთან და არც დაგვაკლებენ ამხანაგურ თავგამოდებას!

16.

შუადღე გადასული იყო.

ბიჭები ჩასაფრებული ვეფხეებივით მისჩერებოდნენ იმ მხარეს, საიდანაც ელოდნენ მტრის გამოჩენას. აჰა, კიდევაც გამოჩნდნენ ალიხანის ჯარები, მაგრამ ყველას გულშემოეყარა მათ დანახვაზე:

წინ გამოუჩრქვიათ მთელი ახლომახლო სოფლის გლეხკაცობა ქალიან კაციანად, დიდიან-პატარიანად. ჯარები კი მოდიან მათ ზურგის მოფარებით. მოდი ეხლა კი ბიჭებო და შეებრძოლეთ ასეთი ვერაგობით წამოსულ მტერს!

ყველას თითქოს მარჯვენა გაუხმაო. აღარ იციან როგორ მოიქცენ. ამ სურათის დანახვაზე ამირანიც სახტად დარჩა. მაგრამ ჩქარა მოისახრა — როგორ უნდა გასცეს პასუხი: ყველა ბიჭები დაუყოვნებლივ გაგზავნა ქედის ვადალმა, რომ იმერეთის რაზმებთან ერთად იქ შეემზადონ ალიხანთან შესაბრძოლებლად. თვითონ დაიტოვა კოდალა, შაქრა და სინკა, რომ თვალყური ედევნებინა აქაური მდგომარეობისთვის. გაიწმინდებოდა თუ არა აქაურობა ალიხანის ჯარებისაგან — ისიც დაუყოვნებლივ შეუერთდებოდა მათ. არხია კი ვაი-

ბრუნა ისევ სოფელში, რადგან ლექსო-მეველესთან ერთად ის იყო ყველაზე საიმედო კავშირი გლეხობასა და რაზმელებ შორის.

კარგახანს უთვალთვალა ამირანმა ალიხანის ჯარებს, რომლებმაც ასიდურთხილითა და თანისთანობით მიელაგებოდნენ გვირაბში, საფარად მოარევილი ხალხიც ნელნელა გაანთავისუფლეს და ყველამ მიაშურა უპატრონოდ შიტოვებულ სახლკარს.

ამირანიც აიყარა თავისი საფარიდან და გაემზადა ქედის გადაღმისით. ათიოდე ნაბიჯი არცკი გაეველოთ, რომ უცაბედად თავზე წამოაწყდა ყაზახების ნაბოლარა რაზმი.

აქ საარჩევნო გზები აღარ იყო და ორთავე მხარე დაუნდობლად შეებრძოლა ერთი ერთმანეთს. ორთავე მხარის მებრძოლები მსხვილ-მსხვილ ზეგებს ამოეფარენ საიმედოთ და იქიდან იღებდნენ ნიშანში მოწინააღმდეგეს. სროლით დაფეთებული ბეყოც დარბის წალმა-უქუღმა. მის დანახვაზე ყაზახების ცხენებიც დაფრთხენ და ზოგიერთმა ისე შორს გაიტაცა თავის მხედარი, რომ სავსებით დააშორა სროლის ადგილას. ტყვიები ორთავე მხრიდან სასტიკად ზუზუნებენ ტყის ჩირღაბში და სიკვდილის ჟრუანტეს დააქროლებენ შემფოთებულ არემარეში.

ყაზახებიდან რამდენი გამოაკლდა — ვერა ხედავენ, მაგრამ აქ კი აგერ კოდალას შეენგრა ბეჭი.

— ვაი ბიჭებო! აკი გამაფუტეს ამ ურჯულოებმა!

პირველად ამხანაგებმა ყურადღება არ მიაქციეს კოდალას ამოყენესას და ისევ განაგრძობდნენ სროლას, მაგრამ კოდალა ჩქარა ვაფითრდა და მიესვენა ხის ძირას.

— ბიჭო კოდალა, რა დაგემართა? — ეკითხება შემფოთებული ამირანი.

— ვკვდები ძმაო, ვკვდები! თუ ერთს მიინც დაეადე ნიშანი — კიდეც კარგი...

— ბიჭო კოდალა! ხო არ გვილაღატე მართლა შე პირძაღლო!

— თქვენ იცით ძმებო, მტრის ჯაერს თუ არ შესკამთ! — ამის თქმა მოასწრო კოდალამ და პირიდანაც ამოსქდა სისხლი.

— ვაიმე ბიჭო! ე რასა ხედავს ჩემი თვალები! — ამოიგმინა შაქრამ.

ამირანი განკარგულებას იძლევა:

— აბა ბიჭებო, უკან დავიწიოთ როგორმე! ხიდან ზეზე გადაინაცვლეთ. ხიდან ზეზე და თან სროლით! კოდალაც როგორმე...

— თქვენ ისროლეთ, ამ ბიჭს კი მე წამოვიყვან! — დაავლო შაქრამ კოდალას ხელი. მოიკიდა ზურგზე და მიძუნძულებს საჩქაროდ.

მაგრამ ვაი ეამო განწირულობისაე! აგერ წინიდანაც შემოეფეთა ანდუყაფარი რამდენიმე თავის რაზმელით. ამათაც შემოუტყის დაუყონებლივ.

შაქრამ ძალაუნებურად ხის ძირას მიასვენა კოდალა, მას უკვე სული განეტყევიზინა გზაში.

— აბა ბიჭებო! თან ბრძოლა, თანაც უშველეთ როგორმე თავსა! შესძახის ამირანი. თან ამოეფარება ერთ სქელ თელას და იქიდან აყრის ტყვიებს ხან ერთ მხარეს და ხან მეორეს.

შაქრა და სინკაც არ აცდენენ თავიანთ იარაღს, ხიდან ზეზე გადაინაცვლებით, ერთბაში ნახტომით სცილილობენ როგორმე გაუსხლტენ ხელიდან. ამ

სულგამწარებულ ბრძოლაში ამხანაგები ძალაუნებურად დასცილდნენ ერთმანეთს და თვითეული მიენდო თავის საკუთარ ბედობადას. უშეჭრავად და სინკას უკვე ტყვიები შემოეღიათ და გარბიან ფეხდაფეხ — ეგემის ჩახტარმეტ დაუსხლტენ მტერს, მაგრამ ვერა! მათ ცხენდაცხენ დაედევნენ ყაზახები და ჩქარა კიდევ მოიგდეს ხელში.

ამირანს არ დაუნახია შაქრასი და სინკას დატყვევება. ის ისევ შეუბოვრად განაგრძობს სროლას, თან ელვისებური თვალის მოვლებით სცდილობს ახალ-ახალ საიმედო თავშესაფარზე გადაინაცვლოს.

აგერ ანდუყაფარმა მოავლო თვალი მარტოდ შთენილ ამირანს და სროლით გამოაქუნა ცხენი მისკენ. უეცრივ მის ბედაურმა თვალი შეავლო ჩირგვებიდან გამოშტარ ბეყოს, დაფრთხა და სადავე-აწყვეტილივით გააქუნა მეორე მხარეს — დიდ მუხებისაკენ. სახტად დარჩენილი ანდუყაფარი უცაბედად წამოედო ერთ დაბლა დაზრილ ტოტს და ძირს გადმოვარდა, ამირანმა არ დააყოვნა, ეს ერთი ტყვიაც თან შიადევნა, თანაც ელვასავით გაჰკრა გულში:

— ახ! ნეტავ ის ვაშლი არ მოეცა იმ ბავშობისას!

ანდუყაფარს საჩქაროდ წაეშველენ თავისი ამხანაგები. აგერ ამირანმაც თვალი შეავლო: რამდენიმე ყაზახი დაფრთხებულად მიაჭენებენ მისკენ და თან ზედიზედ ესვრიან თოფს. ამირანმა იგრძნო, რომ წუთები საბედისწეროა. უკანასკნელი სამი ტყვია მიახარჯა ყაზახებს. ერთი ყაზახის ცხენი წაიქცა, რამაც ცოტა შეაფერხა ამხანაგები.

ათიოდენ ნაბიჯს იქით ამირანმა თვალი შეავლო კარგა ღრმად დაქანებულ ხრიოკიან კლდეს, ტყვიები შეუწყვეტილად ზუზუნებენ მის ირგვლივ. აქ არჩევანი აღარ არის, ამირანი შემოტრიალდა თავის ნაბადში ორ-სამ პირად და ერთბაშად დაგორდა კლდიდან.

ყაზახები მოვარდნენ კლდის ნაპირას. ხედავენ, ამირანი როგორ მიგორავს. მათ იფიქრეს, ალბათ ტყვია მოხვდა და გადავარდა. მაინც ყოველ შემთხვევისთვის ერთი ორი ტყვია კიდევ მიაყოლეს მიმგორავ ამირანს. ერთიც შეუკურთხეს თავიანთებურად და მტერიც დამარცხებულად ჩასთვალეს.

ამირანი დიდხანს ეგდო უძრავად კლდის ძირას. ნეტავ რა მოუვიდა?

უკვე თავზე დაალამდა — ის კი არ იძვრის.

ნაწილი მეორე

მიჯაჭული ამირანი

1

— გულჩინა! რას აკეთებ მანდა?

— მოდი, რა გელა, მიშველე — მამას ჭვარი გავსაწოროთ! სულაც შენი წაბლა ხარისაგან არ არის მოღრეცილი!

— ეჰეჰეი, ჩემი წაბლა ხარისაგანა!

— შაა დილასა ჩემი თვალით არ დავინახე — როგორ ეხახუნებოდა!

— აი, ნამდვილი შარი თუ ვინდა ეს არის! ჩემი წაბლა ხარი სულაც ლამიხარში არ არის! მანდ საიდან გაჩნდებოდა დილასა?

— იმას კი გვანდა და რავი! ჰო, მოდი, მიშველე! თუნდაც შენი ხარი ნუ იქნებოდა, შერე რა!

ნატერისთვალსა, იცი რა უნდა ჰქნას თურმე? მაშინათვე უნდა გაოქცეს და ახალ ხნულზე გადაიაროს, გველი რომ გაეკიდება უკანა, ჰკითხავს ხნულსა — ჩემი ნატერისთვალის მომტაცავს აქ ხომ არ გამოუვლიაო? ხნულსა კიდევ უხეხებს: მე ეხლა ვიბრუნე გვერდი და არაფინაც არ დამინახავსო. ან კიდე წყალში უნდა გასტობოს, რომ მივა გველი, კითხავს: ჩემი ნატერისთვალის მომტაცავს აქ ხომ არ გამოუვლიაო? მდინარე კიდე უპასუხებს: მე რა ვიცი, მე ეს არის ეხლა მოვდივარ და არაფინაც არ მინახავსო. მერე გაბრაზებული გველი ერთ დაიწივლებს, აიღებს თავსა, დაარტყამს სიპ ქვაზე და მოკვდება თურმე. მაშა!

— ნეტა იმასა, ვინც იმ ნატერისთვალს წაართმევს!

— ერთ ღამესა ისეთი კუკუნათება სიბნელე იყო, ისეთი რომა ეშმაქსაც კი შეეშინდებოდა. მე ჩუმათ გამოვიხედე კარში. ერთბაშათ ვხედავ სიბნელეში ორ ნატერისთვალსა ერთად. ისეთი ბრიალებენ, ისეთი რომა ნაკვერჩხლებივითა. ვაგვექანე პაპა ფიდოსთან: ორ ნატერისთვალს ათამაშებს მეთქი საყურებიანი გველი! პაპა მაშინათვე წამოდგა, გაიხედა და უცებ შექნა ყვირილი: არიქა მურია, სი მავასაო! აქ შეიქნა ძაღლების ერთი ალიაჭოთი და ნატერისთვალეზიც გაქრენ.

— ვაი აფსუს! ერთი მაინც წაგერთმია!

— თურმე მგელი იყო განა! და თვალებს რო აბრიალებდა, მე ნატერისთვალი მეგონა, მა!

— მართლა? აფსუს, აფსუს! ნეტა მართალი ყოფილიყო!

— რო მოგვცა ნატერისთვალი, შენა რას ინატრებდი, გულჩინა?

— უუ, რამდენ რამეს ვინატრებდი...

— მაინცა?

გულჩინა ფიქრობს — ყველაზე პირველად რას ინატრებდა:

— მე ვინატრებდი, მე ვინატრებდი რომა — ჯერ მამაჩემი გაცოცხლებულიყო.

— მერე?

— მერე... მერე... ერთ ღამეა კაბასა... არა! ბევრ ყინვარი შექარსა. ერთხელ მომიტანა მამამა წითელა რო მქონდა. ისეთი მომეწონა რო...

— მე კიდე იცი რას ვინატრებდი?

— აბა თქვი, რასა?

გელა დაფიქრდა, დაფიქრდა და მერე ერთბაშად ისევ გადააწნა სახრე დედამიწას.

— ...სუ ყველაზე პირველათა რუს-ხენმწიფეს ჩამოვაგდებდი.

— ვინ არის რუს-ხენმწიფეი?

— არ იცი განა ვინც არი? ლექსომა თქვა, აი ჩვენმა მეველემა: სუ რუს-ხენმწიფეს ბრალია, რაც ხალხსაო გაჭირება ადგიაო. თურმე მამაშენის სიკვდილიცა, მამაჩემის დაჭერაცა სუ იმისი ბრალი ყოფილა, მა! თურმე სუ იმისი ყურმოჭრილი ყმები არიან ჯარებიცაო, ტრაქნიკებიცაო, მამასახლისიცა. ღვედიცაო განა! ღვედიც იმი ყურ-მოჭრილი ყმა არისო, მა! იმდენ რამეს ლაპარაკობს ხოლმე ლექსოი, როცა შეგვხვდება საძოვარში რომა...

— იმანა საიდან იცის მერე?

— ალბად იცის. ეე, კიდე რამდენ რამეს იტყვის ხოლმე, იცი სუ თმები ყალყზე დაუდგება კაცსა, მა!

ამ დროს ეკლესიის სამრევლოდან ამოფრინდა მტრედი და ფრთების ტაკატუკუტო გაითამაშა ჰაერში. გულჩინამ შეხედა. თან გულდაწყვეტით გააყოლა თვალი.

— ნატვრის თვალი რო მქონოდა, იცი კიდე რას ვინატრებდი?

— აბა თქვი.

— რასა და ფრთებსა. აი სწორედ ტრედისნაირ ფრთებსა, რომ სიხარულით ვიფრინო სულა. მამაჩემი სუ მპირდებოდა — გიყიდიო ფრთებსა. ეხლა ვილა მიყიდის, მამიკო, რო აღარა მყავს!

— მე რო გავიზრდები, მე გიყიდი გულჩინა. მაშინ ხო მეც მექნება ფულები!

— მერე მართლა იყიდება ფრთები?

— პაპა ფიდომა თქვა, ქალაქშიო ჩიტი რძეც კი იშრეებაო და ფრთები აღარ ექნებათ განა!

— იი, რო გავიზრდები დაგავიწყდება.

— არა, არ დამავიწყდება! თუნდა დაენადღევედეთ, რაზედაც გინდა, რო არ დამავიწყდება.

— მართლა! მაშ შეეხვეწეო ფუფალასა! ღმერთო ჩქარა გაზარდე გელაბიკი, რო ფრთები მიყიდოს ჩქარა!

აქამდის მოწყენილი გულჩინა წამოხტა ხითხითით და ასკინკილა ხტუნაობით დაეშვა დაბლა.

გელამაც ისევე რამდენჯერმე გადაუჭირა სახრე დედამიწას. წამოდგა ზეზე. ანახდეულად ნაპოენი პატარა სიპი ქვა ჩასდო შურდულში და ცალ ფეხზე შეტრიალებით გასტყორცნა ჰაერში. მერე ნარეკალებზე და პატარა ჩირგვებზე ხტუნაობით ისიც დაეშვა სოფლისაკენ.

2.

მეველე ბიჭ-ლექსოს მხრებში არღევარდმო გაურჭია თავისაგან განუყრელი შეინდის კომბალი და მოდის სოფლისაკენ. აგერ თვალი მოჰკრა პატარა მწყემსებს — მინდვრისკენ რო მიუღით საქონელი.

— თქვენ ეი, პატარა მანარალებლებო! ვინძლო სადაც საწყალი კაცის ჭირნახული ნახოთ, იქ შერეკეთ თქვენცა! მისამარას განზე აძოვეთ, თორე ჩემმა-შემმა არ ვადამირჩებით!

სოფელში შესვლისთანავე ორლობიდან ძალი გადმოუხტა და შეუყვება.

— აზგაშო, შე სამგლე შენა! რა სოფლის ამამტუტებელი მე მნახე, რო ეგრე მეძგერე!

ლობეს იქით თვალი მოჰკრა პაპა ფიდოს. იგი თავისზე ხნიერ ჯირკზე ჩამომჯდარიყო და კმუნვით ჩიბუხს აბოლებდა.

— გამარჯობა პაპა ფიდო!

— გამარჯობა ნუ დაგაკლოს შეილო ღმერთმა!

— მაგრა მოქანე ე ჩიბუხი, პაპა ფიდო, მაგრა ეგები წალმა გეჩვენოს სოფლის უკულმა ტრიალი!

ლექსო არც კი შეჩერებულა. მიდის ორლობებში. ყველგან ისე ბეჯითად იცქირება, თითქოს სოფელიც სამეველო მინდვრებიანო.

აგერ ფარღალალა კარმიდამოზე ლობიოს სცებვამს ჯერ კიდევ უმცროსი ძმა.

— ეგრე ჩემო კაკო, ეგრე! ვინძლო მტერი არ გააცინო! არავის ათქმევინო, აქაო და უფროსი ვაყვაცო აღარ არის, ოჯახი დაიღუბებო! ეჰ, აფსუსს ბიჭო კოდალა, რა გაუხარელი წავიდა ამ წუთისოფლიდანა! არც იმის მკვლევლები გაიხარებენ ჩემო კაკო! თუ შენი ძმა არა; შენ მაინც მოესწრები ყველაფერსა.

ლექსოს ხმაზე მიწური სახლიდან გამოჩნდა ხანდაზმული მანდილოსანი და თვალებზე ცრემლ-მორავით ებასუბება:

— შენ გაიხარე შეილო ლექსო, რომ ჩემ კაკოსა ნუგეშინის სიტყვას არ აკლებ. ვაი ჩემი კოდალას დამკარგავსა! მე რაღა მანუგეშებს ეხლა! იმი დანაკლისი დღე თქვენ შეგმატოთ შეილო ღმერთმა, რო დამწუხრებული ადამიანი-თვინა კაი სიტყვა მაინც გემეტებათ! თქვენ გაიხარეთ და იდლიძელეთ შეილებო, თქვენა!...

— მაინც გული არ გაიტეხო, ნათლი-ჯალაბი! რა ექნათ, ყველა სიკვდილის შეილები ვართ! კოდალაი ისეთ საქმეზე დაიღუბა, რომა ისა მთელი ხალხისთვის არი საგლოვი, მარტო შენთვის კი არა!

ლექსო თავჩაქინდრული მიდის, თითქოს რცხვენოდეს, რომ კოდალა შავ მიწას ამოფარებია და ის კი ისევ შეპყურებს მშესა და მთვარეს.

ასე დათალხული ფიქრებით ჩაიარა მთელი ორლობე. აგერ ერთ ძველ ლობეს ფიცარი ავარდნია და იქავე გდია გზისპირად. ლექსომ მზრუნველობით აიღო ფიცარი, ერთი სიბი ქვეც მოსძებნა და იგი ისევ თავის ადგილას მიაკრა. თან ხმამალლა სჩივის:

— სინკა-ბიჭო! პაი დედასა გორისასა! შენ უნდა ეხლა მეტეხში იჯდე და შენი სახლკარი კი ასე უნდა ოხრდებოდეს უვაგაკოთა! ნეტა როდის იქნება, ისევ ველიროს შენ ნახვასა ამ ჩვენ მიწაწყალზე! ვაიმე, ვაიმე, რა ბიჭები დააკლდენ სოფელსა, აფსუსს!...

მზე ისევ ჯერ ცაზე ტრიალებს, ლექსოს გუნებას კი ბინდბუნდი ჩამოაწვა. აგერ ჩაუარა ძეძვის ლობით შემოვლებულ სახლს და თითქოს იმის გულიც დაიხვლიტა ამ ძეძვის გამხმარი ეკლებით. ნელნელა მიდის ლობის გასწვრივ. უნდა ვისმეს შეავლოს თვალი. აჰა, გაიღო სათონის კარი და ლექსომაც შიავება:

— თეკლეს სალაში და სიცოცხლე!

თეკლემ მორცხვად მისცა პასუხი. გაწითლდა, აიბნა, აენტო — თითქოს რაიმე დანაშაულზე წაასწრესო. თავშალი ჩამოიფხატა თვალებზე და ისე სასწრაფოდ შევიდა სახლში, თითქოს მდევარი მოსდევს უკანო. ამდროს გამოჩნდა თეკლეს დედა შუშანაც.

— გიგლა-ბიჭი როგორ არის, ნათლი?

— ეხლა უკეთესად არის შეილო. გუშინ უკვე წამოდგა. მოდი შეილო ნახე, მოდი! უხარია ხოლმე ჩემს ბიჭიკოს, როცა ვინმე მოდის იმის სანახავათ. იმი სიხარული კი ჩემი გამწარებული ლიცოცხლისთვისა დიდი ნუგეშია.

ლექსო შევიდა, ნახა გიგლა-ბიჭი ფეხზე ამდგარი — ესიამოვნა.

— მხარში დაქრილი ვაჟკაცი აღარასდროს არ დამარცხდება — ეს იცი შენა?

გიგლა — ბიჭს ეცინება:

— მე ჯერ არ ვიცი, მაგრამ რაკილა შენ ამბობ, ალბად გეჭრება, შენს სურვარს ნაველი კაცი ხარ, დაგეჯერება.

— ეე! ბიჭს რო ტანში ტყვია გაუვლის, იმასა მერე ველარაფერი შეაშინებს ცხოვრებაში, მაშა!

შეშანა ბოლმა მოწოლილი თავდაჭერით მოსთქვაძვას:

— ნეტაი შენი კეთილი ენა-პირითა ეგ მაინც მყავდეს სალ-სალამათათა შევილო! ისედაც ცოტა მაქვს განა სავაგლახო ამ გენია წასაკიდებელ ქვეყანაზე!

— ნუ სწუხარ ნათლი, ნუ! ხალხის საქმეზე დაზარალდა ე შენი მარჯვე ბიჭი, ქურდობაზე და ავაზაკობაზე ხო არა! ხალხის გულითვინა კი კაცმა ყველაფერიც უნდა აიტანოს. ესა სახელია, სახელი. ოღონდაც საქვეყნო საქმეზე მოვიტებო კისერი და ჩემმა მშემ ამასა არასდროს არ ჩაევიგდებ აინუშში, მა!

— ეჰ! ამას კიდევ გაუძლებდი შეილო, მე რო სხვა გენია არა მწვეამდეს. იემი გოგოს გაუბედურების შემდეგა რატომ მიწა არ გამისკდება და არ ჩამიტანს, არ მირჩენია განა!

— ნუ სცოდავ ნათლი, ნუ! მართალია მძიმე უბედურება კი ეწია, მაგრამა თავისი ცული ქალობით ხო არ შემთხვევია. ეს ომია ჩემო ნათლი! ავერ ზოგს სახლკარი გადაუწვეს, ზოგს საქონელი დაუფლიტეს. ვაჟკაცებიც კარგი დაიხოცენ. თქვენც ეგ უბედურება გეწვიათ და უნდა გაუძლოთ როგორმე. შენ დაუყვავე ი საწყალ გოგოსა, ზედმეტ დარდს არ მისცეს თავი. მაგნაირი უბედურების გამო ქალი არ დაიწუნება. მაგის ბედი ისევე იმუშავებს. ეგები ისეთმა ბიჭმა ჩაჰკიდოს ხელი რომა — სულ მოუშუშოს ე გულის ტკივილები. მაგაზე ვინ დამჩახავს ჩემო ნათლი! პირიქით მთელი სოფელი იწვის მაგი ცოდვითა, მაგრამ წაბდენილ საქმესა რაღა ეშველება. არც ი ანდუყაფარია თურმე კაი დღეში. ისიც ჰა, ებრძვის თურმე სიკვდილ-სიცოცხლესა. ამბობენ ძრიან არისო თურმე დაქრილი.

— ჩაძალდეს, ბარემა, ჩაძალდეს ჩემი გოგოს ცოდვითა. იმ უღმერთომა მზეც ყაზახებს გამოსტაცა ხელიდანა და მერე თვითონვე კი დაუკარგა პატივი. ქართველმა კაცმა ე რო ჩაიღინა, რატო მიწამ არ უყო პირი მაშინათვე, რატომა!

— სიმართლემა თქვა თურმე: მეო ურმით დავდივარო მაგრამა — ბედურზე მჯდომსაც დავეწვიო. ყველას წინ დაუხედება თავისი ავი და კაი კაცობაი. შენა კი მაინც გული არ გაიტებო, ნათლი! ამ გაჭირვებულ და აკლებულ ხალხთან შენც უნდა ყაბული გჰონდეს. ე ბავშვებს მალამო უნდა დასცხო, არამც თუ გული გაიტებო შენი ვაგლახით და ტირილითა.

— რა გქნა შეილო რა გქნა! ცეცხლი მიკიდია ამ საოხრე გულში ჩემი თეკლეს მაქვერალსა.

— არა ნათლი! უფროსი ხარ! დედაბოძი ხარ ოჯახისა. ყოველ გაჭირებაში ისე უნდა იდგე — ქვითკირივითა, მა! აბა ლხინსა, ჩემმა მშემ, მეც აღვილად გავუძლებ, მა!

— აბა გივლა ბიჭო! შენც ჩქარა მორჩი და მარჯვეთ მიეპატრონე ოჯახსა! ე დედაშენი ველარ ასდის, ხო ზედაც! ნახევარი დრო ტირილსა და ვაებაზე უნდება. ჰეი, შე სალაგა-ძაღლო, ეხლა ისე გაგიმაგრდება მარჯვეთ ოჯახსა — ბიჭი ველარ გაგიძლებს მხარ-თეძოზე წამოსაკიდათა, მა!

გამომშვიდობა ლექსო და გამოვიდა კარში. გულდაწყვეტილი მოდის, რომ თეკლეს ველარ მოჰკრა თვალი. უნდოდა, მისთვისაც ეთქვა ერთი-ორი სანუგეშო სიტყვა. ნათქვამია — კაცი კაცის წამალიაო. და ვინ უწყის! ეგებ თვით თეკლეც წამალია ამ ლექსო ბიჭისთვის! მაინც რა უცნაურია ადამიანის გული! იმ უბედურების შემდეგ, თეკლე უფრო ანდამატივით იზიდავს ლექსოს გულს ვიდრე — უწინ. იმისი სახე მუდამ წმინდა კელაპტარივით უნთია წინ. მისი შელახული უბიწოება ოდნავაც არ ჩრდილავს ლექსოს მზეთუნახავ წარმოდგენებს. ოო, დიდი შეუპოვარი რამეა ეხლა ლექსოს ალტაცებული გული. იქიდან გადმომსქდარი გრძნობები დაცილებული ტივის ხესავით იტაცებენ საწყალ ბიჭს და თავიანთ მორევში ატრიალებენ გაურიყავად. დიად, თეკლამ ეხლა ძირტკბილასავით უფრო ღრმად გაიღვა ფესვები ლექსოს არსებაში. მაგრამ ძებორციელმა არაეინ არ უწყის ეს ამბავი. არ უწყის თვით თეკლემაც. იგი ჯერ ღრმად არის ჩამარბული ლექსოს გულში — როგორც მაგრა დაჩუღულ ორმოში. ნეტავ როდის გამოიღარებს ისე, რომ ლექსომაც ორმოდან ამოღებული ჭირნახულივით გამოამშვეოს ეს თავისი გრძნობა.

გზადაგზა მოღერებულ კომბალს ხან სად შემოსცხებს ღობეებს და ხან სად. ამ ღობეების ბრალი ხომ არ არის ყველაფერი, რაც ეხლა გულს უქეჯნის ლექსოს? ნეტამაც ეგრე იყოს, რომ ჯაერიც ეხლავე ამოიყაროს, გემოზე, მაგრამ:

ლექსომ კიდევ სადღაც მოისაქმა, მიისაქმა. ცოტა ხნის შემდეგ კი იგი სოფლის გარეთ მიეშურებოდა მხარზე ტობრაკა წამოკიდებულად.

— სად მიდიხარ ბიჭო ლექსო მა საპალნითა?

— ლამიმებრის ბიჭებითინა საგზალი გამომატანეს გზათა და იქ მიმაქეს. მართლა ლამიმებრეების ჯაერი აქვს ლექსოსა? რა ვიცით, რა ვიცით! მაინც ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს — სადაც უნდა მიდიოდეს!..

8.

ველა შორიდანვე მიხვდა, რომ ლექსო-მეველე უქეველად რაღაცას უამბობდა მწყემსებს — ისე ფუტკარივით რო შემოხვევიან გარშემო ისიც ვაიქცა და მიუჯდა გვერდზე. ლექსო თან მშვინდის ტაბიკსა სთლის სუფთად, თითქოს კელაპტარი უნდა ჩამოქნასო, თანაც განაგრძობს დაწყებულ ზღაპარსა.

«ცოტა კაცია ამირან,
ცოტა სმა-ჰამა ეყოფა:
სადილად ბულა კამეჩი,
ვახშმად არც სამი ეყოფა.
ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა,
საქმაროდ ვამზადებულსა.

უსუბი — ბროლის ციხესა,
თავ-ბოლოთ გამაგრებულსა.
ამირან — შავსა ღრუბელსა,
საადროდ დამზადებულსა;



- არიქა ბიჭებო, ხარი შევიდა სიმინდში!
არავის არ უნდა დაიძრას ადგილიდან.
— ხარი მეთქი ბიჭო! მერე არხიას სიმინდია, ისიცა! აბა ჩქარა!
აქ ერთი ბიჭი ეშმაკურად წაულაპარაკებს ლექსოს:
— ლექსო! გეწელაწას უწუთხაწარიწი! ჩვენწენაწა ყუწურიწი გვიწინდაწა გიწიგდოწოთ.
(ლექსო! გელას უთხარი! ჩვენ ყური გვინდა გიგდოთ).
აქ გაბრაზებული გელა იმეორებს ბიჭის გაჯავრებით:
— დიახ, გგ არის! „გეწელაწას უწუთხაწარიწი!“ განა მე კი არ მინდა ყურის გდებაი.
— ჰო, გელა შენ გაიქე, შენ ყველაზე უმცროსი ხარ!
გელამ ხათრი ველარ გაუტეხა ლექსოს. წამოხტა და ვაჭკურცხლა სიმინდში შესულ ხარისაკენ. სულ ფირფიშა გაიხეთქა სირბილით, რომ ისევ მიესწრო ლექსოს ზღაპრისთვის.
... გაიწყია ირემმა რქები ზურგზე და პერი!

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი
გაღიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი — ალგეთისნი.
მთას ირემი წამოუხტათ
ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხო მთაზე კოშკი ნახეს
ანაგები ბროლის ქვისი.
გაუარეს გარეგურგელათ,
ვერ იპოვეს კარი მისი.
ამირანმა წიხლი სდრუხა,
იქ შეიბა კარი მისი,
კოშკში ლომი წოლილიყო
გამძრევე არვინ იყო მისი.
იმის თავით რაში ება,
ტოტით მიწას სთხრიდა ისი.
მარცხნივ რო შუბი ეყუდა,
წვერით ცასა ჰხევედა ისი.
მარჯვნივ ედო თავის ხმალი,
პირი ჰქონდა აღმასისი.
ერთ კუთხეში ოქრო-ვერცხლი,
ნაგროვები ცუმცამისი.
გვერდით ეჯდა თავის დედა,



ცრემლათ დასტიროდა შეილსა.
 თავით ერთი ქალი ეჯდა,
 ზღვას ერევა ცრემლი მისა.
 თითებსა და თითებ შუა,
 წიგნი ჰქონდა ქალაღლისა.
 წაიკითხეს, შიგ ეწერა:
 დისწული ვარ უსუპისა,
 სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
 არ შეეჭამე ჯავრი სხვისა.
 მოეკედი, მხოლოდ ჯავრი გამყვა
 ერთი მღვვის ბაყბაყისა.

— არიქა ბიჭო გელა, შენი წაბლა ხარი სიმინდში! არც ეხლა წახვალ!
 გელას ბარემ კი არ უნდა, მაგრამ რას გააწყობს! მიდის საწყალი ბიჭი,
 მაგრამ გულსყური კი სულ ამირანის ზღაპრისკენ აქვს. ე საოხრო ხარებსა
 რაღა ეხლა მოუნდებათ ხოლმე სიმინდში შესვლა! ჰაიპარად ისეც მოიპბინა
 ქაქანით უკან, ჩამოუჯდა ლექსოს წინ და პირდაღებული მისცქერებია —
 თითქოს ყოველი მისი სიტყვა უნდა ჩაყლაპოსო. ლექსოსაც უხარია ამდენი
 გულმოდგინე მსმენელები და განაგრძობს:

ამირან — მღვვი შეიბნენ,
 მიწას გაჰქონდა გრიალი.
 ამირანმა მღვვი დასცა
 ადგილი დახვდა ქვიანი,
 დასცა და მზარი მოსტება,
 დააწყებინა ღრიალი.

ამირანის ზღაპრით გართულებს, არვის არ შეუმჩნევია, თუ როგორ
 მიუახლოვდენ მათ მამასახლისი და ურიადნიკი ხუთი — ექვსი „სტრატეგით.“
 მამასახლისმა დამუქრებით შესძახა ლექსოს.

— აბა ჯეელო! გეტბდით და კიდევაც გაები კაკანათში!

— მეძებდით რა, რომელი ცხრამთას იქით მე ვიმაღლებოდი! დღე და ღამ
 ამ ხელიგულივით გადაშლილ მინდვრებზე არ დავიარები!

— ზოგიც ამის შემდეგ იარე!

მისცინდენ სტრატეგიები ლექსოს და ცემატყვებით გაუყენეს გზას. ამ მოუ-
 ლოდნელი ამბავით დაფეთებული ბავშვები შორიახლოდან მისჩერებიან გულის
 კანკალით. ერთხანად თითქოს ყველას ენა ჩაუვარდაო. ბოლოს ერთმა პატარა
 მწყემსმა ბოლომთ ჩაიკრა გულში მუშტი:

— პაი დედასა გორისასა! სად არის ერთი ამირან-დარეჯანიანი არ
 გამოუჩნდება ამათა, რომა ყველას ზურგზე ლული ადინოს!..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გიორგი კახაბიძე

ჩ ი ნ ა რ ი

სოფლად მოსულმა ვნახე, მეამა,
მისმა იერმა კვლავ გამახარა...
შეაშრილა ტყიდან ნიავემა
და ვერ შევნიშნე თმაში ჭალარა.

ღელესთან მდგომი ვასცქერის მღვლოსნ
კვლავ ჯანიერი და ტანმალაღი.
მის კენწეროსთან მზე არის ახლო
მარად ნათელი, მარად ახალი.

ცისკენ წასული, ამაყად მდგარი
ცხოვრობს ამ ქვეყნის გრძნობა-ღულილით.
მას ეჯახება პირველად ქარი,
მალა მის თავთან ჩნდება ქუხილი.

არ ტყდება მაინც... შრილებს მეტად
ვერ ეკარება ნისლი წუხილის.
დარში ბრწყინდება ლაქეარდთან ერთად
და ვაჟაკურად მიწას უღიშის.

შუბლს არ უღრუბლავს ფოთლების ჩრდილი,
ყავს მოხიბლული ტყე და სოფელი.
ცის საკმელივით ის არის დილით
მზის დაბადების მახარობელი.

ჩემს ბავშვობაში, როცა უდარდელ
დროს ეტოვებდი და ფიქრმა ინათა,
იადონების ხმაზე ვით ვარდებს,
მიოცნებია ბევრჯერ ჩინართან.

ის იყო ჩემი ზრდის მომღერალი,
ზეცის ღიმილის აზრად მოდებდა;
ის იყო ზოგჯერ ნატვრის მწვერვალიც,
ვაჟაკობის ხმა და მოწოდება.



იცოდა ჩემი განცდის შენახვა,
 მისი ფოთლების სიტყვა მჯეროდა.
 მსურდა ჭვეყანა რომ დამენახა
 მის განათებულ მაღალ წვეროდან.

ჩემი ცხოვრების ის დრო წავიდა,
 დღეთა დინებამ სხვა ბედს შემყარა.
 და ახლა უფრო დიდ მწვერვალიდან
 ფართოდ დაეცქერი ნათელ ჭვეყანას.

მაინც ლაღია, მაინც მცინარი
 ჩინართან მოღზე ნამის წვეთები;
 მაინც მახარებს იგი ჩინარი,
 ვით ვაჟკაცობა გაუცვეთელი;

ვით დაუმცხრალი ტალღა მდინარის,
 მარად მზნეობა სევდის მგმობელი...
 რად არ მიყვარდეს! წლებთან ის არიან
 ჩემი ბავშვობის ზღაპრად მთხრობელი.

ბაბუაღა მრევლიშვილი

ა ლ მ ა რ თ ი ზ ე

ზევით ავიდეთ, იქ ლილილოს მეწამულ ლილებს
ნამის ელფერი მზის სიფიცხით არ შეშრობიათ.
მკლავზე დამენდე, ფერადებსაც მე წამოგიღებ,
ოღონდ ავიდეთ... იქა სჯობიან.

ზევიდან თვალი გადაურბენს მთებს, ლამაზ მინდვრებს, —
უხილავ ნადავლს მოიზიდავს ლექსის ღვედებად,
სმას არც კი გაგცემ, მორიდება ფიქრს გამომდიდრებს,
ჩემშივე დარჩეს, თუ შალულად ცეცხლი მედება.

ქიმზე გადავდგეთ და ზეცა თუ მოიღრუბლება,
მთა ხომალდივით წეცურდება ნისლის დარანში,
ლეგა კლდისპირი რძისფერ სიერცეს გაჰკვეთს უვნებლად,
დაუღდეგარი ეთერისა და მზის დარაჯი.

თანაბარ წყურვილს ნათელი დღის გამოსახვისას
ზევით მივყევართ, წყნარად ყოფნა არ დაგვანება,
ეჩქაროთ ოღონდ, თქმულს ისეთი ბედი ვალირსოთ, —
სამშობლოს ვკადრო სიხარულის არმალანებად.

თვალს გაგისწორებ ერთი წამით, თუნდ წუთით მარტო,
და შალულ გრძნობას ისე მწვავედ შევიფერებდით, —
შენს ყოველ ნახატს ჩემებური რიტმი ემართოს,
მე კი ლექსები დამიმშვენდეს შენი ფერებით.

გრიგოლ ორაბლიანი

მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა ჩ ე მ ი

ბზილინიდამ კაბეჩუკლამის

*

1831 წელსა, 9-სა ივნისსა. დღესა სამშაბათსა.

განთიადმან მზოვა უკვე ტანჩაცმულ. მთელსა ღამეს მტანჯავდა მოუსვენებლობა: ათასნი ფიქრი არყევდენ გონებასა ჩემსა და განაშორებდენ ძილსა. აჰა მოვიდა დღე იგი განყრისა ჩვენისა, — ვუბნობდი ხშირად გულსა შინა ჩემსა და ვემზადებოდი წასასვლელად შორს...

გულითადნი, კეშმარიტნი მეგობარნი ჩემნი შეიკრიბენ ჩემად, რომელთაცა გამომაცილეს ვერამდის. აქ გადმოხტნენ დროშკით და გამომესალმნენ. — გული ჩემი შეიწროვდა, თვალნი აღმევსენ ცრემლითა, რა მესმა მეგობართაგან ჩემთა უკანასკნელი სიტყვა, მშვიდობით, — რა მოვიბილე და ვიბილე თავი ჩემი მარტოდ დაშთენილი. ახ! ამ ჟამითგან თვითოეული დღე, თვითოეული ბიჯი განმაშორებს მე ყოველთა მათგან, რანიცა იყვნენ საამოსატრფილოდ გულისა ჩემისათვის და რომელნიცა შეადგენენ სიამოვნებასა და ბედნიერებასა ჩვენის სიცოცხლისასა. განმაშორებს ადგილსა, სადაცა აღენთო ღამპარი სიცოცხლისა ჩემისა და სადაცა სიყმაწვილე ჩემი რბიოდა ნათლად მხიარულებით. — რომელმან ბოროტმან სულმან ალაგზნო ჩემ შორის სურვილი ძიებად ბედნიერებისა იმიერ მათთა, მხარესა უცხოს!.. და არა საკმაოდ ვიყავა ბედნიერ საშუალ თქვენთა, მეგობარნო ჩემნო? კარნი გულისა თქვენისანი არა იყვნენა მარად-ჟამ ჩემთვის განღებულ, მისაღებელად სიხარულთა ჩემთა და განსაკურნებელად გულისა, ოდესმე განუსჯელისა სიყვარულისაგან, და ოდესმე დამამწარებელისა ბედისაგან, დაკოდილისა? — ახ! აწ განშორებამან მასწავლა ფასი ყოველისა და ვაკურთხებ მარად-ჟამს მხედრსა მას, რომელმანცა შეგვკრა ჩვენ განუწყვეტელითა მეგობრობისა ჯაჰებითა.

დაფიქრებული მოვედ მცხეთას. დღე იყო მოღრუბლული, ვითარცა გული ჩემი, რომელიცა გამოფხიზლდა, ვიბილე რა შორითა მცხეთისა მონასტერი. ესე არს დიდებულებითი და უწმიდესი ძეგლი ივერიისა და ჩვენთაგანი ვინ არა თავყანასა-მსცემს მას კეთილ-მოწიწებითითა კრძალვითა! ესე არს ნაშთი და მოწამე წარსრულისა ივერიისა დიდებისა, შემცველი მეფეთა საფ-

ლავთა და მხილველი მრავალთა საუკუნეთა, მრავალთა ივერიის შინა ცვლილებათა, მის დამზობისა და კვალად აღდგინებისა. —

უნებლიეთ გარდამომცვიდენ თვალთაგან ცრემლნი, ვინმეღუ-რამსტლობი მეფისა ირაკლისა, რომელსა-თანა არს დამარხულ დიდება და ყოველი კეთილი ივერიისა... გარდამომცვიდენენ ცრემლნი, რომელნიცა იყვნენ ტკბილ გულისა ჩემისათვის; რამეთუ იყვნენ უკანასკნელ ხარკად საქართველოს განმადიდებელისა მიმართ. — შამაცო! დრო, ყოვლის შემმუსრველი, ვერა შემუსრავს დიდებულთა საქმეთა შენთა, რომელნიცა აღმოჩნდებიან ვარსკვლავებრ მომავალთა საუკუნეთა შინა, და ესე აწ თითქმის დავიწყებული ყოველთაგან, შეუქმობელი საფლავი შენი — იქნების ყოველთათვის ოდესმე თაყვანსაცემელად.

აქ მომწიეს შინადამ წიგნი ჩემის ძმის ზაქარიისა, რომელიცა ჩემსავით მოსიარულობს ამოდ, შორს ნათესავთა თვისთაგან და თვისისა მამულისა. — ამა წერილისა კითხვით გზა-და-გზა, მიველ საღამოს დ ა რ თ ი ს-კ ა რ ს.



10-სა. — განველეთ რა ხუთი ვერსტი, შევედით ხეობაში, რომელიცა ზევით და ზევით უფრო ვიწროვდებოდა. გზა მიდის არაგვის მარჯვნივ: შემდგომად გზა გაეყრება არაგვს, მოუხვევს მარცხნივ საშაბუროსკენ და გადავადუშეთს. 25 ვერსტია.



11-სა. — შევისვენეთ დუშეთს, რომელიცა არს უფრო სოფელი, ვიდრე ქალაქი. მას შინა არს ოთხკუთხიანი ქვიტყირის გალავანი კოშკებით, რომელიცა არს აღშენებული ჯიმშერ არაგვის ერისთვისშვილისაგან. მარმარილოს ქვა არს კედელში, დატანებული კარის ზევით, რომელზედაცა ჰსწერია: „მე ამადლებულის, გვირგვინოსანის საქართველოს მეფის თეიმურაზის აღზრდილმან და ძისა მისისა კახთა მეფისა ირაკლისა მიერ წყალობა-განმრავლებულმან, ჩვენ ტომობით ჩოლოყაშვილმა არაგვის ერისთავმან ჯიმშერ აღვაშენე დუშეთის სასახლე კოშკ-გალავანი თურთ და შევამკვე, რაოდენ ძალ-მედვა, და ვინც აღმოიკითხოთ, ჰსენებასა ჩემსა ჰყოფდეთ. განსრულდა კათათვის კვ, ქრონიკონს ულთ, ჩლნა“*.

ის სასახლე აწ ლაზარეთად არს გარდაქცეული. აქა დგას ერთი როტა ხერსონის პოლკისა.

შემდგომად ტფილისის აღებისა აღა-მაჰმად-ხანის მიერ, მეფე ირაკლი მობრძანდა შეწუხებული დუშეთს, სადაცა დედოფალი იყო გამოხიზნული, და ჰსთქვა: „გმაღლობ, ღმერთო! ვითარცა მოველ შიშველ ამ სოფლად, ეგრეთცა შივიქცევი ამიერ...“ ვითარი ჰსწავლა არს ამა სოფლის ამაოებისათვის. — მწუხარებამან ჰსძლია სულსა მამაცისასა და არღა აცოცხლა დიდს ხანს. — აქ ზაქარია ქიზიყის მოურავმან მიართვა ახალი თვისი ტანისამოსი მეფე ირაკლის, რომლისაცა ყოველი სიმდიდრე დაშთა ტფილისში მტერთა.

* თარიღი უდრის 1751 წელს, 23 მკათათვეს (პ. ი.).



12-სა. — გავიარეთ ანანური, სადა არს ციხესა შინა კლდეზედ მშენიერი საყდარი ღმრთის-მშობლისა არაგვის ერისთავის ბაიძიმ მდივანბეგისაგან. და კანკელი არს შეწირული კვალად არაგვის ერისთავის ჯიმშერისა მიერ, ამილახვრის ასულით ანნა-ხანუმიტურთ, მეფობასა ქართლსა შინა თეიმურაზისასა, და კახეთს ირაკლისა. მხატვარი ყოფილა ვილაც ნიკოლოზ, რომელსაცა კარვად დაუხატავს კანკელი, ჩნდვ *. —

ანანურთან კვალად შევერთდით არაგვს, გზა ვიწრო მიდის მარჯვნივ არაგვის ნაპირსა, ფრიად ვიწრო ხეობაში. — მარჯვნივ და მარცხნივ მაღალს მთებზედ ჰსჩანან განზნულებად მთიულეთის სოფლები. — გზაზედ დავეიღამდა. მთოვარე მშენიერად ანათებდა თოვლიანთა მთებისა წვერთა: გარეშე ჩვენსა ყოველივე იყო მდუმარებასა შინა დაფლული, მხოლოდ არაგვი ყვირილითა რბიოდა და აყრუებდა არესა-კაცი იხილავს რა დიდ-მშენიერებასა ბუნებისასა, უნებლიეთ მდუმარებს დაფიქრებულთ. ნათელი მთოვარისა, ძლივს მოწვდენილი ჩვენდამო უფსკრულსა შინა, სიწყვედიადე და მდუმარება ტყუთა, ღრიალი არაგვისა, ყოველივე ესე ამრწუნებდა გრძნობათა და ენასა ჰყოფდა უქმად. — მე და ჩემმა ამხანაგმან დავიქვეითეთ და ისრე მოვედით ფასანაურს, სადაცა დგას ნახევარ როტა სალდათი. — 32-ი ვერსტი.



13-სა. — კვალად არაგვის პირ-პირ ვიარეთ 15 ვერსტი ვიწრო გზით ხეობაში და მივედით ქვიშხეთსა, სადაცა ჰსდგას მთიულეთის პრისტავი, რომელსაცა მთიულეები უწოდებენ ბატონად. აქ გავედით არაგვის ხის ხიდზედ. აქედამ დაიწყება მაღალი და ძნელი ასავალი კაშაურამდის, 4 ვერსტი, სადაც დავიღამეთ.

სალამო იყო მშენიერი. მზე მიეფარა მთათა და უკანასკნელნი სბიენი მისნი ცეცხლებრ აღანთებდენ თოვლიანთა მთათა ათასფერად. წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სუნენლება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა, არაგვი შორის უფსკრულსა შინა მიმოიკლაკნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საშინელნი მთანი, ერთმანერთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულებით მდუმარებდენ. ვიჯექ კლდესა, უფსკრულსა ზედა გადაკიდებულსა, და ვსჭკრეტდი მდინარეთა მთათაგან გარდმოქანებულთა და უფსკრულთა შინა დაკარგულთა. განკვირვებით ვუმზერდი კაცისა საღვურთა, ზოგთა ღრმათა უფსკრულთა შინა აღშენებულთა, და ზოგთა მაღალთა მთათა ზედა, ცისა მეზობლად დადგინებულთა. აღმოსავლეთით, მარცხნივ ჩემსა, აღმოდოდა მთოვარე ბრწყინვალეებით; მაშინ მშენიერი სალამოს ვარსკვლავი სიამით ჰტყნდა ნათელსა ღრმისა სავდარსა ზედა დასავლეთით. — კაცისა ხელი ფრიად სუსტ არს აღსაწერად დიდებულებითისა ბუნების მშენიერებისა. ყოველად-შემძლებელობა შემოქმედისა აღბეჭდილ არს ამა მთათა ზედა, რომლისა ხილვითა განცვიფრდების, ჰკრთების და იკარგების გონება კაცისა. — ვიფავ მარტო, გული აღივსო კეთილ-მოწიწებითა და უნებ-

* თარიღი უდრის 1753 წელს. (მ. ი.).

ლიეთ მუხლნი მოვიდრიკენ, ხელნი განვართხნე და თვალნი მცემართუ ცად მიმართ. ენა ჩემი ვერა წარმოსთქვამდა ვერცა ერთსა სიტყვასა, მარამა არაოდეს არ მილოცნიეს ესრეთ გულსმოღვინედ და ესრეთ მუხრეკლუგზანად, ვითარ მას წამსა. —

*

14-სა. — შევისვენეთ კაშაურს, სადაცა დგას ერთი როტა სალდათი და ერთი ზარბაზანი. კაშაურში დგას ცხრა კომლი კაცი არაგველნი, ახლოს მისა კვალად სჩანან სოფლები, ეგრეთვე მცირედნი, აქაიქ განზნეულნი. — მთიულნი მიესალმებიან სიტყვითა ამით: გზა მშვიდობისა. — ლომისა საყდარი ჰსდგას არაგვეს გაღმა, ფრიად მაღალს მთაზედ, და მთიულთაგან ფრიად პატივეცემულ არს. — აქ ახლად ამოდიოდა ჯეჯილი.

*

15-სა. — გამოვიარეთ ძნელი აღმართი და ფრიად ვიწრო გზა ღუტისა და ჯვარის მთისა. 8 ვერსტი. —

აღვედ ჯვართან, რომელიცა არს აღმართულ ერმოლოვის დროსა ქანანოვის მიერ, და უნებლიეთ შემოვხედე საქართველოს, თვალთათვის დაკარგულს, ხოლო გულისთვის მარად განუშორებელს, და პირველი ჰაზრი იყავით თქვენ, საყვარელნო მეგობარნო! ახ! სიშორე თქვენგან მამწარებს ფრიად. იდუმალნი ოხრვანი აღმოდან გულისა სიღრმით და იკარგებიან ჰაერში. ჰომ, ბედო! მაღირსება! კვალად საქართველოს და მეგობართა ხილვასა? ეპოება! მათ, კვალად ესრეთ, ვითარცა დაუტევე იგინი, ანუ გრძნობათა შინა მათთა ეპოებ ჩემდამო ცელილებასა? — ამა უმაღლესსა მთასა ზედა ჯვართანა, სადაცა [ადრე დასრულების] საქართველოს სამზღვარი, ვსვამ უკანასკნელსა სტაქნით ღვინოსა, თქვენს სადღეგრძელოს, მეგობარნო! და გესალმებით, იქნება საუკუნოდ. — მშვიდობით! მივალ და მივეცემი ამა დაუდგრომელის სოფლისა არშურს. —

ჯვარიდამ კობამდის არის დაღმართი 8 ვერსტი. გზა იყო ფრიად ცუდი. ჩამოწოლილსა მთათაგან დიდსა თოვლის ზევესა ზედა იყო ვიწრო გზა გაკეთებული. — კობს დამხვდა 33-ი ზარბაზანი ახლად გაკეთებულნი და 18 შორტირა, მიჰქონდათ ტფილისში. აქა დგას ერთი როტა სალდათი ყაზარმებში. კობი არის დიახ პატარა აოფელი ოსებისა, ქრისტეს სარწმუნოებისა. — ამ სოფლის მარცხნივ ხეობაში ჩამოდის თერგი, რომელსაცა აქვს დასაწყისი თრუსის მთიდამ, ეგრეთვე მდინარეთა არაგვისა და ქსანსაცა.

*

16-სა. — კობიდამ გამოველეთ რაოდენიმე ვერსტი და გზის მარჯვნივ არის სოფელი, სახელად სივანი, სადაცა არს საყდარი, რომლისა სანახავად წაველ განგებ. — გზა იყო ფრიად ვიწრო მისასვლელი. კართან დამხვდა ბებერი დედაკაცი, რომელსაცა ეტყობოდა, რომელ არ იაზა ჩემი მისვლა. ეგონებ იმიტომ, რომ ეგონე რუსი. — შევედ და განვეკირდი, ეხილე რა დიახ ზნელი ტალარი; ძლიეს ვპოვე მეორე კარი, რომლიდამაც შეველ საყდარში,

ეგრეთვე ბნელში. მუნ ვიხილე ისევე ბებერი დედაკაცი და მერვე კაცი/სხვა ეგრეთვე, მოხუცებული. — ოთხი კიბის ფეხი ქვისა იდგა ასახვლივად, სადაცა იყო ტაძარი. მღვდელი შემოსილი უღიაკვნოდ სწირვიდნა. ოდენიმე წმინდა სანთელი და ვიხილე ჯვარი ვეცხლით შექედილი, შეწირული არაგვის ერისთვისშვილის ბაინდურისაგან და მეუღლისა მისისა ფანასკერტელის ციცისშვილის ქაიხოსროს ასულის თამარისაგან. ჯვარტმის თავსა და ბოლოს არს გამოსახული ფრინველი ლომისა თავითა, რომელთა ფერხში უჭირავსთ წიგნი. მარჯულ და მარცხნივ იესოსა არს გამოსახული ხარი და წმიდა გიორგი. ვგონებ ესე ნიშნავდეს ოთხთა მახარობელთა, თუმცა უმეტეს ემზავესების დანაშთომსა კერბთ-მსახურებისასა, რომლისაგან არა სრულიად გამოსულან მთის ხალხნი. — მღვდელმა მითხრა, რომ მითომ თამარ მეფისაგან იყოს აღშენებული საყდარი ესე; გარნა ვგონებ, რომ არც იმან იცის სწორედ. — საქართველოში თითქმის ჰსჯულად არის დადებული, რომელ ყოველსა ამგვარს ძველს შენობას მიაწერენ თამარ მეფეს, თუმცა მრავალნი ესრეთნი არიან სხვათა მეფეთაგან აღშენებულნი.

აქედამ მოვედით ყაზიბეგის სოფელში, 18 ვერსტი, სადაცა დგას მცირედი კამანდა სალდათისა.

*

17-სა. — აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მხილველთათვის არს განსაკვირვებელ. — მიიღებს რა გარდმოქანილთა მთათაგან მდინარეთა, თერგი დულდების, პრისხდების და ვითარცა გაცოფებული ჰყრის ქაფთა და პრბის გრიალითა. ვერარასა ძალ-უძს წინა-აღუდგეს მისსა გიჟურსა სიჩქარესა: 'შეხედებიაან' მას დიდროანნი, საზარელნი ლოდნი? — ზღტების მალლა და მათზედა გარდაეველების; და მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევანად, ანუ მთად აღმასებრ გარდმოფანტულად.

დღესა ამას სამ ადგილს გავედით თერგსა ზის ზიდებზედა და მოვედით ღარსს, სადაცა ჰსდგას ერთი როტა. 16-ი ვერსტი. შუა გზაზედ არის ვაკეთებული პოსტი, სახელად დარიარი, სადაცა არს ერთი როტა ერთის ზარბაზნით. ადგილი ესე არს საზარელი სამყოფი. ოთხთა საშინელთა მალალთა კლდეთა შუა არს აღშენებული პოსტი ესე, სადაცა კაცი ვერარასა დაინახავს ას ნაბიჯზედ, თუ არ გამხმართა კლდეთა და მალლა ცის მეტსა, და თერგი ღრიალითა თვისითა უმატებს საზარელებასა. — ჭბნობენ, ვითომც ორნი აფიცარნი ვაგიკებულნიყვნენ აქა ცხოვრებითა, და არცა საკვირველ არს. —

ლარსს შემხედენ მომავალნი პეტერბურლით ტფილისს გ. ე. და ს... შვილი; თუმცა ხილვა ჩვენი იყო პირველ და მცირეს ხანსაც, გარნა გაცნობა იყო მოკლედ და გულწრფელობით. — კაცი ვერაოდეს ქალაქში, ანუ დიდს საზოგადოებასა შინა, ვერა იცნობების ესრეთ მოკლედ და ზედმოიყვნით, ვითარცა გარეობასა, შინა; რამეთუ კაცი, შევალს რა საზოგადოებასა შინა, ჰგარავს მასკათა ქვეშე ბუნებითთა თვისთა ჩვეულებათა, ხასიათსა და თვისებათა, და ისრე იქცევის მუნ, ვითარცა არს კანონი და ჰსჯული დადგინებული საზოგა-

დრობასა შინა. ხოლო გარეობასა შინა არა ესრეთ არს, მუნ კაცი მსახრს ვითარცა სარკესა შინა; განშორებულ-არსა რა საზოგადოობისაგან, არა ჰჭარავს არცა ნაკლულოვანებათა თვისთა და არცა ღირსებათა.

გრიგოლ ორბელიანი

✱

18-სა. — თერგისა მარცხნივ მიდის გზა ფრიად ვიწრო და ადგილ-ადგილ ელდეთა ქვეშე დასანთქმელად განმზადებულთა; ხოლო რაოდენცა მიახლოვდების ვლადიკავკაზს, ეგოდენ ხეობა განიერდება და თერგიცა ჰქარგავს ნელ-ნელა გიჟურსა სირბილსა. მთებზედ და ხეობაში არის ტყეცა. გამოვცლეთ 18 ვერსტი და გამოვედით მთებიდგან ვითარცა საპურობილეთგან, და ვიწყეთ თაყისუფლებით სუნთქვა. — მართლიად, თერთმეტი დღე ვერარასა ვხედავდი, თვინიერ საშინელთა მთათა და ღრმათა უფსკრულთა. განველეთ კვალად შვიდი ვერსტი და მივედით შუადღისას ვლადიკავკაზს.

საკურველ არს, თუ ვითარ გადმოვიდა ამა მთათა რუსის ჯარი, მომავალი განჯიდან 1796 წელსა; მაშინ ოდესცა გზა ესე სრულიად არ იყო გაკეთებული. — არა ვითარსამე ძლიერსა ჯარსა ვერა ძალ-უმს ვადმოსვლად ამა მთათა ზედა, უკეთუ წინა-აღუდგების მას გინა ფრიად მცირედი ჯარი. მოსასვლელი არსაით არს. გზა არს ფრიად ვიწრო, რომელიცა ადვილად სრულებით აღიბოცების: ჩასკრას ორსა ანუ სამსა ადგილსა გზა, რომელსაცა მყისვე დაჰჭარავს თერგი; და მაშინ კვალად ოცდაათმან წელიწადმან უნდა იმუშავოს, რომელ ვაკეთდეს ესრეთ, ვითარცა არს აწ. — ესე იგი ერთი საურმე გზა. — ზამთარში საშინელნი ზეგანი ავსებენ ხეობასა, ესრეთ რომელ თოვლისაგან შედგების დიდი მთა, რომელსა ზედაცა აკეთებენ გზასა ფრიად ვიწროსა და გადადიან ისრე. ზაფხულში დამდნართა თოვლთაგან შედგებიან მდინარენი, რომელნიცა ყოველს წელს წარიღებენ ხიდებთა და ახდენენ გზასა. ზამთარ და ზაფხულ ყოველსა წელსა, ყოველსა დღესა მუშაობენ გზასა ამას.

✱

19-სა. — შევისვენეთ ვლადიკავკაზს, რომელიცა მსდგას თერგის მარჯვნივ. გარეშე აქვს შემოვლებული წამხდარი თხრილი, რომელიცა ვეჭობ ციციანოვის დროს არის გაკეთებული. აქა არს შტაბ-კვარტირა ვლადიკავკაზის ლარნიზონის პოლკისა. ქალაქსა ამას ესამზღვრებიან თავაურნი და სხვანი მთის ხალხნი, ჩაჩანი, და ყაბართო პატარა და დიდი. ძალიან შიში იყო უფრო უწინ მთის ხალხისაგან, ასე რომ ახლაც საქონელს, ორს ანუ სამს ვერსტზედ, უჯაროდ ვერ უშვებენ საძოვრად; მაგრამ კნიაზ აფხაზმან, რომელიც ეხლა არის მუნ კომენდანტად, ძალიან შეამრწუნა მთის ხალხნი. ჯარით შევიდა თავაურის ხეობაში, სადაცა ორჯერ დამარცხდნენ რუსნი, დაამარცხა თავაურნი, დასწვა რაოდენიმე მათი სოფლები, გამოართვა პირველთა გვართა მზევლად შეილები, შეიპყრნა პირველნი ხალხის აშშლელნი და ავაზაჩნი, რიცხვით სამოცამდის, რომელნიცა ავაზაკობდენ საქართველოს გზაზედ და დაეცნენ 20-სა ბრილადას; და კვალად წაართვა ბაგი თავაურთა, რომელნიცა იღებდენ ჩვენთა ეაჭართაგან, რუსეთით მომავლთა.

კნიაზმა დამპატივა სადილად, და დღე ესე განვატარე ფრიად მხიარულებით. საღამოზედ წავედით ჭინარდის თამაშობის საყურებლად, სადაცა მო-

უფილა კნიაზს ამბავი, რომ ხიდები რუსეთის გზაზედ წაუნდნია წყალსა; ამისთვის ჩვენცა დაერჩით კვალად ელადიკავკასზე 20-სა ივნისსა. მე და ალექსანდრემ საგინ[აშვილმა] წიგნები დავსწერეთ ქალაქში და გზაზედ ჩემს ბიჭს, რომელიცა დავაბრუნე აქედამ.

*

21-სა. — გამოველეთ 32-ი ვერსტი და მოვედით პატარა არდონის ციხეში. გზაზედ ბევრი წყლები არის გასასვლელი, რომელნიცა წვიმისაგან აღიდებულ იყვნენ და წაეხდინათ ხიდები. წყალში გადამიბრუნდა პოვოზკა. — აქა არს 4 ზარბაზანი.

*

22-სა გამოველეთ დურდურის რედუტი, რომელსაცა შინა არს 5 ზარბაზანი და ერთი ოტდელენიე სალდათი. — 16 ვერსტი. —

აქედამ მოვედით ურუხის რედუტში, 18 ვერსტი. აქა დგას ერთი როტა სალდათი და 12 ზარბაზანი.

აქ შემხვდა ლენერალი აფხაზი, რომელმანცა ეკატერინოპოლიდანდის გააცილა ღრადინა პასკევიჩისა. — მშენიერმან საღამომან გამოგვიწოდა გარეთ. ცა იყო მოწმენდილი და ვარსკვლავნი ბრწყინვალეებით ერთოღვარებდენ. ამ შემთხვევამან დავგაწყებინა უბნობა ასტრონომიისა ზედა. მოგვიტანეს ჩაი და ლაპარაკი უნებლიეთ შეიცვალა საქართველოზე: კნიაზმა ფრად კანონიერად და მკვერთმთქველად აღსწერა ზნეობა ქართველთა და აქო გონება და გამბედელობა მეფე გიორგისა.

*

23-სა. — ურუხის ხიდი იყო წამხდარი აღიდებულის წყალისაგან, და ამისათვის ოთხი საათი დაგვიგვიანდა, ვიდრემდის ვპოვნით ფონსა და გავილოდით. ჩემის უბედურობით, აქაც ჩემი პოვოზკა გადაბრუნდა მარტო და სხვა არავისი. — გზაზედ დაგვიღამდა და დავდექით ჩერქეზის სოფლის სიახლოეს. წვიმამ ასრე შეგვაწუხა, რომ თითქმის არავის დაუძინია მთელს ღამეს. — 23 ვერსტი.

*

24-ს გამოველეთ 12 ვერსტი და მოვედით ეკატერინოპოლის კარახტინში. კარებში მოგვეგება ერთი ბებერი წითელ-ცხვირა ქალდათი რკინის მავით, რომლითაცა გვართმევდა ბილეთებს საქართველოდამ მოსულთა და არ გვეკარებოდა, რათა არა შეგვეხეს; ეშინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჭირიანნი. მათში ველარ დაეტევა მრავალი ბილეთები, რომლისაცა ნახევარი ვასცვინდა მიწაზე, — წითელ-ცხვირამ აკრიფა მიწიდან შიშველის ხელით ბილეთები და ისევ მაშაშივე ჩააწყო და მით დაიცვა და დაამტკიცა კანონი და რჯული კარახტინისა. ბებერი ვიციანთ ამ-გვარს მის სიფრთხილეზე.

25-სა ტანისამოსი გამოგვართვეს საბოლოებლად.



ქართული

ვლადიკავკასიიდან დაიწყების ყაბართოს მამულე, ვაჭარეულებს ორად, დიდად და მცირედ. ამ ორთა განყოფის მდინარე თერგის, რომლისაცა მარჯულ არს მცირედი ყაბართო და ესამზღერების ჩა: ჩანსა და ჩრდილოეთით მოზდოკსა; ხოლო თერგის მარცხნივ არს დიდა ყაბართო, რომელიცა განვრცელდების ელბრუსის მთამდის და ესამზღერების: დასავლეთ—ყარაჩაელთა, ჩრდილოეთით—მდინარესა მალკას, თერგის შეერთებამდის.—დიდა ყაბართოსა შეამკობენ გაშლილი მინდორი, მრავალნი მცირედნი მდინარენი და ტყე.—

უწინ ძლიერი ხალხი იყო, გარნა საშინელმან ჭირმან გაწყვიტა, და შემდეგ ბრძოლამან პირისპირ რუსთა. უმეტესი ნაწილი ხალხისა, წინააღმდეგი ყოვლისა მორჩილებისა, გაიქცა ყუბანის იქით.

ყაბართოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი, რომლისათვისცა ებრძვიან ესოდენთა წელთა რუსთა, რომელთაცა შეიწროეს ფრიად, დაამცირეს და დაიპყრეს მთელი ყაბართო; გარნა სიყვარული თავისუფლებისა ვერ აღხოცეს მას შორის. ესენი არიან მხნენი და ყოველთვის საომრად განმზადებულნი და მარადის ეძიებენ შემთხვევასა, რათა დაიხსნან მამული თვისი რუსთავან.

სტუმართ-მოყვარეობასა არათუ ოდენ ყაბართოელნი, არამედ ჭოველნი კავკასიისა ხალხნი ჰრაცხვენ უწმინდეს მოვალეობად. სტუმარი, გინა იყოს უცნობი, შევალს რა მათდა სახლსა შინა, იქმნების შეუხებელ ყოველთა მისთა მტერთავან და პატივცემულ ყოვლისა სახლობისავან; და უკეთუ გითბრა ოდესმე ძმობა ანუ მეგობრობა (ყონალ), მაშინ სიკვდილამდის ექნება ესე გრძნობა განუწყვეტელად და მეგობრისათვის არცა სიმიდირესა და არცა სიკოცხლესა თვისსა არა დაზოგავს.

ვითარცა სხვათა კავკასიელთა, ეგრეთვე ყაბართოელთა უწყიათ სისხლის ზღვევა სისხლითვე. უკეთუ ნათესავი მოუტლეს ვისმე, მაშინ ნათესავი მოკლულისა ყოველსა ღონისძიებასა იხმარებს, რათა ანუ მკვლეელი და ანუ ახლო ნათესავი მისი შეჰქმნას მსხვერპლად შურისძიებისა. დედაკაცი არიან მათ შორის პატივცემულნი, ესრეთ რომელ ვინმე მისდევდეს სასიკვდილოდ მტერსა თვისსა და ამან უკანასკნელმან მიახწივა დედაკაცთან, მაშინ მფარველობასა ქვეშე დედაკაცისასა იქმნების შეუხებელ.

ყაბართოელთა აქვსთ ბუნებითი გონება და მეხსიერება; გარნა უმეტრეობასა შინა არიან დაფლულნი. უყვარსთ უქმობა. საქმე მათი არს იარაღი, ცხენი და ბრძოლა.—უწინ იყვნენ მდიდარნი ჯოგებითა; გარნა აწ ბრძოლამან პირისპირ რუსთა გაალარბა, ესრეთ, რომელ დიად ძვირადღა იპოება ყაბართოში კარგი დარჩეული ცხენის ჯოგი.

ყაბართოელთა ჰქონდათ ჩვეულება, რომელ ომში გამოსულიყვნენ ლაშაზის ტანისამოსით: თავადნი და აზნაურნი იცმენ ომში მუზარადს, ჩაჩქანს, სამკლავეს და ხმარობენ მშვილ-ისარს, ხოლო ხმალი, ხანჯალი, თოფი, დაბანჩა, მარადის შინაც განუშორებელად არტყიათ. უწინ აროდეს არ დაუტრე ვებდენ ომში მკვდარსა თვისსა და არცა დანებდებოდნენ ტყვედ: მრავალჯერ იყო მაგალითი, რომელ შემწყვედუელი ყაბართოელი, რა ველარ ნახავდა გზასა

გასაქციველად, დაამსხვრევედა იარაღთა თვისთა და მხოლოდ ^{ხანჯლითა} ანუ ხრმლითა შეუტევედა მტერთა და ისე მოკედებოდა.—ტყვეობასა ^{ერჩივნა} სიკვდილი. — ყაბართოელნი ომობენ ცხენზე.

თავადნი აძლევენ შვილთა თვისთა გასაზრდელად და სასწავლებლად გამოცდილთა აზნაურთა თვისთა, რომელნიცა ასწავლიან ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას და ვაჟაკობას. (ჩვეულება ესე იყო ოდესმე საქართველოშიცა). ყაბართოელნი არიან ტანადოვანნი და მარდნი. მათის ქალების წელი და კაცების ფეხი განთქმულ არიან მთელს ქვეყანას. ესენი არიან მაჰმადის სარწმუნოებისანი (სუნნი).

თავადი ყაბართოში იგი შეიქმნებოდა ძლიერ, ვინცა გამოაჩინდა ომში მხნეობას და სახლში პურადობას; მასთან მივიდოდენ მრავალნი აზნაურნი (უზდენ), ემსახურებოდენ და ომში ვაჟყვებოდენ ჯარად.

ყაბართოელთა განავრცელებს ზელმწიფება თვისი სხვათა კავკასიის ერთა ზედაცა: ინგუშნი, ოსნი, აბხაზელნი, ბისლინელნი,—იყვნენ მოხარკენი მათნი; მხოლოდ ჩაჩნელნი ებრძოდენ მარადის და არა მორჩილებდენ მათ.

ყაბართოს თავადი თვისითა ამალითა, რომელიცა იქნებოდა რიცხვით ასი ანუ ორასამდის, წავიდოდა რომელსამე ზემოსხენებულთაგანისა სოფელსა შინა, მოჰკრეფდა ხარჯსა, ესე იგი: ცხვარსა, ძროხასა, ცხენსა, და რაოდენი დროცა დაჰყოფდა მუნ, ამაღა მისი და თვითცა იქნებოდნენ სოფლის ხარჯზე. უკეთეს სოფელში აღმოჩნდებოდა ვინმე მკვლელი ყაბართოელისა, ანუ ქურდი და ანუ რითამე დამნაშავე, — მაშინ თავადი უბრძანებდა და ღამე მიუგორებდენ ლოდსა დამნაშავეისა კარებთან; ესე ნიშნავდა ბატონის რისხევასა და სახლის დაბეჭდვასა: ვერ ვისა ძალ-ედვა შინაურთაგანსა გამოსვლა ვარეთ და ლოდზე გარდმოიჯება და ესრეთ იქმნებოდენ შემწყვედელს, ვიდრემდის არა აღასრულებდენ ბრძანებასა თავადისასა. ესრეთთა დამნაშავეთა ხშირად ართმევდენ ქალსა, რომელიცა იქნებოდა ანუ საკუთარი დამნაშავეს შვილი და ანუ ტყვე.

რა დააბირებდა თავადი სოფლიდამ გამოსვლას, მაშინ მოვიდოდენ სოფელნი და გაუშლიდენ თავადის წინ ნაბადსა, რომელსაცა ზედა გაიხდიდა თავისს ტანისამოსს: სოფელნი რა იხილვიდენ თავადის ტანისამოსსა ნაბადზე, მისციენდებოდენ და აიტაცებდენ თავისთვის და ესრეთ გასცრციდენ თავადს, რომელ უბრალოს ტანისამოსით გამოვიდოდა სოფლით. ჩვეულება ესე იყო ყოველთვის, რომელ შემდგომად ხარჯის მოკრეფისა თავადი დაუტევებდა სოფელში იმ ტანისამოსს, რომლითაც მოვიდა მუნ პირველად.—მოკრეფილსა ხარჯსა ამას არაოდეს არ აიღებდა თავადი თავისთვის, არამედ დაუპრვიებდა აზნაურთა თვისთა და ამაღასა, რომელნიცა ახლდნენ მას, და თვით მხოლოდ კარგსა საჯდომსა ცხენსა და ანუ ჯოგისათვის ჰაკ ცხენსა ამოარჩევდა, და კვალად, თუ იქნებოდა, ტყვესაცა. სარგებლობა თავადისა იყო ესე, რომელ ესრეთთა გაცემითა უმეტეს მიემატებოდენ მას სხვანიცა აზნაურნი და მით უფრო განძლიერდებოდა.

სომეხნი მარადის ამა შემთხვევასა შინა მოვიდოდენ თავადთან და თვისითა მანქანებითა დასტყუებდენ მრავალსა ცხვარსა და ძროხას, და ყოველთვის დროსა ამას თავადის შემწეობით აზღვევინებდენ დანაკარგსა თვისსა.

უკეთუ თავადისშვილმა დააშავა რაიმე, მაშინ ყადის გარდაწვეტილებით, უფროსის გვარის თავადივე რამდენჯერმე დაპკრავს ჯიხსა. ამა შემთხვევისა შინა არს კანონი, რომელ თავადი, რომელიცა მსჯელსა დაჯიხსა, მხარს ზევით ვერ შეამალლებს ხელსა დასაკრავად. — თავადის მძევლებს არ შეუძლიან გლესსა, თუ გინდ მოასწროს ქურდობაზე.

ქორწილი მათი არს ესრეთ. პირველად გავზავნიან პატივცემულთა მათ შორის კაცთა ქალის სათხოვნელად, და თუ ქალის მამას მოეწონა სასიძოს ანუ გვარი და ანუ მის ვაჟკაცობა, მაშინ ეთანხმება მათ და შეურობდება, თუ რაოდენიც უნდა მისცეს სიძემან ქალისათვის ანუ საჭონელი და ანუ ფულად, რომელიცა არათუ ქალის მამასა, არამედ ეკუთვნის ქალის გამზდელსა. და მასვე დროს გაუტკრიან ქებინს, ვითარცა არს მსჯელი მამამდიანთა. — შემდგომად ერთისა ანუ ორისა წლისა და არა უმაღლ, მოვალს სიძე ნათესავებით და მეგობრებით თვისით ქალის წასაყვანად, დიან ჩუმად და სიფრთხილით, რომ ქალის მეზობლებთა არა შეუტყონ იქ მოსვლა; თვარა მოპარევენ ცხენს, იარაღს და ანუ ძალად წაართმევენ მათ. — (ფრიად ხშირად მოხდების, რომელ რა მსცნობს ქალის წაყვანას რაყიფი, მაშინ თავის მეგობრებით და ნათესავებით გზაზე დახედება და იწყებენ ბრძოლას, და ქალიცა დაშთების მას, ვინცა იქნების მძლეველ). — სიძე შემოისევამს თავისთან ცხენზე დანიშნულსა თვისსა და წაიყვანს თავის ახლოს ნათესავთან და ანუ მეგობრის სახლში, სადაცა იცხოვრებს ერთი წელიწადი. სახლის პატრონი ამ ერთს წელს თავის ხარჯით და თვით ტანთსაცმელითაც შეინახავს ახალთა ამით მეუღლეთა ყოვლის პატივისცემით. შემდგომად ქმარი უკვე წაიყვანს ცოლსა სახლსა შინა თვისსა და იქილამ გამოუგზავნის ფეშქაშებს იმ სახლის პატრონსა, სადაც დაჰყო ესოდენი დრო, და მით გარდიხდის მის მოვალეობასა. — დიდი სირცხვილია, თუ დღე შევიდა კაცი თავის ცოლთან. რძლებსა არა ძალ-უძით დედამთილთან დასდრომა და პურის ჭიმა, და ვერცა უმცროსსა რძალსა უფროსთან; ეგრეთვე თვით ძმებშიაცა ესრეთი უფროს-უმცროსობა არს. — თავადის ქალი, თუ არ თავადმავე, ვერ ძალ-უძს აზნაურსა შეირთოს ცოლად.

რიგი არს, რომ თავადის უფროს ცოლთან შევიდენ აზნაურნი და ამაღა თავადისა, პატივსაცემელად მისა; ეგრეთვე მოსულნი ვაჭარნიცა სომეხნი. უკეთუ გზაზე აზნაურმან ანუ გლეხმან დაინახა თავადის ცოლი, მაშინვე, თუ ცხენზე იჯდება, მყისვე ვადმოხტება შორს, ხელს თავისკენ აიშვერს (— თავის დაკრვა არ იმათში), და დადგება, ვიდრემდის თავადის ცოლი არ გასცილდება მას. — ქალნი არ ერიდებიან კაცთა და არცა იფარევენ სახესა.

გლეხთა კაცთა არა უწყობიან არავითარიმე მუშაობა, თვინიერ ფეტვის თვისისა და თვისის თიბვისა; ხოლო დედაკაცი არა ესრეთ არიან ზარმაცნი. ყოველი შინაური საქმე აღსრულდების დედაკაცისა მიერ და თვით ტანსაცმელსაცა ქმარისა თვისისათვის და ყოვლისა სახლობისათვის ქსოვს და პერავს ცოლი.

ყაბართოელნი არ ეწყობიან არცა ჩიბუხსა და არცა ლოთობას, ეგრეთ, ვითარცა სხვანი კავკასიელნი. — უბნობენ, ვითომც უწინ იბარსვიდენ ყაბართოელნი წვერსა, და უკვე ჭირიანობისა შემდეგ იწყეს პირველად დაყენება წვერისა ნიშნად გლოვისა, და დასასრულ დაჰშთა ჩვეულებად.

ჩაჩნელთა და აბხაზელთა არა ჰყავთ არცა თეადნი და არცა აზნაურნი; მღნ ყოველნი თანასწორ არიან.

ერკინული
ხიზლიროთისა

*

კარახტინში დაერჩით შვიდი დღე.

31-სა გამოვედით ეკატერინოლრადის კარახტინით და მოვედით სალდათსკის სტანიცაში, რომელიც 1825 წელსა წაახდინეს ჩერქეზთა. —

ეკატერინოლრადით დაიწყების დიდი შიშველი მინდორი, სადაცა იყო საშინელი ბრძოლა ლანგთემურისა და ტახტამიშისა. ესე უკანასკნელი იყო ხანი თათართა ანუ „ზოლოტოის ორდისა“, რომელთაცა ეპყრათ რუსეთი 250 წელ. ლანგთემურმა სძლია ტახტამიშსა და განვლო დონამდის და ისევ უკ-მოიქცა. ესე იყო მეორე და უკანასკნელი ტახტამიშისა დამარცხება ლანგთემურისაგან. — ამა თათრების დამარცხებით, რუსეთმან იწყო განძლიერება უმეტეს და უმეტეს, ესრეთ რომელ თათარნი, უწინდელნი რუსეთის მფლობელნი, შეიქმნენ შემდეგ ყმად მათდა. — სალდათსკის სიახლოეს ჰსჩანან მრავალნი მცირედნი გორაკანი, განზნეულნი ფრიად ახლოს-ახლოს, და ემსგავსებიან საფლავებთა. უზნობენ, ვითომც აქ დამარხულ იყვნენ ბრძოლასა შინა დახოცილნი. —

ეკატერინოლრადით დაიწყება უკვე ლინია, ვიდრე ელარლიკამდის. ეკატერინა ხელმწიფამ იწყო აღშენება ამა ლინიისა, სადაცა გზავნიდა ციმბირის მავიერ დამნაშავეთა და გარდმოასახლა მცხოვრებნი შიგნით რუსეთით, სადაცა იყო ხალხის სიმრავლე.

*

1-სა ივლისს მოვედით ალექსანდროვკაში.

2-სა შევისვენეთ. ამ სოფლის ბეჭედზე არს გამოსახული სათიბელი, ნამგალი, ორთითი, მარგილი და საბეგვი, რომლითაცა ჰბეგვენ ძნას, ლეწვის მავიერ. ძალიან მომეწონა ესრეთი გამოსახვა გლეხების ბეჭედზე. —

3-სა გამოვევლეთ 40-ი ვერსტი უწყლო მინდორი და მოვედით სალდაში. —

აქედამ 4-ს ნოვოსერდიევკას, სადაც ჩვენი მაიორი ვაგვიბდა ავად ზოლერით; მაგრამ ჩვენის ცდილობით და ექიმობით მოვარჩინეთ: მალ-მალ ტანზე უსვამდით რომსა, სპირტსა და ვზელდით. —

5-სა მოვედით სტავროპოლს, სადაც გამოგვიცხადეს ამ თვის თექვსმეტამდის დარჩენა.

ეკატერინოლრადით აქამდის გზა არს ფრიად მოსაწყენი. თვალი ვერასა ხედავს, თუ არ შიშველსა მინდორსა, რომლისაცა არა ჰსჩანს დასასრული. წყალი თითქმის არსად არს, თვით სოფლებშიაცა ჰსმენ ჰიდამ აყროლებულსა და ზოგან მწარესა წყალსა. — კაცი ვერა იხილავს ამა ადგილებსა შინა დაშთენილთა რასმე ძველთა დროთაგან შენობათა, ვითარცა სხვათა ქვეყანათა შინა იპოების ესრეთ ხშირად კვალნი წარსრულთა დროთანი, რომლისა ხილვითა წარმოგვიდგების წინაშე თვალთა ანუ დიდება რომლისამე ხელმწიფისა და შემძლებლობა რომლისამე ერისა. უწინდელთა ამა ადგილის მფლობელთა

თათართა არა დაუტევს თვის შემდეგ არცა ერთი ნიშანი თვისისა შემსლებელობისა. ჩინგის-ხანის ჩამომავლობა ესე გამოვიდა თათარიიდან, ვითარცა ყოვლად შემკმელი ცეცხლი, და კვალი მისი იყო გაოზრება ქვეყნისა მისი, რომელსაცა ზედა ვლიდენ ივინი. და თვის სადგურად აღმოიჩინეს ადგილი ყაზანით და ასტარხანით, ვიდრე ყირიმამდის. ნაწილი ამათი იყო საქართველოშიაცა, რომელმანცა ჰსენა ფრიადი საშინელება მათი ომშია. აწ უწინდელის მხნეობის აჩრდილიც არლა ჰსჩანს მათ შორის.



6. 7. 8. 9. 10-სა ივლისსა. — სტავროპოლი, მცირედი ქალაქი, ესე არს ახლად აღშენებული, და თუმცა არა არს მდიდარ შენობითა, გარნა სწორე და განიერი ქუჩები ფრიად ამშვენებენ ქალაქსა, რომლისაცა აწინდელი ღენერალი ემმანუელი ცდილობს უმეტეს და უმეტეს განვრცლებასა. გარეშე ქალაქისა არს ტყეცა, და ვგრეთვე შიგ ქალაქშიაცა („როშა“) ფრიადსაამო სანახავი თვალთათვის. თითქმის ყოველს სახლთან არს პატარა ბაღები, რომელსაცა შინა უდგას ზეხილი: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი და აღუბალი. აქა არს ორი საყდარი რუსისა და ერთი სომხისა. ქალაქსა ამის არა აქვს მდინარე და სმენ წყალსა აქაც კებიდამ.

ქალაქთანვე არს მცირედი გორა, რომელსაცა ზედა ყოფილა უწინ მიწის ციხე, რუსთავან აღშენებული; გარნა აწ მხოლოდ დანგრეული სჩანს თხრილი, რომლისა სიახლოეს ყოველს ორშაბათს არის ბაზარი, ესე იგი: დღესა მას შეიყრებიან გარეშე სოფლებით ვლენხნი კაცნი, რომელთაცა მოაქვსთ გასასყიდლად ფქვილი, ქათმები, ინდოურები, საზამთრო და სხვა ამ-გვარი სოფლის მოსავალი და ძალიან იაფობაც არის. აქ იყო უწინ თათრის სოფელი და ეწოდებოდა ჩეთყარაღაჯ.



11-ს, კვირა დღეს, მე და მაიორი წავედით წირვანზე. ხალხი იყო მრავალი, უფრო გლებთავანი, რომელნიცა არიან ფრიად მლოცავნი და მტყიცედ სარწმუნოებასა ზედა. უნდა კაცმან მისცეს სიმართლე ამათ, რომელ ყოველს სოფელში საყდარი არს ფრიად შემკობილი. —

მაიორმა სადილად დამპატივა. — „საყვარელო გრიგოლ! — ჰსთქვა მაიორმა და ამოილა ზანდუკიდან აზარფეშა, — მოდი, ამით დღეს მოვიგონოთ საქართველო და დავლიოთ უკანასკნელი დაშთენილი ბოთლი კახურის ღვინისა“. — აზარფეშისა და კახურის ღვინის ზილვამ ფრიად გამახარა: ვინცა არა ყოფილხართ შორს უტახოს ქვეყანას, არ გეცოდინებათ ის სიამოვნე, ის აღტაცება, რომელსაცა ჰგრძნობს თვისისა მამულით განშორებული, იხილავს რა გინა მცირედსა რასმე თვისისა მამულისა.

— „მერწმუნე მაიორო! — ვუთხარ მე, — რომ ამ ეამით უფრო უმეტეს შემეიყვარდით; ამისთვის, რომელ მემამულენი შენნი, ესე იგი რუსნი, არაოდეს დაუტევებენ საქართველოს, თუ არა წყევითა და კიცხვითა; თუმცა ვიცი, რომელ საქართველოში მიიღეს მათ ზედნიერება, სიმდიდრე და უმაღლესნი

ხარისხნი, რომლისადაც არ არიან ღირსნი; და თქვენ კი გზედით პირველ რუსსა, რომელიცა იგონებს საქართველოს ესრეთ სიამოვნებით”

— „თითხმეტი წელიწადი ვიყავ მე საქართველოში, — მანასუხა მან, — და ესოდენი დრო კაცისათვის არს თითქმის საუკუნე. შევეჩვიე იქაურს პაერს, ცხოვრებას, ჩვეულებათა, ვბოე მუნ ყოველი, რააცა აწ მაქვს, და ესეცა ჩემი საყვარელი ცოლი (— ესე ჰსთქვა და აკოცა მას), და ვიყავ მუნ კმაყოფილ ჩემითა ცხოვრებითა. საქართველოს არა ყოველნი იცნობენ, ოც წლამდის მიემსავსება იტალიას. — საქართველოს სადღეგრძელო იყოს!“

მივაჯახეთ სტაქნები და გამოვცალეთ; მაგრამ ძალიან ვენაობდით, რომ აღარა გვექონდა სხვაცა ოთხი და ხუთი საცეს.

სალამოზე წავედით სასეირნოთ, და შევედით კაპიტან ფრიდრიქსთან, ცოლიან კაცთან, სადაცა წავეითებთ გაზეთებში სიკვდილი კოსტანტინესი და დიბიჩისა და პეტერბურღში ზოლერის გამოჩენა და ხალხის აღრეულება.

ფრიდრიქის ცოლმან წამაკითხა თავისი აღბომი, რომელსაცა შინა განკვირვებით ვიხილე ქართული ლექსებიც, დაწერილი ანტონ ყარ... მიერ:

„ბულბული მწუხარია, ვარდი შემომწურალია,
ნარგის გზავნის წამლისთვის, თუმცა თვით მკურნალია“.

მათარგმნინეს რუსულად და ბევრი ვიცინეთ ამ ლექსებზედ. ვახშმადაც აქ დაგვპატივეს.



12-სა დამნიშნეს კამანდით სოფელში დასადგომად დუბოეკას, სადაცა ვიყავ 13, 14, 15, 16, 17. —

მარტოობამ შემაწუხა და ამისთვის მოველ ისევ სტავროპოლს, სადაცა გამოგვიცხადეს, რომ რადგანაც პეტერბურღის გზაზედ ძლიერი ზოლერა გაჩენილა, ამისთვის ვიდრე სრულიად არ გაწყდება ეს სნეულება, აქ უნდა დარჩეთო. ძალიან მეწყინა ეს ანბავი, მით უფრო უმეტეს, რომელ სტავროპოლშიაცა იყო ზოლერა, თუმცა არა ძლიერი.



3-სა აგვისტოს. — მოვიდა ღენერალი კნიაზ ივან ნიკოლაიჩი აფხაზი, დანიშნული ღრაფ პასკევიჩთან არმიასი პირისპირ პოლწელთა. ფრიად გვიამა ურთიერთისა ხილვა. შემდგომად სხვა და სხვათა უზნობათა პოლწის ბრძოლისათვის, ვიწყეთ საქართველოზე. — ახ, ვითარ ძლიერად და მართლიად აღსწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოასა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ქეშმარიტსა ძესა მამულისასა. ვითარ მწუხარებითა უზნობდა ქართველებზე, რომელთა აღხოცეს თვის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა.

უზნობა ჩვენი.

ი. აფხაზი. — ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევიბად საქართველოასა, რომელიცა 6. „მნათობი“ № 2.

მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესოებისა, შინაგანნა განსეტყილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან.

მ ე. — საქართველო, შემდგომად რუსთა დატევებისა, ვგონებ, იქნება ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოც-და-ათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვგონებ არცა დაჰკლებოდეს. —

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — არა ძალ-უძს: ამისთვის, რომელ პოლიტიკებრი მდგომარეობა მესამზღვრეთა სახელმწიფოთა აზიასა შინა ფრიად შეიკვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალოს ესრეთი გაწყობილი ჯარი და ესრეთი თოფხანა. საქართველო, იქნების რა დატევებულ რუსთაგან, ვითარ წინააღუდგების მათ. ერეკლე იყო ჰკვიანი და მხნე მეფე: ხედვიდენ მის მხნეობას მაგალითად თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა უყვარდათ მამული, სარწმუნოება, მეფე, და იბრძოდენ ვითარცა ლომნი. — მაშინ, ოდესცა ყიზილბაშთა, ბუნებითად მზდალთა, არა ჰქონდათ არცა წესი ჯარში და არცა მხნეობა სპასალართა; მაშინ, ვამბობ, ქართველთა შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა. — ხოლო აწ გამოიცვალა დრო და შეიკვალნენ იგნიცა, გააწყეს მათ რეღული* და ჩვენ ველარ ძალგვიძს, რომ გაწყობილს ჯარს ევბრძოლოთ ისე იმ ღონისძიებით, ვითარცა იბრძოდენ მეფეების დროსა. რეღულსა უნდა ევბრძოლოთ რეღულითვე. ნუ გგონია, რომ ჩვენის გლეხების თოფი იყოს სახმარ ომში, რომელსაცა სამჯერ ვერ ესვრის საათში, მაშინ ოდესცა მინუტში უნდა ოთხჯერ მიანიც ესროლოს... ერთის სიტყვით, საქართველო ურეღულად ვერცა ერთსა თვესა გაუძლებს მტერთა. — და გარდა ამისა, ოც-და-ათმან წელიწადმან ფრიად შეჰსცვალა ერი. არღა მდგომარეობს ჩვენ შორის იგი მხნეობის სული, რომლითაცა იქნებოდენ უწინ.

მ ე. — რეღულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში; ამიტომ რომ, იქნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისანი, თვალთ დაინახვენ რეღულის სარგებლობასა; თვით მეფე მრეკლემაც იცოდა უმჯობესობა რეღულისა და გააჩინა მორიგის ჯარი და მაშინ არცა ერთი ტყვე არ დაკარგულა. — ამას ადვილად მოახდენენ მაშინ იგნი, ვინცა დარჩებიან ერის მმართველად. და ვაეკაცობაში ქართველნი ნაჭებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ესე დამტკიცდების მით, რომე საქართველო, ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამზღვარსა თვისსა და ენასა და ვერც სარწმუნოებასა, თუ არ განსხვავებულთა ვაეკაცობითა და სიყვარულთა მეფეთა და მამულისადმი. — ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვლად აღდგინებულს არარაჲსაგან; ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი. — გარდა ამისა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალთა ზედდენ შეცდომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწრებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი, და არღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვის მფარველობა

* „რეღული“ — რეგულარული ჯარი. (მ. ი.).

რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ეერობასა შინა. ყოველგვარი
 მსწვედენ აღა-მაჰმად-ხანს ტფილისის წახდენისათვის, რადცა იყო მი-
 ზეზი რუსების ვადმოსვლისა.

- ი. ა ფ ხ ა ზ ი. — მართალ არს, რომელ ქართველნი არიან მხნენი; გარნა რე-
 ლულის გაწყობა აგრე ადვილი ნუ გვონია. ამიტომ რომ, რელულის დაწ-
 ყობის დროს, ჯერ-არს პირველად შევიდენ სამსახურში სალდათად, სა-
 მაგალითოდ სხვათათვის, პირველნი თავადნი და აზნაურნი, რომელთა-
 ცა აქვსთ პატივი და ხმა შემამულეთა შორის თვისთა; ჯერ-არს მათდა,
 რათა შესწირონ მსხვერპლად სიმდიდრე და თვით სიცოცხლაცა, ვი-
 საც ვითარ ძალ-უძს, საზოგადოებისა ბედნიერებისათვის, და არა მიზე-
 დოს საკუთარსა თვისსა სარგებლობასა. ამით ოდენ ჩაიყრება მტკიცედ
 საფუძველი რელულისა. — აბა, ჩემო გრიგოლ! დამისახელე გინა ერთი
 კაცი, რომელმანცა დასდგას ნაწილი სიმდიდრისა თვისისა საზოგადო-
 ბისა სარგებლობისათვის. ესრეთი მსხვერპლი არს სათნოება, რომელსაცა
 ჰგრძნობს მხოლოდ გონებითა და გულითა განათლებული კაცი. უმეტე-
 რი და უსწავლელი ვერა მიხედების ამა ამალღებულსა გრძნობასა, რო-
 მელსაცა აწარმოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი. — თქვენ, ახალ-
 გავხდნო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოველის ღონისძიებით მამულისათვის.
 პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ, და მაშინ დაინახეთ
 და გამართათ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ ღმერ-
 თმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ
 აღარა შეშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს ეყოლება მას დროსა
 მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს
 ყოველსა საჭიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწვე-
 ბულება ადვილად აღსრულდების; ახლა ვინ იკისრებს, ან ვინ გაუგო-
 ნებს. — აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკედარი მამულისათვის.
 მსცხოვრებენ უსაგანოდ, დაეხეტებიან უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამე-
 სა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის,
 რომლისა მისადებელად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უბა-
 ტიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგაარება არს მათთვის თაყ-
 ვანსაცემი კერა, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება. — გარნა ნუ
 გვონია, რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს
 მხოლოდ ნაყოფი ოც-და-ათის წლის მორჩილებისა.

- მ. ე. — ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღზოცენ იგინი, ვინცა იქ-
 ნებიან, შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქ-
 ნებიან გონებიან და შორისმხედველ. ძალა იქნების მათ ზელში, აღაშენე-
 ბენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდე-
 ბენ მსწვალულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქნებიან პირველნი
 მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემ-
 დგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უმეტელად აღმოცენდების, მით
 უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება;

- ი. ა ფ ხ ა ზ ი. — ეგე ყოველი შესაძლო არს, გარნა ჯარისა და სასწავლებელ-
 თა შენახვისათვის საჭირო არს ხაზინა; საქართველო არს ღარიბი სამე-
 ფო, და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა ჩვენ ვალად. — გარდა

ამისსა, საქართველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად. აღგუანდრე მეფის შემდეგ, რომელმანცა განუსჯელად განჰყო საქართველო, — ქართლი, კახეთი, იმერეთი, საათაბაგო, გურია... — მის ქვეშე მუხომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და სისხლი ინთხოდა მოუწყვეტელ. აწ ძლიერს შეერთდენ და ამიერითჳან უნდა შეერთხორცდენ და შეადგინონ ერთი მრთელი: წებოთი მიკრული არ დადგების დიდ ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადუღებს მას. ჩენი მზე არის დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავოს ურთიერთთა და მამულის შეყვარება და შეგვაერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოასანი; მაშინ იქნების, თუმცა არა ფრიად ძლიერ, ვითარცა სხენი სხელმწიფონი, — გარნა შემძლებელ დაცვად თვისისა სამზღერისა. გარე-შემოზღუდულ არს რა საქართველო მტერთაგან, ჯერ არს რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თითოეულმან აღირჩიოს გზა ლეონი დისა. —

ღმერთი არს მოწამედ, რომე მთლად ქართველთ არ უყვარსთ ეგოდნად მამული თვისი, რაოდენაც მე მარტოს, ასე რომ, თუ სიკვდილითა ჩემითა შეიცვლებოდეს საქართველოს მდგომარეობა ესრეთ კეთილად, ვითარცა მსურს მე, წამსავე ამას სიხარულითა გადავეპრდებოდი ფანჯრიდამ სასიკვდილოდ. — კვალად ვამბობ, რომ დრომ უნდა აღადგინოს საქართველო. —

ქამსა ამას შემოვიდა პოდპოლკოვნიკი ილინსკი, და მიგვიწვივა ჩაიზედ, ლაპარაკი შეესწყვიტეთ და წავედით მასთან. აქ გავიცან პოლკოვნიკი ჭლილე და დავრჩი აქვე ვასშმაღ.

*

4-სა აგვისტოს. — დილა აღრიან მიველ აფხაზთან, რომელიცა იყო მზად წასასვლელად. მივე წიგნი ჩემს ძმას ზაქ[არიასთან], რომელიცა ჩავებარე. გამომესალმა, დამლოცა და მომცა ფორტაში წიგნები გასაგზავნად. ამავე დღეს საღამოს მოვიდა ლრაჭ სიმონიჩი, რომელთანაც მიველ მეორეს დღეს 5-სა აგვისტოს და ძალიან იამა ჩემი ნახვა.

*

6-სა. — ვიყავ წირვაზე ფერისცვალობის დღეს, სადაცა აკურთხეს ვაშლი ყურძნისა ნაცვლად; მომავონდა საქართველო და მისი ჩეულება დღესა ამას, ამოვიოხრე და ოხვრა ჩემი დაიკარგა ჰაერში და ესმა არავის. ვახშმად მე და დღეს... ვიყავით ერთად და საამურის უბნობით განვატარეთ მეორეს საათამდის.

*

7-სა. — ლრაჭ სიმონიჩმა დაგვპატოვა გამოსალმების სადილზე, რომლისა შემდეგ გვაკოცა და გაემართა პეტერბურლისკენ. კახურის ღვინის სმა დღესაც მელირსა: არა ვფარავ, რომელ მის კუბრის სუნიცა იყო საამოდ ჩემთვის...

პამლო ინფორმაცია

ზრიგოლ ორბელიანის «მზავრობა»

გრიგოლ ორბელიანის უცნობი ნაწარმოები «მზავრობა», რომლის სოულს დედანს პირველად ვაქვეყნებთ, დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულობის ხანასთან.

ამ ნაწარმოებმა ასი წლის ტყვეობა განიცადა.

თავდადასავალი ამ ნაწარმოებისა ასეთია.

1832 წელს, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობა ფარული საზოგადოებისა, რომელიც «საიდუმლო მემკობრობის» სახელით არის ცნობილი, და რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 20-იან წლების ბოლოდან აჯანყებას ამზადებდა საქართველოში ცარისტული რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. გრიგოლ ორბელიანი გახდა წევრი შეთქმულთა ამ ფარული საზოგადოებისა 1831 წლის დასაწყისიდან.

როდესაც შეთქმულობა 1832 წლის 9 დეკემბერს გასცა იასე ფალავანდი-შვილმა, გრიგოლ ორბელიანი არ იმყოფებოდა საქართველოში, იგი რუსეთში იყო, ჯარში, ნოვგოროდის გუბერნიაში. გრიგოლ ორბელიანი რუსეთში დაატუსაღა ნიკოლოზ I-ის მთავრობამ 1833 წლის 11 მარტს. გრიგოლ ორბელიანი ჯერ დატყვევებული ჰყავდათ პეტერბურგში (სადაც ის ჩაიყვანეს ნოვგოროდის გუბერნიიდან), ხოლო შემდეგ პეტერბურგიდან გრიგოლ ორბელიანი გადმოგზავნეს საქართველოში, ტფილისში. აქ, ტფილისში, გრიგოლ ორბელიანი განმარტოებით იყო დატუსაღებული ავღაბრის ყაზარმებში 1833 წლის სექტემბრამდე, ვიდრე დასრულდებოდა საქმის გამოძიება.

იცოდა თუ არა გრიგოლ ორბელიანმა შეთქმულობის გაცემა, როდესაც იგი პირველად დაატყვევეს? შესაძლებელია იცოდა, მაგრამ ის კი არ ჰქონია ჯერ დაბეჯითებით გაგებულნი, რომ თვითონ პირადად გაცემული იყო. ყოველ შემთხვევაში გრ. ორბელიანი მოუშვადებელი დახვედრია ქანდარმის პოლკოვნიკის პირველ გამოცხადებას მის ბინაზე. გრ. ორბელიანს ვერ მოუხსწრია ხელნაწერების გადამალვა. ხოლო ამ ხელნაწერებში კი ძალიან ბევრი იყო ისეთი, რაც ამჟღავნებდა გრიგოლ ორბელიანის უახლოეს კავშირს შეთქმულობასთან. — მთავრობის აგენტებს, გრიგოლ ორბელიანის დატყვევების დროს, წამოუღიათ პოეტის ყველა ხელნაწერები და მთელი მისი მიწერ-მოწერა.

გამოძიების დასრულების შემდეგ გრიგოლ ორბელიანი, როგორც მონაწილე შეთქმულობისა, რეპრესირებულ იქმნა, ხოლო გრიგოლ ორბელიანის ხელნაწერები ნიკოლოზ I-ის მთავრობამ დაუბრუნა შეთქმულობის საქმეებს და დამარბა რუსეთის ენდარმერის არქივში.

ამის შედეგად ქართულ მწერლობას დაეკარგა გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ პირველად ხდება ცნობილი გრიგოლ ორბელიანის ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა.

1928 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ შეთქმულობის საქმეებში დაცული 21 უცნობი ლექსი გრიგოლ ორბელიანისა, და ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობისა“¹⁾.

ამჟამად ვაქვეყნებთ „მგზავრობის“ სრულ ტექსტს.

„მგზავრობის“ დედანი, ავტოგრაფული ხელნაწერი გრიგოლ ორბელიანისა, დაცულია შეთქმულობის საქმეების მე-21 ტომში, გვ. 4037a — 4044a (ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდი).



გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ უაღრესად საყურადღებო ძეგლია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობისა, რომელშიაც ასახულია 1832 წლის შეთქმულობის ეპოქის იდეები.

1832 წლის შეთქმულობაში, როგორც ცნობილია, მონაწილეობას იღებდა მთელი პლეადა ქართველი მწერლებისა. ნიკოლოზ I-ის მთავრობამ შეთქმულობაში მონაწილეობისათვის საბრალმდებლო სკამზე დასვა, გრიგოლ ორბელიანთან ერთად, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი (ჩვენ აქ მარტო მწერლები ჩამოვთვალეთ). მაგრამ გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი ამ დროს ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდანი იყვნენ (გიორგი ერისთავი — 17 წლისა, როდესაც პირველად დაუახლოვდა შეთქმულთ, ხოლო გასამართლების დროს 21 წლისა; ასევე ვახტანგ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი გასამართლების დროს 20 — 21 წლისანი არიან). რაც შეეხება სოლომონ დოდაშვილს, ამ უდროვოდ დაღუპულს ქართველ მეცნიერს, აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანს, — ესენი 1832 წლის შეთქმულობაში უმთავრესად ანბორციელებდნენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შეთქმულობის საქმისას. ასევე ფილადელფოს კიკნაძე, ავტორი „გონიერი აქტი“-სა, უფრო პოლიტიკური მოღვაწეა, ვიდრე მწერალი. — ალექსანდრე ჭავჭავაძის როლი შეთქმულობაში გამოურკვეველია, და უფრო ისე სჩანს, რომ იგი არ იყო დიდი ენთუზიასტი შეთქმულობისა, ყოველ შემთხვევაში მის პოეზიაში ამან არ დასტოვა რაიმე თვალსაჩინო კვალი. — ცენტრალური ლიტერატურული ფიგურა, რომლის შემოქმედებაში ყველაზე სრული გამოსახულება ჰპოვა 1832 წლის შეთქმულობის ეპოქამ, ეს არის გრიგოლ ორბელიანი.

¹⁾ იხ. პავლე ინგოროყვა, გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები, ეურნალი „ქართული მწერლობა“, 1928 წ. № 6 — 7, გვ. 228 — 267).

შეთქმულობის იდეებით არის შთაგონებული გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ნაწარმოებთა მთელი რიგი:

- „ჰე, ივერიაჲ, ვიდრე იყო ქედ-მოდრეკილი“;
- „მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს“;
- „გულნი ივერთა აქვს მსხვერპლად მზადა“ (ოდა თავისუფლებას);
- „ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უფის“;
- „აღსარება გივი ამილაზვარისა“ (—ეს უკანასკნელი ლექსი წარმოადგენს დეკაბრისტის კ. რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ გადმოკეთებებს ქართულად, ქართულ პირობებთან შეფარდებით).

ამას გარდა შეთქმულობის იდეებთან არის დაკავშირებული გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღევრძელო“ (—პირველი ტექსტი პოემისა, რომელიც, როგორც ირკვევა, სწორედ ამ დროს, შეთქმულობის ხანაში ყოფილა დაწერილი, და რომელსაც სულ სხვა იდეური მიზანდასახულობა ჰქონია, ვიდრე ამას ღღემდე ჰქონებდნენ), და ლექსი „იარალისადმი“.

ხოლო განსაკუთრებით ინტეგრალურად 1832 წლის შეთქმულობის იდეები ასახული არის გრიგოლ ორბელიანის თხზულებაში: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“.

ჩვენ აქ ამგზის არ ვისახავთ მიზნად შევებოთ გრიგოლ ორბელიანის ყველა ამ ნაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულობასთან. ამ საგანს მთელის მოცულობით ვებებით საეციალურ ნარკვევში: „გრიგოლ ორბელიანი და 1832 წლის შეთქმულობა“, რომელიც დამზადებულია გამოსაცემად.

აქ კი, გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობის“ სრული ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ მხოლოდ ზოგიერთი აუცილებელი განმარტება ამ ძეგლზე.

*

თავდაპირველად „მგზავრობის“ წარმოშობისა და თარიღის შესახებ. გრიგოლ ორბელიანი უკვე შეთქმულთა ორგანიზაციის წევრი იყო, როდესაც იგი, 1831 წლის ივნისში, გაემგზავრა რუსეთში. გრიგოლ ორბელიანს, როგორც ირკვევა, დეველებული ჰქონდა შეთქმულობის ტფილისის მთავარი ორგანიზაციის მიერ ურთიერთობის დამყარება შეთქმულთა პეტერბურგის წრესთან.

მგზავრობის დროს, და აგრეთვე დრო-გამოშვებით რუსეთში ყოფნის დროსაც, ვიდრე დაატყვევებდნენ, ე. ი. წლი-ნახევრის განმავლობაში (1831 წლის ივნისიდან — 1833 წლის დასაწყისამდე) გრიგოლ ორბელიანი აწარმოებდა დღიურს.

რუსეთში ჩასვლის შემდეგ, გრიგოლ ორბელიანს ერთი ნაწილი თავისი მოგზაურობის დღიურისა ლიტერატურულად დაუშუშავებია, სახელდობრ ის ნაწილი, სადაც აღწერილი იყო მოგზაურობა საქართველოდან ჩრდილო-კავკასიამდე (1831 წლის 9 ივნისიდან — 7 აგვისტომდე). — ეს ნაწილი დღიურისა, დამუშავების შემდეგ, ავტორს გადაუწერია თეთრად. ავ-

ტორს, გადათეთრების შემდეგაც, ერთელ კიდევ გადაუხედავს ტექსტს და დამატებით შეუტანია მასში ზოგიერთი შესწორება.

ამრიგად ეს ტექსტი „მგზავრობისა“ წარმოადგენს არა უბრალოდ დღიურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, რჩმულსწამატებულად პოეტის დღიური დასდებია. „მგზავრობა“-ს შენარჩუნებული აქვს დღიურის თხრობის ქარგა, რაც მას დოკუმენტალური პროზის ხასიათს ანიჭებს.

სინქრონიზმების მიხედვით ირკვევა, რომ გრიგოლ ორბელიანს „მგზავრობის“ ტექსტის ეს ლიტერატურული დამუშავება დაუსრულებია პეტერბურგში ყოფნის დროს, 1831 წლის ბოლოს, ნოემბერში¹⁾.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“, გარდა წმინდა ლიტერატურული ინტერესისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს როგორც პირველხარისხოვანი დოკუმენტი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. „მგზავრობა“ უახლოესად გვაგარძობინებს ეპოქას, კერძოდ სულისცეცებებს იმ წრისას, სადაც მომზადდა 1832 წლის შეთქმულობა.

ამ ნაწარმოებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ 1832 წლის შეთქმულობის მზადების ხანაში ქართული საზოგადოების პროგრესიულ ნაწილში ორნაირი მიმართულება არსებობდა საქართველოს საკითხის გარშემო.

ერთი, უფრო ზომიერი წრე — თუმცა საბოლოო მიზნად სთვლიდა საქართველოს განთავისუფლებას თვითმპყრობელური რუსეთიდან, მაგრამ ეს შორეული მომავლის საქმედ მიაჩნდათ. ეს წრე, რომელთაც „ზომიერთა“ სახელი შეეფერება, პიქრობდა, რომ საქართველო არსებულ პირობებში ვერ შესძლებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და გახდება მსხვერპლი თურქთა და სპარსელთა შემოსევისა. ამას გარდა, ზომიერთა შეხედულებით, საქართველო ჯერ კიდევად იყო იმდენად მოღონიერებული, რომ შესაძლო ყოფილიყო სახელმწიფო მშენებლობის შეუფერხებელი წარმოება. ზომიერნი იმ აზრს იცავდნენ, რომ საქართველომ ჯერ უნდა გაიმართლოს ის ჭრილობანი, რაც მას წარსულმა საუკუნეებმა მიაყენა, გაძლიერდეს ეკონომიურად, წინ წაიწიოს კულტურის მხრით, და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების რეალურად განხორციელება.

მეორე წრე, რადიკალები, მდგომარეობას სხვა-რიგად აფასებდნენ. ეს მეორე წრე პიქრობდა, რომ პოლიტიკური ვითარება აზიის მეზობელი სახელმწიფოებისა ეხლა სხვანაირია, ვიდრე ეს იყო მე-18 საუკუნეში; რომ სპარსეთი და ოსმალეთი უკვე კარგად პგრძობენ, თუ რა დიდი შეცდომა დაუშვეს

1) „მგზავრობის“ შესახებ აქ აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი საკითხიც. „მგზავრობის“ მოთხრობა, როგორც მოვიხსენიეთ, იწყება ტფილისიდან და მოყვანილია ჩრდილო-კავკასიაში და აქ იბადება კითხვა, ხომ არ ჰქონდა ავტორს განზრახული ლიტერატურულად დამუშავებია დღიურის მეორე ნაწილიც და „მგზავრობა“ ჩრდილო-კავკასიიდან პეტერბურგშიდის მიყვანა. ყველა ნიშნებით ავტორს თავდაპირველად თითქოს ჰქონია ასეთი განზრახვა, რასაც გვიჩვენებს თვით ნაწარმოების სათაური: „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. მაგრამ შემდეგ ავტორს ეს განზრახვა აღარ განუზოციელებია და წერტილი ჩრდილო-კავკასიაზე დაუსვა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: „მგზავრობის“ ეს ნაწილი (ტფილისიდან ჩრდილო-კავკასიაში) ავტორს ლიტერატურულად დაუმუშავებია 1831 წლის ნოემბრისათვის; ამის შემდეგ გრიგოლ ორბელიანმა რუსეთში დაჟო წელიწადზე მეტი და ამ ხნის განმავლობაში დღიურის მეორე ნაწილის ლიტერატურული დამუშავებისათვის მას ხელი არ მიუყვია.

მათ, როცა თავისი აგრესიული პოლიტიკით აიძულეს საქართველო ატოო/რუსეთის ორიენტაცია და ამით საშუალება მისცეს რუსეთს დასჯადი პოლიტიკა კავკასიონის ქედის გადმოღმა, სპარსეთისა და ოსმალეთის მეშვეობით, აღმოსავლეთის მყუდროებისათვის დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა აუცილებელიყო, ჰფიქრობდნენ რადიკალები. საქართველოს დამოუკიდებლობას არ შეუშლიან ხელს არც სპარსეთი, არც ოსმალეთი, და საკუთარი ინტერესების გამო აღარ აიძულებენ საქართველოს ხელახლა ეძიოს მფარველობა გარეშე სახელმწიფოსი. რაც შეეხება საქართველოს შინაგან მდგომარეობას, რადიკალები აგრეთვე აღიარებდნენ, რომ საქართველო ჩამორჩენილია კულტურულად, ეკონომიურად, მაგრამ ჰფიქრობდნენ, რომ საქართველოს განვითარება უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს, ვიდრე თვითმპყრობელური რუსეთის ხელში.

ეს ორნაირი მიმართულება, რომელიც ქართულ პროგრესიულ წრეებში არსებობდა, გრიგოლ ორბელიანს ცხოველად აქვს გადმოცემული თავისი „მგზავრობის“ ერთს ადგილას, დიალოგის სახით, რომელიც გაიმართა პოეტსა და რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველ პატრიოტ ივანე აფხაზს შორის. „ზომიერთა“ იდეების დამცველად აქ ივანე აფხაზი გამოდის, ხოლო რადიკალების წარმომადგენელია თვით გრიგოლ ორბელიანი, ამ დროს უკვე შეთქმულობის წევრი.

აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„მოვიდა ღენერალი კნიაზ ივან ნიკოლაიჩი აფხაზი, დანიშნული ღრაფ პასკევიჩთან არმიაში პირისპირ პოლშელთა. ფრიად გვიამა ურთიერთისა ხილვა-შემდგომად სხვა და სხვათა უბნობათა პოლშის ბრძოლისათვის, ვიწყეთ საქართველოზე. — ახ, ვითარ ძლიერად და მართლიად აღწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოასა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ტეშმარიტსა ძესა მამულისასა. ვითარ მწუხარებითა უბნობდა ქართველებზე, რომელთა აღზოცეს თვის შორის კეთილშობილური სიამაყე და სიყვარული მამულისადმი და არიან მონებასა ქვეშე, დამდაბლებულნი სულითა.

უ ბ ნ ო ბ ა ჩ ვ ე ნ ი .

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევენად საქართველოასა, რომელიცა მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწყესობისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — საქართველო, შემდგომად რუსთა დატევენისა, ვკონებ იყოს ესრეთ ძლიერ, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა. ოც-და-ათს წელიწადს საქართველოს თუ არ მომატებია ხალხი, ვკონებ არცა დაჰკლებოდეს¹⁾.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — არა ძალ-უძს: ამისთვის, რომელ პოლიტიკებრი მდგომარეობა შესამზღერეთა სახელმწიფოთა აზიასა შინა ფრიად შეიცვალა. ვის უხილავს ყიზილბაშისა და ოსმალის ესრეთი გაწყობილი ჯგარი და ესრეთი თოფ-

¹⁾ იმ დროს, რა ხანასაც ეკუთვნის ეს დიალოგი, ოც-და-ათს წელიწადი იყო გასული რუსეთის მფლობელობის დამყარებიდან. (პ. ი.).

ხანა. საქართველო, იქნების რა დატევებულ რუსთავან, ვითარ წინააღმდეგობის მათ. ერეკლე იყო ჭკვიანი და მხნე მეფე: ხედვიდენ მის მხნეობას მაგალითად თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა უყვარდათ მამული, საქრწმუნობა, მეფე, და იბრძოდნენ ვითარცა ლომნი, — მაშინ, ოდესცა ყიზილბაშთა, ბუნებითად მხდალთა, არა ჰქონდათ არცა წესი ჯარში და არცა მხნეობა სასასლართა; მაშინ, ვამბობ, ქართველთა შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა. — ხოლო აწ გამოიცვალა დრო და შეიცვალნენ იგინიცა, ვააწყეს მათ რელული¹⁾, და ჩვენ ველარ ძალ-გვიძს რომ ვაწყობილს ჯარს ვებრძოლოთ ისევ იმ ღონისძიებით, ვითარცა იბრძოდნენ მეფეების დროსა. რელულსა უნდა ვებრძოლოთ რელულითვე. ნუ გგონია, რომ ჩვენის გლეხების თოფი იყოს სახმარ ომში, რომელსა სამჯერ ვერ ესერის საათში, მაშინ ოდესცა მინუტში უნდა ოთხჯერ მაინც ესროლოს... ერთის სიტყვით, საქართველო ურელულად ვერცა ერთსა თვისა ვაუძლებს მტრთა. — და გარდა ამისა, ოც-დაათმან წელიწადმან ფრიად შესცვალა ერი. არღა მდგომარეობს ჩვენ შორის იგი მხნეობის სული, რომლითაცა იქებოდენ უწინ.

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — რელულის ვაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში; ამიტომ რომ, იქნებიან რა თვით დამცველნი თვისისა საზღვრისანი, თვალით დაინახვენ რელულის სარგებლობასა; თვით მეფე მრეკლემაც იცოდა უმჯებესობა რელულისა და გააჩინა შორიგის ჯარი და მაშინ არცა ერთი ტყვე არ დაკარგულა. — ამას ადვილად მოახდენენ მაშინ იგინი, ვინცა დარჩებიან ერის მმართველად. და ვაეკაცობაში ქართველნი ნაქებნი არიან და უყვარსთ მამულიცა; ისე დამტყცდების შით, რომე საქართველო ესრეთი მცირედი სამეფო, ვერ დაიცავდა ვერცა სამზღვარსა თვისსა და ენასა და ვერც სარწმუნოებასა, თუ არ განსხვავებულითა ვაეკაცობითა, და სიყვარულითა მეფეთა და მამულისადმი. — ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაასავან; ესრეთთა საეკირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისადმი. გარდა ამისა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცდომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწრებულმან, დაუმეზობლა ესდენ საზინელი მათთვის მეზობელი რუსეთი, და არღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა. ყიზილბაშნი ჰსწყევდენ ალა-მამამად-ხანს ტფილისის წაბღენისათვის, რამცა იყო მიზეზი რუსების გადმოსვლისა.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — პართალ არს, რომელ ქართველნი არიან მხნენი; ვარნა რელულის ვაწყობა აგრე ადვილი ნუ გგონია. ამიტომ რომ, რელულის ვაწყობის დროს, ჯერ-არს პირველად შევიდენ სამსახურში სალდათად, ხამაგალითოდ სხვათათვის, პირველნი თავადნი და აზნაურნი, რომელთაცა აქვსთ პატივი და ხმა მემამულეთა შორის თვისთა; ჯერ-არს მათდა, რათა შესწირონ მსხვერპლად სიმდიდრე და თვით სიცოცხლაცა, ვისაც ვითარ ძალ-უძს, საზოგადოობისა ბედნიერებისათვის, და არა მიხედოს საკუთარსა თვისსა სარგებლობასა. ამით ოდენ ჩაიყრება მტკიცედ საფუძველი რელულისა. — აბა, ჩემო

¹⁾ „რელული“ — რელულარული ჯარი. (პ. ი.).

გრიგოლ! დამისახელე გინა ერთი კაცი, რომელმანცა დასდევს ნაწილი/სიმ-
დიდრისა თვისისა საზოგადოებისა სარგებლობისათვის. ესრეთე მსხვერპლი არს
სათნოება, რომელსაცა ჰგრძნობს მხოლოდ გონებითა და გულითა; განათლებ-
ული კაცი. უმეცარი და უსწავლელი ვერა მიხედვის ამა ამალღებულსა
გრძნობასა, რომელსაცა აწარმოებს მხოლოდ სიყვარული მამულისადმი. —
თქვენ, ახალგაზდანიო! თქვენ უნდა ეცადნეთ ყოველის ღონისძიებით მამული-
სათვის. პირველად უნდა ისწავლოთ, გონება განინათლოთ და მაშინ დაინა-
ხეთ და გამართეთ ნაკლულოვანებათა. და ამა მიზეზით ვამბობ, რომელ
ღმერთმან ნუ ინებოს საქართველოს დატევება რუსთაგან ას წლამდის; მაშინ
აღარა მემშინის, ამისთვის, რომელ საქართველოს გყოლება მას დროსა შრა-
ვალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება, იგრძნობს ყოველსა სა-
ჭიროებასა, და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწყებულება ადვილად
აღსრულდების; ახლა ვინ იკისრებს, ან ვინ გაუგონებს. — აწინდელი ჩვენი საზო-
გადოება არს მკვდარ მამულისათვის, ცხოვრობენ უსაგანოდ, დაეხეტებიან უგ-
ზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიჭრობს საკუთარისა თვისისა
სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებელად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა,
არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან. ანგაარება არს მათთვის თაყ-
ვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება. — გარნა ნუ გგონია,
რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა; არა, ესე არს ნაყოფი ოც-და-
ათის წლის მორჩილებისა.

გ რ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. — ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღ-
ხოცენ იგინი, ვინცა იქნებიან, შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართ-
ველნი, უკეთუ იქნებიან გონებიან და შორსმხედველ. ძალა იქნების მით ზელ-
ში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მო-
უწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქნებიან პირველ-
ნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგო-
მად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უქვევლად აღმოცენდების, მით უფრო უმე-
ტის, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება.

ი. ა ფ ხ ა ზ ი. — ეგე ყოველი შესაძლო არს, გარნა ჯარისა და სასწავლე-
ბელთა შენახვისათვის საჭირო არს ხაზინა; საქართველო არს ღარიბი საშეფო,
და სხვა რომელი სახელმწიფო გვენდობა ჩვენ ვალად. — გარდა ამისა, საქარ-
თველო არს დაგლეჯილი ნაწილ-ნაწილად. აღექსანდრე მეფის შემდეგ, რო-
მელმანცა განუსჯელად განჰყო საქართველო, — ქართლი, კახეთი, იმერეთი,
საათაბაგო, გურია... — მის დროთ აქამომდე იყვნენ ურთიერთის მტერნი და
სისხლი ინთხოდა მოუწყვეტელ. აწ ძლივს შეერთდენ და ამიერითგან უნდა
შეერთხორცდენ და შეადგინონ ერთი მრთელი: წებოთი მიკრული არ დად-
გების დიდ ხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადუღებს მას. ჩვენი მზე
არის დრო; დრომან უნდა განგვანათლოს, გვასწავოს ურთიერთთა და მამუ-
ლის შეყვარება და შეგვაერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველ-
ნი ნაწილნი ძველისა საქართველომასანი. მაშინ იქნების, თუმცა არა ფრიად
ძლიერ, ვითარცა სხვანი სახელმწიფონი, — გარნა შემძლებელ დაცვად თვისი-
სა სამზღერისა. გარე-შემოზღუდულ არს რა საქართველო მტერთაგან, ჯერ-
არს რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითოე-

ულმან აღირჩიოს გზა ლეონი დისა... კვლად ვამბობ, რომ დრომ უნდა აღადგინოს საქართველო“.

ერეკლესიის
ხელმოწერა

*

გრიგოლ ორბელიანი თუმცა შეთქმულობის წევრი იყო, მაგრამ როგორც სჩანს აქ მოყვანილი დიალოგიდან, გრიგოლ ორბელიანი მაინც ერთგვარ შინაგან გაორებას განიცდიდა. გრიგოლ ორბელიანს არ მიაჩნდა მარტივ საქმედ საქართველოს საკითხის გადაჭრა. გრიგოლ ორბელიანს აფიქრებდა და საგონებელში ავდებდა ის მოსაზრებანი „ზომიერთა“ წრისა, რომლის დამცველად ზემოთ-მოყვანილ დიალოგში მისი ოპონენტი გამოდის. გრიგოლ ორბელიანის ეს გაორება და ერთგვარი დაექვეება თავის რადიკალურ პოზიციაში უნებლიეთ მოსჩანს ამ დიალოგის შესავალიდან (— „ვითარ ძლიერად და მართლიად აღწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოასა“ — ასე იგონებს გრიგოლ ორბელიანი თავისი ოპონენტის სიტყვებს), და აგრეთვე იმის მიხედვითაც, რომ გრიგოლ ორბელიანი საერთოდ საჭიროდ სთვლის ასე დაწვრილებით და მიუდგომელობით გადმოგვცეს თავისი ოპონენტის შეხედულებანი.

მაგრამ მიუხედავად ამ ერთგვარი დაექვეებისა, რომელსაც ჩვენი პოეტი ცხადია განიცდიდა, გრიგოლ ორბელიანი მაინც გარკვევით მიმზრობია რადიკალების ბანაკს. გრიგოლ ორბელიანს ეს ეპეები თავის გულშივე ჩაუკლავს, და როცა საქმე საქმეზე მიდგა, იგი გაბედულად გვერდში ამოსდგომა „შეურიგებელთა“ წრეს, რომელიც აჯანყებას ამზადებდა. გრიგოლ ორბელიანის არჩევანი აქ მტკიცეა, საბოლოო. მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე მზადდებოდა შეთქმულება, გრიგოლ ორბელიანი ჩვენ გვევლინება როგორც შეუხრელი თანამებრძოლი „შეურიგებელთა“ დაწყებული საქმისა. გრიგოლ ორბელიანის პოლიტიკური რადიკალიზმი ცხადია იმ აღფრთოვანებული ლექსებიდან, რომელიც პოეტმა შეთქმულობის საქმეს უძღვნა, და რომელშიაც პოეტი ისახავდა საგნად საზოგადოებრივი აზრის ორგანიზაციას აჯანყების დაწყების წინ, შეთქმულთა იდეების გაფრცელებას: „აღსარება“, „მისი სახელი კიცივითა მარადის იხსენებოდეს“, „ჰე ივერიაჲ ვიდრე იყო ქედმოდრეკილი“, „გულნი ივერთა აქვს მსხვერპლად მზადა“ (ოდა თავისუფლებას), პოემა „ტოლუბაში“ და სხვა.

პოეტის შეურიგებელი სულისკვეთება მოსჩანს აგრეთვე თვით „მგზავრობის“ ცალკე ადგილების მიხედვითაც (ასე, იხ. შესავალი, რომლითაც იწყება ყაბართოს აღწერა; ანდა ირაკლის საფლავის ხილვა მცხეთის ტაძარში და სხვა).

აღსანიშნავია ამასთან, რომ „მგზავრობა“-ში არის ადგილები, სადაც პირდაპირ იგულისხმება შეთქმულობის მთავარი ხელმძღვანელი წრე. პოეტი მაგალითად რამდენჯერმე იგონებს მეგობრებს, რომელთა შესახებ ამბობს: „უაკურთხებ მარად-ჟამს მხვედრსა მას, რომელმანცა შეგვეკრა ჩვენ განუწყვეტელისა მეგობრობისა ჯაჭვითა“. — აქ, რასაკვირველია ნაგულისხმევია, ნართაულის სიტყვებით, ის „საიდუმლო მეგობრობის“ საზოგადოება, შეთქმულთა ხელმძღვანელი წრე, რომელიც თანახმად ფარული წერილობითი სტატუტისა იყო შეკრული „განუწყვეტელისა მეგობრობისა ჯაჭვითა“. („საიდუმლო მეგობრობის“ ფარულს წერილობით სტატუტში ნათქვამია: „ამით კავშირითა იქნებო-

დიან განუწყვეტელ კეთილის-მოქმედ და შესწირვიდეს თავსა თქვისა ურთიერთას". — იხ. „აქტი გონიური“ — საიდუმლო მეგობრობის აქტი, რომელზედაც ფიცს აძლევდნენ შეთქმულობის წევრები¹⁾).

ქართული
ხელმოწერა

¹⁾ აქვე მოვიხსენებთ აგრეთვე ერთ საყურადღებო ფაქტსაც, რაც ირკვევა გრ. ორბელიანის „მგზავრობიდან“. გრიგოლ ორბელიანს, ამ მოგზაურობის დროს, სიანს შეესრულებოდა ერთგვარი სამხედრო მისიაც შეთქმულთა საქმისათვის.

როდესაც ჩვენ ვკითხულობთ „მგზავრობის“ ტექსტს, ჩვენს ყურადღებას უნებლიეთ იქცევს გარკვეული ხასიათის სამხედრო ცნობები, რომლებიც შეტანილია დღიურში. გრიგოლ ორბელიანი, ყველა იმ პუნქტების შესახებ, რომლებიც მან საქართველოში და საქართველოს მეზობლად მდებარე ჩრდილო-კავკასიის რაიონებში დათვალიერა, გამოიუცხებებდა, დაწერილებით აღნიშნავს, თუ სად არის ჯარების შესაკრებელი ადგილები, სად რამდენი რეგულარული ჯარი არის დაბანაკებული და რა ხასიათის იარაღი აქვს ამ ჯარს. (ამის გარდა, გრ. ორბელიანი დაწერილებით ჩერდება დარიალის ხეობის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე).

საკითხავია, შემთხვევით არის შეტანილი ეს ცნობები გრ. ორბელიანის დღიურში? თვებდაიხვევდა ჩვენ მართლაც ასე ფიქრობდით, რომ აქ საქმე გვაქვს შემთხვევითს ამბავთან და რომ გრიგოლ ორბელიანი ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, უბრალოდ ადგიურებს ჯარის მდგომარეობას. მაგრამ შემდეგ ეჭვი გვებდებოდა, რომ გრ. ორბელიანის ეს ინტერესი არც ისე „უბრალო“ არის, და რომ გრ. ორბელიანი აქ გარკვეულის მიზნით აწარმოებდა სამხედრო მნიშვნელობის ცნობების შეკრებას ჯარის დისლოკაციის შესახებ.

და მართლაც შედეგობაში მისაღებია შემდეგი უაღრესად საყურადღებო გარემოება, რაც ირკვევა გრიგოლ ორბელიანის დღიურებიდან (როგორც „მგზავრობის“ ტექსტიდან, ისე დღიურების შეგებიდან). გრიგოლ ორბელიანი ამ ცნობების ჩაწერას ჯარის შესახებ აწარმოებდა შიშოდ ერთს გარკვეულს რაიონში, სახელდობრ საქართველოდან ჩრდილო-კავკასიაში, კომი (—სადაც გრ. ორბელიანს შეხვდა სამხედრო ქარავენი 33 ზარბაზნით და 18 მორტირით), ყაზბეგი, დარიალი, ლარსი, ვლადიკავკაზი, არღონი (—ჩრდილო-ოსეთში), დურდუღის ციხე (—ჩრდილო-ოსეთში) და ურუხის ციხე (—ჩრდილო-ოსეთისა და ყაზბაღის საზღვარზე). და აა აქ ჩრდილო-კავკასიაში სწევდა ცნობების ჩაწერა ჯარის შესახებ. ხოლო ამის მიერშე, მთელი შემდეგი შორი გზის მანძილზე, ხანგრძლივი მოგზაურობის დროს (—გრ. ორბელიანის ცხენებით მიდიოდა; მოვაგონებთ მკითხველს, რომ ამ დროს რკინის-გზა არ იყო და მგზავრობა ჩრდილო-კავკასიიდან პეტერბურგამდის თითქმის ხელით თვე გასტანა, 22 ივნისიდან 11 ნოემბრამდე), —აი ამ მთელი შემდეგი გზის მანძილზე, დაწყებული ჩრდილო-კავკასიით და გათავებული ნოვგოროდით და პეტერბურგით, გრ. ორბელიანი ერთი სიტყვითაც აღარ აღნიშნავს ჯარის შესახებ ასეთ ცნობებს. ეს გარემოება, რასაკვირველია, ბევრს რასმე გვეუბნება; თუკი გრიგოლ ორბელიანის ინტერესი ჯარების დაბანაკების შესახებ მართლაც „უბრალო“ ყოფილიყო, ვანა წარმოსადგენია, რომ ამ მოგზაურობის დროს გრიგოლ ორბელიანს საქართველოდან — ჩრდილო-კავკასიაში მდებარე დეტალები არც ერთი მიერ მიერ ნახული პუნქტი, სადაც არ აღნიშნოს გარკვეული ხასიათის ცნობები ჯარების შესახებ, — და ამავე დროს ჩრდილო-კავკასიიდან პეტერბურგამდე ერთი სიტყვითაც არც ერთ შემთხვევაში არ აღნიშნოს ანალოგიური ცნობები? ამის მიხედვით ჩვენ საბუთი გვეძლევა ემიტროთ რომ გრ. ორბელიანი გარკვეულის მიზნით ყოფილა დაინტერესებული ჯარების დისლოკაციის საკითხით, იგი პერტება ცნობებს სამხედრო მდგომარეობის შესახებ სწორედ საქართველოს სამხედრო გზაზე და ჩრდილო-კავკასიის მეზობელ რაიონებში, ე. ი. სწორედ იმ ადგილებში, რომელთაც უშუალო მნიშვნელობა ექნებოდათ აჯანყების დაწყების დროს.

ცნობებს ჯარების დისლოკაციის შესახებ გრიგოლ ორბელიანი სიანს აწვდიდა ტფილისში შეთქმულთა მთავარ კომიტეტს სანდო პირთა საშუალებით. (საქართველოსა და რუსეთში მყოფ შეთქმულობის წევრთა შორის მუდმივი კავშირი არსებობდა).



გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“, ასი წლის ტყვეობის შემდეგ ჩვენი ქართული მწერლობის სამკვიდრებელში იმ ადგილს, რომელიც მას ლორსები-სამებრ ეკუთვნის.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობის“ სახით ჩვენ გვაქვს ეპოქალური პო-ლიტიკურ-ლიტერატურული დოკუმენტი იმავე რანგისა, როგორც არის ნიკო-ლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერი-ლები“. მე-19 საუკუნის ქართულს ლიტერატურაში — ვიდრე სამოციან წლე-ბამდე — ამ სამ ლიტერატურულ ძეგლში ყველაზე მკვეთრად აისახა ქართული ეროვნულ-განმანათლებელი მოძრაობის იდეოლოგია.

ეს რაც შეეხება ამ ძეგლის იდეურ მიზანდასახულობას.

დასასრულს, რამდენიმე შენიშვნა გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“-ზე, როგორც წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებზე.

თანამედროვე მკითხველისათვის, რასაკვირველია, უცხოა არქაული ელ-ფერი გრიგოლ ორბელიანის ენისა; უცხოა აგრეთვე ის ერთგვარი სენტიმენ-ტალური იერი, რომელიც ვადაჰკრავს „მგზავრობის“ ცალკე ადგილებს. მაგ-რამ — ეს დროის ხარკია!

ზოლო ამავე დროს გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“ აღბეჭდილია დიდი შინაგანი სიმართლით; იგი განათებულია კეთილშობილი პატრიოტიზმის ელ-ვარებით, რაც ამ ძეგლს წარუვალს მნიშვნელობას ანიჭებს მე-19 საუკუნის ქართულს მწერლობაში.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“, ნაწარმოები დოკუმენტალური პრო-ზის (ნარკვევის) ჟანრისა, დაწერილია დიდი მწერლის ხელით. საქმიანი ხასია-თი, რომლითაც აღბეჭდილია გრიგოლ ორბელიანის თხრობა, საესეებით ადმეკვა-ტურია თხზულების შინაგან სტილთან. აეტორი აღწევს მხატვრული სიტყვის ნამდვილს უშუალობასა და სიმართლეს, ჩვენ თითქოს გვესმის თვით მწერლის ბუნებრივი ხმა. ამ საქმიანი მოთხრობის ფონზე მით უფრო მეტის სიმკვეთ-რით იგრძნობა ის კეთილშობილი პატრიოტიზმი, რომლითაც განათებუ-ლია თხზულება.

აღსანიშნავია ამას გარდა კიდევ ერთი მხარე გრიგოლ ორბელიანის „მგზავ-რობა“-ში. „მგზავრობა“ ეს არის ერთი პირველი ნაწარმოებთაგანი ქართულს მწერლობაში, რომელშიც გაცოცხლებულია კავკასიონის მთების დიდი ბუნება.

— „აქედამ დაიწყების საკვირველი იგი სიჩქარე თერგისა, რომელიცა ყოველთა მხილველთათვის არს განსაკვირვებელ. მიიღებს რა გარდმოქა-ნილთა მათათაგან მდინარეთა, თერგი დულდების, ჰრისხდების, და ვითარ-ცა გაცოფებული ჰყრის ქაფთა და ჰრბის გრიალითა. ვერა-რასა ძალ-უძს წინააღუდგეს მისსა გიჟურსა სიჩქარესა. შეხედებინა მას დიდროანნი, საზარელნი ლოდნი? — მხლტების მალა და მათზედა გარდაველების; და მაშინ წარმოუდგების თვალთა მშვენიერ შადრევნად, ანუ მთად აღ-მასებრ გარდმოფანტულად“.

ასეთის ენით საქართველოს ბუნებაზე ბევრს არ უწერია.

შალვა აფხაიძე

ბრძოლის პოეზია

სიცოცხლის, გაზაფხულის, ცხოვრების აღორძინებისა და ბუნების სილამაზის მეხოტბე პოეტია ალიო მაშაშვილი. მის მრავალფეროვანსა და მუსიკალურს პოეზიაში მზის სხივები იჭრება ხშირად, თითქმის ყოველ მის ლექსში მზე სუნთქავს. მზის მომღერალი პოეტია უმთავრესად ალიო მაშაშვილი. დაწყებული პირველი ლექსებით და გათავებული უკანასკნელი პოემით პოეტი გულმართალი ხმით უმღერის სიცოცხლეს, მის შუქს. ამიტომ არის, რომ პოეტის ლექსები მოზღვავებული გრძობით, აღტაცებული ხმითა და ფოსფორული სინათლით მეტყველებენ. აღსანიშნავია ის უდაო გარემოება, რომ სინამდვილე, ჩვენი დღევანდელი პოეტის შეგნებაში მოცემულია არა როგორც ისეთი მოვლენა, რომელიც დამშვიდებული სიხარულის, შელამაზებული ყოფის მატარებელია მხოლოდ. იგი ცხოვრებას უდგება არა იდილიური, განყენებული პოზიციიდან. პოეტი სრულიადაც არ ამარტივებს სინამდვილეს, არ გვისახავს უკანასკნელს ზერეულად, არ დაჰყავს იგი უზრალო პრიმიტივიზმად.

პირიქით, მისთვის „სიცოცხლე მუდამ სიხარულია“ იმ წინააღმდეგობათა დაძლევაში, იმ რთული და გამძაფრებული ურთიერთობის გახსნაში, რომლითაც ჩვენი სინამდვილე ხასიათდება. ცხოვრება პოეტისათვის სიხარულია იმდენად, რამდენადაც სულიერ წონასწორობას, ჰარმონიას იგი აღწევს წინააღმდეგობათა დაძლევით. ამიტომ პოეტის ოპტიმიზმი, რომლითაც იწვის მთელი მისი შემოქმედება, ფართო პერსპექტივი და გამჭვირვალე პორიზონტი ღრმა საფუძველს ეყარება და გამძლეა.

ალიო მაშაშვილის პოეზიის მთავარი მოტივი, ხელმძღვანელი იდეა არის ბრძოლა, შეუნელებელი ბრძოლა გამარჯვებული კლასისა, აგრესული, შემტევი ბრძოლა ცხოვრების გარდაქმნისათვის, მისი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, პირველ ლექსებშივე გვამცნობს იგი თავის პოეტურ Credo-ს. მთელ რიგ ლექსებში პოეტი განსაზღვრავს მწერლის მოვალეობასა და მის შემოქმედებითს გზას, ნიშანდობას ხალხის სამსახურისაკენ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ალიო მაშაშვილის პოეტურ ამღერებისას ქართულ ლიტერატურაში მთავარი პოზიციები დაკავებული ჰქონდათ სიმბოლისტებს. მათს შინაარსით დაკლილ პოეზიას კომკავშირელმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა დაუპირდაპირა ახალი გამარჯვებული კლასის — პროლეტარიატის იდეებისათვის ჰერძოლი ლექსი, ლექსი მთლიანად სამოქალაქო მოტივებით აყვარებული.

მართალია, მის პირველ ლექსებს ემჩნევა რუსი ლექსების ერთგვარი გავლენა, უმთავრესად ფორმის აღნაგობაში, მაგრამ შემდეგში შემოქმედებითი პროცესის განვითარებასთან და მომწიფებასთან ერთად იგი ახსნადიან-სხლესამ უცხო გავლენას და იმუშავებს საკუთარ სტილსა და პოეტური სახის შექმნის მეთოდს. პოეტისათვის ლექსი იგივე „ჯარისკაცია, რომელიც იბრძვის კლასთა ბრძოლების ბარიკადებზე“. ამრიგად ალიო მაშაშვილი პოეტური ენის ამოღვომისთანავე მიზნად ისახავს დააყენოს ლექსი ხალხის სამსახურში, აამეტყველოს იგი საზოგადოებრივ-მოქალაქობრივი იდეებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოეტი არ თიშავს ერთმანეთს მხატვრული სიტყვის ორ სუბსტანტს — შინაარსსა და ფორმას, ორივე მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი. ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში, რომელსაც „პოეტი კაპიტანი“ ეწოდება, ალიო მაშაშვილს უფრო მეტი გარკვეულობით აქვს წარმოდგენილი პოეტის დანიშნულება სოციალისტური მშენებლობის პირობებში, მწერალი, შემოქმედი მისთვის, ისევე, როგორც ჩვენი კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის, არ წარმოადგენს მოვლენათა ფიქსატორს, ცხოვრების მაჩანჩალს, უკვე გათვლილი და მოტკეპნილი ბილიკებით მოარულს. პოეტი, შემოქმედი წინ უნდა უზწრებდეს ყოველდღიურ აზროვნებას, იგი უნდა იხედებოდეს პერსპექტივაში, შლიდეს მკითხველის წინაშე ფართო პორიზონტს და ცოცხლად უხატავდეს მას წარმატებულად. შემოქმედი ცხოვრებას უნდა ხედავდეს და ასახავდეს მსვლელობაში, მტკივნეულ წინააღმდეგობათა გადალახვაში. პოეტი გაღვივებულ გრძნობაში უნდა ასრულებდეს კაპიტანის მოვალეობას, იგი მებრძოლთა წინა რიგებში უნდა იდგეს. ბრძოლის, წინსწრაფვის, რევოლუციური გატაცების აპოლოგიას წარმოადგენს ზემოთ დასახელებული ლექსი, რომელშიც გადაშლილია პოეტის მხატვრული კონცეპცია:

„რათ გინდა ლექსი, რომ ფეთქავდეს
ბრძოლის ხალხით,
სიტყვა ღარიბი თუ ჩააცვი
ტანზე ჩერებებით?
არის თუ არა ეინმე ისე
შესაბრალისი,
როგორც პოეტი,
ცხოვრებისგან ჩამორჩენილი.“

და მართლაც, პოეტა ყოველთვის ცდილობს არ უღალატოს ამ რწმენას, იგი თავის ლექსებში გვრდს უვლის „ღარიბ“, „ჩერების“ მსგავს სიტყვებს და შესაფერი სამკაულით რთავს მალაღბარისხოვან, დღევანდლობის მოწინავე იდეებს.

თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში ალიო მაშაშვილი იპყრობს საგრძნობ მწვერვალებს; საინტერესოა ის გარემოება, რომ პოეტი გატურბის ერთფეროვნებას, სტანდარტს, ერთგვარობას, ტრივიალურ-ფორმალურ ორნამენტობას. ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს ახასიათებს ფრენის სიმაღლის სხვადასხვაობა. იშვიათია ისეთი გამონაკლისი, რომ მხატვარი, არტისტი, მწერალი ყოველ თავის ნაწარმოებში შემოქმედების თანაბარ სიმაღლეზე იდგეს, ერთნაირი, უცვლე-

ლი შემოქმედებითი ენერჯია ახასიათებდეს. ერთნაირი ტემპურამენტის დაცვა ახასიათებს ხელოსანს და არა ოსტატს, შემოქმედს.

აღიო მაშაშვილის პოეზიის უდაო ღირსება ის არის, რომ იგი ეძებს რა თავიდანვე სწორ, რევოლუციურ ორიენტაციას, შემდეგში აღიო ლალატობს მას და თანდათანობით, ნამდვილი პოეტური გზებით ამართლებს ახლად შექმნილ ლექსებში.

აღიო მაშაშვილის შემდეგი ნიშანდობლივი ღირსება არის მისი ორგანულ-ლობა, მთელი თავისი პოეტური აზროვნებით სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირება. იგი მთელი თავისი შეგნებით და ემოციური სამყაროთი ოქტომბრის რევოლუციის იდეებთან არის შეზრდილი, შესისხლხორცებული. მას, აღზრდილს სახელოვან ლენინურ კომკავშირის ბრძოლის ტრადიციებზე, პოეზიაში გადააქვს საბრძოლო სულისკვეთება, შემოქმედებითი აღფრთოვანება, აქტიური, მთლიანი ნებისყოფა და დაძაბული გრძნობა. ამ მხრივ აღიო მაშაშვილის პოეზიას ჩვენს აღორძინებულ პოეზიაში განსაკუთრებული და გამოსარჩევი ადგილი უკავია.

ყოველ ლექსში მკითხველის წინაშე სდგას პოეტი მოქალაქე, პოეტი მებრძოლი. პოეტი, მდგარი საბჭოთა საზოგადოებრიობის სადარაჯოზე. ეს არის პარტიული იდეურობით შეკრული ღირიკა, სულის ეღერა, როცა ინტიმური, ადამიანური გრძნობები მკიდრო მთლიანობაში არიან საზოგადოებრივ მაჯის-ცემასთან. პოეტი არ ლალატობს მხატვრულ ალღოს და, სძლევეს რა აბსტრაგირებულ სახეებს (რაც შემოქმედების პირველ საფეხურზე ახასიათებს მას), ჰქმნის დასრულებულ პოეტურ ნაწარმოებებს.

პოეტის შემდეგი დამახასიათებელი ღირსებაა თემის მრავალფეროვნება, პოეტური ენარების სხვადასხვაობა. მისთვის ერთნაირად ხელშესახები და ღირებულია საზოგადოებრივი სუნთქვით გამთბარი ღირიკა, სატირა, ეპიური ხედვა, იუმორი, პოლემიკური სიმძაფრე. ეს პოეზია, შეიძლება ითქვას, ჩვენი მდიდარი ცხოვრების პოეტური ეპოპეა, რამდენადაც იგი ერთნაირი ინტენსივობით და გულზმირად ეხმარება ყველა იმ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას, რომლებითაც საესეა ჩვენი სოციალისტური სინამდვილე და რომლებიც ამ უკანასკნელის განვითარების თანმიმდევრობითი საფეხურების ამსახველია.

ცნობილია, თუ რა განუზომლად დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში თავის დროზე აზვირთებულმა დამკვერობის ტალღამ, გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის ინიციატორიც ლენინური კომკავშირი იყო. ამ ერთ-ერთ უდიდეს საფეხურს შრომის სოციალისტურ ორგანიზაციაში, ჩვენი მრეწველობის აღმავლობის პროცესში მთელი საბჭოთა პოეზია გამოეხმაურა. ეს უკანასკნელი საგრძნობლად გამდიდრდა ახალი სულისკვეთებით, შეიქმნა მთელი რიგი პოეტური ქმნილებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ „ბოლშევიკური სულისკვეთების“ ჩამოყალიბებას. ამ ნაწარმოებებს შორის უნდა აღინიშნოს აღიო მაშაშვილის ექსპრესული ლექსი „დამკვერელი ბრიგადები“, სადაც ლაპარაკობს პოეტი ტრიბუნი, პოეტი მომზადებული და სადაც იგი მაიაკოვსკის პოლიტიკური პოეზიის პათოსამდე აღის. ლექსის ზეგავლენითი მნიშვნელობას აძლიერებს მისი აჩქარებული რიტმი, საერთო ორკესტრირება. „დამკვერელი ბრიგადები“ თავისი ბოლშევიკური გამიზნულობით, თავისი დაუდგრომელი, დამკვერობითი მუშაობის შესატყვისი

რიტმით ერთი საუკეთესო ლექსთაგანია ქართულ პოეზიაში და დამსახურებული პოპულარობითაც სარგებლობს. ეს ლექსი ადექვატურია იმ ამაღლებული, აღფრთოვანებული შრომითი ხალისისა, რაც ასე ახასიათებს დამუშავებულბასა და სოციალისტურ შეჯიბრებას:

„თუ გვიბრძოლია თოფით, სხეულით,
დღესაც მედგარი ბრძოლა გვეჭირია,
შრომის ფრონტიდან გამოქცეული
იგივე ბრძოლის დეზერტირია.“

ასეთი ცოცხალი, ხორცსმული სიტყვებით მოუწოდებდა პოეტი მშრომელთ სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრის მშვენიერ გარიჟრაჟზე. რევოლუციური რომანტიზმი პოეტს საშუალებას აძლევს გამოჰყვეთოს პათოსით სავესე მძაფრი სახეები.

აღიო მაშაშვილის შემოქმედების ევოლუციის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი არცერთ შემდგომ ლექსში არ ღალატობს პოეტის როგორც ტრიბუნის, ამ ხაზს, რომ, პირიქით, ამ უკანასკნელს იგი მეტის მხატვრული დამაჯერებლობით ანვითარებს შემდგომში. ეს ევოლუცია გვარწმუნებს, თუ რა თანდათანობით იზრდება მისი ინდივიდუალური პოეტური ხმა, როგორი თანდათანობით სძლევს უცხო, მოტანილ, პირველ ხანებში შესამჩნევ წმინდა სახის ლიტერატურულ გავლენას და საბოლოოდ საკუთარ პოეტურ სტილს იმუშავებს.

მართლაც, მკითხველის ყური ადვილად დაიჭერს მის პირვანდელ ლექსებში ამ უცხო სკოლის გავლენით წარმოშობილ პოეტისათვის არა ორგანიულ ჰანგებს. ეს არის ციკლი ლექსებისა, რომლებიც პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის განვილლ გზას ახასიათებს. ბუნებრივია, როცა ამ ლექსებში ჩვენ გვესმის სხვადასხვა რიტმი, მხატვრულ სახეთა ისეთი წყობა, რომელიც გამომდინარეობს არა პოეტის იმდენად შინაგან ხილვიდან, რამდენადაც გაბატონებულ ლიტერატურულ გემოვნებიდან.

იშვიათია, რომ მწერალს შემოქმედებითი მუშაობის დაწყებისას არ განეცადოს მოწაფის მძიმე და მტკივნეული როლი, როცა მას მხატვრულ სიტყვასთან უსწორ-მასწორო ბრძოლაში უნებლიედ უხდება უკვე შემუშავებული, უკვე სხვა შემოქმედთა მიერ დადგენილი იარაღის გამოყენება, სხვათა მიერ დიდის სიმწარით დამზადებული საბრძოლო აბჯრის ასხმა. ამიტომ კანონზომიერად შეიძლება ჩაითვალოს იმ ნაცნობი საბრძოლო იარაღის ელარუნი, რომელიც მკითხველს „განვილილ გზა“-ში მოთავსებლ ლექსებიდან ესმის. მართლაც, ამ ქარში მოთავსებული ლექსები დათარიღებულია უმთავრესად 1921-24 წლებით, იმ წლებით, როცა პოეტი პირველად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და რომლებიც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან არიან დაკავშირებული. პოეტი შემოდის ახალი იდეებით, ახალი სწრაფვით, რევოლუციური გზებით, მაგრამ მას ჯერ კიდევ არა აქვს ამ იდეების გამოხატვის შესატყვისი ფორმალური საშუალება.

თუ ჩვენ გავკვრით ეჩერდებით ამ ციკლის ლექსებზე, ეს არა იმიტომ, რომ მათ ნაკლთა აღნიშვნის ეინი გვაშოქმედებს; ამას პოეტის შემდეგდროინდელი პროდუქციის შეფასებისთვის პოზიტივეური მნიშვნელობა არა აქვს. ამას მნიშ-

ვნელობა აქვს მხოლოდ, პოეტის ზრდა განვითარების ნათელი წარმოგვიჩინოს, მისი შემოქმედების ბიოგრაფიისთვის. ჩვენი მიზანიც ის არის, რომ ამ პირველი ლექსების ნაცლოვანებათა გაკვირვებით აღნიშნავთ ჩვენს გულსათ იმ კონტრასტს, რომელსაც ჰქმნის მათთან შედარებით შემდგომი მსალხარისხოვანი პროდუქტია პოეტისა, მეტის სიმკვეთრით გამოვავინოთ ის შინაარსიანი, ძნელი და საკმაოდ რთული ევოლუცია, რომელიც განვლო პოეტმა ვიდრე საკუთარ, სრულიად დამოუკიდებელ პოეტურ სამყაროს შექმნიდა, რომ თქმული ლიტონ სიტყვებად არ ჩამოგვართვან, მოვიყვანთ სულ რამდენიმე მაგალითს იმისას, თუ რა ლიტერატურული გავლენებით აიღვა ფეხი პოეტმა და როგორი თანდათანობით დასძლია მან შემდგომი ისინი ამ გავლენებთან შეუნელებელ ბრძოლის პროცესში.

მაგალითად, ლექსი „სალამი კარვებს“ უმკველია დაწერილია „ლურჯი ცხენების“ თქარუნის გავლენით. ეს ლექსი ნაცნობი რიტმით მიეშურება. „განვლილი გზა“-ში მოთავსებულია ისეთი ლექსები, რომლებშიც კოსმიზმის სხივია შეჭრილი, რომლებიც დატვირთულია განყენებული, ალგორითული სახეებით. ასეთია, მაგალითად, თუნდაც: „ვეტრფი ფოლადის ფიქრების ტევანს, მივდევ სურვილის ლანდების გროვას“, ან და „ღამე მუხლებში იღუნება ბეგემოტივით და ილიმება ვარსკვლავების თეთრი კბილებით“. „სურვილების ლანდები“, „ვარსკვლავების თეთრი კბილები“ და სხვა ასეთი ყოველგვარ კონკრეტობას მოკლებული სახეები იმ ხანებში დამკვიდრებულ სიმბოლისტურ პოეზიაში ჰყვავოდნენ. „არც კაცი ვარგა, იყოს ქვეყნად მოქალაქე და დამურასავით მზის ამოსვლას ემალეზოდეს“ — ნ. ბარათაშვილის პოეზიის რემინისცენციაა, გაცილებით დაბალ ხარისხში მოცემული. დასახელებული ლექსების ციკლში უმკველია არის ლეფური გავლენაც: „მეც დამაცადეთ ამ გრივალში ამ ზღვაზე გასვლა და მაშინ ნახეთ, ვარ თუ არა ლექსში ვენია“ და სხვ. არის „ზაფხური“ ლექსის შორეული შრიალი და სხვ.

ყველაფერი ეს მიეწერება პოეტის სურვილს — მიიტანოს თავისი ხარკი განვლილი ლიტერატურის ეპოქის წინაშე. აქ საგულისხმო და ყურადსაღები ის გარემოებაა, რომ ალიო მაშაშვილი, როგორც ერთგული შვილი რევოლუციური ქარიშხლებისა, ჩაბმული ჩვენში გაჩაღებულ სოციალისტურ მშენებლობაში, მალე სძლევს ლიტერატურული ტრადიციით შექმნილ დაბრკოლებებს, დგება საკუთარი სოციალისტური მიზანდასახულობის გაკაფულ გზაზე და ხდება მაღალხარისხოვანი მხატვრული პროდუქციის ავტორი.

აღნიშნულ პირველსავე ლექსებში პოეტს ამასთანავე უხვად აქვს მობნეული თესლი, რომელიც ამოსვლისას და დამწიფებისას უხვ და მდიდარ ნაყოფს იძლევა. ამ მხრივ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ აღრიბდელი ლექსების ციკლს, რომლებიც განსაზღვრავენ ალიო მაშაშვილის მთავარ, მაგისტრალურ ხაზს, მისი შემდგომი შემოქმედების მიმართებას, იდეურ სიმაღლესა და ღრმა პრინციპულობას.

პოეტი კომკავშირელი ამ ლექსებში ახერხებს მთელი და გულმართალი ხმით უმღეროს კაცობრიობის უდიდეს ბელადს — ლენინს, შექმნას დიდი სიყვარულით გამთბარი მისი დაუეიწყარი სახე. პოეტი მღელვარე გრძნობებით ამუშავებს ამ ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო თემას და შესატყვის შედეგ-

საც აღწევს, ჩვეულებრივი ორგანულობით და ღრმა პოეტური განცდილობისა და ლენინის მონუმენტურ სახეს:

„ჩვენ კომუნარები სხვადასხვა ქვეყნიდან,
სხვადასხვა ენის და მზის გამომსახველი,
შევეყრილვართ შენს ირგვლივ და თვალებიდანვე
მზესავით ამოგვდის შენივე სახელი.“

ერყინული
ზინლიწითელი

მახსოვრობიდან არ წაიშლება ის მწუხარე დღეები, რომლებიც დიდი ლენინის გარდაცვალების გამო აცრემლდნენ, ის გლოვა და მწუხარება, რომელმაც მთელი საბჭოეთი მოიცვა. ამ გლოვასა და სევდაში, გამოწვეულს უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვით, თან იჭრებოდა იმედისა და მომავლის რწმენის შუქი. საბჭოეთის ქვეყანაზე იმედის ქარიშხლად გადაიარა დიდი სტალინის უკვდავმა ფიქმა, ფიქმა, რომელშიაც მილიონთა ხმა ისმოდა.

ლენინის გარდაცვალება ღრმად დაიტირა საბჭოთა პოეზიამ. უნდა ითქვას, რომ ალიო მაშაშვილმა შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, რომელიც იმით არის გამოსარჩევი, რომ აქ ცრემლს ფარავს იმედი, სასოწარკვეთილებას სცელის რწმენა იმისა, რომ ლენინის საქმე მარად იცოცხლებს. პოეტი მშვენიერ, მხატვრულად გამართულ ლექსში გამოხატავს მთელი საბჭოთა კავშირის შრომელთა ღრმა სულიერ ტკივილს, უნაპირო სიყვარულს ლენინისადმი და ამასთანავე იმის დაუშვრეტელ რწმენას, რომ ლენინის საქმე გაიფურჩქნება, გამტკიცდება, გამარჯვებით დაგვირგვინდება, რომ ლენინი მუდამ შრომელთა გულში იცოცხლებს.

„შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,
გფიცავთ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძობებ
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე.“

და ნამდვილი პოეტური ხილვით, წინაგარძობით განაგრძობს:

„გაივლის ქამი მტვრევით, ზმაურით,
სულ სხვანაირი მოვა ცხოვრება,
მოვა სხვა ხალხი და სიყვარულით
შენს უკვდავ სახეს ეამბორება.“

რამდენიმე წელმა განვლო ამ ტრაგიკული წლის შემდეგ და მკითხველი უფრო მეტი სიცხველით, ცოცხალი გრძობით ეხმაურება ამ მშვენიერ სტრიქონებს, ვინაიდან მათში უტყუარად არის გამოხატული მისი დიდი სიყვარული ლენინისადმი. ამ ციკლის ლექსებში პოეტი საეცებით თავს აღწევს პირვანდელ ხელოვნურად აწეულ სტილს, ხშირად უშინაარსო პათოსს და უქანასქნელი ადგილს უთმობს უბრალოებას, გრძობის უშუალოებას, ნათელ ხედვას.

ასეთივე დინამიკური რიტმით, უკვე გამირული პათოსით და უშუალოებით გამოირჩევიან ის ლექსები, რომლებსაც ალიო მაშაშვილი ლენინური კომკავშირის უძღენის. აქ მისი პოეტური სიტყვა მრავალფეროვანია, ნამდვილად ხმა-შეწყობილი სიმფონია ახალგაზრდული ენტუზიაზმის, რწმენის, პეროიკის, შემ-

კულია, გააზრებულია მხატვრული სახეებით, ცოცხალი მეტაფორებით, პოეტური წარმოდგენებით.

კომკავშირელთა გმირული ბრძოლის თემა ალიო მაშაშვილის *საქართველო* აქვს დამუშავებული ქართულ პოეზიაში, ამ მხრივ იგი პიონერია და ამიტომ არის ასე პოპულარული მისი ლექსები ახალგაზრდა მკითხველთა შორის:

„ისევ ქუხს ჩემი ლექსის ნალარა,
ვით უწინ, ახლაც მხნე და გმირული,
თუმც გამერია თმებში ქალარა,
გული მაინც მაქვს კომკავშირული.“

ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, გვანტერესებს არა ასაკით გამოწვეული გრძნობების ასოციაციები. ეს განწყობილება საყურადღებოა იმით, რომ იგი გამოხატავს საბჭოთა პოეზიის საერთო განწყობილებას, მის სიჯანსაღეს, მის ნათელ ოპტიმიზმს, დამყარებულს საზოგადოებრივი წყობის განვითარების მარქსისტულ-ლენინურ გავებაზე, გამოხატავს სოციალისტური საზოგადოების რიტმსა და მაჯისცემას.

შეუწყვეტელი კავშირი ახალგაზრდულ საწყისთან, კაცობრიობის ცხოვრებაში დამდგარ ნამდვილ ვაზაფხულთან, მის ცხოველმყოფელ წყაროსთან პოეტის დამახასიათებელი შინაგანი თვისებაა. ამ განწყობილების ვაგლენით არის შესრულებული ალიო მაშაშვილის „კომკავშირული სიმღერა,“ რომლის მთავარ მოტივს წარმოადგენს სიყვარული დიდი სტალინისადმი, „ლაითურის კომკავშირელი“, რომელიც მდიდარია კონკრეტული მასალით, ცხოვრებიდან აღებული და მხატვრულ ასპექტში გატარებული ყოველდღიური მოვლენებით, სინამდვილის ეპიური მხერით, „საზემო“, რომელშიაც პოეტი ამბობს: „ჩვენი სამშობლო კომკავშირია.“ ეს არ არის დეკლარატიული თქმა, ეს პოეტისთვის ორგანულია, იმდენად ახლო და ნათესაურია მისთვის კომკავშირული ორგანიზაცია. ლენინურმა კომკავშირმა ალიო მაშაშვილის სახით თავის მისწრაფებათა და კეთილშობილ ლტოლვათა საუკეთესო მომღერალი ჰპოვა ქართულ პოეზიაში.

სოციალისტური მშენებლობის თემების დამუშავებისას ალიო მაშაშვილი თავისი ყურადღების ცენტრში აყენებს არა გარეგნულ მხარეს, არა დეკორაციის ცვლას, არამედ ადამიანის ბუნების გარდაქმნას, იმ ცვლილებებს, რომლებსაც განიცდის ადამიანის შეგნება ამ მშენებლობის პროცესში მთელ იმ მოვლენათა ზეგავლენით, რომლებიც დღევანდლობას შეადგენენ. ერთ შემთხვევაში ეს გარდაქმნა მიმდინარეობს შედარებით მშვიდი, ოდნავ შესამჩნევი ფსიქოლოგიური ნიუანსების გზით. სხვა შემთხვევაში კი ღრმა შინაგანი კონფლიქტების, დრამატიზმის ნიშნით. ასეთია, მაგალითად, მისი პოემა „ენჯური“. სხვა ხანებშია მოცემული ლექსები, რომლებიც კოლხიდისა და სხვა მშენებლობას ასახავს. აქ კონტრასტების, უფრო ფერწერითი ხერხია გამოყენებული, და ორი სოფლის სურათის ფონზე მოხდენილად იჭრება პოეტის ლირიკული ხმა. დიადი მშენებლობის პროცესში მისი სოფელი სახეს იცვლის, პოეტს სულ სხვა სურათი ეშლება წინ, სხვა ნათელი დაჰკრავს დედის სახესაც: „კვლავ დაბაჟნობს დედაჩემი სახე ნათელი“.... უნდა აღინიშნოს, რომ დედის საყვარელი სახე ხშირად გაივლევებს ხოლმე პოეტის ლექსებში და იგი ყოველთვის

იშვიათი ალერსით და ადამიანური გრძნობით არის გარემოცული. ამასთანავე ეს სახე პოეტს გამოყენებული აქვს იმ სოციალური ძვრების გამოსახატავად, რომლებიც მოწმენიც ჩვენა ვართ.

აღსანიშნავია ერთი დამახასიათებელი გარემოება, სახელდობრ ის, რომ პოეტი არ სტოვებს ყურადღების გარეშე ინტერნაციონალური ხასიათის თემებს. ამას ხაზი უნდა გაესვას იმიტომ, რომ მშრომელთა მასებში ინტერნაციონალური სოლიდარობის შეგნების შეტანას და გავრცელებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. პოეტი აგვიწერს მუშის დახურულ, დახშულ პერსპექტივს კაპიტალისტურ ქვეყნებში, უმუშევრობის საშინელებას, შიმშილის აჩრდილს. ეს გარემოება მით უფრო მისათითებელია რომ უკანასკნელ ხანებში კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის აუტანელი მდგომარეობის ასახვა ჩვენს პოეზიაში ნაკლებ ადგილს პოულობს, რაც მის ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან კაპიტალისტური საშინელების ფონზე მეტი სიამაყითა და ბრწყინვალეობით გაანათებს საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული განახლებული ცხოვრება.

არ შეიძლება ამ მიმართებით არ შეეჩერდეთ ერთ-ერთ ლექსზე, რომელიც მოფიქრებითა და შესრულებითაც გამარჯვებულ ლექსებს მინდა მივაკუთვნო. ეს არის „ნარდის თამაში“. აქ ჩვეულებრივი ნარდის თამაშის სახით მოხერხებულად არის მოცემული იგივე კლასიური ბრძოლის ასპარეზი, იგივე მოპირდაპირეთა დაუზოგველი და სამკედრო-სასიცოცხლო შებმა, პოეტს აინტერესებს არა ნარდის თამაშის პროცესი, არამედ ის ასოციაციები, რომლებსაც ეს თამაში იწვევს. მის წინაშე „ნარდი კი არა — კლასობრივი ბრძოლის ბანაკია“, ნარდი, ქვები და კამათლები ის აქსესუარებია, რომლებიც მას იმავე ბრძოლას, ყუმბარებსა და მტრის გველის თვალებს აგონებენ. ამრიგად ლექსის ღრმა იდეურობით გამართვა ალიო მაშაშვილს გამოსარჩევ ადგილზე აყენებს.

ყველა ზემოთჩამოთვლილი თემა პოეტისთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარ დამხმარე, მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს იმ მთავარი წამყვანი თემის დამუშავებისთვის, როგორსაც ალიო მაშაშვილის პოეზიაში დიდი სტალინის სიყვარულისა და საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობა წარმოადგენს. ხაზგასასმელია ის აუცილებელი ფაქტი, რომ პოეტი სწორედ იმ ლექსებში აღწევს დავაჯაცებას, სიმწიფეს, მხატვრული ოსტატობის მაღალ დონეს, რომლებშიც წამოყენებულია სამშობლოს სიყვარული და რომლებიც ამ ბედნიერი სამშობლოს შემოქმედს დიდ სტალინს უმღერიან. უნდა ითქვას ისიც, რომ სამშობლოს თემა პოეტისთვის არც თავისი პოეტური კარიერის დასაწყისში ყოფილა უცხო. პოეტის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი სწორად, სტალინურად წვეტს ალებულ თემას, მისთვის ერთნაირად უცხო და მიუღებელია პარტიის ხაზის დამახინჯებელთა, შემდეგში ტროცკისტთა ბანაკში შოკალათებულთა ეროვნული ნიპილიზმი და ნაციონალისტური სულისკვეთება. პოეტი არა ერთხელ უბრუნდება პირვანდელ ლექსებშივე სამშობლოს საკითხს, საბჭოთა პატრიოტიზმის თემას, და მას ყოველთვის ინტერნაციონალური სოლიდარობის, ხალხთა მეგობრობის თვალსაზრისით აშუქებს.

1924 წელს დაწერილ ლექსში „მიმართვა პოეტებს“ ასეთი აგზნებული გულით უმღერის მშობლიურ ენას:

„მამ, შეგობრებო და პოეტებო,
მშობლიურ ენას პატივი ეციო,
თქვენი სახელი ხალხს მოედება
თუ მას დაანთებს ქართული ცეცხლი“.

ალიო მამაშვილი
ეროვნული
ხელმოწერა

შემდეგში სოციალისტური მშენებლობის საბოლოო გამარჯვებასთან დაკავშირებით, პოეტი მეტის სიღრმით სწვდება ამ თემას და კარგი ლექსებითაც აგვირგვინებს. პირველ პლანზე აქაც ხალხთა მეგობრობის საკითხი სდგას:

არ ემტრება სომეხს ქართველი,
ფშავს არ აწუხებს ბოლშა ქისტების,
ერთად ვართ, როგორც მდინარის ტალღა,
მტრულად ერთმანეთს არ ვეჭიშპებით.“

უკანასკნელ წლებში შექმნილი ლექსები — „ჰიმნი სამშობლოს“ და „სამშობლო ბელადისა“ ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს უნდა მივაკუთვნოთ, რამდენადაც მათში სრულ პარმონიულ მთლიანობაშია მოცემული მაღალი იდეურობა და მხატვრული შესრულების დონე. ამ ლექსებში პოეტი, უმღერის რა აყვავებულ სამშობლოს, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების გამომჭედს ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს, ამელაენებს ამაღლებულ გრძნობებს, სამშობლოს დიდ სიყვარულს, ბუნების გაცოცხლების, ჭადაშიანურების უნარს.

პოეტის შთამგონებელი დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ა. ეს გარემოება, ამგვარად, ადასტურებს იმ აუცილებელ ფაქტს, თუ რა დიდ მათრგანიზებელ როლს ასრულებს ბელადის სახე პოეტის შემოქმედებაში, როგორ ასპეტაკებს და ამაღლებს მის გრძნობებს და რა მწვერვალზე აჰყავს პოეტის აღმაფრენა. მართლაც, სწორედ ამ ლექსებში იფეთქა უფრო ძალუმად პოეტის ნიქმა. ამ ლექსებში გაისმა პოეტის მდიდარი მუსიკალური ელერა ლექსის ორკესტრობის მხრივ, და შეამკო ისინი მეტყველი და ნაირფეროვანი სახეებით, მკრელი მეტაფორებით და გატაცებული რიტმით. ლექსები „ჰიმნი სამშობლოს“ და „სამშობლო ბელადისა“ გამოირჩევა მიწშიდველი სურათოვნებით, აღორძინებული, ნაპირებ-გადმოსული ცხოვრების უშუალო ხილვით და ჰომეროსებულის სიუხვით, როცა პოეტი შეძლებული ცხოვრების აპოლოგიას იძლევა:

„უხვი ნაყოფის და ქირნახლის
ხევად ქცეულა სოფლის ამაგი
ველარ ეტევა ქვევრში, ბელღებში
ღვინო, პური და ყველის მარაგი.
გამდიდრებულა მთელი მიდამო
დაუშრეტელი შრომის ბარაქით,
ჰღვივის სოფელი, გლეხის ეზოში,
ღვას სურნელება რძის და კარაქის.“

ეს არის ნამდვილი, რეალისტური ფერებით შესრულებული სურათი თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლისა. ასეთი გაშლილი რიტმი არის შესრულებული მთელი ეს სიმღონია.

ნამდვილი სასიმღერო, გულიდან ამოგლეჯილი გრძნობით არის გამთბარი პოეტის სიყვარული დიდი სტალინი და საქართველოს საუკეთესო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიმართ. მუსიკალობამ, შინაგანი რიტმის სიმდიდრემ ლექსი სიმღერად გადააქცია და ხალხის ფართო მასების კეთვინობად გახადა:

„ჩემო სამშობლო, დღეს შენი ერი
განახლებული ქართვლის ერია,
ასე ხშიერად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიმღერია.
ალისფერია შენი მიდამო,
ეგ შენი დროშაც ალისფერია,
შენი სიცოცხლე არის სტალინი,
შენი მარჯვენა არის ბერია.“

ამღერება, ნამდვილი პოეტური შთაგონება, სახის ტევადობა, რომლითაც განირჩევიან ჩამოთვლილი ლექსები, უკანასკნელთა მხატვრულ ღირსებას შალვა სწევენ.

ლაკონიზმი, მხატვრულ ფორმაში მოცემული აზრის სიზუსტე და სიღრმე ახასიათებს მის შემდეგ ლექსს:

„დაუშრეტელი ცეცხლის დენა ხარ,
ლელვა მზის შექით განათებული,
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,
ხალხის გენიად დაბადებული.“

უბრალოდ და მხატვრული ენით არის გადმოცემული სტალინის საყვარელი სახე.

როგორც აღვნიშნეთ ალიო მაშაშვილის შემოქმედებას, მაღალ იდეურობასთან ერთად, ახასიათებს მდიდარი მხატვრული ფორმა. ეს არის სახეთა უხვი დენა, მეტყველი მეტაფორები, მუსიკალური სმენა, საკუთარი მხატვრული კონცეპციის საგრძნობი დიაპაზონი და რითმების სიმდიდრე. პოეტი მეტწილად მიმართავს დაქტილურ რითმებს. ამ გარემოებას ხაზი უნდა გაეყვას და პოეტს ღირსებად უნდა ჩაეთვალოს, რამდენადაც იგი მიდის ფორმის არა გამარტივების, არამედ მის სიძნელეთა დაძლევის გზით. უკანასკნელ ხანებში, პოეზიის ხალხურობის, მისი იდეურობის საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთს ჰგონია, თითქოს ფორმის საკითხი სრულიად მოხსნილიყოს წესრიგიდან. ფორმალისტური სიმანინჯესთან ბრძოლა აქა-იქ ისე იქნა გაგებული, თითქოს ფორმა შინაარსისაგან გათიშულია და იგი საჭირო აღარ იყოს. თითქოს პოეზიის უბრალოება, გამჭვირვალობა, დასასრულ, ხალხურობა გამორიცხავდეს მაღალ-მხატვრულ გემოვნებას, კულტურას.

ამ მხრივ ალიო მაშაშვილის პოეზიას უთუოდ ლექსის მხატვრული ზომიერების გრძნობა, გემოვნება და კულტურა ახასიათებს. იგი იშვიათად მიმარ-

თავს გაცვეთილ და „ჩვრად“ ქცეულ სამკაულს, მისი რითმა უცხოებას და სურ-
ნელოვანია. ამ უკანასკნელის ღირსებას უფრო მაღლა სწევს მშვენიერი მუსი-
კალური სმენა, რაც საშუალებას აძლევს პოეტს ხშირად მიმართოს უჩრტერა-
ციას, ასონანსებს და ერთნაირად მკვლერ თანხმოვანი ბგერების ერთმანეთში გა-
დასვლის ზერხს და სხვ. ასეთია, მაგალითად მისი რითმები: „მთავორებს —
ავგროვებს, მთებური — ადიდებულნი, მნათობებს — გათოვებს, გიშრება — იშ-
ლება, ვიღრჩობით — უნიჭობით, სიხარული-კლარუნი, ვატრიალებთ — მათი-
ანე, ჩინურად — გადაკიმულა, კიდევაც — გადაკიდებაც, გულადობს — ვერა-
გულადო“ და მრავალი სხვა.

ასეთია მოკლედ ალიო მაშაშვილის მხატვრული პროდუქციის მთავარი
დამახასიათებელი თვისებები. იგი ეკუთვნის იმ პოეტთა რიცხვს, რომელთა
სიტყვა მკითხველს აღელვებს, აფრთოვანებს, ლექსებში მოცემულ გრძობების
თანამონაწილედ ხდის, არწმუნებს თვით ავტორის წმინდა და მაღალ ლტოლ-
ვაში. ამიტომ მკითხველს ბოლომდე სჯერა პოეტისა, როცა იგი ამბობს.

„მივალ იქ, სადაც ნახშირ-კლდიანი
ტრიბუნებივით დგანან მკერდები,
მე, როგორც ერთი ადამიანი,
ბრძოლას ბოლომდე შევაბერდები“.

მკითხველს სჯერა, რომ ეს არის პოეტის არა მშრალი დეკლარაცია, არა-
მედ მისი მრწამსი, მისი სიცოცხლის მიზანი, ვინაიდან ასეთი შინაარსისაა მთე-
ლი მისი პოეზია — ნაწილი მისი გულისა.



ალიო მაშაშვილის კალამს ეკუთვნის სარტყენზიო წიგნში მოთავსებული
სამი პოემა: „მე და ბარათაშვილი“, „აი-ადამიანი“ და „ენგური“. თუ მხედვე-
ლობაში მივიღებთ პოემის ნიშანდობლივ თვისებებს, უნდა ვთქვათ, რომ ამათ-
ში პოემად შეიძლება მივიღოთ მხოლოდ „ენგური“, რომელსაც აქვს თავისი
სიუჟეტი, ამ უკანასკნელის დინამიკური განვითარება და რომელც გვიხატავს
მთელ რიგ ტიპებს. პირველი ორი კი უფრო მოზრდილ ლექსებს წარმოადგენენ.

„მე და ბარათაშვილი“, რომელსაც პოეტის შემოქმედების განვითარების
გარკვეული საფეხურის, სახელდობრ, მომემარცხენე გადახრის კვალს ატარებს,
საინტერესოა თავისი მოფიქრებითა და პოეტური ნუანსებით. იგი უთუოდ კარ-
გი გამომხატველია პოეტის პოლემისტური სიძაფრისა და ამასთანავე იმის მა-
ჩვენებელიც არის, თუ როგორი ბზარი შეაქვს მხატვრულ ნაწარმოებში მკდარ
იდუფრ საწყისს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პოეტს კარგად აქვს მოფიქრებული
თემა: ბარათაშვილის დროინდელი ძველი თბილისისა და ახლანდელი, ინდუს-
ტრიული თბილისის დაპირისპირება და ამ ზერხით სოციალისტური მშენებლო-
ბის ბრწყინვალეების წინ წამოწევა, მაგრამ ეს თემა ისეთი ხაზებით ვითარდება,
რომ ლექსს უკარგავს სწორ ორიენტაციას და შიგ გაბნეული შესანიშნავი პოე-
ტური სახეები საქმეს ვეღარ შევლიან. ეს შეცდომა გამომდინარეობს ისტორი-
ული პერსპექტივის გაუთვალისწინებლობით, გენიოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის

თაშვილის მნიშვნელობის, ვიტყვით, შესაფერი დაუფასებლობით. სწორია ალიო მაშაშვილი, როცა ბარათაშვილს მიმართავს—„უფრო სწორია გზა და მიზნები“ (იგულისხმება ჩვენი), მაგრამ საკითხავია, შესძლომ ^{მაშაშვილი} ჩვენმა პოეზიამ ამ გზებისა და მიზნების ისეთი სიღრმითა და ფილოსოფიურ სიღრმით გაშუქება, როგორც ეს შესძლო ბარათაშვილმა თავისი დროის გზებისა და მიზნების მიმართ? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ჯერჯერობით დადებითი პასუხის გაცემა ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

მოცემულ ლექსში ალიო მაშაშვილს ერთი ასეთი ადგილი აქვს: საქართველოში „მოკვდა“ წარსული. აქ სიტყვა მოკვდა ჩასმული აქვს წინწყლებში. ეს ზერბი ვერა შველის საქმეს, ვინაიდან ლექსის საერთო ტონი, საერთო მიმართება სწორედ ამ „სიკვდილზეა“ დამყარებული. მართლაც, რამდენიმე მუხლის შემდეგ პოეტის შინაგანი რწმენა ვერ იფარავს თავს და ასეთ სტრიქონებად იშლება:

„გზა წინაპრებთან გაწყდა ძარღვივით,
ჩვენს და მათ შორის ჩადგა იარა“.

ამგვარად და გარკვევით არის თქმული, ყოველგვარი წინწყლების გარეშე-მთელი ლექსი ისეთი ზერბით არის აგებული, რომ ერთ პოლუსზე რჩება თვით ავტორი, მეორეზე კი ან მტრები არიან, ან უქნარა და ემიგრაციული პოეტების პლეადა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა შორის არ არის გატარებული სადერ-მაკაციო ხაზი. ზედმეტ, დრომოკმულ პოეტურ ფიგურებს შორის მოყოლილია ისეთი თვალსაჩინო და ცნობილი სახელები, როგორიც არიან ვალაქტიონ ტახიძე, ალ. აბაშელი და გრიშაშვილი—საბჭოთა პოეზიის ღირსეული წარმომადგენლები. ასეთ შეფასებას უეჭველია საფუძვლად უდევს მცდარი შეხედუ-ლებები.

საერთოდ „მე და ბარათაშვილი“ ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ნიკოლოზ ბარათაშვილი სამსჯავროს წინაშე იდგეს და მას ასეთ ბრალე-ბებს უყენებდნენ: „გამბედაობა იმას არ ჰქვია, რომ გაურბოდე ბედს უბედუ-რი“, „თითქოს და სხვები სუნთქვას ვიწლიან, იღრჩობი ნისლში, როგორც ობობა, ცრემლის მიზეზი მხოლოდ შიშია და ცხოვრებაში უმეგობრობა“, „რა გვირობაა ამ დროს ჩივილი, რა გვირობაა ცრემლით პროტესტი?“ და სხვ.

არ იქნებოდა მართებული, არ აღგვენიშნა ის გარემოება, რომ ლექსში არის ისეთი ადგილებიც, რომლებიც სწორად გადმოგვცემენ ნიკ. ბარათაშვი-ლის ტრაგედიას, მისი მოვლენის ფენომენალობას მაშინდელს სინამდვილეში. ჩვენ თუ გაკვრით შევჩერდით ამ ლექსის მცდარ მხარეებზე არა იმ მიზნით, რომ ერთხელ კიდევ გავახსენოთ იგი ავტორს, რომლის შემდგომი პროდუქცია საესეებით გამოირიცხავს ასეთი ხასიათის შეცდომებს, არამედ იმიტომ, რომ ობი-ექტიური ხაზი გაგვევლოს იმ ევოლუციისთვის, რომელიც პოეტის შემოქმედე-ბამ განიცადა.

პოეტის მრავალმხრივი ნიჭის ბეჭედი აზის მის მეორე ლექსს „აი-აღამი-ანი“, რომელიც წარმოადგენს მოხდენილ, მხატვრული სახეებით დატვირთულ სატირას მოლაყბე, მლიქვნელი, მეწიანური ცხოვრების ქაობში ჩაძირულ, ქო-რიკანა, ზნედაცემულ და მამლაყინწა აღამიანზე, რომელიც ცდილობს მოშხა-მოს ჩვენი შესანიშნავი, სოციალიზმის მზით გაბრწყინებული ცხოვრება, ამ

ლექსით ალიო მაშაშვილი აგრძელებს მშვენიერ ტრადიციას ჩვენი კლასიკური ლიტერატურისას, რომლის ხელში სატირა უძვირფასეს საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა.

„ენგური“ ალიო მაშაშვილის პოეტური ზრდისა და აღმავლობის ნიშნით არის შესრულებული. ეს უკვე ნამდვილი პოემაა სიუჟეტის მძაფრი განვითარებით, ეპიური თხრობით, ხასიათების დამუშავებით და აქედან გამომდინარე მწვერვე კონფლიქტების შექმნით. პოემა იწყება ენგურის ხეობის მაღალმზატკრულსახეებში გაღმოცემით. ამ შესავალში და შემდეგშიც პოეტი ბუნებას გრძნობს ორგანიულად, მასთან საკრალურ კავშირს ამყარებს. მკითხველი პოეტთან ერთად გრძნობს ბუნების სიდიადეს, მეტყველს „საიდუმლო რამ ენითა“, მის სიქალწულეს, პირველმყოფლობას, „სადაც უბრალო ფურცლის მოწყვეტა უდრის მიწაზე მენის დაცემას“ და „თან ისე ბნელა და სიწყნარა, რომ მიწის ბრუნვაც არის საგრძნობი“.

ასეთ ხეობაში იჭრება ადამიანი და ამზადებს ხე-ტყეს ქალაქის ქარხნისათვის. ბრიკადები ერთმანეთს ეჯიბრებიან. მათ წრეში შემცვრალა ბესა ბუკია, ტყის ყოფილი ტყაჩო, მექრთამე, გლეხობის ამწიოცებელი, ქოსატყუილა, მდიდარი მესაკუთრე. მოხდა რევოლუცია. ბესა ბუკია იძულებული ხდება გამოესალმოს თავის უზრუნველ, გლეხების ცემა-ტყევაზე აგებულ ცხოვრებას. ის მიდის სამუშაოთ ხელმძღვანელ ბურღუ შელიასთან და სთხოვს, მიიღოს იგი სამუშაოზე. მიმართავს ჰუმანისტურ სენტეციებსაც იშველიებს: „ადამიანი ნავი როდია, ნაპირს მივაბათ და მივატოვოთ“. ბურღუ შელია ღებულობს მას სამუშაოზე. მაგრამ ბესა ბუკიას და მისი ავან-ჩავანის მაქაქარიას მთელი გულისყური იკითყენა მიპყრობილი, რომ მუშაობის მსვლელობა შეაფერხონ, მუშებში უქმაცოფილება გააღვიგონ, ნაციონალური შუღლი გააჩაღონ. მას ამ ბნელ საქმეში ეხმარება ბუზპალტერი, რომელიც ხელფასს განზრახ უგვიანებს მუშებს იმ მიზნით, რომ მათში უქმაცოფილება შეიტანოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოეტი არ აღამაზებს სინამდვილეს, იგი, სდგას რა რეალიზმის მტკიცე საფუძველზე, სქელი საღებავებით აგვიწერს ვიწრო-მესაკუთრულ ტენდენციებს სამუშაოზე მყოფ გლეხებისას, ამ უქანასკნელთა ერთ ნაწილში ფეხმოკიდებულ ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიას („თუ გამაჯიუტებთ, გეტყვით ნახვამდის“).

ქარხანა აგებულია, მაგრამ მას არ აქვს საკმაო ხეტყის მასალა, რომ ამუშავდეს. ბურღუ შელიას მეცადინეობით მუშები ენერგიულად ებმებიან მასალის დამზადების საქმეში. ხეების ქრის დროს ბესა ბუკია, გართული წარსულის მოგონებით, ხელს უშვებს წასაქცევად გამზადებულ ხეს, რომელიც ბურღუ შელიას დაეცემა და ფეხს მოსტეხს. მოხსნიან ბესა ბუკიას, რომელიც მაქაქარიასთან ერთად მიპყიდ-მოპყიდის ყველაფერს და ტყეში გაიქრება. ქარხნის საზეიმო გახსნის დღეს უკვე მომჯობინებული ბურღუ შელია მიდის იქ, სადაც ხე-ტყე უნდა დააცურონ. მანებელ ბესა ბუკიასა და მაქაქარიას ცდით მოკრილი ხე-ტყე გაიხერგება. უბედურების თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება აბოზოქრებულ მდინარეში გადაშვება, რასაც მიმართავს ბურღუ შელია და ამით თავის სიცოცხლეს საფრთხეში აყენებს. შელია მიზანს აღწევს. ხე-ტყე გზას იკაფავს და თავისუფლად მიემართება წინ. აგებული ქარხანა ამუშავდება.

ასეთია სქემატურად, მშრალად გადმოცემული პოემის მთავარი შარღვი. პოემის მხატვრულ-იდუური რაობის გარჩევა მოითხოვს დამოუკიდებელ, ვრცელ სტატიას. ამჟამად ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ მთავარი ხაზების აღნიშვნით, რომელიც პოემის სურათს ჰქმნიან და მას ჩვენს საბჭოთა ეპიურ პოეზიაში ღირსეულ ადგილს ანიჭებენ. პოემის უდავო ღირსებათა წყევბას უნდა მიეკუთვნოს: თვით ამბის მოხერხებულად, დამაინტერესებლად, ბუნებრივად მოყოლა; სიუჟეტის დრამატიზაცია, რაც გადმოცემულია არა აწეული, რომანტიულ პათოსში გადასული, პოეტური სიტყვით, არამედ ისეთი ენით, რომელიც ახლოა ხალხურ სასაუბრო ენასთან და რომელიც ალაგ-ალაგ პროზაიზმამდეც დადის. პოეტს კარგად აქვს გამოყენებული ახალ თემატიკაზე აგებული ფოლკლორული მასალა. მოცემულია მოქმედ პირთა გამოკვეთილი სახეები, მეტადრე ისეთი უარყოფითი ტიპებისა, როგორიც არიან ბესა ბუკია და მაქაცარია. პოემა ვაცოცხლებულია ყოფის ზოგიერთი დეტალის მხატვრული ასახვით (ბუკიას სახლის აწერილობა და სხვ.) გამთბარია მშვენიერი ლირიკული ჩუქურთმებით, რომლებიც ბურღუ შელიასა და ლია ლენდიას რომანტულ თავგადასავალზე მოგვითხრობენ, მდიდარია უშუალო პოეტური სახეებით.

ცალკეული თავები ამ მხრივ ნამდვილი პოეტური ხილვითა და გემოვნებით არიან შესრულებულნი. ასეთია, მაგალითად, შესავალი თავი, რომელიც ასახავს ხეობაში ხეების ქრის პროცესს, შელიას ავადმყოფობა, სცენა, სადაც ბურღუ შელია თავის ბავშვობას იგონებს, და სხვა. პოემა სწორად ასახავს დამატულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდნენ შენიღბული მტრები სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

პოემა დაწერილია ტრადიციული ათმარცვლოვანი ლექსით და მდიდარი ჯგერდინი რითმებით არის შეკრული. აქაც, როგორც თავის ლექსებში, პოეტი ამკლავნებს მუსიკალურ სმენას, მოულოდნელი, ცოცხალი რითმებისა და პოეტური სახეების შექმნის უნარს. ყოველივე ზემოთქმული პოემის მხატვრულ ღირსებას მაღლა აყენებს.

აქვე არ შეიძლება თვითკრიტიკის წესით არ აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლიც. მთავარი ნაკლი ჩემის აზრით, არის პოემის მთავარი გმირის ბურღუ შელიას სახის გაუშლელიობა, ერთგვარი ბუნდოვანობის შეტანა მის ქცევასა და მოქმედებაში. დადებითი ტიპის შექმნის შედარებითა სიძნელემ უგვევლია ამ პოემაშიც იჩინა თავი. მართლაც, როგორ იქცევა ბურღუ შელია, ეს ყოფილი მწყემსი, რომელიც თავისი ნიჭითა და საბჭოთა ხელისუფლების მხარუნველობით დაწინაურებულა, რომელსაც თავისი ქვეყნის კეთილდღეობა ამოქმედებს და ასულდგმულებს? მას შემდეგ, რაც იგი ფეხს მოიტეხს, და სრულ სასოწარკვეთილებას შეეცემა, იგი მოწყვეტილი რჩება იმ გარემოსაგან, რომელმაც ის აღზარდა, რომელშიაც მან საზოგადოებრივი დაწინაურება მიიღო. ეს სასოწარკვეთილება თვითმკვლელობის განზრახვამდე მიდის. ასე ტრაგიკულად დარულდებოდა, ალბათ, მისი მშვენიერი სიცოცხლე, რომ შემთხვევით მამას არ მიეწრო და არ ეხარებინა მთავრობის მიერ მისი დაჯილდოება შრომის ორდენით. ამიტომ შემდეგი მოქმედება ამ შემთხვევითობაზეა აგებული.

საინტერესოა თუნდაც პავლე კორჩაგინისა და ბურღუ შელიას შედარება. პირველი, მიუხედავად ფიზიკურად დაავადებისა, როდი ეცემა სულით, როდი

პყრის ფარ-ხმალს, პირიქით, ის მეტი ბოლშევიკური ნებისყოფად, სიჯიუცის მეტი წყურვილით ივსება. თავისი ოპტიმიზმისათვის იგი გარემოცვაში პარულაობს დასაყრდენს. ბურღუ შელია კი, პირიქით, თვითმკვლელობის განხორციელებად მიდის. ვთქვათ, ეს კანონზომიერია. ფეხი მოიტეხა და ამან იმოქმედეს ამირჯანდ, მაგრამ გაუფებაარია, როგორ მოხდა, რომ ეს შესანიშნავი მუშაკი ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა და მახლობელმა გარემოცვამ კი ვერ შეამჩნია, ვერ იგრძნო მისი სულიერი მარტოხელობა? ცხადია, მის გარშემო იყვნენ ადამიანები, რომლებმაც კარგად იცოდნენ მისი დამსახურება, მისი უანგარო მუშაობა და კიდევაც წარადგინეს ჯილდოზე. რატომ ამ წრეში ვერ პოვა გმირმა დასაყრდენი, რომ თვითმკვლელობის ფიქრამდე არ მისულიყო?

არც ბუკიასა და მაქაცარიას ტყეში გაქრის ამბავია სრულიად გაშლილი და შკითხველი გაუფებრობის წინაშე დგება. როგორ გაჩნდნენ ისინი ისევე მუშებს შორის და ჩაიდინეს იქ მავნებლური აქტი?

ზოგიერთი სცენის ნატურალისტური ხერხით შესრულება (კვარაცხელიას მოსაქმების ამბავი) ჩრდილს აყენებს პოემას, თუმცა მათი აცილება შემდეგ გამოცემებში სულ უბრალო საქმეა. კარგი იქნებოდა, პოემაში შეტანილი მეგრულის შესატყვისებიც ყოფილიყო მოცემული. ამ ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, პოემა „ენგური“ ქართული საბჭოთა პოეზიის ღირსეულ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.

მასში პოეტმა გამოიჩინა უარყოფითი ტიპების დახატვისას შემპარავი და სუსხიანი იუმორის მომარჯვების უნარი, ეპიური მზერის პოტენციური შესაძლებლობის გაშლისა და განვითარების უნარი, დაადასტურა, რომ იგი არის პოლიტიკური პათოსით განათებული პოეზიის ღირსეული წარმომადგენელი.

ლევან ასათიანი

ცხოვრება აკაკი წერეთლისა¹

თ ა ვ ი V

საქართველო აკაკის ბავშობის დროს.

სანამ აკაკის ყრობის ხანას შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევჩერდეთ იმ დროის პოლიტიკური ვითარებისა და სოციალური გარემოს დახასიათებაზედაც.

ეპოქა, როდესაც დაიბადა აკაკი და რომელზედაც მოდის მისი ბავშობის და ქაბუჯობის ხანა, ესე იგი გასული საუკუნის 40 — 50-იანი წლები, ზოგიერთი მხრივ ღირსშესანიშნავ პერიოდს წარმოადგენს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოსა და კავკასიის სხვა დაპყრობილ ქვეყნებს განაგებდა მეფის-ნაცვალი თავადი მიხეილ ვორონცოვი. ცნობილია, რომ ვორონცოვის ხანა ერთგვარ შებრუნებას მოასწავებდა ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკაში, და კარდინალურად განსხვავდებოდა იმ ურა-პოლიტიკისაგან, რომელსაც აწარმოებდნენ ვორონცოვის წინამორბედი გამგებელნი კავკასიისა, თუნდაც ისეთი ტიპის, როგორიც იყო გენერალი ერმოლოვი. უკანასკნელი სისასტიკისა და უღმობელოების, მათარახისა და სახრამბელის საშუალებით ცდილობდა ახლად დაპყრობილი ხალხებისა და ტომების მოთვინიერებასა და მორჩილებაში მოყვანას. ამ პოლიტიკამ, როგორც ვიცით, საწინააღმდეგო ეფექტი მოიტანა და კავკასიის სამხრეთით მოსახლე ხალხები, კერძოდ საქართველოს მკვიდრნი, მორჩილების ნაცვლად, მეტი გააფთვებისა და გაორგულების გზაზე დააყენა. მთელი რიგი სახალხო აჯანყებებისა საქართველოში, როგორც იყო, მავალითად, მთიულეთის ამბოხება (1804 წ.), კახეთის ამბოხება (1812 წ.), აჯანყება იმერეთში (1819-20 წ.), — თავისი საფუძვლებით კლასიური ხასიათის მატარებელნი და აღმოცენებულნი მებატონე-ფეოდალთა უზომო ექსპლოატაციის გამო პროტესტის ნიადაგზე, თავისი გარეგნული გამოხატულებით და მთელი თავისი შეუპოვარი სისასტიკით, მიმართული იქნა დამპყრობელი რუსეთის და მეფის ადმინისტრაციის საწინააღმდეგოდ. ამ სოციალურ-კლასიურ ნიადაგზე გაღვივებულმა ამბოხებებმა მიიღეს ერთგვარი ნაციონალურ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, მართალია დროებით, მაგრამ მაინც აერთიანებდა სხვადა-

სხვა, კლასიურად მოწინააღმდეგე სოციალურ ფენებს. ეს ვარაუდობა სრულიად არ იყო ხელსაყრელი რუსეთის ხელისუფლებისათვის, რომელიც, განსაკუთრებით ორმოციან წლებში, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ქვეყნიის მთიელებთან, მათი მიწაწყლის დასაპყრობად. ორმოციანი წლებში ბლანკისა შამილის მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებებით რუსეთის ჯარებზე; მარტო 1843 წელს, ოთხი თვის განმავლობაში, შამილის რაზმებმა გაანადგურეს რუსების სამი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, წაართვეს მათ ქვემეხები, მიწასთან გაასწორეს მათი 12 ციხე-სიმაგრე. არ გამართლდა რუსეთის სარდლობის ძველი, არა ერთხელ გამოყენებული მეთოდი, — დაკვრითი წესით იერიშის მიტანისა მთიელებზე და ამგვარად მათი დამორჩილების ცდისა. საჭირო შეიქმნა უფრო სისტემატიური ბრძოლის წარმოება, აუცილებელი გახდა ტყვეების გაკაფვა, გზების გაყვანა, ციხე-სიმაგრეებისა და რედუტების აგება ხეობების მისაღვლიან და ამგვარად ცეცხლისა და რკინის სალტის თანდათან შემოქმერა მთებში ჩასაფრებულ ჩაჩან-ლეკებისათვის. ამასთანავე ერთად აუცილებლობას შეადგენდა ზურგის გამაგრება და უკვე დაპყრობილ ხალხებში მყუდროებისა და ერთგულების უზრუნველყოფა. ცარიზმის ამ ახალი სამხედრო და სამოქალაქო-ადმინისტრაციული პოლიტიკის საუკეთესო გამომახატველი შეიქმნა განათლებული, ნიჭიერი, ინგლისური ციურებისა და გაიძვერა დიპლომატიის შკოლაში გამოწრთობილ-გამოქნილი კოლონიზატორი, იმ დროის რუსეთის მაღალ-მოხელეთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადმინისტრატორი, თავადი ვორონცოვი.

ვორონცოვის პირველსა და უმთავრესს საცადელს, კერძოდ საქართველოს მართვა გამგეობის სფეროში, წარმოადგენდა ჩვენი თავად-აზნაურობის გულის მონადირება და მისი საბოლოო გაერთვულება ცარიზმისათვის. ამას, ვორონცოვის საშუალებით, სავსებით მიაღწია მეფის ხელისუფლებამ. ქართველ თავად-აზნაურობას მიენიჭა მთელი რიგი სოციალური და ეკონომიური ხასიათის პრივილეგიებისა, რამაც უფრო მეტად გააშწავა ისედაც მძიმე მდგომარეობა ბატონ-ყმურ უღელში გაშვებული გლეხური მასებისა. ეს გარემოება შეუნიშნავი არ დარჩა, სხვათაშორის, გერცენს, რომელმაც ცოტა გვიან თავის „კოლოკოლში“ მეტად სწორი შეფასება მისცა მეფის შემოხსენებულ პოლიტიკას საქართველოში. „ამ დროსო, — სწერდა „კოლოკოლი“, — ტფილისისა და პეტერბურგის „მმართველ სფეროებში“ უმკველად უნდა აღძრულიყო საკითხი: როგორ გაეერთვულებინათ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიისათვის, — თუ იმიტომ არა, რომ გული შესტიკიოდათ საქართველოსთვის და სურდათ დაეხსნათ იგი ახალ-ახალი სისხლის ღერისაგან, — იმიტომ მაინც, რომ დაეცვათ თვით პეტერბურგის სამეფო კარის ინტერესები. ეს საკითხი მართლაც აღიძრა და, როგორც მოსალოდნელი იყო, შემდეგნაირად გადაიჭრა: ხელი შეეწყობა და, თუ საჭირო იქნებოდა, შეექმნათ კიდევ საქართველოში თავად-აზნაურობა, რუსეთის მთავრობის ერთგულად გაეხადათ იგი — საკუთრების ინტერესებით, ჩინებით, საჩუქრებით და ჯამაგირით და სხვა არაფერი, — თუ არ გავიხსენებთ რუსეთის ხიშტებსა და ზარბაზნის ყუმბარებს. ზოლო იმას, რომ თავად-აზნაურობის გარდა არსებობს და იარსებებს ხალხი, პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ იმისათვის მოაგონდა, რომ ეს ხალხი ერთგულ ქვეშევრდომ თავდაზნაურობის ერთგვარ ჯამაგირის წყაროდ გადაექცია. აი ასე გადაიჭრა რუსეთისა-

დმი საქართველოს გაერთიანების საკითხით, — სწორდა „კოლოკოლი“ და ირო-ნიულად დასძინდა, — თუმცა საკითხის ასე გადაჭრის გონება-მანვილობა, ათას-ჯერ განმეორების გამო, ჩვეულებრივი და გაცვეთილი ამბავია. ყველა დესპოტიურ და კონსტიტუციურ სახელმწიფოში... ასე აფასებდა გერმანიის თავისუფალი ორგანო საქართველოში შექმნილ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას თავისი კორესპონდენტის პირით. ეს კორესპონდენტი, სხვათა შორის რომ ვთქვათ, ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე იყო.¹

ესლა საინტერესოა ვიკითხოთ, თუ როგორი იყო ევრონაციონის პოლიტიკა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების სფეროში? ორმოციან წლებში, რუსეთში მომაგრებული სამრეწველო კაპიტალიზმი ცდილობდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა დანარჩენი ქვეყნების ტერიტორია გამოეყენებინა არა მარტო როგორც ასპარეზი თავისი პროდუქციის გასასაღებლად, არამედ როგორც ახალი მძლავრი ბაზა ფაბრიკა-ქარხნებისთვის საჭირო ნედლეულის მოსაპოვებლად. ევრონაციონის მოდერნიზაცია მიმართული იყო იქითკენ, რომ რუსეთის სამრეწველო კაპიტალისათვის გაეადვილებინა დასახული ამოცანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ექსპლოატაციისა. მან დიდათ შეუწყო ხელი მიმოსვლის განვითარებას, რითაც საქართველოს სხვადასხვა რაიონები დაუკავშირა ერთმანეთს და ყველანი კი რუსეთის მეტროპოლიას. გარდა ამისა მან დაარსა ცნობილი „პრიკაზნი“, რითაც მეტი ფულის ტრიალი გააჩაღა და ადგილობრივ მემამულეებს საშუალება მისცა რუსული საქონლის შექმნისა. ევრონაციონმა დააფუძნა აგრეთვე „ამიერ-კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“, რათა მისი საშუალებით რაციონალურ ნიადაგზე დაეყენებინა მემამულური სოფლის მეურნეობა და უკეთესი პირობები შეექმნა მათთვის ნედლეული საქონლის დასამზადებლად.

ევრონაციონი იჩენდა აგრეთვე ერთგვარ „კულტურტრეგვირობას“ და ხელს უწყობდა გარეგნული ვეროპოეიზმის შემოღებას საქართველოში. მან დაარსა ოფიციალური რუსული გაზეთი საქართველოში „კავკაზნი“, დააფუძნა აგრეთვე ოფიციალური სტატისტიკურ-ეკონომიური ხასიათის წლიური გამოცემა „კავკასიის კალენდრის“ სახელწოდებით, დაარსა რუსული თეატრი ტფილისში, იტალიური ოპერა, ხელი შეუწყო გიორგი ერისთავის მიერ დაარსებულ პირველ ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემას. ასეთი იყო ევრონაციონის საქმიანობა საქართველოში. იგი ერთის მხრივ ნაკარნახევი იყო რუსეთის დამპყრობლურ-კოლონიური პოლიტიკის მოთხოვნისა, ხოლო მეორე მხრივ რუსეთის კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების სასიცოცხლო ინტერესებით.

როგორი იყო გლეხების მდგომარეობა აღნიშნულ ეპოქაში? ბატონყმურ უღელში გაბმული გლეხური მასები განიცდიდნენ ველურ ექსპლოატაციას მემამულეთა მხრივ. ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლები საქართველოში აღინიშნა მთელი რიგი გლეხური სტიქიური აჯანყებებით, რომელიც აღმოცენებული იყო ფეოდალურ-ბატონყმური მონობის აუტანელი რეჟიმის ნიადაგზე. „კოლოკოლის“ ზემოხსენებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ამ დროს საქარ-

¹ რიონელი — გლეხთა განთავისუფლება საქართველოში — „კოლოკოლი“, 1865 წ. № 198. ციტატი მოგვაქვს ნ. ნიკოლაძის „რჩ. ნაწ.“ ტ. 1, გვ. 163 — 164.

თველოში გლეხები „იარაღით ამელანებდნენ თავის უკმაყოფილებას ბატონ-ყმობის მიმართო. სამეგრელოს აჯანყებამ, რომელიც 1857 წ. გაზაფხულს/მოხ-და, მთავრობას საბაბი მისცა, სამთავროდან გაეძევიბინა დედოფალი და მის ნაცვლად შეექმნა „სამეგრელოს დროებითი მმართველობა.“ გუბერნიის მმართველის და ქართლ-კახეთის გლეხთა სხვა აჯანყებანი დააცხრეს ჯარისკაცებმა და აზნაურთა მილიციამ, რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით შეადგინეს. გლეხები სრულებითაც არ მალავდნენ, რომ მათი აჯანყების ერთად ერთი მიზეზი ბატონ-ყმობა იყო, ხოლო ერთად ერთი მიზანი — მისი მოსპობა. 1858 წ. რომ განთავისუფლების ხმა ვაეარდა, ამ ამბავმა ცეცხლს ნაეთი დაასხა და გლეხთა მოძრაობა უკიდურესად გაძლიერდა“. იმის ვასათვალისწინებლად, თუ რა ზომამდე იყო მისული ქართველი მშრომელი ხალხის გაბოროტება ბატონ-ყმური წყობილებით და შებატონე თავადაზნაურთა დაუზოგავი მოპყრობით, საკმარისია აღნიშნული იქნეს თუნდაც ის ფაქტი, რომ სამეგრელოს გლეხობამ ყირიმის ომის დროს ერთგვარი „პარაფენცული“ სულისკვეთება გამოიჩინა და აშკარად მიემხრო ოსმალთა საექსპედიციო ღესანტს.

ამ ამბის შესახებ მოგვყავს კიდევ ერთი ნაწყვეტი „კოლოკოლის“ წერილიდან. „ეს იყო 1855 წ. შემოდგომაზე, — ვკითხულობთ გერცენის ჟურნალნი, — ცნობილია, რომ ამ დროს რუსეთს ძნელი ომი ჰქონდა ევროპასა და ოსმალეთთან. ოსმალეთმა, ომარ-ფაშას სარდლობით, სამეგრელოში რედუტ-კალეს მახლობლად, ჯარი გადმოსხა. ომარ-ფაშას ემისრებმა ხალხში ხმა დაჰყარეს: „მოკავშირენი ბატონ-ყმობას მოსპობენო“, და რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი სამეგრელო ომარ-ფაშას დანებდა, ქართველთა სამილიციო ჯარმა კი, რომელიც 1853 წელს ძალიან კარგად იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ, რუსებს უღალატა და ენგურზე რუსეთის ჯარი მიატოვა. საქართველო, ქართლ-კახეთი და იმერეთი მზად იყვნენ სამეგრელოსთვის მიებაძათ, მაგრამ თავადი ბებუთოვის ჯარებმა ეს ქვეყნები დაიჭირეს, ხოლო რამდენისამე თვის შემდეგ ომი პარიზის ტრაქტატით დამთავრდა“.

ასეთი იყო ქართველი გლეხობის მდგომარეობა და მისი სულიერი განწყობილება ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში, ცნობილი საგლებო „რეფორმის“ წინა ხანებში. სხვათაშორის, ანოლოგიური შავალითები ჰქონდა მხედველობაში ამხანაგ სტალინს, რომელიც 1906 წ. სწერდა: „ეს ის დრო იყო, როცა ყირიმის ომში დამარცხებულმა მეფის მთავრობამ ბრძოლის ველზე დასტოვა ხალხის 50 ათასზე მეტი შვილი და, დაბრუნდა რა შინ, იქ დახვდა აღშფოთებული გლეხობა, რომელიც მიწასა და თავისუფლებას მოითხოვდა მისგანო. ა.

ამგვარი იყო მოკლედ სოციალ-პოლიტიკური ვითარება საქართველოსი აკაკის ბავშვობისა და ქაბუციობის ხანაში. ერთის მხრივ ბატონყმური წყობილების სასტიკი ფორმები და უშავალითო სოციალური ჩავრა, ხოლო მეორეს მხრივ მეფის მოხელეთა და აღმინისტრატორთა თავაშეებული პარპაში, მათი ცინიკური დამოკიდებულება ადგილობრივ მკვიდრთა ადათებისა, ზნე-ჩვეულებისა, ენისა და კულტურისადმი, — ბუნებრივად იწვევდა საპროტესტო მოძრაობას ქართველ ხალხში, მის აღშფოთებასა და გაბოროტებას მეფის რუ-

*) „ამირ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წ. წ.“, სახელგამი, 1939 წ., გვ. 220.

სეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს გარემოება სავსებით სწორად ბჭონდა გათვალისწინებული კ. მარქსს, რომელმაც ყირიმის ომის დროს ერთ თავის კორესპონდენციაში მახვილად შენიშნა, რომ „საქართველო მსგავსი რუსული პოლონეთი კავკასიაში“.²⁾

ბატონ-ყმური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ მაზინჯ სურათებს პატარა აკაკი ჯერ კიდევ მშობლების სასახლეში გაეცნო, მეფის მოხელეთა უხამსი რუსიფიკატორული და დიდმპყრობლური პოლიტიკის მთელი სიმწვავე კი მან განიცადა სასწავლებელში. გარემოებათა წყალობით, იგი ბავშობიდანვე შეიქნა თანახიარი იმ დიდი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისა, რომელსაც განიცდიდა მისი სამშობლო ქვეყანა.

თ ა ვ ი VI

ოჯახში.

ეხლა დავუბრუნდეთ აკაკის ცხოვრების იმ ხანას, როდესაც იგი მოაშორეს ძიძას და გამოიყვანეს მშობლების სასახლეში. აკაკის უფროსი და ანნა იგონებს ამ დროს და აგვიწერს თავისი პატარა ძმის გარეგნობასა და ხასიათს: „ნამეტანის სისულქნის გამო დათვის ბელს ვეძახდით. სახე უცინოდა; საკუთარი არა აწუხებდა რა, მაგრამ სხვის საწყენს თუ რასმე ნახავდა, ან გაიგონებდა, მაშინ კი მოკვებოდა ხოლმე ტირილს და ღრიალს“.³⁾ პატარა აკაკი მანამდეც ხშირად გამოჰყავდათ ხოლმე მშობლებს თავის სახლში. მაგრამ ეხლა რომ მოვიდა, მაინც ბევრი რამ ეუცხოვა თურმე. განსაკუთრებით გაჰკვირებია სტუმრების სიმრავლე. „ხან ერთთან მივყავდით, ხან მეორესთან, შეალერსებოდენ და მკლცნიდენ. ისე მეხვეოდენ გარს, როგორც ჩხიკვები ბუსო“, — სწერს პოეტი. თუ რამდენად მკვირცხლი ბუნებისა და მახვილი გონების ბავში ყოფილა სოფლიდან ახლად გამოყვანილი პატარა აკაკი, ესა ჩანს იმ საინტერესო საუბრიდან, რომელიც მასთან გაუბამთ მშობლებს მისი მოსვლისთანავე. „ეი, სოფლის ბიჭო, — დაიძახა მამაჩემმა, — შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონმშვილობას უნდა მიეჩვიო; რაც ვითხრან, დაიჯერე, თორემ თუ ურჩობა დაიწვი, წაგიყვან და დაგამწყვდევე ისე, როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდეულიო“. მომკიდა ხელი, მიმიყვანა და გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოვჩნდი და სიცილი დავიწყე:

- ხომ ხედავ? — მკითხა მამაჩემმა.
- რატომ არა... ბრმა ხომ არა ვარ?
- იცნობ? — მეკითხება მამა.
- რა დიდი ცნობა უნდა?
- ხომ არ გინდა რომ დაეკილო?
- ვისა?
- ამ პატარა ბიჭს.
- ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდე! ჩემი ლანდია!

²⁾ კ. მარქსი და ფ. ენგელსი — თხზულებანი (რუსულად), 1935 წ., ტ. X, გვ. 555.

³⁾ „ივერია“, 1904 წ., № 181.

— რა იცი რომ ლანდია?

— რატომ არ ვიცი... განა ცოტა მინახავს წყალში? ამ სიტყვაზე სუველამ სიცილი ასტეხა და გაიკვირვა — „შენი რისხვა ნუ მომეცემა, რისხვა მოურავმა, — შენი რისხვა ნუ მომეცემა, — რო იტყვიან: გჭკობს სწორედ შენა, სწორედ მართალი ყოფილა. სოფლის ბავში რომ ყოფილიყო, რას მიხედებოდა... მე რომ პირველად სარკეში ჩაიხედე, ჰალარა მერია, მაგრამ მინც კინალამ გავგვიფიდი, ისე გამიკვირდა!“

ეტყობოდა, მოურავს კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქვა, მაგრამ დედაჩემმა გააწყვეტინა სიტყვა, დამიძახა და მკითხა: წყალში? როგორ თუ წყალში?

— ისე, როცა სათევზაოდ დავდიოდი ხოლმე ან ყვირილაში, ან იზვარაში, წმინდა წყალში ყოველთვის გამოვჩნდებოდი ხოლმე.

— მარტო შენ?

— მარტო მე რათა? წყალში ყოველიფერი გამოჩნდება: ხარი, ძროხა, ცხენი, დღე ყოველიფერი გამოჩნდება, ღამე კი მარტო ვარსკვლავები და მთვარე გამოჩნდება ხოლმე.

— თევზს როგორღა იჭერდი?

— პატარას ჩქიფით და დიდებს კი ხელოებით. შევყოფდი ხოლმე ხელს ჯილეში, ქვებში, და, თუ შევხვდებოდი თევზს, დავიჭერდი და გამოვიყვანდი“... და სხვ.

თუ როგორი წესები და ჩვევები დახვდა პატარა აკაკის მშობლების სასახლეში, ესა სჩანს ერთი შესანიშნავი სცენიდან, რომელიც მას აღწერილი აქვს თავის თავგადასავალში. ეს არის ბატონების სადილობა. ეს სცენა ერთ უძლიერეს ადგილს წარმოადგენს აკაკის მოგონებაში. უდიდესი სიმბავილით და სარკაზმით აქ გამათრახებულია ბატონ-ყმობის ინსტიტუტი და ნაჩვენებია მთელი ბედოვლათობა პარაზიტი კლასის — ქართული თავადაზნაურობისა. მოვიყვანთ ამ ადგილს, როგორც სახასიათოს ქართველი ფეოდალური ოჯახისათვის.

„ამასობაში“ სადილობამაც მოატანა, — განავრძობს აკაკი თავისი სასახლეში მისვლის პირველი დღის ამბავს, — და გადასძახეს ბიჭებს აივანზე, რომ სადილი მოვტანათ. უცებ ოცი-ოცდაათი მეტი ფარეში შემოიჭრნენ და გაჩერდნენ შუა ოთახში. ბატონები მივიდნენ, ჩამომწყრიდნენ ტახტზე; პირდაპირ, მეორე ტახტზე აზნაურშვილები დასხდნენ და თავში მღვდელი დაუჯდათ. კიბეზე ვილაყამ დაიხველა, სთქვეს — მოურავიო და მართლაც ის იყო, მოუძლოდა წინ სადილს, შემოვიდა და მიეყუდა სვეტს. იმას შემოჰყვეს სხვებიც. ხელოსნებს პური მოჰქონდათ ხელკალათებით, მზარეულებს კი ქოთნებით და ქვაბებით სხვადასხვა საკმელები. მიდგეს კუთხეში და გაჩერდნენ. „აბა, ჰე, ხელი დაგვაბანიეთო“, ბრძანეს ბატონებმა. ერთმა ფარეშმა ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ თუნგს და მესამემ ხელსაწმენდს. ჩამოუარეს რიგით და ყველას ხელი დააბანინეს. მერე ორმა ბიჭმა შემოიტანა გრძელი და ვიწრო ხის სუფრა, ოთხფეხიანი, რომელსაც ერთი ფეხი გამოვარდნილი ჰქონდა. „შეუყენეთ ფეხიო“ — უბრძანა ბატონმა. ბიჭები სულ ერთიანად გაცვივდნენ გარეთ და თვალის დახამხამებამდე ერთმა შემოარბენია ქვა, სხვები ისევ უკან მოსდევდნენ; გადიამბრუნეს სუფრა და შეიქნა ერთი კაკაეტკი. გაუმბარეს ფეხი, მაგრამ ცოტა მეტი მოუვიდათ, ფეხი დამოკლდა და სუფრამ ყანყალი დაიწყო. „შეუყენეთ ნა-

ფოტო" — ბრძანა ბატონმა. გაცვიფდნენ ბიჭები ნაფოტის მოსატანად. კიდევ ისევ ერთმა მოიტანა ნაფოტი და სხვები უკან მოსდევდნენ; შეუყენეს სუფრას და გაამაგრეს. როგორც იქნა, ამ ჭირს გადაირჩენ, მაგრამ მწუხარებასთან ერთად არ ვათავებულა. დამწუხვლს ძაღლებს რომ სადილის სუფრის ქვეშ, დრო იხელეს, შემოცვიფდნენ ოთახში, შეძვრენ სუფრის ქვეშ და წამოწვენ. — „არიჭა, დაგვიხსენით ამ ძაღლებისაგან“, დაიყვირა ბატონმა. ბიჭებმა დაავლეს ჯოხებს ხელი და დაუწყეს სუფრის ქვეშ ძაღლებს ცემა. ძაღლები იღრინებოდნენ, იკბინებოდნენ, დიდხანს არ უნდოდათ, რომ გამოსულიყვნენ სუფრის ქვეშოდან, მაგრამ ბოლოს, ძალა რომ დაატანეს, იკადრეს და გაცვიფდნენ გარეთ... ძაღლები რომ გარეკეს, რამდენიმე ბიჭი კარებზე დააყენეს ჯოხით, რომ აღარ შემოსულიყვნენ. ეს შემთხვევა პირველი არ ყოფილა და უკანასკნელი. არა თუ ჩვენ ოჯახში, სხვის ოჯახებშიაც ამგვარივე შემთხვევა იყო ხოლმე. თითქმის ყოველ იჯრაზე, ყოველ სადილ-ვახშამზე ამ სუფრის ფეხების ცოდილი იყო და ძაღლების მოგერიება, და აზრად არავის მოსდიოდა, რომ ერთხელვე გაემაგრებინათ სუფრის ფეხები, ან და ბიჭები სადილობამდე კარებზე დაეყენებინათ, რომ ძაღლები არ შემოსულიყვნენ ხოლმე“, — დასძენს აკაკი.

ასეთი დიდი ამონაწერი ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველს სცოდნოდა ის ფუჭსავატური ატმოსფერო, რომელიც უზრუნველი ცხოვრების ნიადაგზე გამეფებული იყო ფეოდალური ოჯახებში და მათ შორის აკაკის მშობლების სახლშიც. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ატმოსფერო თავის გამრყენელ გავლენას იქონიებდა პატარა აკაკის ხასიათსა და ზნეობრივ განვითარებაზე. მაგრამ, საბედნიეროდ, ბავშვების აღზრდის საქმე როსტომის ოჯახში ხელთ ეპყრა ისეთი მალალი ზნეობისა, მტკიცე ხასიათისა და განვითარებული გონების აღამიანს, როგორც იყო აკაკის დედა ეკატერინე. მის მკაცრ ბუნებასა და კეთილ გონიერებას უნდა ევმადლოდეთ, რომ პატარა აკაკის აღზრდა იმ თავითვე რიგიან კალაპოტში იქნა ჩაყენებული და მის ნორჩ სხეულსა და გონებას ნორმალური განვითარების ყველა პირობები შეეჭმნა.

სასახლეში რომ გამოიყვანეს, პირველ ხანებში პატარა აკაკი ძალიან მოწყენილი იყო. დედას ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია და ბავშვისათვის გასართობად მისივე ტოლი ბიჭები მიუჩინია. „მე ამხანაგებთან ერთად, — სწერს აკაკი, — დილიდან საღამომდე სულ მინდორში დაეგობდი, მხოლოდ სადილად დამიძახებდნენ ხოლმე. თვითონ დედაჩემი... მშრომელი იყო: დილიდან დაწყებული საღამომდე სულ ფეხზე იდგა: საღამოს შემობრუნდებოდა სახლში და შაშინ ჩვენც დაგვიძახებდნენ ხოლმე. დანთებდნენ ბუხარში ცეცხლს. ბუხრის წინ გაგვიშლიდნენ შვლის ტყავს და დაგვევამდნენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდნენ ბიჭები და მოგვიყვებოდნენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში: ან გამოცანებს ვამბობდით და ან სხვებ როგორმე ვიჭყვედით თავს ვახშობამდე. დედა იქვე ტახტზე იჯდა ფეხმოკეცილი, წიგნს ჰკითხულობდა თავისთვის. მაგრამ ჩემად კი ყურს უგდებდა: ბიჭებს ურიგო არა წასცდეს-რა ყმაწვილებთანო“. პატარა აკაკის, როგორც საერთოდ ყველა ბავშვებს, ძალიან ყვარებია ზღაპრების მოსმენა. „ისე არ დაიძინებდა, — იგონებს აკაკის უფროსი და ანა. — თუ ზღაპარს არ ეტყოდნენ. ჩამიწევებოდა ქვეშ-საგებში და დამაწყებინებდა-

ზღაპრებს. ყველაზედ უფრო „მელიას ზღაპარი“ უყვარდა. თითონაც იმეორებდა და შივა და შიგ თავისასაც ჩაურთავდა ხოლმე“.

პირველი ლოცვები აკაკიმ დედისაგან ისწავლა. „ერთი წამი“ გვეჩვენებს, რომ ბაბაში „მრწამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“ და სხვანი სულ ზეპირად ვიცოდით, — სწერს აკაკი. საზეპიროები ისე მოსწონებია პატარა აკაკის, რომ ჩქარა წერა-კითხვის სწავლაც მოუსურვებია და კიდევ უსწავლია. ეს ამბავი ასე მომხდარა. ლოცვების გაზეპირების შემდეგ აკაკის დედისთვის, უთხოვნია, წერა-კითხვა მასწავლეო. დედას ამაზე უპასუხნია: „ჯერ ბრძევი ხარ და არ შეგშენის წერა-კითხვაო: როცა დაქვნიანდები და ხასიათიც კარგი შეგექნება, მაშინ გასწავლი, თორემ ჯერ შენ რა ღირსი ხარო“. ამ სიტყვებმა, — გვიამბობს აკაკი, — სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაქვნიანებას, რომ ჩემ ძმებსავე მეც წერა-კითხვის ღირსი გავმზადარიყავი. მებარბებოდა ესეები რომ კითხულობდენ, და ბოლოს ჩემმა ბედმაც გასკრა. ერთხელ ჩემი ძმა, რომელიც რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო, მღვდელს მოეხმარა და წირვაზე შევნიერად წაიკითხა „სამოციქულო“. ნაწირვეს დიდი და პატარა ყველა მის ქებაში იყო. მე მებარბებოდა და გული მწყდებოდა... იმ დღეს ჩემ უფროს დას კალთა დავაგლიჯე ზეიწნით: „კითხვა მასწავლე მეთქი“. იმანაც დამარიგა: „დღემდ არ გაგიგოსო“, და ჩუმიდ დამაწყებინა კითხვა; მოკლე ხანში ანბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დავიწყე. „თუ აგრე კარგად და გულმოდგინედ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დავასწავლი და საყდარში წავგაკითხებო, — მეუბნებოდა ჩემი და, — დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო“. მე ამ იმედით წახალისებულს, დღე და დამ აღარა მეტიქრებოდა-რა. რა ვიცოდი, თუ ეს სულ დედი-ჩემის ბერბი იყო, რომ წერა-კითხვა შემყვარებოდა. ამნაირმა წინდახედულობამ ძალიან შემაყვარა წიგნის კითხვა და ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, მე მღვდელს ვეხმარებოდი“. ასე ისწავლა პატარა აკაკიმ პირველი წერა-კითხვა. „რამდენისამე წლის განმავლობაში, — სწერს იგი, — ხუცური ზედმიწევნით ვიცოდი; მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბევრზე დავიწყეო. რუსული კითხვა დედა-ჩემმა მასწავლა, მაგრამ სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მეო. ერთი ძველი, მოსკოვში დაბეჭდილი, „რაზლოვორი“ გვექონდა და იმას მაზეპირებინებდა ხოლმეო“.

თუ როგორ იზრდებოდა პატარა აკაკი მშობლების ოჯახში, ამისთვის საკმარისია მოიყვანოთ მისი ნაამბობი, თუ რას აკეთებდენ ბავშვები წლიდან წლამდე და როგორ ატარებდენ დღეებს დილიდან საღამომდე.

„დილას, გამოვიღვიძებდით თუ არა, — სწერს აკაკი, — ქვეშავებშივე უნდა გვეთქვა ეს ლოცვა: „გმადლობ შენ, უფალო, ყოვლითა გულითა“ და სხვ., მერე ხელპირს დავებანდით, ჩავეიცვამდით, წავდგებოდით ხატების წინ, საზეპირო ლოცვებს ვიტყოდით და ზედაც დაუჯდომელს მივაბამდით. ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით, რომ იმ დღეს გამოსვლის დროს, ჩვენთვის ჩიტს არ დავსწრო და არ ეჯობნა; მერე მივუჯდებოდით წიგნებს, შემდეგ კი საღამომდე თავისუფალი ვიყავით“...

*) „ივერია“, 1904 წ., № 181.

ბავშვები ოჯახში, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, სპორტანული/წესით იზრდებოდნენ. არ არიდებდნენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დაჯანსაღებულ აუღარს. დიდიდილაობით ბავშვებს ცერვიან ველზე ფეხშიშველად უშვებდნენ. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენიმეჯერ უნდა გაერბინა-გამოერბინათ და შემდეგ დასოვლებული და გაქარბლებული ფეხები ცეცხლზე შეეშროთ. გაზაფხულზე წვიმა რომ მოვიდოდა, ბავშვები სახლის ღარს თავს უშვერდნენ, — დარწმუნებული იყვნენ, რომ თითქოს ხეუბუბი თმები ამოუვიდოდათ.

ჭამა-სმა ბავშვებს ზომიერი ჰქონდათ. ამ მხრივ მათ ზედმეტი ზომიერების მოთმენაც კი სჭირდებოდათ ხანდახან, განსაკუთრებით მარხვაში. „უმთავრესი ლურაღლება ჩვენი, — სწერს აკაკი, — წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიტყუული“. მაგრამ ყველაზე სამწუხარო დრო ბავშვებისათვის დიდმარხვა იყო. მთელი დღე სალამომდის, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მიაკარებდნენ. სალამოსაც მარტო ხმელ პურს აძლევდნენ. არა თუ საქამაღი რამე. — ლენო, მარილი და ზეთიც აკრძალული ჰქონდათ. არც თამაშის ჩება ეძლეოდათ მათ. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ სატანჯველს განიცდიდნენ ბავშვები ყოველი მარხვის დაწყების პირველ დღიდგანვე. ბავშობის დროს მარხვის გამო გადატანილი უსიამოვნება იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მისი განცდა სიბერემდე შეჰყოლია აკაკის. „დიდ-მარხვა რომ დადგებაო, — დასძენს პოეტი თავის მოგონებებში, — მე ჩემს ქერქმე ალარა ვარ და ვერც მოვიხდი სიკვდილამდე სიყმაწვილიდან დარჩენილ ზაფრასო“.

ბავშობის დროინდელ შთაბეჭდილებათა შორის აკაკის განსაკუთრებული სიკბოველით გამოყვა ხსოვნაში ცალკეული უბიზოდები ბატონყმური ურთიერთობიდან, დაუვიწყარი სურათები, რომლებმაც ჯერ კიდევ ყმაწვილობის ხანაში ჩასახეს მის გულში მკვეთრი პროტესტის გრძობა უდიდესი სოციალური უსამართლობისადმი.

კარგა ხნის შემდეგ თავის „თავგადასაყალში“ პოეტმა მწველი სატირით ასწერა იდიოტიზმი ბატონყმური წყობილებისა, ადამიანთა მიერ ადამიანების ექსპლოატაციის საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული ველური ინსტიტუტისა.

თუ როგორ კარიკატურამდე მიდიოდა ეს მახინჯი სოციალური ურთიერთობა, ესა სჩანს იმ რამდენიმე მაგალითიდან, რომელიც მოთხრობილი აქვს პოეტს თავის „თავგადასაყალში“.

„სხვადასხვა გვარის და სხვადასხვა სოფლის გლეხები, — სწერს აკაკი, — სხვადასხვაგვარად იყვნენ დაბეგრული, ზოგს მეტი ემართა, ზოგს ნაკლები, ზოგს სულ ამოკვეთილი ჰქონდა ბეგარა და გააზატებული იყო. ერთს ჩვენ გლეხთაგანს, სხვათა შორის, ნახევარი კვერცხიც ემართა: ყველიერის დაურწყებას ჩამოვიდოდა სასახლეში, სამზარეულოში შეწვავდა კვერცხს, გაფტქვნიდა, მერე გაჰყოფდა ძუით შუაზე და ნახევარ კვერცხს მიართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას. ნახევარი კვერცხის ბეგარა ისე აწუხებდა იმ გლეხს, რომ რამდენჯერმე სთხოვა ბატონს: ამომიკვეთე და ერთს ძროხას მოგართმევო. მაგრამ პასუხად ამას ეუბნებოდა: საშვილიშვილო ვალდებულემა რომ მე მოვსაო ძროხის გულისთვის, ეს ღორმუცელობა იქნება, და თუ სხვებ გამოიჩენ როგორმე თავს ერთგულობით, მაშინ კი შეიძლებაო. მართლაც, ჩვენს სამოსახლოში სახადი გაჩნდა, ავადმყოფები გადახიზნეს. საორმოცომ ისე შეაშინა ყველა, რომ ავად-

მყოფებს არაიენ ეკარებოდა. მაშინ ამ გლეხკაცმა იშოვა დრო, დაიღწა თავზე ამ გადაწოლილებს და უპატრონა. ამ ერთგულის სამსახურისათვის ამოუკვეთეს ნახევარი კვერცხის გადახდა“.

ეპიკონაშვილი

უფრო დამახასიათებელია მეორე ეპიზოდი, რომელსაც ეპიკონაშვილი აქვეყნებდა. „ერთ გლეხს წელიწადში ათი კოკა ღვინო ემართა: ერთ წელიწადს ღვინო აღარ მოუვიდა და ბატონმაც კოლოტებით ღვინის მაგიერ, ათი კოკა წყალი გამოატანია და ჩასამწვინა ჭურში. ღვინო რომ არ მოუვიდა, ის ღვთის ნება იყო; გლეხკაცს მუშაობა და შრომა მაინც არ დაკლებიაო და, რაც არა აქვს, რა უნდა გადავახდევინოო. მაგრამ წყალი ხომ ზედ კარზე ჩამოუღისო, და მიტომ გამოვატანინე, რომ არ იფიქროს, ბევარა ამოკვეთილი მაქვსო. რაც მამა-პაპიდან არ მართებს, იმაზე მეტს არას ეთხოვ, მაგრამ რაც მართებს, იმას კი ვერ შევარჩენო, რადგანაც მამებს ასე გადმოუციათ ჩვენთვის და შევიღებ-საც ასე უნდა გადავცეთო“.

მაგრამ ყველაზე უფრო მკვეთრად პატარა აკაკის ხსოვნაში ჩაიჭრა ერთი მეტად საინტერესო და ბატონყმობის დროისთვის დამახასიათებელი ფაქტი. ბატონების მიერ უკიდურესად შევიწროებულმა გლეხებმა ერთხელ პატარა ამბოხებაც მოახდინეს საჩხერეში; ეს ამბოხება, ცოტა გაკლდა, სისხლის ღვრით არ დამთავრდა თურმე. საქმე შემდეგში იყო.

„ნიკო წერეთელს ერთი გლეხი გადაუშენდა და უპატრონო ობოლი მოსამსახურედ გამოიყვანაო, — გვიამბობს აკაკი, — სოფელმა იწყინა და მოციქული მიუგზავნა: მიწაწყალი თქვენია, საკომლოს რაც გნებავეთ ის უყავით, მაგრამ ობოლზე კი ხელი არ გაქვთ და დაგვიბრუნეთ, რომ ჩვენვე ვუპატრონოთ და გავათხოვოთო. ბატონმა, რასაკვირველია, ყურადღება არ მიაქცია მათ თხოვნას. ერთ დღეს რაღაც უჩვეულო ხმაურობა მოისმა საჩხერეში. გაიხედეს და დაინახეს, რომ ყვირილის პირად ხვადაბუნები მოდებული იყო გლეხკაცებით, კალიასავით მოჰდენოდნენ ჰალებს, შემოვიდნენ საჩხერეში და შემოერთყვენ ირგვლივ წერეთლის სახლს ყვირილით: ნუ ჩაიღიხართ უსამართლობას, გოგო დაგვიბრუნეთო. როდესაც ბატონი გაუძალდა, გლეხებმა შეუყარეს კეტები მის სახლს და სულ ქრიჭინ-ქრიჭინი დააწყებინეს. შეშინებულმა ბატონმა დაუბრუნა გოგო და გლეხებმაც სულ მაყრულითა და ვარხალალოთი წაიყვანეს თავის სოფლისკენ. იმ დროს დიდი სვიმონ წერეთელი, სახუცის შვილი, მეფის სიძე, ღრმა მოხუცებული, კიდევ ცოცხალი იყო; იწყინა ეს შეურაცხყოფა გლეხებისაგან, შეაკაზმინა თავისი ლურჯი ბედაური (მთელ საწერეთლოში მისი ლურჯი ბედაური იმ დროს განთქმული იყო), შეჯდა და დაიძახა: „მღევარიო!“ მაშინ ყველა მებატონეებს ბედაურებით საჯინობოები გავსილი ჰქონდათ. თვალის დახამამებამდე გამოეწყვენ, შეაკაზმენ წერეთლის შვილები, თან იახლეს დაიარაღებული ახნაური შვილები და გამოუდგენ გლეხებს. ხვადაბუნებში, ყვირილის პირად, მოსწვდნენ. გლეხებმა რომ დაინახეს მათზე მიმავალი ცხენოსანი ჯარი, მობრუნდნენ, მოიმარჯვეს ხელკეტები და დაეწყვენ რაზმებად. წამოდგენ წინ მოხუცებული გლეხები. მიეგებენ ბატონებს, დაუროქეს და მოახსენეს: ნუ იზამთ მისთანა უსამართლობას, რომელიც არც თქვენს ძველებს და არც ჩვენს ძველებს არ ჩაუდენიათო, ნურც თქვენ თავს გაგვამეტებინებთ და ნურც ჩვენ ამოგვწყვეტთ ცუდუბრალოდო. ორივეს მხარე მაგრად იღვა, და ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე! მაგრამ ამ დროს გაჩნდა

მისი ჭკვი ცხენით ოქრობირ მღვდელი, წერეთელი, და ჩამოვარდა შტავეცად: როგორ გეკადრებათ გლახაკების თავის გაყადრებაო! — მიუბრუნდა წერეთლებს, — თავი დაანებეთ, მთავრობას შეატყობინეთ და ის გასცხნის მგაბათ მაგიერ პასუსო. მართლაც, გლახაკები ძალიან დასაჯეს, ზოგი დააპატიმრეს და ზოგიც გაგზავნეს. საკვირველი ის იყო, რომ ეს ხალხი, რომელიც ჩხუბს უპირებდა შეწინააღმდეგებლად დაიარაღებულ ცხენოსან ჯარს, სრულიად დაემორჩილა მხოლოდ ერთ „ზახედატელს“ და ორ ყაზახ რუსს. „რა გაეწყობაო — ამბობდენ — ძალა აღმართს ხნავს, მტერმა რაც უნდა ის გვეყოს, მაგრამ შინაურობაში კი წესსა და რიგს ვერც ჩვენ გავტებთ და ვერც სხვებს გავატებინებთო!“

ასეთი ყოფილა ისტორია საწერეთლოს გლეხთა ერთ-ერთი მინიატურული ამბოხებისა, რომელიც სამუდამოდ დამახსოვრებია პოეტს თავის ბავშობის დროიდან. არ შეიძლებოდა ყველა ამ სურათებს სოციალური გარემოდან თავისი გარკვეული დაღი არ დაეჩინა ბავშვის სულსა და გულზე, სათანადო გავლენა არ მოეხდინა მისი შემდგომი სოციალური მსოფლმხედველობის შემუშავებაზე. ეს ასეც მოხდა და ამის შესახებ ქვემოთ გვექნება უფრო ხანგრძლივი საუბარი. ეხლა კი დრო არის მიუბრუნდეთ პატარა აკაკის ცხოვრების ამბებს მშობლების სახლში.

რაც უფრო იზრდებოდენ ბავშვები, წლითი წლობით, მით უმეტეს თავისუფლებასა და ხალვათობას გრძნობდენ ისინი. უფროსების ზედამხედველობა უფრო ნაკლებად ბორკავდა მათ მოქმედებასა და თავისუფალ განვითარებას. პატარა აკაკის ამ დროს, სხვა მის ტოლ ბიჭებთან ერთად, ბევრჯერ უვლია სათევზაოდ და ფაცურზე ხშირად მთელი ღამეებიც უთენებია. ღამის თვეის დროს, ძილი რომ არ მორეოდათ, პატარა ბიჭები მორიგეობით ზღაპრებს ამბობდენ, ხან კიდევ შაირებს, ანდაზებს და გამოცანებს. ქართული ხალხური შემოქმედების ძვირფასს საგანძურს აკაკი ჯერ კიდევ თავის ყრმობის ხანაში გაეცნო და სიყვარული მისი გაჰყვა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ხალხური პოეზიის და საერთოდ ფოლკლორის ამ აღრინდელმა გაცნობამ და შესწავლამ, — როგორც ქვემოთ დავინახავთ, — უდიდესი და გადამწყვეტი გავლენა იქონია მის შემდგომ პოეტურ შემოქმედებაზედაც. აკაკის სამშობლო სხვიტორში, — როგორც პოეტი აღნიშნავს ერთ თავის წერილში, — ბატონ ყრმობის დროს ბევრი კარგი შესტირე, მოშაირე და მეზღაპრე ყოფილა. მათგან ვაგონილი ბევრი ძველი ამბავი და გადმოცემა სამუდამოდ ჩარჩენია გულში პოეტს და შემდეგ გამოუყენებია სიუჟეტად თავის ნაწერებში. მაგრამ პატარა აკაკის გონებისა და ფანტაზიის განვითარებაზე მარტო ხალხურ ზეპირ-სიტყვაობას არ მოუხდენია გავლენა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ პირველ წიგნებს, რომელიც აკაკიმ გაიკნო, მშობლების ოჯახში. „უკანასკნელ წელიწადსო, — სწერს აკაკი იმ დროზე, როდესაც იგი მერვე წელიწადში იყო ვადამდგარი, — ბევრს აღარ დაერბოდი, რადგანაც აღრინდელი თავშესაქცევი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა სადიქრელს ვაყვებო. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“. წავიკითხე თავიდან ბოლომდე და თუმცა ზღაპრული მხარის მეტი არა ვამიგია-რა, მაგრამ მაინც ძალიან ვატაცებულნი ვიყავი. იმას მივყავოლე სხვა საკითხებიც და მთელი ქრისტომამტია, ჩუბინაშვილი-საგან პეტერბურგში გამოცემული, რამდენჯერმე ვადავიკითხეო. ასეთი ინტენ-

სიური კითხვა და გათვითცნობიერება აკაკის შემდეგშიდაც არ შეუძლებელია, სასწავლებელში ყოფნის დროს, სადაც მას უფრო მეტი საშუალება და პირობები ჰქონდა წიგნების კითხვისა.

ამგვარი იყო, საერთო ხაზებში, პატარა აკაკის ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი მომზადების დონე იმ ხანებში, როდესაც მოაღწია სასწავლებელში წასვლის დროს. და მოზობლებმაც გადასწყვიტეს ბავშვის გამზავრება ქუთაისში, სადაც ამ დროს უკვე სწავლობდნენ აკაკის უფროსი ძმები.

მაგრამ სანამ გადავიდოდეთ აკაკის მოსწავლეობის პერიოდის გაცნობაზე, საჭიროა კიდევ შევიჩრდეთ და შევხვთ ერთ მეტად საგულისხმო მომენტს მისი ბავშობის დროიდან; ეს არის აკაკის აღზრდიელი შემოქმედება, რომლის პირველი საუცხოვო ნიმუშები, ხალხური შაირების სახით, გვიჩვენებენ, თუ რა აღრე გაიღვიძა მგოსანში მისმა პოეტურმა გენიამ. აკაკის უფროსი და ანნა გვიამბობს შემდეგს: „ამაშინ, ბატონ-ყმობის დროს, მოსამსახურებმა ერთმანეთთში გაშაირება იცოდენ. აკაკიც ჩაერეოდა შაირში და თითქმის ყველასა სჯობნიდა. შაირების გამოთქმით საქმეს უჭირვებდა ყველას. არავინ დაუტოვებია ოჯახში, არც კაცი და არც პირუტყვი, რომ არა გამოეთქვა-რაო“. თუ რამდენი იუმორით, დაკვირვების ნიჭითა და გონება-მახვილობით არის აღსავეს ეს შაირები, ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ რამდენიმე მათგანის გაცნობით; მაგალითად, ხაბაზისათვის პატარა აკაკის შემდეგი შაირი გამოუთქვამს:

„შენი გამომცხვარი პური,
ლაქაში და მურასაო,*
აღამიანს არ ეჭმევა,
გადუყარეთ მურასაო“.

არც მემარნისათვის მოუკლია აკაკის თავისი ყურადღება:

„ხელოსანი მარანშია
ღვინოს იღებს ხაპითაო,
ქურის თავზე იბრუება,
სხვებს კი ასმევს ყლაპითაო“.

მოურავსაც მოხვედრია:

„ბელელს თავგი შესჩვევია,
ხრავს სულ რაც სახრავიაო,
მაგრამ თვითონ დიდი თავგი
თვითონ მოურავიაო“.

პატარა აკაკის შაირები გამოუთქვამს აგრეთვე შინაყმა თომა სადღუნი-შვილზე, ქრისტეფორე ბერზე, ქათამზე, ცხენზე.[†] მაგრამ აკაკის მიერ ბავშობაში შეთხზულ ნაწერებიდან, როგორც მისი და ანნა გადმოგვცემს, ყველაზე უფრო შესანიშნავი ყოფილა ბატონ-ყმობაზე დაწერილი სცენები. ამ პირველი

* მურასა — დიდი, გრძელი პური.

† გამოქვეყნებული იქნა „ივერიაში“ 1904 წელს, № 181. იხ. ს. მერკვილაძე — „აკაკის უფროსი დის ანნას გადმონაცემი“.

დრამატურგიული ხასიათის ნაწარმოების ისტორიას ასე გვიამბობს ¹⁾ „ქართლიდან სტუმრები გვეწვიენენ. ისინი ვარანცოვის სახლში დასწრებოდნენ გლუხბარჩის კამედიას და თითო კაკლად ვადმოგვცეს, რაც უნახათ და გავგონათ. ათი წლის აკაკი ამ მუსიკის სულგანაბული უგდებდა ყურს და მეორე თუ მესამე დღეს თითონაც დასწერა ბატონყმობაზეო“.* ამ ნაამბობს თითონ აკაკიც აღასტურებს თავის „თავგადასავალში“. სტუმრების ნაამბობს გულმოდგინედ ვესმენდიო, — სწერს იგი, — „და ბოლოს თვითონაც მოვინდომე, რომ იმგვარი რამ კითხვა-მიგებითი დამეწერა და მართლაც აეწერე ჩვენი შინაურობა, მაგალითად როგორ აწვალებდა მოურავი ხალხს, მერე ბატონს აბეზღებდა; ბატონიც მოთმინებიდან გამოდიოდა და სხვ. და სხვ. ეს ბავშური სცენები სასახლეში სუყველას მოეწონა, გარდა მოურავისა, რომელიც გულმოსული ამბობდა: ჩემი დაცინება არაფერია, მაგრამ ვნახავ, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადაიმტეროს, და ნუ აქეზებთო. ეს ჩემი პირველი ნაწარმოები, — დასძინს აკაკი, — დედაჩემს თურმე შეენახა და, რუსეთიდან რომ დაებრუნდი, — მიჩვენა მე, სიმბრყვემორეულმა ვიუკადრისე, გამოვართვი დედას, დავბიე და ცეცხლში ჩავეყარეო. დედაჩემს ეს ძალიან ეწყინა და მისაყვედურა, მაგრამ ხონ ველარ გავამთელეზდიო“. ასეთი იყო ისტორია და შინაარსი აკაკის ბავშობის დროს დაწერილი პიესისა. მაგრამ ეხლა დავებრუნდეთ ისევ მისი ცხოვრების ისტორიას.

რვა წლისა იყო აკაკი, როდესაც სოფელს მოაშორეს და ქუთაისში გადაიყვანეს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ თავდება მისი ბავშობის პირველი ხანა, — ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქედანვე იწყება მეორეც, — „მტანჯავი, დამწაგვრელი და გამაუკუღმარებელი“.

თ ა ვ ი VII

სასწავლებელში

ბატარა აკაკის პირველი გამგზავრება. ქუთაისში ერთ არაჩვეულებრივ შემთხვევასთან იყო დაკავშირებული. ეს შემთხვევა პოეტს ნაამბობი აქვს თავის „თავგადასავალში“. ერთხელ, ზამთრის პირას, აკაკი და მისი ბატარა ფარეშები თურმე შევილდ-კოდალს აკეთებდენ. „პარაფის ხეს რომ ვაკოპიტბდი, — სწერს აკაკი, — დავიცილე წალდი, დავიკარ კოჭში და შუაზე გავიპე. ტკივილს ისე არ შევუწუხებივარ, როგორც შიშს: ვაი თუ გამიწყრენ მეთქი. მოვავროვე აბლაბუდა, დავიდევი სქლად გაჭრილზე, ზედ ბამბა დავიდევი და შევიკარი მაგრად. მინდოდა არავისთვის გამეშხილა, მაგრამ იმ ღამეს თურმე ქვეშავებში შემსწნოდა და სისხლის ტბა დამდგარიყო. რასაკვირველია, გაიგეს, მიაქიმეს და ნახევარი წლის განმავლობაში ტკივილი არ დამცნოვია. ბოლოს მოვრჩიი, მაგრამ ძარღვები კი ისე დამისუსტდა, რომ მუხლი მომეღუნა და დეკუტდი. ბევრი მიაქიმეს, მაგრამ არა მეშველა რა. იმ ხანებში მამაჩემი დეპუტატად დაინიშნა ქუთაისის სათავად-აზნაურო კომისიაში. დედაჩემმა ურჩია, რომ მეც წაგვეყანე ქუთაისში და ექიმებისათვის ეჩვენებინა ჩემი თავი. რად-

¹⁾ „ივერია“, 1904 წ. № 181.

განაც ფეხის გამართვა არ შემეძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს, ქალისადმი გადა-
მადებინეს შეხუთული ფეხი და ისე წამიყვანეს. ქუთაისამდე ორი დღის სავა-
ლი იყო. გზაში უნაგირზე თურმე ფეხი დამეზილა, შეკრულიც დაეჭიკინა.
ჩავედი თუ არა ქუთაისში, ფეხი გამემართა, აღარც ეჭიმე და შეკრულიცა და
იღარც წამალი“. ასეთი ყოფილა ეს შემთხვევა. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო
1848 წლის შემოდგომაზე. ამ დროს ქუთაისში ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი
გიმნაზია. არსებობდა მხოლოდ პირველდაწყებითი ერთ-კლასიანი სასწავლებელ-
ი და ქალების „წმინდა ნინოს სასწავლებელი“, დაარსებული 1846 წელს.¹⁰

გიმნაზიაში მიბარებამდე პატარა აკაკის, როგორც სჩანს, სახლში ამზადე-
ბდნენ. ყოველ შემთხვევაში პოეტი თავის „თავგადასავალში“ არაფერს ამბობს
იმის შესახებ, რომ მას სადმე ესწავლოს, კერძოთ ზემოხსენებულ პირველ-და-
წყებით სკოლაში. პირიქით, იგი სწერს: „გიმნაზიაში რომ შევედი, გავცუდი:
იმდენი ბავში, ერთად თავმოყრილი, ჩემ დღეში არ მენახაო“. გიმნაზიაში შე-
სვლისასო, — აღნიშნავს იგი ქვემოთ, — „ხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-
კითხვა შესწავლილი მქონდა და რუსულ ამოსაღებშიდაც გატეხილი მქონდა
თვალი დედაჩემის წყალობითო“. ამის შემდეგ ჩვენ საექვოდ მიგვანია სოსო-
ყო მერკვილაძის ცნობა, თითქოს აკაკი, გიმნაზიაში შესვლამდის დროებით
სკოლაში ყოფილიყოს მიბარებული. ეს ცნობა ავტორს მოყვანილი აქვს მის
მიერ დაწერილ აკაკის ბიოგრაფიულ ნარკვევში, რომელიც მიუძღვის პოემა
„გამზრდელს“, გამოცემულს 1913 წელს, ე. ი. პოეტის სიცოცხლეშივე. ს. მერ-
კვილაძეს სხვა ცნობებიც მოჰყავს პოეტის ბავშობის პერიოდიდან, რომელთა
შესახებ აკაკი აგრეთვე არაფერს ამბობს თავის „თავგადასავალში“. განსაკუთ-
რებით საინტერესოა ცნობა პატარა აკაკის ბერად მზადების შესახებ. ავტორი
სწერს: პატარა აკაკის „ჯერ ბერად ამზადებდნენ და ოთხი წლის განმავლობა-
ში საღმრთო წერილი დაასრულებინესო. აკაკის ბერობა აუცილებელი იყო,
რომ ერთ უბრალო შემთხვევას სხვაგვარად არ გადაეწყვიტა იმისი ბედით“. ამის შემდეგ ს. მერკვილაძე გვიამბობს პატარა აკაკის ფეხის ტკივილისა და მი-
სი ქუთაისში სამკურნალოდ წამოყვანის შესახებ. ვინაიდან აკაკის მამას,
როსტომს, თითქმის ყოველდღე უხდებოდა სამსახურში, სათავადაზნაურო კო-
მისიაში, სიარული, ამიტომ, — სწერს ავტორი, — „პატარა აკაკი რომ შინ მარ-
ტო არ დარჩენილიყო, დროებით მიიბარა სკოლაში. აქ აკაკიმ დიდი ნიჭი გა-
მოიჩინა, მასწავლებელმაც მას ყურადღება მიაქცია და ურჩია მამას, რომ შეი-
ლი მიეზარებინა უფრო უმაღლეს სასწავლებელშიო“. როსტომსაც, ავტორის
სიტყვით, მოსწონებია მასწავლებლის რჩევა და ბერად გამწესების ნაცვლად,
აკაკი გიმნაზიაში მიუბარებია. ასეთი არის ს. მერკვილაძის ცნობა. ჩვენ არ გ-
მოვუდგებით იმის გამოკრევეას, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს აკა-
კის ბერად მზადების ამბავი. ყოველ შემთხვევაში ყველა ეს ცნობები ინტე-
რესს მაინც არ არის მოკლებული. დოკუმენტალურად ცნობილია მხოლოდ,
რომ აკაკი გიმნაზიაში მიუბარებიათ 1852 წელს¹¹, პირველ კლასში.

¹⁰) „Стат. опис. губ. и обл. Росс. имп.“, СПб. 1858 г. т. XVI, ч. 5, стр. 163.

¹¹) „აქტები“, ტ. X, გვ. 856.

¹²) „აკაკი — მოწაფე“ (მასალები ქუთ. კლასიკურ გიმნაზ. არქივიდან), გაზ. „სახალხო
ფურცელი“, 1915 წ. № 209.

ამ დროს აკაკის უფროსი ძმებიც, — დავითი და იასონი, — ქუთაისში სწავლობდნენ. ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ თავად როსტომის მთელი ოჯახი 1848-49 წლებიდან უკვე ქუთაისში იყო გადმოსახლებული. ამგვარად, ქალაქში ცხოვრობდნენ და მხოლოდ ზაფხულობით უბრუნდებოდნენ მშობლიურ კარმიდამოს.

ქუთაისი აკაკის მოწაფეობის დროს, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, თუმცა საგუბერნიო ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა, მაგრამ თავისი გარეგნობითა და მცხოვრებთა უმეტესი ნაწილის საქმიანობით უფრო დიდ სოფელს წააგავდა, ვიდრე ქალაქს. ქუთაისის სამრეწველო ცხოვრების წარმოსადგენად ამ ხანებში საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1855 წელს აქ იყო მხოლოდ ოთხი ავტორის ქარხანა და სამი სამღებრო სახელოსნო.¹² ქალაქის შემოსავალი 1843 წელს უდრიდა 4,802 მანეთს, მაშინ, როდესაც თბილისის ქალაქის შემოსავალი ამავე წელს 78,016 მანეთამდე იყო ნაანგარიშევი¹³ სამაგიეროდ ქუთაისში შედარებით კარგად განვითარებული ყოფილა ვაჭრობის საქმე. როგორც იმ დროინდელი ოფიციალური გამოცემა გვაუწყებს, ქუთაისში 1852 წელს ვაჭრობას ეწეოდა 200-მდე კაცი. ქუთაისელი ვაჭრები ერთ დროს, სახელდობრ 30-იან წლებში, ლეიპციგის ბაზრობაზედაც კი მიემგზავრებოდნენ ხოლმე საქონლის შესაძენად.¹⁴ შემდეგში ქუთაისელ სოცდაგრებს ვაჭროველებული ვაჭრობა ჰქონიათ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზართან, საიდანაც მათ წლიურად 100 ათას მანეთამდე ღირებული საქონელი ჩამოჰქონდათ ქუთაისის ბაზარზე გასასაღებლად.¹⁵

1859 წლის იანვარში, როდესაც აკაკი გიმნაზიის მეშვიდე კლასში იყო, ქუთაისზე ტფილისიდან გზად გამოიარა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ (მამამ), რომელმაც თავის მოგზაურობის წიგნში აღწერა იმერეთის დედაქალაქისაგან მიღებული შთაბეჭდილებები. „ეზანდელი ქალაქი, — სწერს სახელოვანი რომანისტი ქუთაისის შესახებ, — გაშენებულია მდინარის მარცხენა ნაპირზე, დაბლობში. მას ძალიან კარგი მღებარეობა აქვს ვაჭრობისათვის, მაგრამ კიდევ უკეთესი ციებისათვის. იგი დიდ სოფელს უფრო წააგავს, ვიდრე ქალაქს და წარმოადგენს თვალწარმტაც ადგილას მიმობნეულ სახლების კრებულს. ეს სახლები იქ უშენებიათ, სადაც მარჯვედ მიულწნევიან, და თვითთული მათგანისათვის დიდი თუ მცირე ზომის ბაღიც მიუღობიათ. ამის წყალობით გაჩენილა ფართე ქუჩები და ვეებერთელა მოედნები. სახლები საზოგადოთ წნელისაგან არის ნაგები, შემდეგ თიხით შელესილი და კირით შუთეთრებული. თავადების, მემამულეებისა და მდიდრების სახლები ხისაგან არიან აგებული. თვით ასეთი უწყესრიგობა ქუთაისისა მას ხდის ერთ-ერთ უღამაზეს და უშეწინიერეს ქალაქად. ზაფხულში, ზეების ჩრდილისა და წყაროების სიმრავლით მას შეუძლია ქიშპობა ვაუწიოს ნუხასო.“ — დასძენს ფრანგი მწერალი.¹⁶

¹²) „Стат. опис. губ. и обл. Росс. имп.“ — Кутаис. ген.-губернаторство. СПб. 1858 г. т. XVI, ч. 5. стр. 106.

¹³) „აქტები“, ტ. IX, გვ. 611.

¹⁴) ნიკო ნიკოლაძე სწერს თავის მოგონებაში, რომ ოცდაათიანი წლების ნახევარში ბიძამისი გრიგოლი და მამა იაკობი „საქონიაშიც ყოფილან ლეიპციგის იარმუკაში“ (იხ. თხზ., ტ. I, გვ. 16, „ქართ. წიგნ.“, გამოცემა 1931 წ.

¹⁵) „Стат. опис.“, გვ. 109 — 110.

¹⁶) Ал. Дюма — „Кавказ от времен Прометея до Шамиля“, стр. 625.

ასეთი იყო ქუთაისი აკაკის ყრმობისა და სიკვამლის ხანაში. თავისი ცხოვრების ეს დაუფიქარი პერიოდი, — ათ წელიწადზე მეტი, — პოეტმა გაიტარა ამ ქალაქში და შემდეგაც, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, დაუღწეველად შირი სტუმარი იყო მისი. ამ თავის საყვარელსა და, როგორც ამბობენ, — „შენაკავშირ-შენათვის“ ქალაქს მან შემდეგში, სხვათაშორის, უძღვნა ერთი თავის შესანიშნავ ლექსთაგანი — „მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო“... ეს ლექსი ღრმა პოლიტიკური აზრით არის გამსჭვალული და გამოთარია გულწრფელი ელგეიური გრძნობით. პოეტი კითხულობს, თუ ვინ დაუნგრია ქუთაისს თავისი ციხე-გალავანი — „ბევრჯერ სისხლში განაბანი“, სად წავიდა ოქროს ჩარდახი, ერთ ღროს განთქმული და დიდებული, ან რას ბუტბუტებს თავმომწონე ფაზისი, ეზლა რიონად სახელცვლილი. მას აგონდება ალბად ოქროს კრავი და მრისხანე ზვირთებზე ფრთხილად მომცურავი არგო, რომელსაც მოჰყავს იაშონი თავისი ელინებით, — მედეას მომპარავი და ოქროს ვერძის მომტაცებელი. „სადაა არის ოქროს სილა? შლამტალახით ამოგსილა!.. მწუხრის ზეწარს დაუფარავს მაგის მზე და მაგის დილა!“ — სევდიანად დასძენს ლექსის ბოლოში პოეტი. ცხადია, ეს ლექსი ალგორიული ხასიათისა იყო, როგორც მრავალი სხვა ლექსები აკაკისა და გამოხატავდა მისი ღროსი საქართველოს სინამდვილეს.

ეზლა დაეუბრუნდეთ ისევ ჩვენი თხრობის საგანს — აკაკის მოწაფეობას და გავეცნოთ პოეტის ცხოვრებას ამ პერიოდში.

ქუთაისის საგუბერნიო გამნაზია გახსნილი იქნა 1850 წელს. ამ გამნაზიაში შეეძლოთ სწავლა მხოლოდ „თავისუფალ მდგომარეობის“ პირთა, ე. ი. თავდა-აზნაურთა და შემღებულ კლასების წარმომადგენელთა შეილებს. გამნაზიის კურსი შეიდი კლასისაგან შესდგებოდა, გარდა ამისა იყო კიდევ ერთი დამატებითი ე. წ. მოსამზადებელი კლასი.

ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ქუთაისის გამნაზიაში სწავლობდა და რამდენიმე კლასით უკან იყო აკაკიზე, თავის მოგონებაში სწერს: „გამნაზია იმ ღროს უეაროვის ტიპის იყო. გვასწავლიდნენ საღმრთო სჯულს, ბუნებით საგნებს (ზოოლოგიას, ბოტანიკას, მინერალოგიას), ისტორიას, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, რიტორიკას და პიტიკას; ენებს: რუსულს, ქართულს, თათრულს და ფრანგულს. ეს ოთხი ენა ყველა მოწაფისათვის სავალდებულო იყო. როცა მებუთე კლასში გადავდიოდით, გვეკითხებოდნენ: აპირებთ თუ არა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებასო. ვინც აპირებდა, იმას ლათინური ენის სწავლა უნდა დაეწყო, ვინც არა და ის კანონების გაცნობას უნდა შედგომოდაო, — დასძენს ნიკო ნიკოლაძე.¹⁷

გამნაზიასთან დაარსებული იყო ეგრეთწოდებული „კეთილშობილთა ჰანსიონი“, აგრეთვე განკუთვნილი მაღალი წოდებისა და დამსახურებულ მოხელეთა შეილებსათვის. პანსიონში 135 ადგილი იყო, აქედან 60 მოწაფე სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა, დანარჩენები წელიწადში იხდიდნენ სწავლის ფულს 80 მანეთს ვერცხლით. არსებულ ცნობების მიხედვით 1855 წელს ქუთაისის გამნაზიასა და „კეთილშობილთა“ პანსიონში 210 მოწაფე სწავლობდა.¹⁸

¹⁷) ნ. ნიკოლაძე — „რჩ. ნაწერები“, „ფედერაციის“ გამოც., 1931 წ.

¹⁸) „Стат. опис. губ. и олд. Росс. имп.“ СПб. 1858 г. т. XVI, ч. 5, стр. 162—163.

პატარა აკაკი მშობლებს „თავისუფალ მოსიარულეთ“ მიუბარებოთ გიმნაზიის პირველ კლასში. აქედან იწყება სწორედ ის ახალი ხანა მის ცხოვრებაში, რომელსაც იგი „მტანჯავს, დამჩაგვრელსა და გამაუკუღმურებელს“ უწოდებს. საკმარისია ახლოს გავეცნოთ ნიკოლოზ პირველის დრამატურული ნაწარმოებში გიმნაზიებში გამეფებულ სასტიკ რეჟიმსა და სწავლა-აღზრდის პოლიტიურ მეთოდებს, რომ საეცებით გასაგები შეიქნეს ჩვენთვის, რატომ გამოჰყვა აკაკის მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე მწარე და უსიამოვნო მოგონებად სასწავლებელში გატარებული ბავშობის დღეები.

მეუფის დროინდელი სასწავლებლებისა და კერძოთ გიმნაზიების ერთ უმთავრეს დანიშნულებას, როგორც ვიცით, წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის ერთგული ჩინოფნიკების გამოზრდა. უფროსების წინაშე ქედმოხრილი მორჩილება, არსებული პოლიტიკური და სოციალური წყობილების ბრმა თაყვანისცემა, რელიგიური ფანატიზმი — აი ძირითად საფუძვლები, რომელზედაც აგებული იყო ბავშვების „განათლება“ პირველდაწყებითსა და საშუალო სკოლებში. რუსეთის იმპერიის კალონიებსა და ნახევრად კალონიებში, როგორსაც წარმოადგენდნენ „ინოროდცეებით“ ანუ სხვა ეროვნების ხალხებით დასახლებული განაპირა ქვეყნები, სასწავლებლებს კიდევ ერთი ზედმეტი ამოცანა ჰქონდათ დაკისრებული. ეს იყო ადგილობრივი ხალხების ძალათ გარუსება, მათი კულტურის, ენისა და ნაციონალური თავისებურების მოსპობა და ასიმილირება გაბატონებულ ერის შემადგენლობაში. სასტიკ პოლიტიურ რეჟიმს განაპირა ქვეყნების სასწავლებლებში ზედ ერთგოდა უბეში რუსიფიკატორული სული, დაფუძნებული „როზზე“, დასქენაზე და ფისკალურ ზომების ფართე სისტემაზე, რომელიც ხელს უწყობდა ბავშვების გონების სისტემატიურ დაჩლუნგებას, მათი ზნეობის დაქვეითებას და სულის დამახინჯებას.

გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც ქუთაისის გიმნაზია წარმოადგენდა. პირიქით, ეს სასწავლებელი ერთი საუკეთესო გამომხატველი იყო იმ დროინდელი „საგანმანათლებლო“ პოლიტიკისა, რომელიც ტარდებოდა ცარიზმის მიერ დაპყრობილ ხალხებში.

აკაკი თავის „თავგადასავალში“ გვიხატავს მთელ რიგ ეპიზოდებს მოწაფეობის ხანიდან, რომლებიც შესანიშნავად ახასიათებენ, როგორც იმ დროს გამეფებულ საშუალო რეჟიმს, ისე იმ დამლუპველ გავლენას, რომელსაც ეს რეჟიმი ახდენდა მოზარდ თაობაზე. ამასთან ერთად აკაკი გვაცნობს იმ სულიერად და ფიზიკურად გახრწნილ ტიპების გაღვრევის, რომლებიც პედაგოგების სახელს ატარებდნენ და ვის ხელშიაც იყო ჩაბარებული ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმე.

თავის აღმზრდელებიდან აკაკი ასახელებს მხოლოდ რამდენიმეს, — იმათ, ვინც ყველაზე უფრო დამახასიათებელ და კოლორიტულ ფიგურებს წარმოადგენდნენ. ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლებს შორის. ასეთები იყვნენ: რუსული ენის მასწავლებლები ტროე, საპევა და პანიზოცკი; მათემატიკური საგნების მასწავლებელი პოლონელი როდზიევიჩი; ფრანგული ენის მასწავლებელი მუსიე ტურესი და გიმნაზიის დირექტორ კოცებუ. ტროეს და როდზიევიჩის გამოკლებით, ეს მასწავლებლები საუკეთესო გამომხატველები და პრაქტიკული გამტარებლები იყვნენ თავისი დროის მახინჯი პედაგოგიური სისტემისა. მათს „მოღვაწეობას“ გავეცნობით ქვემოთ, როდესაც შევხებით სხვადა-

სხვა მომენტებს აკაკის მოწაფეობის დროინდელი ცხოვრებდან. ნახამდე კი საინტერესოა ყური დაეფუდოთ პოეტს, როგორ ახასიათებს იგი ამ თავის მასწავლებლებს.

რუსული ენის მასწავლებელი ს ა ბ ე გ ა, — აკაკის სიტყვებით: „ახი-ჩებული კაცი იყო. „სულ ჯავრობდა რაღაცაზე; ცხვარი ჩამოუტიროდა და სხვაც რომ ვინმე დაენახა მომცინარი, გადაირეოდა“. საპეგა დიდათ იყო დახელოვნებული ბავშვების ცემა — ტყეპაში.

აკაკი მეტად დამახასიათებელ შემთხვევას გვიამბობს ამ საპეგას „პედაგოგიურ“ მოღვაწეობიდან. „ერთი მოწაფე იყო ჩვენს კლასში კ... ლ... (კირილე ლორთქიფანიძე — ლ. ა.), სამაგალითო რამ, აჩქარება არ უყვარდაო. — სწერს აკაკი, — საპეგა კი, როცა გაკვეთილს ჰკითხავდა ვისმე, ამბობდა: ნუ ფიქრობ, ისე მითხაროო. ის გაუყვანია დაფაზე, რაღაც დაუწერინებია და ახსნის უცდის. კ... ლ... ფიქრობს, რომ კარგად მიუგოს. სულწასული პედაგოგი მიეპარა უკანდიან, ჰკრა თავში ხელი და ცხვირ-პირი დაფაზე მიახლევინა: „რას უცდიო?“. შეშინებულსა და გაბრუებულ მოწაფეს ცხვირში სისხლი წასკდა, და სწორედ ამ დროს შეესწრო დირექტორი. საპეგა მეორე დღეს თვალთშალარ გვიჩინახესო. — დასძენს პოეტი. როგორც ვხედავთ, საპეგას მზეცობამ იმ ზომამდე მიიღწია, რომ თვით გიმნაზიის ადმინისტრაციაც კი იძულებული შეიქნა გაეძევათ იგი გიმნაზიიდან.

მას შემდეგ რუსულ ენას ასწავლიდა პ ა ნ ი ზ ო ვ ს კ ი. „ბევრით უკეთესი ვეღარც ის იყო, — სწერს აკაკი, — კოშანსკის რიტორებას მოიტანდა ხოლმე და ისე უხმოდ, თითოთ გვიჩვენებდა: აქედან აქამდის გაიზუბირეთო“. ეს მასწავლებელი მოწაფეებს გარეშე წიგნების კითხვის ნებას არ აძლევდა და ამბობდა თურმე: „რაც კარგი რამეა — რიტორებაშია დაბეჭდილი, ეს გეყოფათო“.

დირექტორი გიმნაზიისა, კ ო ც ე ბ უ, მაზრის უფროსად იყო ნამსახური. ადვილი წარმოსადგენია, როგორი პედაგოგი იქნებოდა ყოფილი პოლიციელი. მის ერთადერთ ღირსებას შეადგენდა თურმე ქართული ენის ცოდნა, რომელიც მაზრის უფროსობის დროს შეესწავლა — ალბათ იმ მიზნით, რომ „ტუ-ზემცემისათვის“ უკეთესი „ხელმძღვანელობა“ გაეწია.

დირექტორს ღირსეული თანაშემწეც ჰყავდა — გიმნაზიის ინსპექტორი, რომელიც აკაკის დახასიათებით, — „შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთამსუთავისა... ყმაწვილის „გაროზგვას“ არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოეღო. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავში „გაროზგა“: ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზრდიათ და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მოვიჭრიაო“.

მაგრამ ბავშვებისათვის ნამდვილ რისხვას წარმოადგენდა გიმნაზიის ზედამხედველი, ამ გამხეცებულმა მოხელემ აკაკის ერთ ამხანავს, გვარად ჭაჭიაშვილს თურმე „შუამდი აახლიჩა ყური“. მეორე მოწაფეს — კლდიაშვილს „პირით დაჰკრა შუბლზე „ლინიეკა“ და თავთხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავში შინ წაიღეს... ამ გარემოებისათვის, — დასძენს აკაკი, — ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანები ზომ უთვალავი იყოო“.

საბედნიეროდ, ამ ხროვაში გამოწაკლისებაც ჰქონდათ ადგილი. ასეთებს ეკუთვნოდნენ რუსული ენის მასწავლებელი, გვარად ტროე, და მათემატიკის მასწავლებელი პოლონელი როდზივიჩი. აკაკის სიტყვით ეს პედაგოგები

„საზარელ ბნელში ნათელს“ წარმოადგენდნენ. მოხელის მუნდირის ქვეშ მათ კეთილშობილი ადამიანის გული უცემდათ. ესენი იყვნენ ჰემპარიტი ბრედაგოგები და აღმზრდელები, — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უცხოელებიც (კდილობდნენ ზაფხუბში საუკეთესო გრძობების გაღვიძებას და ზაფხულისთვის განვითარებას. მათ შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, ესლა კი დრო არის გავეცნოთ უფრო ახლოს სწავლა-აღზრდის წესებს ქუთაისის გიმნაზიაში და კერძოდ პატარა აკაკის ცხოვრებას და თავგადასავალს მისი მოწაფეობის დროს.

გიმნაზიაში რომ შეუყვანიათ, პატარა აკაკის ასეთი სურათი დახვედრია კლასში: „მოზრდილები სკამებზე იჯდნენ სულგანაბული და ახალ მოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვნენ ატუხული. აქ კედლებზე ირგვლივ ქალაღის ფიკრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსალები ეწერა და იმას აკითხებდნენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წყება და, შეეშლებოდა თუ არა ბავშს კითხვა, უცხუნებდა და უტხუნებდა: ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და, როცა შემოუვლიდნენ კედლებს, მერე-კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვნენო, — სწერს აკაკი-სანამ კითხვას ისწავლიდნენ. უნდებოდნენ ზოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7-8 წლის ბავში დღის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ სათამდე მშვიერ-მწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვენ ის საწყლები. ზოგს გული ეყრებოდა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდნენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავენ აქცევდნენ“.

პატარა აკაკი მასწავლებელმა შესვლისთანავე პირველ კედელზე დააყენა. მაგრამ აკაკის ანბანის შესწავლა აღარ სჭირდებოდა. შინ მას უკვე ნასწავლი ჰქონდა ხუცური და აგრეთვე მხედრული წერა-კითხვა. გარდა ამისა, დედამისის წყალობით ცოტა რუსული კითხვაც იცოდა. აკაკის ერთ დღეს შემოურბენია ყველა კედლები. მასწავლებელს მისთვის თავზე გადაუსვია ხელი, მოუწონებია და უფროს მოსწავლეებთან დაუსვამს სკამზე. ასე დაიწყო აკაკის მოწაფეობა. მაგრამ პირველი დღის სასიამოვნო შთაბეჭდილებამ დიდხანს ვერ გასტანა. პატარა ბავშვა ჩქარა იგემა მთელი სიმწარე იმ რეჟიმისა, რომელიც გამეფებული იყო გიმნაზიაში.

ქართული ენა ამ დროს სავსებით განდევნილი იყო ოფიციალურ დაწესებულებებიდან. სასამართლოში რუსულად სწარმოებდა საქმე. ეკლესიაში რუსულად სწირავდნენ. შკოლებში რუსულად ასწავლიდნენ. მოწაფეებს უფლება არ ჰქონდათ სასწავლებლის ფარგლებში ერთი სიტყვაც კი ეთქვათ მშობლიურ ენაზე. ვინც ამ წესს დაარღვევდა, მას სასტიკი სასჯელი მოელოდა: ცემა და უსადილოდ დატოვება. „იმ დროს, — სწერს აკაკი, — შემოდებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩნებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს, სახანავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოდ“. ასეთი იყო ჩინოვნიკ პედაგოგების მიერ შემოღებული ერთი ზომათავა-

ნი, რომ ბავშვებს საცხებით დაევიწყებინათ მშობლიური ენა. ამ ზომას ცხადია, უდიდესი გამრყენელი გავლენა ჰქონდა მოწაფეებზე. იგი აჩვენდა მათ სიტყუ-
ეს, ცბიერება-ფარისევლობას, ამხანაგის გაუტანლობას, მამუხლოებას, პა-
ტარა აკაკი ჩქარა გამხდარა სასწავლებელში გამეფებული წყნების მსწერული.
„სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, გვიამბობს პოეტი, — რომ მოვიდა
ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონე, და ტკბილის ღიმი-
ლით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად: მეც, რასაკვირველია, რადგა-
ნაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე. ყმაწვილს მშვილობიანი სახე
გადაუსხვავებდა და სიხარულით მომამჩნა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა
გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. „რა გენაღვლება შენ, მე
რომ ლინეიკა არ დავიტყუა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი“ — ვებვეწე-
ბოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიქირა: „მე თუ დამარტყეს, შენ რა პრე-
ლი პეპელა ხარო?!“ მე მაინც არ დავეთანხმე, მივიდა და დამაბუხლა. დამიძა-
ხეს, გავედი შიშით და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა:
„როგორ ბედავ ურჩობასო? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო!“ მე თავის გამარ-
თლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა! — „ქარგი მე გასწავლი ჰქუასო“. და-
უძახა „სტოროეებს“ და უბრძანა: „როზგო!“ მე, ამის გამგონეს, თავში სისხ-
ლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე. — „ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო!“ იყვირა
მასწავლებელმა. ივრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერად და გადამელობენ კა-
რებზე... მე მეორე ოთახში შევარდი... შევბტი ფანჯარაზე, ვავამტვრიე მინე-
ბი, გადავბტი და მოვკურცხლე შინისკენ. გამომიდგენ „სტოროეები“. წინ მე
გავგზობდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდენ კივინით. გულგახეთქი-
ლი შევიჭერი შინ. დედ-მამამ რომ გაიგეს, რაც მოხდა, შეწუბდენ და ბევრიც
მირჩიეს: „წადი, რა ვუყოთ, გავგოზგონ; ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის—
ყველას როზგვენო. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო;
მაგათში უმისოთ არ შეიძლებაო!“... მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხი-
ლი ვუთხარი დედას:

— „თუ კიდევ ვავიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიბრძობ-
მეთქი“. შეშინდენ და ჩამომეთხოვენ. ერთ კვირას აღარ წავსულვარ კლასში“. როგორც სჩანს, ეს ამბავი ძალიან გახმაურებულა და დირექტორი კოცებუ
იძულებული გამხდარა ჩარეულიყო საქმეში. იგი მოსულა აკაკის მშობლების
სახლში, თვითონ გამოუკითხავს ბავშვისათვის საქმის ვითარება, მოფერებია და
დაუშვებდებია იგი. მეორე დღეს თავისთან დაუბარებია კანცელარიაში და
თვითონ შეუყვანია კლასში. შემდეგ მოუხმია ინსპექტორი, ზედამხედველები,
მასწავლებლები და უბრძანებია მათთვის „მარკის“ გადაგდება და ცემა-ტყეპის
მოსპობა. მაგრამ დირექტორის ბრძანება ბრძანებად დარჩენილა. „ცოდვის
ფირფიტა“ თუმცა გადაუგდიათ, მაგრამ ბავშვის ცემა-ტყეპა მაინც განუგრ-
ძიათ. „უმიისობა მაინც არ ეხერხებოდათო, — დასძენს მწარე ირონიით აკა-
კი, — იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჰქუა და სიკარგე
ოოზგის ნაყოფიაო. გიმნაზიებშიაც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭი-
რა... დღე არ იქნებოდა, ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილი-
ლიყო გაყრუებული. „როტაში“ არ უნდებოდათ იმდენი წიკება, რაც თვითე-
ულ კლასში. „სტოროეებს“ ურმებით მოჰქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი. მო-
სწავლის გალაბვა ყველას შეეძლო, დირექტორიდან დაწყებული „სტოროეამ-
9. „მნათობი“ № 2.

დე... ვინ იცის რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა, რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ“.

პატარა აკაკის, როგორც თვით სწერს, ეს ტანჯვა, მართლაც, ასეველებია თავიდან, მაგრამ ერთხელ მაინც გაულაბავათ. და ეს ერთი გაულაბავა სწორი-სი იყო, რომ პოეტს მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოჰყოლოდა მისი მწარე მოგონება. აკაკი ისევ იმ მასწავლებელს გაულაბავს, რომელსაც პირველად გადაურჩა შინ ვაქცევით და შემდეგ დირექტორის საქმეში ჩარევით. ამ ვალახვის ისტორია ასეთი ყოფილა. ერთხელ აკაკის რომელიღაც ამხანაგს სკოლაში ხაქაპურები მოუტანია და ლატარიაში ჩაუგდია თითო კაპიკად. ხელი ყველამ მოაწერა თურმე, მათ შორის აკაკიმაც. ამ საქმეში რომ იყვნენ გართულნი, მასწავლებელმა შემოუსწრო მოწაფეებს და საშინლად გაჯავრდა — როგორ გაბედეთ ხელის მოწერაო! — „იღო დიდი, უშველებელი „ლინეიკა“ ხელში, — სწერს აკაკი, — თვითო-თვითოდ გაჰყავდა ხელის მოწერლები; ჰკითხავდა: რომელი ხელით მოაწერეო. და პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა: „კიდევ მოაწერო?“ ეკითხებოდა დაცინვით“... ჯერ აკაკიზედაც მიმდგარა. იმ დროს მას უკვე წაკითხული ჰქონდა საბა-სულხან ორბელიანის არაკები და ვახსენებია ოფოფის ზრიკი, თავის გადარჩენა რომ უნდოდა და მელა გააბრიყვა. აკაკისაც მოუნდომებია თავისი ბოროტი მასწავლებლის მოტყუება. იმ დღეს წერის გაკვეთილი იყო და აკაკიმ იფიქრა თურმე, წერა რომ არ გამოიფუტდეს, მოდი მარჯვენა ხელს გადაეარჩინ და მარცხენას გაეიმეტებო და გაუწოდებია კიდევ, მაგრამ ცბიერი მასწავლებელი არ მოტყუებულა: „ჯერ დამკრაო, — სწერს აკაკი, — და მერე ეჭვი შეიტანა, რასაკვირველია, განგებ: მარცხენა ხელით როგორ მოაწერდიო? რომ გამოვეტყუდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა და გამოშვა. ტყენა ზომ ტყენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა, რომ ჰქუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მაშინ, როცა სხვები კი თვითოთი გადარჩენ. ვტიროდი, ხელი მიკანკალებდა და, რასაკვირველია, კარგად ვეღარ დავწერდი!.. ნაწერები რომ გააჩნია მასწავლებელმა, დამიწუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“: უკეთ დაწერეო! კლასის გათავებამდი ოთხჯერ კიდევ დამკრა!..

ასე იყარა ჯავრი მხეცმა მოხელემ ზავზე. დირექტორს, — როგორც აკაკი სწერს, — გაუგია ეს ამბავი, ალბათ მიხვდა, რომ მასწავლებელმა შური იძია მოწაფეზე, — და შენიშვნა მიუცია მისთვის. ამის შემდეგ ეს მასწავლებელი გადაკიდებია აკაკის და სრულიად აღარ აქცევდა თურმე ყურადღებას, არც ასწავლიდა და არც რამეს ჰკითხავდა. „მე მაინც ზოგს მხანაგების შემწეობით, ზოგსაც ჩემით ვსწავლობდი. რაც ძალი და ღონე მქონდაო, — გვიამბობს პოეტი, — ცვდილობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა და სხვებს არა თუ არ ჩამოუვარდებოდი, მეტიც ვიკოდი მათზეო“. ბევრითი მეცადინეობით პატარა აკაკი ძალიან წინ წასულა; ჩქარა გიმნაზიაში გამოცდები დაწებულა, რომელსაც თურმე იმ დროს სისასტიკითა და გულჭევაობით განთქმული „პოპეიტლის“ თანაშემწე მაქსიმოვიჩი ესწრებოდა; გამოცდებზე პატარა აკაკის ამ მაქსიმოვიჩის ყურადღება მიუბყრია თავისი ცოდნით და გონება გახსნილობით, უფრო კი მოსწრებული სიტყვა-პასუხით. მრისხანე ეგზამენატორი იმდენად ნასიამოვნები დარჩენილა აკაკის პასუხებით, რომ მისთვის მოფერებით თავზე ხელი გადაუსვამს და შუბლზედაც უქოცნია, ხოლო მისი ბოროტი მასწავლებლი-

სთვის მადლობა უთქვამს და ხელიც ჩამოურთმევია, თითქოს მისი წყალობა ყოფილიყოს ბავშვის გონიერება და სწავლაში წარმატება.

პატარა აკაკი მეორე კლასში პირველი საჩუქრით იქნა გამოცხადებული. ამიერიდან პატარა აკაკის უკვე სხვა თვალთ უყურებდნენ, როგორც მასწავლებელი, ისე მისი ამხანაგი მოწაფეებიც. აკაკი პირველ მოწაფედ ითვლებოდა და ცდილობდა ეს პირველობა შეენარჩუნებია, — „დღე და ღამე გაერთიანებული მქონდა, ისე მონდომით ვსწავლობდიო“, — სწერს პოეტი. არამც თუ ამ მდაბალ კლასში, არამედ მაღალ კლასებშიდაც აკაკი პირველ მოწაფედ ითვლებოდა და, როგორც თვითონ ამბობს „ოქროს ფიცარზე ეწერა“ მისი სახელი.

მაგრამ ასეთი წარმატება მოწაფისა იმ დროს ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ბავშვს ან ძალიან დიდი ნიჭი უნდა ჰქონოდა, ან არაჩვეულებრივი ბეჯითობა გამოეჩინა, რომ საგნები დაეძლია და არ ჩამორჩენილიყო სწავლაში. უმეტესობა მოწაფეებისა კი ძალიან დაბალ დონეზე იდგა თავისი ცოდნითა და საერთო მომზადებით. ამის მიზეზი იყო უპირველეს ყოვლისა თვით მაშინდელი პედაგოგიკის ჩამორჩენილობა და მეტად დაბალი ხარისხი.

იმ დროის შკოლებში სწავლების ერთ-ერთ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა საგნების უაზრო ზეპირობა. ნიკო ნიკოლაძე სწერს თავის მოგონებაში: „მეოთხე კლასამდე სწავლა სულ უბრალო იყო: ზეპირათ უნდა გვესწავლა გაკვეთილი, სიტყვა-სიტყვით ისე, როგორც სახელმძღვანელოში იყო დაბეჭდილი. უმეტეს ნაწილს მოწაფეთაგანს გაგებაც არ ჰქონდა, თუ რას ნიშნავდა ამ რიგათ ვაზეპირებული ნაწყვეტი... მშვენიერად გადიბულბულებდნენ გაკვეთილს... მაგრამ რომ გეკითხათ — ქართულად მითხარი რა წაიკითხეო, უნდა დამუნჯებულყვენენ, ვაზეპირებულის გაგება არ ჰქონდათ. მასწავლებლები სრულებით არ ფიქრობდნენ აეხსნათ, რასაც ასწავლიდნენ“¹⁹ ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი აკაკის მოწაფეობის დროიდან, რომელსაც მოგვითხრობს შალვა დადიანი. ეს ეპიზოდი მას თვით აკაკისგან გაუგონია: „მოწაფეობისას მე და კირილე ლორთქიფანიძე ერთ სკამზე ვიჯექით გიმნაზიაში, — უთქვამს პოეტს, — რუსული კარგად არ ვიცოდით, ბევრი სიტყვები არ გვესმოდა და თუმცა ვცდილობდით ჩვენი სიტყვით მოგვეთხრო, მაინც ხშირად უაზროდ ვზეპირობდითო. ერთხელ ისტორიის გაკვეთილი იყო და უნდა მეამბნა რუსეთისა და შვეციის ომის ამბავი, პეტრე დიდის და კარლოს მეთორმეტის შეტაკებიდანაო. დავიწყე ძალიან მარჯვედ და ბოლოს იმით გავითავე, რომ ვთქვი: „Русские войска разбили шведов под предводительством Пуха и Праха“ — მეთქი. „რაო?“ — წამოვარდა მასწავლებელი და, რომ კიდევ გაუმეორე, კეთილი კაცი იყო და კი არ გამიჯავრდა, სიცილი აუტყდაო. ამ დროს კირილემ ჩამჩურჩულა: „რა ღმერთი გავიწყრა, „პუხ“-ი როგორ არ იცი რა არისო? — რა არის მეთქი. „პუხ“-ი ბურტყლს ჰქვია, აგერ ბაზარში რომ ჰყიდიან“. პოო, „პრახ“-ი რაღა არის-მეთქი. „პრახი“-ო, პრახი არც მე ვიცი რა არისო, — და აკაკისაც მწარედ გაეცინა: — აი ასეთი ვაწვალებით ვსწავლობდითო“²⁰

¹⁹) ნ. ნიკოლაძე — „თბზ.“, ტ. I, გვ. 32.

²⁰) შალვა დადიანი — „მოგონებანი აკაკიზე“, გაზ. „სიტყვა და საქმე“, 1935 წ. № 3.

კირილე ლორთქიფანიძემ აკაკისთან ერთად დაამთავრა ქუთაისის გემნაზია და შემდეგ ისიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. ილიასთან, აკაკისთან, გიორგი წერეთელთან და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად მისი მოწინავე და გამოჩენილი წევრთაგანი იყო ჩვენი მესამე ცენტრის მოღვაწეთა გუნდისა. კირილე ლორთქიფანიძის შესახებ ქვემოთ არაერთხელ გვევსება საუბარი, ესლა კი მივუბრუნდეთ ისევ აკაკის მოწაფეობას.

მეორე კლასში აკაკის რუსულ ენას ასწავლიდა მასწავლებელი ტროე. ეს პედაგოგი გამონაკლის მოვლენას შეადგენდა თავის კოლეგებს შორის. ჩვენი პოეტი დიდის სითბოთი და სიყვარულით იგონებს მის სახელს თავის „თავდადსავალში“. ტროე არ წააგავდა იმ მოხელე პედაგოგებს, რომლებიც უაზროდ აზებირებინებდნენ მოწაფეებს თავის საგანს და არ იწუხებდნენ თავს, რათა ბავშვისათვის ღრმად და საესებით შეეგნებინებინათ საგნის შინაარსი. აკაკი სწერს ტროეს შესახებ: „საზებიროს ცოტას გვაძლევდა, სულ რამდენიმე პწკარს, მაგრამ მაგიერად არა თუ აზრი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გეცოდნოდა და აგვეხსნაო“. ბავშებს რომ წარმატებით შეეთვისებინათ გაკვეთილები, ამ ტროემ ერთი ორიგინალური ხერხი მოიგონა. „თვითელ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი. ისინი ჰკითხავდნენ ყოველ დღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდნენ. იმ უფროსებისათვისო, — ამბობს აკაკი, მერე შე უნდა მეკითხნა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც შემემოწმებინა და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებლისათვის. რომ შემოვიდოდა, ისიც გადაათვალიერებდა და დასარწმუნებლად გამოიხმობდა ზოგიერთებს“. მოსწავლეთა შორის ამ თვითმოქმედების გაღვივებას და ურთიერთ კონტროლის დაწესებას, ცხადია, — კეთილი ნაყოფიც გამოუღია და მოწაფეები ძალიან დაწინაურებულან სწავლაში. აკაკი გვიამბობს ერთ კურობულ შეთხვევას, ძალიან ნიშნულს გიმნაზიაში გამეფებულ რეჟიმისათვის. აკაკის ერთი ამხანაგი ჰყავდა, გვარად გაბაშვილი, — სოფლიდან დადიოდა თურმე სასწავლებელში და თითქმის ყოველდღე აგვიანდებოდა, რისთვისაც აჩოქებდნენ ხოლმე კუთხეში გაკვეთილის გათავებამდე; სწავლის დროს მოწაფეებს იგი იშვიათად უნახავთ ფეხზე მდგომი. ერთხელ აღრე მოსულა სკოლაში, მაგრამ რადგანაც დაჩვეული იყო, თავისთავად დაუჩოქნია. ის გაკვეთილი ტროესი ყოფილა. უფროს შეგირდს გაბაშვილისათვის გამოუკითხავს გაკვეთილი და რადგან სკოლია, კარგი ნიშანი დაუსვამს. შემდეგ აკაკისაც შეუმოწმებია და მართალი გამომდგარა. ტროეს გადაუთვალიერებია ნიშნები და შემდეგ გაბაშვილი გაუძახნია, — ალბად გაუკვირდა, კარგი ნიშანი რომ ჰქონდა დასმული. მაგრამ აკაკის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მისმა ამხანაგმა თურმე ერთი სიტყვაც ვერ უპასუხა მასწავლებელს. ტროეს უფიქრია, ნამდვილად მომატყუეს უფროსმა შეგირდებმაო და ძალიან გააჯერებულა. გაბაშვილი ისევ კუთხეში გაუგზავნია დასაჩოქებლად და აკაკისათვისაც უბრძანებია — შენც გვერდში ამოუდექი მაგას გაკვეთილის გათავებამდისო.

— შე შეჩვენებულა რა ჰქენი ეგა, აკი იცოდი? — დავეკითხე ჩემად, კუთხეში რომ გავედითო, — გვიამბობს აკაკი, — ესლაც ვიცოი, — მიპასუხა ტირილით, — მაშ რატომ არ მოახსენე? — ფეხზე რომ ვიდექი ვერ მოვახერხე; ეს რამდენი ხანია სულ დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვაძლევ. აი თუ არ ვიცოი? მოჰყვა ზებირად. რომ ავდგე, დამებნევა! მასწავლებელმა მოგვატა-

ნა თვალი მოგვაყურა, — რას ჩურჩულობთო? მე გავედი და მოვიხსენე ყველაფერი. გამოიყვანა ვაბაშვილი, დააჩოქა და ისე ჰკითხა. კარგა მტუკო, რამდენჯერმე გაიმეორა ეს ამბავი და ისე გაუქვირდა, რომ წამოდგა ქვეყნისკლასის თავი დაანება და გასწია კანცელარიისკენ. იქ რა ჩაიღინა, მან კანცელარიამ იმ დღიდან კი ვაბაშვილი დააჩოქილი არ გვინახავს²¹.

ტროე სამავალითო მასწავლებელი იყო და შედარებით ჰუმანიური აღამიანი. ამიტომ საესებით ბუნებრივია, რომ ბავშვებს იგი გულწრფელად უყვარდათ. „ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი, — სწერს აკაკი, — მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდაო; უფროს კლასებში ნება აღარ ჰქონდა, რადგან უმაღლესი მასწავლებელი არ ჰქონდა ვთავებული. თუ კი რამე ვისწავლეთ რუსული, მის ხელში; და მის შემდეგ კი, იმ უფროს კლასებში, მეოთხედან დაწყებული, თუ რამ დაგვაკლდა, თვარა არა შეგვიძენია-რაო“, — დასძენს პოეტი.



ებლა საინტერესოა შევეხოთ საკითხს, თუ როგორი იყო მოწაფეთა საერთო განვითარება გიმნაზიაში. ჩვენ ვიცით, რომ პატარა აკაკი ჯერ კიდევ მასწავლებელში შესვლამდე გაცნობა ძველი ქართული ლიტერატურის მთელი რიგ შესანიშნავ ნიმუშებს. მას წაკითხული ჰქონდა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც ბავშვზე მეტად ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა. პატარა აკაკი სხვა ნაწარმოებებსაც იცნობდა ჩუბინაშვილის ქრესტომატიის წყალობით, მაგალითად: ნაწყვეტებს „სიბრძნე-სიცოცხლიდან“, „ამირან-დარეჯანიანიდან“, „რუსულანიანიდან“, „ვისრამიანიდან“, „ქილილა და დამანადან“ და სხვ. რაც შეეხება რუსული ლიტერატურის გაცნობას, განსაკუთრებით თანამედროვე მწერლობის შესწავლა-შეთვისებას, — მოწაფეები ამასაც ახერხებდნენ, თუმცა ამ მხრივ შედარებით საქმე უფრო განვლებული იყო. „არაფერი გარეშე წიგნი არ იყო, რომ წაგვეკითხო, — სწერს აკაკი, — და რომ კიდევ გვემოვა სადმე, წაკითხვის ნებას არ მოგვეცემდნენ: „რაც კარგი რამეა — რიტორებაშია დაბეჭდილი, ის გეყოფათო“. იმ დროს ქუთაისში ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა იყო წიგნის მალაზია — თითონ თბილისშიდაც კი პირველი ასეთი მალაზია მხოლოდ 1854 წელს იქნა გახსნილი ვილაც ტოკარევის მიერ.²² საკითხავი წიგნების შოვნა ისევე ზოგიერთ ოჯახებში შეიძლებოდა, მხოლოდ და ისიც ძალიან იშვიათად. ასეთი სიძნელის მიუხედავად, გიმნაზიის მოწინავე მოსწავლეები და მათ შორის აკაკიც, როგორც სჩანს, მაინც ახერხებდნენ გარეშე წიგნების კითხვას და თანამედროვე რუსი მწერლებისა და პოეტების საუკეთესო თხზულებათა გაცნობას.²³ საგულისხმოა ერთი შემთხვევა, ნაამბობი აკაკის მიერ თავის „თავგადასავალიში“. ერთხელ, გიმნაზიის მეოთხე კლასში, რუსული ენის მასწავლებლის პანიზოვსკისათვის ერთ მოსწავლეს, როგორც ეტყობა განვებ, უკითხავს რიტორიკის სახელმძღვანელოს შესახებ: „რაც აქ არ არის მოყვანილი ამ წიგნში, მის მეტი პუშკინს არა დაუწერია-რაო? — ვგ რა შენი საქმეაო? — უპასუხნია მასწავლებელს. თამამი ყმაწვილი

²¹ „აქტები“, ტ. XI, გვ. 967.

²² ნიკო ნიკოლაძე სწერს, — მოწაფეობის დროს, მალარიით ავად რომ ვიყავი და შინ ვიწვიო — „გიმნაზიის სამი უფროსი კლასის მოწაფეთა ბიბლიოთეკიდან მიგზავნიდნენ ჟურნალების „Русский Вестник“-ის და „Современник“-ის ახალ-ახალ წიგნებს, რომელთაც მე გატაცებით ვკითხულობდი პირველი ფურცლიდან უკანასკნელამდე“. („რჩ. ნაწ.“ ტ. I, გვ. 89).

თურმე არ მოეშვა და კიდევ ჰკითხა: — პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ გერცენიო? გერცენის სახელის ხსენება მაშინ, ნიკოლოზ პერველის სასტიკი პოლიტიკური რეჟიმის დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული ყიზიმის კამპანია, — შეფის ერთგული მოხელისათვის გიმნაზიის კვლევებში ყუმბარის გავარდნას უდრიდა. ასეც მომხდარა. აკაკი სწერს, რომ მოწაფის ასეთი შეკითხვის გაგონებაზეო მასწავლებელი პანიზოვსკი „წამოვარდა ზეზე შეშინებული, დაიცვა თითები ყურებში და გააბა ყვირილი: — აქ არ ვყოფილვარ, არა გამიგონია რა, არცა მითქვამს რაო! — და ამგვარად გავარდა ვარშო“.

როგორც ვხედავთ, გიმნაზიის მოწაფეები ძალიან კარგად იცნობდნენ პუშკინისა და სხვა თანამედროვე რუსი მწერლების ნაწარმოებებს. და იცნობდნენ არა მარტო იმას, რაც სახელმძღვანელო-ქრესტომატიებში იყო მოთავსებული, არამე იმასაც, რაც ცენზურის მიერ აკრძალული იყო. გერცენის სახელის ხსენება მოწაფეების მიერ უკვე ნიშნავდა რადიკალური იდეების გამაცოცხლებელი სიოს შექრას სახაზინო მასწავლებლის დახუთულ ატმოსფეროში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოწაფეები გერცენის ვარდა კითხულობდნენ აგრეთვე ბელინსკის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის და სხვების ნაწერებსაც. აკაკის სიტყვით, იგი ამ აღრინდელ ბავშვობის ხანაში იცნობდა აგრეთვე პოლონეთის უდიდეს პოეტს მიცკევიჩსაც. ამ მხრივ ჩვენთვის მეტად საგულისხმოა აკაკის საპასუხო სიტყვა, რომლითაც მან 1908 წელს ბაქოში გამართულ საიუბილეო საღამოზე მიმართა პოლონელთა კოლონიის წარმომადგენელს. „თორმეტი წლისამ ვიგრძენი წყურვილი მწერლობისაო, — თქვა მაშინ აკაკიმ, — გაჩნდა ჩემში რაღაც ძალა, რომელიც მიმიწევდა წინ წმინდა იდეალისაკენ. ეს გამომავლიძებელი ძალა ჩამიდგა ჯადოსანმა და ეს ჯადოსანი იყო თქვენი საყვარელი მწერალი მიცკევიჩი. ამის გამო მე პატივისცემით ვიგონებდი არა მარტო დიდებულ მწერალს, არამედ იმ ხალხსაც, რომელმაც ის აღზარდაო.“²² მიცკევიჩმა რომ უდიდესი გავლენა მოახდინა აკაკის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და შემდეგ მთელ შემოქმედებაზე, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. პოლონეთის სახლოვანი პოეტის ნაწერების გაცნობამ გარკვეული როლი ითამაშა ჰაბუკი აკაკის პირად ცხოვრებაშიდაც. ყოველივე ამის შესახებ ცოტა ჰვემოდ გვექნება უფრო ვრცელი საუბარი, როდესაც შევეხებით აკაკის გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ყოფნისა და პეტერბურგში გამგზავრების პერიოდს. ამჟამად კი ჩვენ გვიანტერესებს, თუ რამდენად ახლოა სინამდვილესთან ჩვენი პოეტის ცნობა, რომ ასეთ აღრინდელ ასაკში იგი იცნობდა მიცკევიჩის ნაწერებს.

„კონრად ვალენროდის“ ავტორის ლექსებისა და პოემების პირველი თარგმანების ბეჭდვა რუსეთში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო, მაშინ, როდესაც სამშობლოდან გამოღვენილი პოეტი პეტერბურგში ცხოვრობდა იძულებით. ა. პუშკინმა სთარგმნა „ვალენროდის“ შესავალი ნაწილი. შემდეგ, 1829 წელს, პეტერბურგში გამოვიდა ი. კოზლოვის მიერ თარგმნილი „ყირიმული სონეტები“. გარდა ამისა „ძიადი“-ს („წინაპრების“) ცალკეული ნაწყვეტების თარგმანი იბეჭდებოდა „ნევის აღმანახში“ (მაგალ. მეო-

²²) გაზ. „ჩვენი ხმა“, 1909 წ., 1 იანვ. № 1.

რე ნაწილი გამოქვეყნებული იქნა 1829 წელს) და აგრეთვე სხვა პერიოდულ გამოცემებში.²⁴

წარმოშობა

ჩვენ ძალიან დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეს გამოცემები წლებისაში ბელმისაწვდომი აღმოჩნდა პატარა აკაკისათვის და იგი კიდევ გაეცნო მით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიცკევიჩის რამდენიმე ლექსის ქართული თარგმანი („ბალჩასარაია“, „პატოკას საფლავი“ და „გარემისა საფლავნი“) იმ ხანებში გიორგი ერისთავმაც დაბეჭდა თავის ჟურნალ „ცისკარში“ (1852 წლის № 3). ლექსების ავტორის სახელი მთარგმნელს თუმცა არ გამოუქვეყნებია, მაგრამ მკითხველისათვის ძნელი არ იყო გამოცნობა, თუ ვის კალამს უნდა კუთვნებოდა ეს „პოლშური“ თარგმნილი ნაწარმოებნი. აკაკი ამ ლექსებსაც იცნობდა ალბათ, მით უმეტეს, რომ ჟურნალ „ცისკარს“ გიმნაზიაში, აკაკის დროს, ქართული ენის ზოგიერთი მასწავლებელი სახელმძღვანელოდაც კი ხმარობდა თურმე. ნიკო ნიკოლაძე სწერს თავის მოგონებაში: ქართულ ენას გვასწავლიდა ქართლელი გიორგი დიდებულიძე, რომელიც „გვაძლევდა ზეპირად სასწავლებლათ ნ. ბარათაშვილის და სხვა პოეტების „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებსო“.²⁵

ამ აღრინდელი ბავშობის დროიდან ჩვენ არ დაგვრჩენია არც ერთი ნაწარმოები აკაკისა, რომელიც მოწმობდეს პოლონეთის გენიოსი პოეტის გავლენას ჩვენ პოეტზე. ამ „ჯადოსნური“ მგოსნის „გამომალეციბელმა ძალამ“ უფრო გვიან, აკაკის ჭაბუკობის ხანაში იჩინა თავი. აკაკის მოწაფეობის დროინდელ ნაწარმოებთაგან ცნობილია მხოლოდ ერთი თექვსმეტ-მარცვლოვანი ლექსი, მიძღვნილი დედისადმი. აკაკის უფროსი და ანნა შემდეგაირად გვიამბობს ამ ლექსის ისტორიას: „აკაკი ექვს-შვიდ წლამდინ ზეპირად გამოსთქვამდა ხოლმე შაირებს; მერე, როცა წერა ისწავლა, სწერდა კიდევ ერთი მისი ლექსი დღესაც აწერია ქვის ფიცარზე. აი, ეს როგორ იყო: დედაჩემმა, ეკატერინემ, ბალი გააშენა შიგ შადრევნებითა და აუზებით. იმ დროს ჩვენში მისთანა ბალი არსად ყოფილა. თორმეტი წლის აკაკიმ, მაშინ მეორე კლასის მოწაფემ, აკროსტიხი დააწერა ქვის მაგიდაზეო“, — დასძენს ანნა და იქვე მოჰყავს ეს აკროსტიხი:

„მრთვულება ოჯახისა მრავალს კეთილს გააჩენსა;
 ქლდესა შრომით მიწად შეიქმს, უთევზო წყალს თევზს აჩენსა,
 არად შერაცხს შრომას, ტანჯვას, საბოლოოდ მოსალხენსა,
 ტბილსა შეიქმს მწარისაგან, ბნელსა ადგილს ნათელს ჰქვენსა.
 იდუმალ იწყებს კეთილსა, საბოლოოდ მოსალხენსა.
 რა საჭიროა გეგმები? თვით გააჩენს უნახველად,
 იტვირთავს ძნელსა საქმესა, აღასრულებს უცოდველად.
 ნახეთ, მოდით, უცხო რამე, არ ნახულა რაცა ძველად:
 ედემს ბალი დაამზგავსა, ჩასჩქედს წყალი მოსარწყველად“.

ჩვენ (1852) წელსა, აპრილს დ (4) დღესა.

²⁴) იხ. Адам Мицкевич — „Избр. Произв.“ — 1929 г. стр. 312.

²⁵) ნ. ნიკოლაძე — „თხზ.“, ტ. I, გვ. 32.

ასეთი არის პირველი, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვობის დროინდელ შაირებს, — ყველაზე ადრინდელი პოეტური ნაწარმოებები აკაკისა. იმ წელს, როდესაც ეს ლექსი დასწერა ყრმა-პოეტმა, თბილისში ჯერ კიდევ ერისთავის რედაქტორობით იწყო გამოსვლა პირველმა ქართულმა სალიტერატურო ჟურნალმა „ცისკარმა“. შეადარეთ ეს ლექსი გ. ერისთავის „ცისკარში“ მოთავსებულ წყობილსიტყვაობის ნიმუშებს. „ცისკრის“ პოეტების მიმღე, არქაულ ფორმებთან ნათესაური მსგავსების გარდა პატარა აკაკის ლექსში უკვე საგრძნობია ელემენტები იმ სისადავისა და ხალხურობისა, რომელმაც მთელი თავისი ძალით იჩინა თავი ცოტა გვიან, აკაკის ქაბუკობის დროინდელ ლექსებში, რომელთა ბეჭდვა პოეტმა დაიწყო ივანე კერესელიძის მიერ 1857 წელს განახლებულ „ცისკრის“ ფურცლებზე.

გარდა ამ ერთი ლექსისა, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ, უნდა ვიფიქროთ, რომ აკაკის მოწაფეობის დროს სხვაც ექნებოდა დაწერილი. არც ერთ მათგანს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია, თორემ საშვალეა მოგვეცემოდა ნათლათ გავვეთვალისწინებინა ის პოეტური მომზადების ხანა, რომელიც გვწვლო ახალგაზრდა მგოსანმა კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებულ თავის პირველ ლექსებამდე. ეს ლექსები კი, როგორც ვიცით, ავტორში ამჟღავნებდნენ უკვე საკმაოდ ხელნაწარჯიშებ ოსტატს.

აკაკის მოწაფეობის დროინდელ ნაწარმოებთა შორის უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე მის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი დიალოგებიანი თხზულება, რომელიც აგრეთვე დაკარგულია და არც სათაური ვიცით მისი. ამ თხზულებას თურმე, ცოტა დააკლდა, უსიამოვნება არ შეეუმთხვევია მისი ავტორისათვის. მაგრამ სანამ ამ დაკარგული ნაწარმოების ისტორიას შევებობოდეთ, საჭიროა დავებრუნდეთ ისევ სასწავლებელს და გავეცნოთ აკაკის ცხოვრებას მისი უფროს კლასებში ყოფნის დროს.



გიმნაზიის მეხუთე კლასში, არსებული წესის თანახმად, სამოსწავლო საგნებს ემატებოდა ორი ახალი საგანი: ლათინური და კანონთმცოდნეობა და ამასთანავე ერთად, ირკვეოდა ახალგაზრდა ყმაწვილების მომავალი პერსპექტივებიც. აკაკი სწერს: „იმ ხანებში გამოაცხადეს, რომ ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს, და ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის კანონი შეისწავლოს და, თუ პირველ შეგირდად გამოვა, ჩინსაც მიიღებსო“. ამ დროს აკაკის ჯერ კიდევ არ პქონია გადაწყვეტილი უნივერსიტეტში წასვლა, — გიმნაზიის გათავების შემდეგ იგი ფიქრობდა სამშობლოში დარჩენასა და ალბათ სამსახურში შესვლას.

ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ აკაკი კარგად ხედავდა თავისი ოჯახის ვარემოებას. მამამისი როსტომი, როგორც ვიცით, ეკუთვნოდა მცირე მამულთან სხვიტორელი წერეთლების შტოს. მას კიდევ შეეძლო თავისი სამი შვილისათვის საშუალო განათლება მიეცა, მაგრამ მათი რუსეთში გაგზავნა უმაღლეს სასწავლებლებში და იქ შენახვა, უკვე აღემატებოდა მის მატერიალურ შესაძლებლობებს. ჩვენ ვიცით, რომ როსტომმა თავისი ორი უფროსი

შვილი გიმნაზიიდან სამხედრო სამსახურში გაამწესა: დაეთითი (რომელიც გამოყვანილი იქნა უფროს კლასიდან) ქართულ გრენადერთა ბოლკში და იასონი კი პეტერბურგის საიმპერატორო კანფოიში. აკაკის წინაშე იგი იგი გიმნაზიის გათავების შემდეგ ოჯახში დარჩენასა და წაგლის შეტრმედ ვახდომას არ მოისურვებდა, — ისახებოდა ერთად-ერთი პერპეტუა ან სამხედრო ნაწილში გამწესებისა, ან სამოქალაქო სამსახურში შესვლისა. აკაკისაც უკანასკნელი აურჩევია. იმ დროს სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხედობა დიდი პრივილეგიური მდგომარეობით სარგებლობდა; ამიტომ იყო, რომ, — აკაკის სიტყვით, — „ჩინს მაშინ დიდი მომხიბლავი მნიშვნელობა ჰქონდა“ მოწოდებების თვალში. აკაკიც არ ფარავს, რომ მეხუთე კლასში, საგნების არჩევის დროს, მასა და კიდევ ერთ მოწადეს, — „ჩინის სურვილით წატაცებულებს“, — სჯულის კანონის შესწავლა გადაუწყვეტიათ, მაშინ, როდესაც დანარჩენ მოსწავლეებს, „თუმცა ზოგი მათგანი ვერც კი წავიდოდა რუსეთში სილარობის გამო“, ლათინური აურჩევიათ.

იმ დროს გიმნაზიაში მათემატიკურ საგნებს ასწავლიდა პოლონელი ვინმე როდზიევიჩი. აკაკის სიტყვით, ეს როდზიევიჩი „ჯერ პროფესორად ყოფილიყო, მაგრამ ლოთობის გულისათვის დაეთხოვათ და სტავროპოლში ეშოვნა ინსპექტორობა, მერე იქიდანაც გაეგდოთ“ და ქუთაისში გადმოყვანათ მათემატიკის მასწავლებლად. „ეს ლოთი მასწავლებელიო, — სწერს პოეტი, — ყურადღებას არ აქცევდა თავის საგნებს, არც ალგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას; ჩვენს ნებაზე მოავდო მათი სწავლა და ჩვენ, როცა ვაგვიძნებდებოდა ვაგება რამესი, მაშინ დავეკითხებოდით და შევნიერადაც აგვისხნიდა ხოლმე. საკვირველია, რომ მისი საგანი ყველაზე უკეთ ვიცოდით. რაღა შეგვატყო, რომ გონებადაბშული და განუვითარებელი არიანო, სულ სხვა რამეებზე გვეხაუბრებოდა და ცდილობდა ჩვენს გამოფხიზლებას“. როდზიევიჩის ერთ უდიდეს ნაკლს წარმოადგენდა მისი ალკოგოლიკობა: ამ სენის გამო როდზიევიჩს „ისე გაელენთილი ჰქონდა გვაში არაყით, რომ ხანდახან, რომ კიდევ არ დაეღია, ისე თავისთავად მოუვლიდა სიმთვრალე“, — იგი ფიზიკურად იყო დამახინჯებული. მაგრამ ამ ფიზიკური სიმახინჯის მიუხედავად, — როგორც თვითონ როდზიევიჩი ამბობდა თურმე, მას „სული და გული წმინდად, შეუბღალავად“ ჰქონდა შენახული. როდზიევიჩი პოლონელი პატრიოტი იყო, სასტიკი მტერი რუსეთის ცარიზმისა და მხურვალე მოყვარული თავისი სამშობლოსი, რომელიც იმ დროს, საქართველოსა, უკრაინისა და სხვა დაპყრობილი ერების მსგავსად, — მწვავე ჩაგვრას განიცდიდა ხალხთა საპყრობილეში — მეფის რუსეთის იმპერიაში. როდზიევიჩი ამასთანავე ერთად განვითარებული ვაცი იყო, კარგი მცოდნე ლიტერატურისა. ადვილი მისახვედრია, თუ რა „სხვა რამეებზე“ უნდა ესაუბრნა პოლონელ მასწავლებელს ქუთაისში თავის ქართველ მოსწავლეებთან და რა მხრივ უნდა ცდილიყო იგი მათს „გამოფხიზლებას“. ბუნებრივია, რომ ეს მასწავლებელი გულწრფელად ყვარებით ბავშვებს. საშინელ რეჟიმის პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა, — სწერს აკაკი, — „ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგჩენოდა. ეს იყო პოლონელი როდზიევიჩიო“. ამ მასწავლებლის საუბრებმა უდიდესი გავლენა იქონიეს ჭაბუკი აკაკის პოლიტიკურ შეხედულებათა გამომუშავებაზე და სულ სხვაგვარად

წარმართეს მისი სავალი გზებიც.²⁰ როდზიევიჩისათვის, რასაკვირველია, შემუხნეველი არ დარჩენილა აკაკის ნიჭი და უდიდესი წარმატება სწავლაში. ეს მოწადე მას განსაკუთრებით უყვარდა თურმე და გამორჩეული სხვა მის ამხანაგებში. როდზიევიჩის ყურადღებისა და საცადელის წყალობით აკაკის შეუცვლია კიდევ თავისი პირვანდელი განზრახვა და მტკიცედ გადაწყვეტია რუსეთში წასვლა და სწავლის გაგრძელება. ამის საბაბი გამხდარა ერთი შემთხვევა, რომელსაც აკაკი გვიამბობს თავის „თავგადასავალში“: „იმ ხანებში, — სწერს პოეტი, — რუსული ენის მასწავლებელმა გვიბრძანა: აიღეთ, რაც გინდათ, და თქვენდა თავად თხოუხლება დასწერეთ, მაგრამ დიალოგებად კიო. მე ავიღე და დავწერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საუბრეაგოგო რჩევაში წარედგინა და ეთქვა: „ამის დამწერი თუ ახლავე არ აილაგმა, არ იეარგებსო“. რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავი: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და, გაწყრომა კი არა, მოფერება ეჭირებო. მე ვთხოულობ, რომ იმას ძალა დაატანოთ — ლათინური შეისწავლოს და მალალ სასწავლებელში სადმე შევიდესო. მჭერმეტყველობამ გაიტაცა, გადაიყოლია ზოგიერთები სხვებიც და დირექტორმატ ბანი მისცა. შემხმეს მეც“. სამასწავლებლოში ასეთი დიალოგი გამართულა აკაკისა და მის დირექტორს შორის:

— „ეს შენი დაწერილიაო? მკითხა.

— დიახ, ვუბასუბე ცოტა შემკრთალმა.

— მერე როგორ ვაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდად იხსენიებ?

— ის გადამდგარი ჩინოვნიკია.

— სულერთია, უბატიურად შეხება მაინც არ შეიძლება! ის დამსახურებული იქნებოდა. — პენსიაც ექნებოდა, — დაუმატა მრისხანედ ინსპექტორმა. წაიღე და გადაასწორე სხვანაირად!

— თუ მხოლოდ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წავშლი სიტყვას „გადამდგარი“ და დავწერ „გამოგდებულს“. გამოგდებული, თუ კარგი ყოფილიყო, ისევე სამსახურში იქნებოდა“. აკაკის ასეთ მოსწრებულ პასუხზე დირექტორს გასცინებია და გაუშვია ყმაწვილი.

იმ დღიდან აკაკის მიუხედავად თავი კანონების შესწავლისათვის და ლათინურზე გადასულა. „ამის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარა როდზიევიჩმა და განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდაო“, — სწერს აკაკი.

გიმნაზიის მეშვიდე კლასში რომ გადავიდა, აკაკი ფრანგულის მასწავლებელ მუსიე ტურესის ოჯახში ცხოვრობდა. მისი უფროსი ძმები, დავითი და იასონი, ამ დროს კარგა ხნის წასული იყვნენ ქუთაისიდან და ჯერში მსახურობდნენ. ეს მიზეზი იყო ალბათ, რომ მშობლებს აკაკი მასწავლებლის ოჯახში მიუბარებიათ და თვითონ კი დაბრუნებიან თავის სახლ-კარს სხვიტორში. ამ მუსიეტურესს ბავშვები თურმე მოსე ტურას ეძახდნენ. ერთხელ, საღამოს ამ ტუ-

²⁰ ნ. ნიკოლაძეც სწერს, რომ ზემო გიმნაზიაში ყოფნის დროს „კანონებისა და მათემატიკის მასწავლებლებად იყვნენ გადმოსახლებული პოლონელები — კოხანოვსკი და როდზიევიჩი. ორივე გატაცებული თავისუფალი მოაზროვნე და ამავე დროს თავზე ხელაღებული ლათი იყო. მათი ვაკეეთილები, როცა-კი ამ ვაკეეთილებს არ აკლდებოდნენ, რეველუციის ნამდვილ ჭადაგებს წარმოადგენდა“ — („რჩ. ნაწ.“ ტ. I, გვ. 89).

რეს სტუმრად შემოპყლია სახლში როდზიევიჩი. დამსხდარან მარტო და ჩაის სმა დაუწყიათ. შემდეგ რომზე გადასულან და ნელ-ნელა, მუსაიდში, შეზარხოშებულან კიდევ. „ფრანგმა დიდი რევოლუცია მოიგონა და მატარებლებით დაიწყო ლაპარაკიო, — სწერს აკაკი, — სტუმარმა პოლონეთში გაიხსენა და მოხსნეს თავი. სიფრთხილეს, მით უმეტეს, რომ იქ იმ ორისა და ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვიჯექ, ასე რომ, მგონი, ვერც კი შემნიშნესო. იმათმა აბდა-უბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გადავიტყვიო“. ნუ დაივიწყებთ, როდის ხდებოდა ეს ამბავი. ყირიმის ომი, რომელშიდაც მეფის რუსეთმა სასტიკი დამარცხება იწვნია, ახალი დამთავრებული იყო. პოლონეთში ახალი აჯანყება მზადდებოდა ცარიზმის წინააღმდეგ. მიცკევიჩი ამ დროს თუმცა ახალი გარდაცვლილი იყო (1855 წ.), მაგრამ მისი პატრიოტული ლექსები და პოემები დაუსრულებელ შთაგონებას აძლევდა პოლონეთის ნაციონალურ-რევოლუციონურ მოძრაობის მოღვაწეებს.

როდზიევიჩის საუბარში, როგორც სჩანს, მოუგონებია მიცკევიჩის სახელგანთქმული პოემის გმირი კონრად ვალენროდი, ლიტოველი ხალხის თავდადებული რაინდი, რომელმაც სამშობლოს გულისთვის დაივიწყა თავისი პირადი ბედნიერება, დასტოვა ოჯახი, საყვარელი ცოლი და წავიდა მოსისხლე მტრების, ტევტონების ბანაკში. აქ თავისი მოჩვენებითი ერთგულებით მან ნდობა და სიყვარული დაიმსახურა და ბოლოს მთავარსარდლის პოსტსაც მიიღწია. მოხერხებულ დროს კი, როდესაც ტევტონებმა, კონრადისავე მეთაურობით, ხელახლა გადაილაშქრეს ლიტვის დასარბევად, კონრადმა გაანადგურა მათი ჯარი და შურისძიების ნიშნად ცეცხლსა და მახვილს მისცა მათი ქვეყანა. აკაკი გვიამბობს, რომ მუსიე ტურესთან საუბრის ბოლოს როდზიევიჩმა ამოიხარა და სთქვაო: „ახლა რაღა დროს, ვსწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი ვაგმზადარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწიო“...

ამ საუბარს უაღრესი შთაბეჭდილება დაუტოვებია ყმაწვილი კაცის გრძნობა-გონებაზე. ამ დროს აკაკი აღბათ უკვე კარგად იცნობდა მიცკევიჩის პოემის შინაარსს. უპირველეს ყოვლისა თვით როდზიევიჩის გადმოცემით. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ იმ ხანებში, 1858 წელს, ჟურნალ „სოფრემენიკის“ მე-69 ნაწილში დაიბეჭდა „კონრად ვალენროდის“ რუსული თარგმანი, შესრულებული შერშენევიჩის მიერ. საფიქრებელია, რომ ამ ჟურნალის მეოხებითაც შესძლო ჰაბუტმა აკაკიმ პოლონელი პოეტის შესანიშნავი ნაწარმოების უშუალო გაცნობა. როდზიევიჩის ნათქვამი სიტყვები რომ ჩამეწვეთა ყურშიო, — სწერს აკაკი, — „ჩემი თავი ველარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? ოდესმე სარდალი ვაგზდები. რაც აღრე შევეუდგები საქმეს, ის აჯობებს, და ამ ერთ წელიწადს მაინც ხომ, უკანასკნელ კლასში, ახალს არას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ, — და გამოვალ, არსად არ წავალ-მეთქი“. ჰაბუტს მტკიცედ გადაუწყვეტია სამხედრო სამსახურში შესვლა და მეფის ჯარში დაწინაურება იმავე მოტივებით, რითაც ხელმძღვანელობდა მიცკევიჩის გმირი. ასეთი ოცნება რომ სერიოზულად იტაცებდა ახალგაზრდა

პოეტს იმ ხანებში, ამას ადასტურებს ერთი ავტობიოგრაფიული ხასიათის/დაუ-
ბეჭდავი ლექსიც, შენახული ავტოგრაფის სახით.

ეს ლექსი ეხება გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ყოფნისა და რუსეთისაკენ
გამგზავრების პერიოდს და მკვეთრად გამოხატავს პოეტის მშინდელ პოლიტი-
კურ მომწიფებას და გარკვეულ მიზანდასახულობასაც:

„... ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე
და მისივებდა ის გულსა,
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი
სხვებისგან დამონებულსა.
მეც მიცქევიჩის გმირებში
მომწონდა ვალენროდიცა,
ის მამწნევებდა ვაჭკაცად,
გულს შორდებოდა ლოდიცა.
მეც გამიტაცა ოცნებამ,
რომ შევწეოდი მხარესა
და, ბოლოს ტკბილის მომლოდნე
უშიშრად ვსვამდი მწარესა.
და დაეპირე მხედრობა,
რომ ხელში მეგდო სარდლობა
და, მოღალატედ დასახულს,
ბოლოს მიმეღო მადლობა“.

თავის გადაწყვეტილება გიმნაზიიდან გამოსვლის შესახებ აკაკის მამო-
სათვის განუცხადებია. როსტომს ძალიან ვახარებია ეს ამბავი და უთქვამს:
„შენი ნებაა, შვილო, მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო.“ მაგ-
რამ ასე არ შეუხედნიათ ამ საქმისათვის ოჯახის სხვა წევრებს და ნაცნობ-ნა-
თესავებს. აკაკი სწერს, რომ მამისაგან თანხმობა მივიღე თუ არა „მშინვე
გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გაეაკვირეო.“

ქუთაისის ყოფილი კლასიკური გიმნაზიის არქივში დაცული დოკუმენტე-
ბის მიხედვით სჩანს, რომ როსტომ წერეთელს 1859 წლის 7 თებერვალს შემ-
დეგი თხოვნა შეუტანია შვილის გიმნაზიიდან გაყვანის შესახებ:

„მის კეთილშობილებას ქუთაისის და ერევნის გუბერნიათა სასწავლებ-
ლების დირექტორს სტატსკი სოვეტნიკსა და კავალერს ივანე ლეონის-ძე
პესოჩინსკის.

თავად როსტომ წერეთლის

თ ს თ ვ ნ ა

მინდა რა, რომ ჩემი შვილი, აკაკი წერეთელი დათხოვნილ იქნეს გიმნა-
ზიიდან, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო კეთილშობილებავ, უბოძოთ მას შე-
საფერისი მოწმობა სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ და მიბოძოთ ის დოკუ-
მენტები, რომლებიც წარმოვადგინე ჩემი შვილის შკოლაში გამწესების დროს.

კნიაზ როსტომ წერეთელი
თებერვალი 1859“.

სასწავლებელთა დირექციას როსტომის თხოვნა დაუკმაყოფილებდა და აკაკისთვის მიუცია მოწმობა, რომლის პირი მოგვყავს ქვემოთ:

მ თ წ მ თ მ ა

ერეკლესიის
ხელმოწერა

წარმომადგენელი ამ მოწმობისა, ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე, აკაკი წერეთელი, შვილი თავ. როსტომ წერეთლისა, 1852 წლიდან, ვიდრე ამა თებერვლამდე, სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. ახლა კი, თანაზმად მისი მამის, თავ. როსტომ წერეთლის თხოვნისა, საესებით გამორიცხული იქნა გიმნაზიის მოწაფეთა რიცხვიდან. სწავლის დროს ყოფიქცევაში ჰქონდა 5. წლიურ გამოცდებზე, რომელიც მოხდა 1858 წელს, მის შედეგზე კლასიდან მეშვიდეში გადასვლის დროს, მიიღო შემდეგი ნიშნები: საღმრთო წერილსა, რუსულსა, ქართულსა, ფრანგულსა და ოსმალურ ენებში და მსოფლიო ისტორიაში 5, მათემატიკასა, გეოგრაფიასა, ფიზიკასა და ლათინურ ენაში 4, საბუნებისმეტყველო საგნებში 3, სუფთა წერასა, ხატვასა და ხაზვაში 3.

მაგრამ, რადგან მან, აკაკი წერეთელმა საესებით ვერ დაასრულა სასწავლებელი, ამიტომ ვერ ისარგებლებს იმ შეღავათებით, რომლითაც სარგებლობენ გიმნაზიისა და სამაზრო სასწავლებლებში სწავლა დასრულებულნი.

დასამტკიცებლად ზემოდ ნათქვამისა, ეძლევა მას, აკაკი წერეთელს, ეს მოწმობა ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექციიდან სახელმწიფო ბეჭდის დასმით და ხელის მოწერით.

ქ. ქუთაისი, თებერვლის 10, 1859²⁷

გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ აკაკის ერთხანს კავშირი არ გაუწყვეტია თავის საყვარელ მასწავლებელთან. პირიქით იგი სწერს, რომ „დიდიდან საღამომდე როდზიევიჩის აღარ ვშორდებოდიო“; და ეს რამდენიმე ხანი, გატარებული როდზიევიჩის მახლობლად, აკაკის სიტყვით, მისთვის უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში სწავლისა... ასეთი მძლავრი და კეთილისმყოფელი გავლენა მოუხდენია ჰაბუკ პოეტზე ფართე მსოფლმხედველობით შეიარაღებულსა და მზურვალე პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულ პედაგოგს. და მართლაც მისი მადლიანი ხელით გადაგდებული თესლი უნაყოფოდ არ დაკარგულა...

ასე დასრულდა ერთი პერიოდი აკაკის შესანიშნავი ცხოვრებისა და დაიწყო ახალი. მაგრამ სანამ ამ ახალი პერიოდის აღწერას შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა უკან დავბრუნდეთ და შევეხოთ აკაკის პირველ პოეტურ დებუტს და მისი დიდი შემოქმედების დასაწყის ხანას.

თ ა ვ ა VIII

პირველი ლიტერატურული დანიშნულება.

აკაკი ჯერ კიდევ გიმნაზიის მეექვსე კლასში იყო, როდესაც მისი პოეტური მუშაობის ნაყოფი პირველად გამოქვეყნდა პრესაში. ეს იყო თარგმანი ლერმონტოვის ლექსისა „პალესტინის რტო.“

²⁷) გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 209.

1858 წელს თერამეტი წლის აკაკი ფოსტით უგზავნის ივანე კერესელიძეს თავისი ქაბულური კალმის რამდენიმე ნაცადს, მათ შორის ლერმონტოვის თარგმანსაც და ქვემოდ ხელს აწერს ფსევდონიმით: „ს. ლი.“

„ციცკრის“ რედაქტორს, როგორც სჩანს, მოსწონებია ლექსების დასწრებულ-გენია კიდევ მაშინდელი ცენზორის, მღვდელ ალექსი-მესხიშვილისათვის ნებართვის მისაღებად. მაგრამ ცენზორს ნება არ მიუცია დაბეჭდვისა, ვინაიდან ლექსებს ავტორის სახელი და გვარი არ ჰქონდა მოწერილი.

ივანე კერესელიძე იძულებული გახდა თავისი ჟურნალის ფოსტის განყოფილების საშუალებით ასეთი წერილით მიემართნა უცნობი ავტორისათვის: „ზოგიერთი იმ გვარი თხუზულება მოგვდის რედაქციაში, რომლისაც დაბეჭდვის უფლება არა გვაქვს, ასე უფლება, რომ ცენზურის კანონით ყოველ თხუზულებას ქვეშ უნდა ეწეროს სახელი და გვარი ავტორისა... განუცხადებთ რა ამას თვითონ ავტორს „რტოს პალესტინისასაც“ ვთხოვეთ გვაცნობოს: ვინ ბრძანდება ის უფალი და რა გვარი, მაშინ დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ იმ ჩინებულს ლექსებს, რა ლექსებიც მივიღეთ ფოსტით ამ ახლოს დღეებში.“

„რტო პალესტინისა“ დაიბეჭდა „ციცკრის“ ნოემბრის ნომერში 1858 წელს. ეს იყო პირველი ქართული თარგმანი ლერმონტოვისა და ამავე დროს პირველი დებიუტი ახალგაზრდა აკაკისა. საფიქრებელია რომ ამ თარგმანს შეეხო რედაქტორის, ივ. კერესელიძის ხელი: ლექსი ბევრჯან დამძიმებულია არქაიზმებით, გარდა ამისა არის კორექტურული შეცდომები, რაც ადვილ ადვილ არღვევს ლექსის რიტმიულ წყობასაც და ძნელ საკითხავად ხდის თარგმანს... მაგრამ მთავარსა და კუროზულ შეცდომას წარმოადგენს თვით სათაური, სადაც ფრაზილებში ლექსი მიკუთვნებულია პუშკინისათვის. მორიგ ნომერში რედაქცია იძულებული იყო გაეშვა შეცდომების გასწორება: „ლექსი წარსულსავე ნოემბრის თვეში ნაცვლად „ლერმონტოვით“ ტაოგრაფიისვე შეცდომით მოგვევლია — „პუშკინით“, გთხოვეთ წაიკითხოთ „ლერმონტოვით.“

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის ეს პირველი თარგმანი ტექსტუალურად ძალიან უახლოვდება დედანს; სახლოვე იქამდის მიდის, რომ ქართული თარგმანის თითქმის ყოველი სტრიქონი თავისი სიტყვობრივი შემადგენლობით ზუსტად ეთანაბრება დედანის სათანადო სტრიქონს. ნიმუშისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს დასაწყისი ტაეტი ლექსისა:

Скажи мне, ветка Палестины,
Где ты росла, где ты цвела.
Каких холмов, какой долины
Ты украшением была.
მითხარ მე, რტოვო პალესტინისა:
სადა ჰყვავდი? სად იზრდებოდი?
ვითართა ბორცვთა, ვითარს მინდვრისა
შენ შემამკობლად იმყოფებოდი?

ასეთი იყო აკაკის პირველი თარგმანი. აღსანიშნავია, რომ პოეტს იგი აღარ შეუტანია თავის ლექსთა კრებულებში. 1908 წელს, აკაკის საიუბილეო დღეებში, იგი გადაბეჭდა მხოლოდ ჟურნალმა „ფანსკუნჯმა“ (7 დეკ. № 5), როგორც ნიმუში პოეტის შემოქმედების დასაწყისი ხანისა.

საინტერესოა თვალი გადავავლოთ „ცისკრის“ იმ ნომერს, სადაც დაიბეჭდა „პალესტინის რტოს“ თარგმანი. ჟურნალში ყველა მასალაზე წინ უძღვის რედაქტორ კერესელიძის მიმართვა მკითხველთადმი. შემდეგ დაბეჭდილია გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი „ჩემს დას ეფემიას“ (ჯერომელის) შესდევს სხვადასხვა ავტორის ლექსები ასეთი თანრიგით: კოლხიდელი (გრ. დადიანი), ალ. ჩიქოვანი, აკაკი და ბოლოს ვილაც ა. კასრაძე. იმავე ნომერში; სხვათა შორის, მოთავსებულია „სალაყბო ფურცელი“ მოლაყბისა (ეს წერილი მის. თუმანიშვილს არ ეკუთვნის, იგი ამ დროს უკვე აღარ ბეჭდავდა თავის ფელეტონებს „ცისკარში“).

როგორც ვიცით, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიამ შემოაღნიშნული თანრიგი პოეტებისა საცხებით შესცვალა და აკაკის ღირსეულად მიუჩინა თავისი ადგილი გრიგოლ ორბელიანის წინ, ხოლო კოლხიდელები, კასრაძეები და მთელი პლეადა მათი მსგავსი პიტიკოსებისა, დაიწვევის ნისლს წააფარა...

1858 წლით, გარდა „პალესტინის რტოს“ თარგმანისა, დათარიღებულია კიდევ აკაკის ორი ლექსი: „პ. წ.“ და „ჩემს ვენერას“. ორივე დაიბეჭდა შემდეგ წელს იმავე ჟურნალის ფურცლებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს აკაკის, გარდა ამ გამოქვეყნებული ლექსებისა, ჰქონდა სხვა ლექსებიც, რომლებმაც ვერ იხილეს სტამბა. უთუოდ თვით აკაკიმ არა სცნო ისინი დაბეჭდვის ღირსად.

ლექსი „პ. წ.“, ისევე, როგორც „რტო პალესტინისა“, ფსევდონიმით არის ხელმოწერილი, მხოლოდ აქ ფსევდონიმად უკვე ზის ინიციალი „წ.“ ეს ლექსი დაიბეჭდა „ცისკარში“. 1859 წლის მარტის ნომერში. ჟურნალი იხსნება აკაკის ლექსით, რომელსაც მისდევს ილია ჭავჭავაძის ლექსი „მეც შავ თვალს“. ამ დროს ილია და აკაკი, რასაკვირველია, არ იცნობდნენ ერთმანეთს. მათი შეხვედრა და პირადი გაცნობა მოხდა რამდენიმე თვით გვიან, შორეულ პეტერბურგში. მანამდე კი მათმა ლექსებმა მართებულად დაიკავეს ადგილი ერთმანეთის გვერდით ჟურნალში და ამით თითქოს აღნიშნეს თანაზიარობა იმ ისტორიული მისიისა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე დააკისრა გარემოებამ ამ ორ უდიდეს ქართველ მწერალს.

„ცისკრის“ საშუალებით ჰაბუჯ აკაკის ამ დროს უკვე გაგონილი ჰქონდა ილიას სახელი, რომელმაც ერთი წლით ადრე დაიწყო ბეჭდვა ამ ჟურნალში. (ილიას პირველი თარგმნილი ლექსი „ჩიტი“ გამოქვეყნდა „ცისკრის“ 1857 წლის იანვრის ნომერში.).

თუ დაკვირვების თვლით გავსინჯავთ აკაკის პირველ ნაბეჭდ ორიგინალურს ლექსებს, „პ. წ.“-ს და „ჩემს ვენერას“, ენახავთ, რომ ჰაბუჯი პოეტის ამ ნაწარმოებებში გამოსკვივის დავით გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილისა და ნაწილობრივ მ. ლერმონტოვის გავლენა. ეს იგრძნობა საერთო სვედიან განწყობილებაში, რომლითაც გაჟღენთილია ეს სტრიქონები, რომანტიულ გატაცებაში და პირველ ფილოსოფიურ დაფიქრებაში სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე.

საინტერესოა მოვიყვანოთ რამდენიმე სტრიქონი პირველი ლექსიდან, სადაც განსაკუთრებული ძალით არის გამოთქმული ეს განწყობილებები.

„შეი შენ, კაცო! რა არს ამ სოფლად
ბედნიერება?
მოვალს სიკვდილი შენთანა მსწრაფლად,
ყველა განჭრება!
სიკვდილს ვეროდეს ჩვენ ვერ ავადებით
ვერჩაის გზითა,
ყველა მის გმონებთ, ყველა მოგკვდებით,
მოვალს რიგითა“...



მეორე ლექსში, — „ჩემს ვენერას,“ რომელიც იმავე ხანებშია დაწერილი, გვხვდება „ბალესტინის რტო“-დან ნაცნობი სტრიქონიც:

„განცვიფრებით გპვრიტ, აშუოთებული
შეგნების ღმერთოვ, ჩემო ვენერა!
სადა იშვეი? სად ხარ გაზრდილი?
მსურს რომ შევიტუო: ვერ გავიგე რა!“

ამავე ლექსში ისმის ეხო ბარათაშვილის ლექსებიდან:

„...გვრძნობდი, ბედისგან ასე მეწერა:
ყვავილოვანთ წელთ ტანჯვით სიკვდილი...“

ასეთი გავლენები, დამწყები პოეტის მიერ თავის ორგინალური ხმის დადგენისა და ძიების პროცესში, საცხებით კანონზომიერსა და მასთან ერთად წარმატებულ მოვლენას წარმოადგენდა.

მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ჩქარა ახალგაზრდა აკაკი პოულობს განსხვავებულ მოტივებს, საკუთარ დიდ პოეტურ თემას, დამოუკიდებელ შემოქმედებით ვზებს. ამის შესანიშნავ წინასწარ სიმპტომებს ჩვენ ვხედავთ ალექსანდრე ლექსში „ნავი“, რომელიც დაწერილია აკაკის მიერ ჯერ კიდევ 1859 წლის მარტში, საჩხერეში, სადაც გიმნაზიიდან გამოსული აკაკი უკვე ემზადებოდა რუსეთისაკენ წასასვლელად. როდზივეჩიის საუბრებმა, მიცკევიჩის სეცდიანმა ყირიმულმა სონეტებმა, მისმა მგზნებარე „კონრად ვალენროდმა“, და მათან ერთად დავით გურამიშვილის ღრმად ნაციონალურმა ეპოსმა, სრულიად ახალი სამყარო გადაშალეს ჭაბუკი პოეტის ოცნებისათვის, ააფორიაქეს მისი გრძნობები, საზრდო მისცეს მის ჭკუასა და გონებას.

იგი პირველად უფიქრდება საკითხს, თუ რა უნდა იყოს ახალი, თანადროული პოეზიის თემა, რომელშიც უნდა გამოიყვანოს ქართული ლიტერატურა ეპოქონობის, უიდეობისა და დეკადანსის იმ საშინელ ჭაობიდან, რომელშიდაც იგი იმყოფებოდა იმ დროს. ამ ჭაობის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენდა „ციცკარში“ წარმოდგენილი პოეზია, — უნიჭო, უგემური, ერთფეროვანი ლექსები კერესელიძეებისა, ბერიყეების, ისარლოვების, კოლხიდელებისა და სხვათა.

და საჩხერის მარტობაში, ჭაბუკი პოეტის გონებაში მწიფდება ჯერ კიდევ საცხებით ჩამოუყალიბებელი, მაგრამ ზოგადად მაინც გარკვეული იდეური კონცეპცია, ნათელი მიზანდასახულობა, ერთგვარი გეზი შემოქმედებითი პრაქტიკისა, დაფუნძნებული იმ საერთო პოლიტიკურ განწყობილებაზე, რომელითაც განიმსჭვალა იგი გიმნაზიაში ყოფნის უკანასკნელ წელიწადს.

თანადროული ცხოვრება, ეპოქის სოციალური პრობლემატიკა, ქართველი ხალხის პოლიტიკური მდგომარეობა, — აი ის წრე საკითხებისა, რომელიც

მოითხოვდა გადაჭრას პრაქტიკულ ცხოვრებაში, აი ის ახალი და დიდი/თემა-ტიური რკალი, რომელიც შინაარსად უნდა დასდებოდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, რომელსაც საზრდო უნდა მიეცა ახალი ქართული პოეტური სიტყვისათვის! მაგრამ ყველა ამ საკითხებში უფრო მკვეთრად და მთელი თავისი სიღრმით ახალგაზრდა პოეტის წინაშე გადაიშალა საქართველოს ნაციონალური პრობლემა, სამშობლოს ჩაგრული მდგომარეობა, მისი დაცემა და მონობა ცარიზმის უღლის ქვეშ.

ლექსი „ნავი“ გამოხატავს ახალგაზრდა აკაკის გარკვეულ პოლიტიკურ განწყობილებებს, მის პოეტურ პოზიციას და ამავე დროს პირველ ნაბიჯს ახალი ქართული პოეზიის შექმნისა და განვითარების საქმეში.

„ნავის“ იგავი მარტივია: შუა ზღვაში, ქარიშხლის დროს, ნავი იღუპება, მაგრამ მას მშველელად მოუსწრებს ზომალდი. ნავის თხოვნით, ზომალდი მას ჩააბამს ჯაჭვს და გადაარჩინს ალღელებულ ზღვის მრისხანებისაგან. ბოლოს ქარიშხალი დაუჭრდება:

„ნავს ესე საქმე დიდად იამა,
სოჭვა, გამომიჩნდა კეთილი მამა!
თუ ესა მყავდეს და ეს მფარვიდეს,
მე ვერაფერ ვერ მომერვიდეს.
დაემორჩილა ზომალდსა ნებით,
დიდის სურვილით და განსვენებით.
მას შემდეგ, ვითომ აქვს მშვილობა ნავს
და მვენებელიც აღარაფერ ჰყავს...
მაგრამ რაი, რომ თვით ის ზომალდი
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს.“

მეფის რუსეთისა და პატარა საქართველოს ურთიერთობის ეს ალღეგორიული გამოხატულება შეუძმნეველი არ დარჩენია „ცისკარის“ რედაქტორს. (ლექსი დაიბეჭდა 1859 წლის სექტემბრის ნომერში). შეიძლება თავისი სიფრთხილით, ან იქნებ ცენზორის წინადადებით, მას შეუცვლია ლექსის ზემოდ მოყვანილი დაბოლოებები.

მას სრულიად მოუხსნია უკანასკნელი ორი სტრიქონი. „ცისკარში“ ლექსი თავდება შემდეგი სტრიქონებით:

„მისა შემდეგ აქვს მშვილობა ნავს
და მვენებელი არაფერ ჰყავს“...

ამგვარად რედაქტორმა დაარღვია არა მარტო წყობა ლექსისა, არამედ სრულიად გადაასხვაფერა მისი იდეურ-პოლიტიკური გამოხსნულობაც.

ეს ამბავი აკაკიმ მხოლოდ პეტერბურგში გაიგო, იმავე წლის შემოდგომაზე, როდესაც ჟურნალის ნომერი მიიღო. ივ. კერესელიძის ასეთმა საქციელმა ქაბუჯ-პოეტში სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

ასეთი იყო პირველი დემიუტი აკაკისა მკითხველი საზოგადოების წინაშე. ასეთი შინაარსის იყო მისი პირველი პოლიტიკური ალღეგორიის შემცველი ლექსი, რომელიც დამახინჯებული სახით მიაწოდა თავის მკითხველებს „ცისკარის“ რედაქტორმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ბ. გუხნიკაშვილი

გორი

(ისტორიული ნარკვევი)

1.

ქალაქი გორი ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ადგილია საქართველოში. ისტორიკოსი ვახუშტი თავის შრომაში „ლეონრაფიული აღწერა საქართველოსა“ გულისხმობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას: „...არამედ არ არის უწყებელი, ვისით აღშენდა პირველ: გარნა ცხოვრებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელ არს ოქროს მთა) და ჰყო საფუძვლად საგანძურთა“.

გორის კლდოვან მალღობთან, სადაც ციხეა აშენებული, საქარაენო გზა გადიოდა, რომელიც დასავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. მდინარე მტკვარზე, რომელიც გორაკს ჩაუდის, ნაოსნობა არსებობდა. ამ პირობებში ციხეს საკმაო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სავაჭრო გზის დასაცავად.

ვახუშტი გულისხმობს VII საუკუნის დასაწყისის ამბებს, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ საქართველო დაიპყრო. ციხის ირგვლივ ხალხი უფრო ადრე უნდა დასახლებულიყო. ამას ამტკიცებს იქ აღმოჩენილი ფული: ლიზიძის სტატერების იმიტაცია (III საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომის იმპერატორის ავეუსტოსის დინარები (I საუკ. ჩვენი წელთაღრიცხვისა). 1937 წელს მიწის სამუშაოების დროს გორის შუაგულში აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს სამაჯურები და თიხის ქურქელი, რომლებიც მიკუთვნებულია I საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ისტორიკოს ვახუშტის განმარტებით, სიტყვა „ტონთიო“ „ოქროს მთას“ ნიშნავს. მაგრამ ეს სწორი არ არის. იგი წარმოსდგა ქართულ სიტყვა „ტინი“-საგან, რაც კლდეს ნიშნავს. საფუძრებელია, რომ ბორცვისა და მასზე აგებული ციხის სახელი „ტინთა“ (კლდოვანი მთა) იყო, როგორც ამას ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი ამტკიცებს. გორის მიდამოებში დღემდე შერჩენილია მთელი რიგი მინაგვარი სახელები, მგავლითად, სოფლები „ატინი, „ტინისხიდი“, მდინარე „ტანა“.

სახელწოდება „გორი“ მერმინდელია და გამოწვეულია აგრეთვე კლდოვანი ბორცვის თანაბოენიერებით „გორა“, „გორაკი“. ვახუშტი თავის „ლეონრაფიაში“ სწერს: „ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლიახვის მდინარის კიდესა ზედა“.

VII—IX საუკუნეებში საქართველო შედიოდა არაბეთის სახალიფოში, რომელიც შემდგომ თანდათან დაეცა. საქართველოში ვითარდებოდა თანდათან პროცესი ცალკეული სამეფოების გაერთიანებისა მთლიან საქართველოს სახელმწიფოდ.

გაერთიანების ერთ-ერთი ცენტრი იყო უძველესი კლდის ქალაქი უფლისციხე, რომელიც გორიდან 9 კილომეტრზე მდებარეობს. უფლისციხე ქართლის დედა-ქალაქი იყო, რადგან თბილისი არაბებს ეკავათ. საფიქრებელია, რომ ამ ხანაში ციხე „ტინთას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ფორპოსტს უფლისციხის დასაცავად.

XII საუკუნეში უცხოელ დამპყრობთა — მცირე აზიის სახელმწიფოთა ყურადღება ჯვაროსანთა ომებისკენ იყო მიქცეული. სამხედრო მოქმედებათა ასპარეზი გადავიდა დასავლეთისკენ, ხმელთაშუაზღვის ნაპირებზე. თითქმის ასი წლის განმავლობაში საქართველომ თავი დააღწია დამლუბავ თავდასხმას. საქართველოზე მიმავალი საქარავნო გზა შედარებით უშიშარი გახდა და მასზე მოძრაობა გამოცოცხლდა. ქვეყანა ეკონომიურად გაძლიერდა. ქართველმა ხალხმა ამ ეპოქაში შექმნა კულტურის შესანიშნავი ძეგლები. საკმარისია გავიხსენოთ შოთა რუსთაველის უძველესი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

საქართველოს სამეფოს გაძლიერებამ ტინთა-გორის განვითარებაზედაც მოახდინა გავლენა. XII საუკუნის დამდეგს, მეფე დავით აღმაშენებლის დროს, ციხის ირგვლივ საეკლესიო ქალაქი აშენდა, რომელიც შემდგომ ქვეყნის ვაჭრობა-ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა.

XIII საუკუნიდან განახლდა უცხოელ დამპყრობთა შემოსევა საქართველოში. დაიწყო საქართველოს ეკონომიური დაცემა და გაერთიანებულ სახელმწიფოს თანდათან დანაწილება ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად. მიზეზი დასუსტებისა იყო ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის ძირის გამოთხრა. საქართველო ეკონომიურად უმთავრესად ეყრდნობოდა საქარავნო ბაეებს და დამორჩილებული პროვინციების ხარკებს. ამავ დროს სახელმწიფომ სათანადოდ ვერ განავითარა თავისი შინა ეკონომიური რესურსები, რასაც უნდა დაყრდნობოდა მისი სამხედრო ძლიერება.

დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა ქართველი ხალხისა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ.

ქალაქ გორის ისტორია ურყევად არის დაკავშირებული იმ ამბებთან, რაც წარსულში ქართველმა ხალხმა განიცადა.

1226 წელს საქართველოში შემოიჭრა ხვარაზმის სულთანი ჯალალ-ედინი. მისმა ჯარმა დაარბია საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი. აათხრეს ქალაქი გორიც. ჯალალ-ედინის მოპყვენ მონღოლები, რომლებიც საქართველოში საბოლოოდ XIII საუკუნის 40-იან წლებში დამკვიდრდნენ. მეტად მკაცრი იყო საქართველოს მშრომელი მოსახლეობისათვის მონღოლთა ბატონობა.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მეფემ გიორგი VI ბრწყინვალემ ისარგებლა მონღოლთა შესუსტებით და საქართველო გააერთიანა. მაგრამ ახალი დამპყრობლის თემურლანგის გამოჩენამ საქართველოს ახალი უთვალავი უბედურება დაატეხა. 1387 წელს თემურლანგმა თბილისი აიღო. ექვსჯერ გაიარა თემურლანგის ჯარმა საქართველოზე, დაარბია და და-

ანგრია ქალაქები, მათ შორის გორიც, მიწასთან გაასწორა სოფლები. გაანადგურა კულტურის ძეგლები, მოსრა ან მონად წაიყვანა მოსახლეობა.

უბედურებას, რომელიც უცხოელ დამპყრობთ მოჰქონდათ ქვეყანას, ილ-მავებდნენ ქართველი ფეოდალები ეკონომიური ჩაგვრით. *სამსაღმარეო*

ქალაქი გორი და მისი მიდამოები თავად ამილახორთა სამფლობელო იყო. მათი ძველი გვარი ზევედგინისძე იყო.

„ამილახორი“ იყო თანამდებობა მეჯინიბეთუხუცესისა საქართველოს მეფის კარზე. ეს თანამდებობა ზევედგინისძეებს დაუმტკიცა ქართლის მეფემ გიორგი VIII-მ მათი ნამსახურობის გამო ლაშქრობის დროს. თანამდებობა შთამომავლობითი იყო. აქედან წარმოსდგა გვარი ამილახორი. ამილახორებსვე შთამომავლობით მიკუთვნებული ჰქონდათ ადმინისტრაციული თანამდებობა გორის მოურავისა.

ვენეციის ელჩი ირანის ტახტთან, ვენეციელი დიპლომატი ამბროზიო კონტარინი, რომელიც ირანში გამგზავრებისას 1474 წელს გორში გაჩერდა, სწერდა გორის შესახებ:

„ქალაქი პატარა ვაკეზე მდებარეობს, გორაკის ძირში, რომელზედაც ხის ციხეა აღმართული; ქალაქს დიდი მდინარე რწყავს. საერთოდ ქალაქი საკმაოდ კარგია“.

ამბროზიო კონტარინს თავისი მისვლა გორში უცნობებია გორის მოურავისთვის, მაგრამ გული გასტეხია მისი მოპყრობით: „გუბერნატორმა მყისვე გასცა განკარგულება სადგომის მიცემის შესახებ. ვიმედოვნებდი, რომ იგი კარგად მიმიღებდა. ძალიან გამიკვირდა, როდესაც მითხრა: მეფე ბაგრატის მწერს, რომ ოცდაექვსი ოქრო უნდა გადავახდევინო და კიდევ ექვსი ოქრო გზის მაჩვენებლებისთვისო. უშედეგოდ ვარწმუნე, რომ ასეთი მოთხოვნა წარმოუდგენელია, რადგან მეფემ კარგად მიმიღო და მას სამოცდაათი ოქრო მივართფი. ჩემმა რწმუნებამ არ გასჭრა და იძულებული გახდი მიმეცა, რასაც თხოულობდა“.

მოურავმა რამდენიმე დღე გააჩერა კონტარინი, ვიდრე, ფული არ გადაახდევინა.

II.

XVI საუკუნიდან საქართველო კვლავ განიცდიდა უცხო დამპყრობთა შემოსევას. დიდი წინააღმდეგობის გადალახვით თურქებმა დასავლეთი საქართველო დაიპყრეს. იმავე დროს ირანი ილტვოდა აღმოსავლეთ საქართველოსაკენ. კერძოდ, ქართლის სამეფოსაკენ, და ყოველი ღონით ეწინააღმდეგებოდა თურქეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობას.

ამ პერიოდში ქალაქი გორი, ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, არა ერთხელ გახდა სამხედრო მოქმედებათა ობიექტად და უძლებდა შემოსევას. ქართლები მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ ირანელ დამპყრობთ და როდესაც 1536 წელს ირანელებმა თბილისი დაიპყრეს, ქალაქი გორი ქართლის დედა-ქალაქად გადაქცა.

დამპყრობთა წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში გორის მახლობლად მოკლეს ქართლის მეფე ლუარსაბ I. იგი მეთაურობდა ქართლებს ლაშქარს, რომელიც იცავდა ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

1553 წელს, ირანის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დამპყრობის შემდეგ, ირანსა და თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ქართლელთა ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მაინც გრძელდებოდა. ქალაქის მეფე სვიმონ I საქართველოს გაერთიანების პოლიტიკას აწარმოებდა. მისი ერთ-ერთი ძალით ირანის ბატონობისაგან ვანთავისუფლებულიყო. სვიმონმა მიზანს ვერ მიაღწია. ბოლოს, ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, 1569 წელს, მათ ტყვედ ჩაუვარდა, იგი ირანში წაიყვანეს და ალამუგის ციხეში ჩამწყვდიეს.

1577 წელს თურქეთსა და ირანს შორის კვლავ გაჩაღდა ომი. თურქებმა დაიპყრეს მთელი ქართლი და მასთან ერთად გორიც. ქალაქი ხელში ჩაიგდეს მოურავის ბარძიშ ამილახორის გამცემლობით.

თურქების მიერ ქართლის სამეფოს დედა-ქალაქის თბილისის დაკავების შემდეგ, ირანის შაჰმა ვანთავისუფლა სვიმონი ტყვეობისაგან და ქართლის მეფობა დაუბრუნა, იმ პირობით-კი, რომ თურქების წინააღმდეგ ებრძოლა.

თურქებმა ქართლში ქვეითების ციხეები ააგეს და გამაგრდნენ. განაახლეს გორის ციხეც.

სვიმონ მეფემ მედგარი ბრძოლა იწყო თურქების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა უთანასწორო იყო. ვერ სწყვეტდა საქმეს სვიმონის პირადი გულადობა და ქართლელთა გმირობა. გამარჯვებისათვის საჭირო იყო მთელი ქართველი ხალხის, ქართველი სამეფოებისა და სამთავროების შეკავშირება. სვიმონ ცდილობდა ამის მიღწევას საქართველოს გასანთავისუფლებლად არა მარტო თურქებისა, არამედ ირანელ დამპყრობთაგანაც. მისი განზრახვის განხორციელებას ხელს უშლიდნენ ღრმა წინააღმდეგობები, რომლებიც ფეოდალებს შოხის არსებობდა.

1599 წელს სვიმონი შეეცადა გორის ციხის აღებას. ალყა შემოარტყა, მაგრამ ცხრა თვის განმავლობაში მიზანს ვერ მიაღწია. გამოცდილმა სარდალმა ბოლოს ხერხი იხმარა: დიდმარხვის დაწყებისას სვიმონმა ალყა შეასუსტა და ხმა დაყარა, მარხვის გამო ქართველები არ იომებნენო. თურქები დარწმუნებული იყვნენ, რომ მარხვაში ქართველთა ლაშქარი შეტევაზე არ გადავიდოდა და სიფხიზლე შეასუსტეს.

ამავე დროს სვიმონმა ახლო-მახლო სოფლებში საიდუმლოდ დაამზადებინა კიბეები და ერთ ბნელ ღამეს ციხეს შეუტია. შეტევა მოულოდნელი იყო თურქებისთვის, ისინი დანებდნენ სვიმონს და ქალაქი და ციხე გადასცეს.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ სვიმონი თურქებს ტყვედ ჩაუვარდა მდინარე ალგეთზე ბრძოლის დროს, თბილისის მახლობლად. სვიმონი თურქებმა სტამბოლში წაიყვანეს და მის გამოსასყიდად დიდი ფასი მოითხოვეს. სვიმონის შვილი, მეფე გიორგი X, დაეთანხმა მათ მოთხოვნას და მოთხოვნილი საფასური სტამბოლს გაგზავნა. სტამბოლში ჩასულთ სვიმონი უკვე ცოცხალი აღარ დახვდათ. მიუხედავად ამისა, თურქებმა გაგზავნილი საფასური მიითვისეს. შემდგომად სვიმონის გვამი სტამბოლიდან ჩამოიტანა გორელმა ვაჭარმა, გვარად დიაკენის შვილმა.

გორელი ვაჭრის სტამბოლში ყოფნა გვიმტკიცებს, რომ, მიუხედავად ომებისა და საქარავნო გზებზე მოგზაურობის საშიშროებისა, გორელი ვაჭრები სტამბოლშიც კი ახერხებდნენ სავაჭრო საქმეების წარმოებას.

ქართლის ისტორია XVI საუკუნისა არის გაუთავებელი ომების ისტორია. ასი წლის განმავლობაში მის ტერიტორიაზე 50-მდე მნიშვნელოვანი ბრძოლა მოხდა ირანთან, თურქეთთან და მეზობელ მთიელთა ტომებთან. ეს ბრძოლები ძვირად უჯღებოდათ ქართველებს, რომლებიც ვაკეკაცურად იცავდნენ თავიანთ ქვეყანას.

XVII საუკუნის დამდეგს, 1609 წელს, ქართლს ახალი უბედურება დაატყდა. თურქეთის ვასალი, ყირიმის მფლობელი თათარხანი ბაღდადის ლაშქრობიდან ბრუნდებოდა. ყირიმში დასაბრუნებლად მან გზად ქართლი აირჩია (მდინარე ხრამის ხეობა, თრიალეთის მთები, მცხეთა, შემდეგ დარიალის ხეობა, ჩრდილოეთი კავკასია და ყირიმი). თათარხანს მთებში გზა დაებნა და გზის ჩვენება ძალით დაავალა ერთ მღვდელს, სახელად თევდორეს. თევდორემ განიზრახა უცხო ჯარის განადგურება, და უღრან ტყეში შეიფანა. დარწმუნდა რა ამაში, თათარხანმა ბრძანა მოეკლათ თევდორე. თათარხანმა დიდის ვაჭირვემით დააღწია თავი მთებს და აღმოაჩინა, რომ გორის მახლობლად იმყოფებოდა.

თათარხანმა გადასწყვიტა ქალაქ გორისა და მისი ციხის აღება. მაგრამ გორის მცხოვრებლებმა დროულად გაიგეს უცხო ჯარის მიახლოვება და მოასწრეს მდინარე მტკვარზე ხიდის დანგრევა. თათარხანი იძულებული იყო მტკვარის მარჯვენა ნაპირით წასულიყო ბორჯომის ხეობისაკენ. იქ მას დაეწია და შეებრძოლა ქართველთა ლაშქარი მეფე ლუარსაბ II-სა და ცნობილ სარდლის გიორგი სააკაძის მეთაურობით. თათარხანის ჯარი დაამარცხეს და გაფანტეს. აღმოსავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით საზარალო იყო ირანის მფლობელის შამ-აბაზის შემოსევა. მან 1616 წელს აიღო თბილისი, შემდეგ გორიც, და ქართლის მეფედ დანიშნა გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი ბაგრატ-მირზა. გორის მოურავად ვახდა ანდუყაფარ ამილახორი, რომელიც ირანის კარზე აღიზარდა და გამაჰმადიანებული იყო. ანდუყაფარი დიდი ერთგული იყო შამ-აბაზისა. ირანის ჯარის საშუალებით ანდუყაფარი სასტიკად სპობდა თავის და ირანის მოწინააღმდეგეთ, ამასთან შეუბრალებლად სძარცვავდა მოსახლეობას.

1625 წელს სარდალმა სააკაძემ, რომელიც ირანელებს ებრძოდა, გორის ციხე აიღო და განადგურა ირანის გარნიზონი.

რომიდან მოსული კათოლიკე მისიონერების აღწერით, — ქალაქი მთლად დაანგრის ირანელებმა. მოსახლეობაც ძალზე შემცირებულიყო.

მისიონერები ჩამოვიდნენ რომის პაპის წერილით ქართლის მეფე თეიმურაზ პირველთან. მეფე თეიმურაზი გორის მახლობლად მდებარე სოფელში ცხოვრობდა. მან კარგად მიიღო მისიონერები და გორში მისცა საცხოვრებელი სახლი და ეკლესია. ამავე მისიონერების საშუალებით თეიმურაზმა ირანიდან მიიღო შამ-აბაზის მიერ წაშებული თავისი დედის, ქეთევან დედოფლის, გვამის ნაწილები.

მოიგეს რა თეიმურაზის გული, მისიონერებმა იწყეს გორში კათოლიკობის გავრცელება. ექიმობდნენ კიდევ, და თეიმურაზ მეფის შვიედ ავადმყოფი მეუღლე მოაჩინეს, თუმცა მისიონერები რომში გაგზავნილ წერილში აღიარებდნენ, დედოფალს სრულიად უვნებელი წამლები მივეციით და იგი თავის თავად განიკურნაო.

მეფე თეიმურაზმა მისიონერებს ყმა-გლეხები, ვენახი და სახნაო მიწები მისცა.

მფარველობდა რა კათოლიკობას, თეიმურაზი რომის პაპსაჟანს კუალტურ დახმარებას მოელოდა ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისიონერების ტოროში მომრავლდნენ, მისია ვაიზარდა.

კათოლიკების მოღვაწეობას საქართველოში თავისი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან ქართველი მეფეები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პაპებთან და იმედოვნებდნენ — პაპი მხარს დაგვიჭერსო აზიის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ რომის ეკლესიის დახმარება გამოიხატა მხოლოდ მისიონერების გამოგზავნაში მოსახლეობის გასაკათოლიკებლად. ეს მისიონერები არსებითად იტალიის სავაჭრო კაპიტალის მშვერავები იყვნენ: კაპიტალი ახალ ბაზრებს დაეძებდა.

XV საუკუნიდან უკვე ვხვდებით კათოლიკე მისიონერების ცვალებას გორში. არის ცნობები იმის შესახებ, რომ მათ გორში სახლები და მამულები შეისყიდეს.

გორში მყოფმა ქართველმა ბერმა ნიკიფორე ირბახმა (ირუბაქიძე) კათოლიკობა მიიღო და მისიონერებს ქართული ენა შეასწავლა. 1629 წელს მისი დახმარებით გამოიცა იტალიურ-ქართული სიტყვიანი (პირველი დაბეჭდილი წიგნი ქართული შრიფტით).

1633 წელს გორი ხელახლა დაიკავა ირანის ჯარმა, რომელსაც გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი როსტომ-ხანი მეთაურობდა. თეიმურაზ მეფე იძულებული გახდა გაქცეულიყო. დიდ გაჭირებაში ჩავარდნენ გორისა და ირვკელი მდებარე სოფლების მცხოვრებნი ირანელთა ჯარის იქ დაბანაკების გამო.

როსტომ ხანმა, რომელმაც მეორე წელს ქართლის მეფობა მიიღო, 25 დღეში აღადგინა ნახევრად დანგრეული გორის ციხე. ციხის აშენებაზე 20.000 კაცი მუშაობდა.

გორში მყოფი ერთი კათოლიკე მისიონერი, ქრისტეფორე კასტელი, მხატვარი იყო, და როსტომმა მას გორის ახალი ციხის სურათის დახატვა დაავალა. კასტელიმ შეასრულა დაავლება. ციხის სურათი როსტომმა შაჰს გაუგზავნა.

ქრისტეფორე კასტელის ეკუთვნის ნახატების დიდი სერია ტექსტიტორთ, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს XVII საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრების შესახებ საქართველოში.

კათოლიკეთა მისიონერები თეიმურაზის დამარცხების შემდეგაც განაგრძობდნენ თავიანთ მოღვაწეობას გორში, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც წინათ. როსტომმა პირველ ხანებში თუმცა დაადასტურა მათი რწმუნებულებანი, მაგრამ შემდგომ გამოსცა ბრძანება, გარდა მაჰმადიანობისა ქართველთა სხვა სარწმუნოებაზე გადასვლის აკრძალვის შესახებ, და მალე სრულებით აკრძალა კათოლიკობის პროპაგანდა. იმ ხანებში ქართლში შავი ჭირი გაჩნდა, რომელმაც დიდი მსხვერპლი შეიწირა. ამის შემდეგ გორის მისია დაიხურა. გადარჩენილი მისიონერები, მათ შორის მხატვარი ბერი კასტელი, დასავლეთ საქართველოში გადასახლდნენ.

როსტომის შემდეგ ქართლში მეფობდა ქართველი მაჰმადიანი შაჰ-ნავაზი (1658 — 1676).

შახ-ნავაზის მეფობის დროს საქართველოზე გაიარა ირანში მიმავალმა ფრანგმა მოგზაურმა ეან შადრენმა. იგი გორშიც იყო. მის საინტერესო წიგნში არის გორის აღწერა: „ქართლში მხოლოდ 4 ქალაქია: გორი, ჩქვინი, ლი და თბილისი. გორი პატარა ქალაქია, მდებარეობს ვაკეზე ორ მთას შუა, მტკვრის ნაპირას, ერთი გორის ძირში, რომელზედაც ციხე არის აშენებული. ციხის მკველები სპარსელები არიან. ეს ციხე აუშენებია გურჯისტანთან უკანასკნელი ომის დროს, 40 წლის წინათ, რუსტენ-ხანს, რომელიც სპარსეთის ჯარის სარდალი იყო. ციხის გვეგმა შეუდგენია ერთ მისიონერს, რომელიც მაშინ გორში იმყოფებოდა. ციხეს არა ჰყავს ბევრი მკველი. ციხე ძალიან მაგარია, მოხერხებულ ადგილზეა აგებული. ციხეში ასი კაცია მეციხოვნედ. თვით ქალაქი პატარაა. სახლები და ბაზარი მიწურებს წარმოადგენენ. მცხოვრებლები სულ ეპკრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულნიც. აქ უხვად არის ყოველგვარი სანოვაგე და იაფად იყიდება“.

ქალაქ გორის ცხოვრების შესახებ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ცნობებს ვხვდებით კვლავ კათოლიკე მისიონერების მოხსენებებში, რომლებსაც ისინი საქართველოდან რომში ჰგზავნიდნენ.

1663 წელს საქართველოში მოვიდა მისიონერთა ახალი ჯგუფი. ორი მათგანი გორში წავიდა მისიის აღსადგენად. მაგრამ ადგილობრივი სამღვდლოება მათ ყოველნაირად უშლიდა ხელს.

1684 წელს, შიმშილობისა და გაჭირვების გამო, აღმოსავლეთ საქართველოში შავი ჭირი გაჩნდა. ეპიდემია შეიდ თვეს მძვინვარებდა და მრავალი ადამიანი გამოასალმა წუთი-სოფელს. შავი ჭირის გორში გაჩენისას მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მთებში გაიხიზნა.

XVII საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ქართველი ხალხის მტკიცე ბრძოლა ირანისა და თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ.

ხალხი გმინავდა უტხოვლ დამპყრობთა და საკუთარ ფეოდალთა უღელქვეშ. მოსახლეობის მონად გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ საქმეს აწარმოებდნენ ქართველი დიდებულნი, საქართველოში მდგომი ირანელთა და თურქთა გარნიზონები და აგრეთვე მთიელი ლეკები, რომლებიც მუდმივ არბევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს.

მიუხედავად მრავალი უბედურებისა, ქართველმა ხალხმა უმძიმეს პირობებშიაც-კი შესძლო თავისი კულტურის შენარჩუნება და მისი გამდიდრება ახალი მიღწევებით.

III.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ხელახლა ასტყდა ომი ირანსა და თურქეთს შორის. თურქები შემოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში და 1723 წელს დაიპყრეს ქართლის ტერიტორია დედაქალაქ თბილისით.

ქართლის მეფე ვახტანგ VI ოჯახითურთ და დიდი ამალით რუსეთში გადასახლდა რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ. მან თან წაიღო დიდძალი სიმდიდრე და ისტორიული დოკუმენტები. რუსეთში გადასახლებულ თავად-აზნაურთა შორის იყო რამდენიმე ოჯახი გორის ფეოდალ ამილახორთა. ერთი მათგანი, ვახტანგ ამილახორი, რუსეთში ნამყოფი იყო და რუსული ენაც კარგად იცოდა.

ვახტანგ მეექვსე და მისი შვილი ვახუშტი ნიჭიერი და განათლებული ისტორიკოსები და ლიტერატორები იყვნენ. მათ დასწერეს უძვირფასესი შრომები საქართველოს ისტორიისა და ცოდნის სხვადასხვა დარგებში.

თორმეტი წელი ეკირათ თურქებს ქართლი და მასთან ერთად ქალაქი გორიც, მაგრამ ირანის დამალებით ბოლოს იძულებული გახდნენ დაეცალათ აღმოსავლეთი საქართველო.

იმ ხანებში ქართლისა და გორისათვის ყურადსაღები ფიგურაა ახალი მოურავი გორისა გივი ამილახორი. იგი ენერგიული და მხნე ადამიანი იყო, მაგრამ თავის უნარს ქართველი ხალხისა და სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდ არ იყენებდა. თავისი სიმუხთლით და ყმა-გლეხებისადმი ცუდი მოპყრობით მან მეტად ცუდი სსოვნა დაგვიტოვა.

ირანსა და თურქეთს შორის დადებული საზოო ხელშეკრულებამ გივი ამილახორს საბაბი მისცა შექრილიყო გორის ციხეში და გაენადგურებინა თურქთა გარნიზონი, თუმცა იგი აღრიანად თურქთა ორიენტაციისა იყო. შემდეგ ამისა გივი ამილახორი და ქართლის სხვა ფეოდალი წინ აღუდგნენ ირანს და ომი დაიწყეს, მაგრამ ირანელებმა გაიმარჯვეს. მათ დაანგრეს გორის ციხე და ტყვედ წაიყვანეს მრავალი მცხოვრები.

გივი ამილახორის ამზობება გარეგნულად დადებითი ფაქტორი იყო გარეშე მტრებთან ბრძოლის საქმეში. არსებითად კი ეს ბრძოლა გამოწვეული იყო ამილახორის მატერიალური ინტერესების შეკვეციტით.

ირანის შაჰის ნადირის მიერ დანიშნულმა ქართლის მმართველმა — სეფი-ხანმა მოტყუებით მიიხმო გორში კახ-ბატონი თეიმურაზი, გივი ამილახორი და სხვა ფეოდალები, დაატყვევა ისინი და ირანში გაუგზავნა ნადირ-შაჰს. გორის მოურავის გივი ამილახორის მაგივრად სეფი-ხანმა მმართველად დანიშნა გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი აბდულ-ბეგი.

ნადირ-შაჰმა თეიმურაზს აპატია და კახეთი დაუბრუნა. პატიებულ იქნა აგრეთვე გივი ამილახორი. ირანელებმა გადასწყვიტეს, ქართლში გადასახადებისა და ხარკის ასაკრებად გამოეყენებინათ იგი.

1741 წელს გივი ამილახორმა ნადირ-შაჰისაგან მიიღო ქართლის ექილობა (შაჰის მოადგილეობა ქართლში). ექვსი ათასი ირანელი ჯარით მოვიდა იგი თავის სამფლობელოში (ჯარში ავღანელები და ინდოელები იყვნენ) და გულმოდგინედ შეუდგა მოსახლეობაში გადასახადების აკრეფას.

ხალხი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა გივი ამილახორის მძვინვარებას. საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც-კი მივიდა.

მიუხედავად ამისა, ნადირ-შაჰმა წინადადება მისცა გივი ამილახორს, ერთი თვის განმავლობაში ქართლში კიდევ შეეკრიბა ხარკი დალესტანში მყოფ ირანის ჯარებისათვის: მილიონამდე ფუთი პური, 6.000 ხარი და 500 ურკვი.

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი აღწერს ხალხის უსაშინელებს მდგომარეობას ამ ხარკის აკრეფის გამო. „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მხემა, ბევრჯერ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდნენ და იმას სჭამდნენ; დაუწყეს თხოვნა პურისა, ეკოდა კაცი და დედაც-კი. მრავალი სული ოჯახით მოკვდა. თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვნენ, თავისი ხელით შვილებს აძლევდნენ, მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გადაიხვეწა.“

ნადირ-შაჰი ამ ხარკითაც არ დაკმაყოფილდა, მან კვლავ მოსთხოვა გივი ამილახორის დიდძალი პურის შეგროვება. მოსთხოვა აგრეთვე 300 ახალგაზრდა ქალი და 500 კომლი ყმა, ამ მოთხოვნის ასრულება გივისაც კი ვეღარ შეეძლო. შიში ჰქონდა რა ნადირ-შაჰის შრისხანებისა, გივი ამილახორს და მისი ძმებს და ლეკების დახმარებით ირანის წინააღმდეგ ამბოხება მოაწყო.

გაიმართა ბრძოლა გორის ირგვლივ, ამბოხების ჩაქრობა ნადირ-შაჰმა კახ-ბატონს თეიმურაზს დაავალა. თეიმურაზი გორში შევიდა, მაგრამ გივი ამილახორი დაეცა გორს და თეიმურაზი იძულებული გახდა, გორიდან აღმოსავლეთისკენ დაეხია. თეიმურაზის დასახმარებლად მივიდა მისი შვილი ერეკლე. მათ საერთო ძალებით შეუტიეს გივის ლაშქარს. გივი დამარცხდა. მან გორი მიიტოვა და სურამის ციხეს შეაფარა თავი.

ამ დროისთვის (1744 წ.) თეიმურაზი ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ განაწესა, ხოლო კახ-ბატონად, თეიმურაზის ნაცვლად, მისი შვილი ერეკლე დანიშნა.

სურამის ციხეში ჩაკეტილი გივი ამილახორი თეიმურაზს არ ნებდებოდა. უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ თეიმურაზ მეორემ და ერეკლემ ციხეს ნალში მისცეს. აფეთქდა ციხის ერთი კედელი. გივი დანებდა მათ და ნადირ-შაჰთან იქნა გაგზავნილი. შაჰმა მას ახლაც აპატია და თავის კარზე დასტოვა, როგორც საჭირო კაცი თავისი პოლიტიკის გასატარებლად საქართველოში.

იმ დროის გორი დაწვრილებით აქვს აწერილი ისტორიკოს ვახუშტის: „... ამის გარდა მოხვეული ლიახვიდან ლიახვამდე ქალაქი 83 მეფემან სვიმონ წარუხენა ოსმალთა და შემუსრა ციხე 89 მეფის როსტომის მეფობას აღაშენა შაჰსეფიმ კვლად ციხე, და მიერით ეპურათ ყიზილბაშთა. 94 მეფის ვახტანგის ეამს იყო ცარიელი, შემდგომად დაიპყრეს ურუმთა, მერმე შაჰ-ნადირ დაარღვივა ციხე, არამედ და ძალ-ყოფილი ოსმალთა და ლეკთა და ყიზილბაშთაგან შემცირდა ქალაქიცა და არს შენობა უმეტეს ქვიტვირისა, ეკლესიანი კეთილ-შეწინიერნიცა, განა ერთი შემუსრეს ოსმალთა. სომხისა აქა 89 მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რივისა, წალკოტ-სავარდნითა დიდი. ავაზანნი წყლიანნი დიდ-დიდნი შეწინიერნი. 94 მეფემან ვახტანგ განაახლა, შემუსრეს ოსმალთა, არამედ არს ადგილი ჰავითა შეწინიერი, წყალი კარგი. გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი, ზაფხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი. სწადირო მოუკლებელი ფრინველთა, თევზთა და სხვითაც. ხილი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი. მსახლებელნი არიან ქართველნი და სომეხნი, პაეროვანნი, ტანოვანნი, მშვენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი.“

თუ რა მძიმე მდგომარობაში იყო ქალაქი ირანელთა ბატონობის დროს, ამას ნათლად გვიჩვენებს გორის მელიქის (ვაჭართა წოდების მეთაური) ფარსადანის მოხსენება მეფე თეიმურაზ მეორისადმი: „ავდანის ჯარი გებოძებინათ, ორი უზბადაში თავის თაბუნებითა, თითქოს ოროლი ცოლი, სამ-სამი ტყვე, სამ-სამი, ოთხ-ოთხი ცხენი და იაბუ ჰყავთ. მოგვხსენებათ ამითი საყოფი სახლო გორს არ არის. ზამთარი არის, ოთხ-ოთხი კომდი რიითი ქეთხუდები თითო სახლში დამიყენებია, სხვა ამით მივეცი. კიდევ არ ეყოფათ. ქალანთარმა ნახა. ახლა კიდევ ყასუმა ბეგი უზბადაში მოვიდა თავის თაბუნებითა, ხიზნითა, ტყვიითა. ალაგი აღარ არის, რომ ამათაც ალაგი მივსკეთ. დიად, ფერიმანი შეიქმნა რიითი. თუ ამით ერთს წყალობას არ გვიხამთ, ერთს და ერთს უზბადას სხვაგან არ უბრძანებთ დადგომასა, გორი დიად წახდება. ჩვენ მოგვისხსენებია და

ერეკლე II-მ არსებითი რეფორმები ჩაატარა საქართველოს თანამართლების საქმეში. შექმნა რეგულარული ჯარი, განაახლა დანგრეული ციხეები, მათ შორის გორის ციხეც. მოაწყო თოფხანა, დენტის (თოფის წამამქმნებელი) და ზარაფხანა.

ფეოდალები ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ მეფის ამ ღონისძიებებს, რადგან ეს ღონისძიებანი არსებითად მათი მატერიალური ინტერესების შელახვას ნიშნავდა. მეფის ყველაზე უფრო შეურიგებელი მტრები ფეოდალი ამილახორები იყვნენ. ერთმა მათგანმა, დიმიტრი ამილახორმა, თავის შვილ ალექსანდრეს და სხვა თავადებთან ერთად ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. ერეკლე მეორემ, მიიღო რა ცნობა შეთქმულების შესახებ, თავს დაესხა შეთქმულების მონაწილეთ და სასტიკად დასაჯა ისინი. ამ შეთქმულების მონაწილეს ბატონიშვილ პაატას თავი მოჰკვეთეს. დიმიტრი ამილახორი პირუტყლმა შესვეს ვირზე და ქალაქში გაატარეს, ალექსანდრე ამილახორს ცხვირი მოსჭრეს.

ალექსანდრე ამილახორი რუსეთში გაიქცა და იქ პამფლეტი გამოუშვა ერეკლე მეფის წინააღმდეგ. იგი დააპატიმრა ეკატერინე II-მ, ალბათ, ერეკლე მეფის მოთხოვნით.

XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოსთვის დიდ უბედურებას წარმოადგენდა მთიულთა ტომების, კერძოდ, ლეკების მუდმივი შემოსევა. დიდ რაზმებად გაერთიანებული ლეკები ეცემოდნენ ქალაქებსა და სოფლებს, არბევდნენ მცხოვრებლებს და ტყვედ მიჰყავდათ თურქეთში გასასყიდად.

ერეკლე მეორე, ყოველგვარად ცდილობდა დაეცვა ლეკების თარეშისაგან. ყოველწლიური ხარკიც-კი დაუწესა ლეკების მეთაურს. 1765 წელს ლეკები გორს დაეცნენ, გაძარცვეს ქალაქი, ტყვეები წაიყვანეს და მრავალი სიმიდირე წაიღეს. — ერეკლე II დაედევნა ლეკებს და სამგორის მინდორზე მთლად გაანადგურა. გორს დაუბრუნდა გატაცებული ქონება და დატყვევებული მოსახლენი.

ერეკლე II-ე განაგრძობდა მოლაპარაკებას ეკატერინე II-თან. თხოულობდა დახმარებას ჯარით და საქურველით ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის მონარქიზმი იმ დროს საქართველოს უცქეროდა მხოლოდ როგორც პლაცდარმს თურქებთან ომის დროს.

1768 წელს დაიწყო ომი რუსეთსა და თურქეთს შორის. საქართველოში გამოიგზავნა 4.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი გრაფ ტოტლებენის მეთაურობით.

ქართლში ჩამოსული ტოტლებენი ისე მოქმედებდა, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. იგი არ ერიდებოდა მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას და მკვლელობასაც-კი. ტოტლებენი ანგარიშს არ უწევდა ერეკლეს, როგორც საქართველოს მეფეს, და განიზრახა მისი ტახტიდან ჩამოგდება. მისი რაზმი ძალიან ცუდ პირობებში იყო, რის შედეგადაც დაიწყო ჯარისკაცებისა და ოფიცრების მასობრივი დეზერტირობა. საჭმე იქამდის მივიდა, რომ ოფიცრები ლაპარაკობდნენ ტოტლებენის გადაყენების შესახებაც-კი.

უხეირო სარდალი ტოტლებენი გამცემლობასაც არ მოერიდა. თურქების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სოფ. ასპინძასთან მან მიატოვა ბრძოლის ასპა-

რეზი და ქართველები მარტონი დასტოვა. მდგომარეობა გამოსაწორი მხოლოდ ქართველი ჯარის განსაკუთრებულმა გმირობამ და თვით ერეკლემ მამაცობამ.

1769 წლის ზამთარს ტოტლებენის რაზმი გორსა და ცხინვალში წავიდა დაბნაკებული. ტოტლებენი აქაც თვითნებობდა. ართმევედა მისი მხარისა და სანოვაგეს და სასტიკად სჯიდა მას.

ტოტლებენის წინააღმდეგ საჩივრებისა და მიწერ-მოწერის შედეგად პეტერბურგიდან საქმის გამოსარკვევად გამოგზავნილ იქნა კაპიტანი იაზიკოვი. მისი დასკვნის მიხედვით ტოტლებენი რუსეთში გაიწვიეს.

კაპიტანმა იაზიკოვმა შეადგინა ვრცელი „მოხსენება საქართველოს შესახებ“ (1770 წ.), რადგან მას, ტოტლებენის კონფლიქტის მოგვარებასთან ერთად, დავალებული ჰქონდა საქართველოს დაწვრილებით აღწერაც. „მოხსენებაში“ იაზიკოვი სწერს: „ქალაქი გორი მდებარეობს მტკვარზე, თბილისიდან 80 ვერსის მანძილზეა, შემოვლებული აქვს ქვის დაბალი და სუსტი კედელი. მთაზე ძველი ციხეა, სადაც მხოლოდ მცველები ცხოვრობენ, ამჟამად ქალაქში ცოტა მცხოვრებია, მაგრამ ნანგრევებზე ეტყობა, რომ მეტი იყო. რამდენიმე სახლი რივიანია, უმეტესობა კი მიწურია.“

ერეკლე მეორე, ზრუნავდა რა საქართველოს კეთილ მდგომარეობისთვის ენერგიულ თანაშემწეებს ირჩევდა. ერთი ასეთი თანაშემწე იყო გვროპელი, გვარად რეინგსი. წარმოშობით იგი საქსონიიდან იყო, სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტში და ეშხადებოდა აღმოსავლეთში სამოგზაუროდ. იცოდა მედიცინა. იგი ფრიად სასარგებლო გამოდგა ერეკლესათვის მის მიერ დასახული რეფორმების გატარების დროს.

რეინგსის მოღვაწეობა არ მოეწონა რუსეთის სამეფო კარს, რომელიც საქართველოს შეერთებისაკენ მიისწრაფოდა. 1783 წელს მოახერხეს მისი რუსეთში „გატყუება“ და შეწყვიტეს მისი სასარგებლო მოღვაწეობა საქართველოში.

რეინგსმა ბევრი იმოგზაურა საქართველოში და კარგად გაიცნო იგი. მას ეკუთვნის „კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“. არის იქ სტრიქონები გორის შესახებაც:

„ციხე მთაზე, რომელიც ქალაქს იცავს, არის ნამდვილი სპარსული სიძველე და ღირსია ნახვისა თავისი კარგი მდებარეობის გამო. კარგად არის დაცული. გარნიზონი იცვლება 4 კვირაში ერთხელ. აქ დიდი სიმრავლეა პურისა და ხილისა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მესაქონლეობა და მეაბრეშუმეობა.“

გარნიზონის აღნიშნული ცვლა აიხსნება ერეკლეს მიერ შემოღებული სამხედრო სამსახურის სისტემით. ყოველი მოსახლე, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, მოვალე იყო წელიწადში ერთი თვე ჯარში ემსახურა. ამით უზრუნველყოფილი იყო მთელი მოსახლეობის სამხედრო სწავლება და მზადყოფნა ქვეყნის დასაცავად.

ერეკლეს მოლაპარაკება პროტექტორატის შესახებ ეკატერინე მეორესთან ბოლოს გაფორმებულ იქნა ტრაქტატით, რომელსაც ზელი მოაწერეს 1783 წელს. ტრაქტატის ერთ-ერთ ძირითადი პირობა იყო საქართველოსათვის ჯარით დახმარება ირანისა და თურქეთისაგან დასაცავად.

რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს მშვიდი ცხოვრება უნდა მოეპოვა. მაგრამ ნამდვილად წინააღმდეგი მოხდა. ტოტლებენისა და სხვათა

მაგალითებიდან სჩანს, რომ რუსეთის მონარქიზმი სიტყვიერ დახმარებას პირდებოდა საქართველოს, საქმით კი მისი დაუძღვრებისა და დასუსტების თანმიმდევრობითს პოლიტიკას აწარმოებდა, რათა საქართველს დაეხმარებინა და დაეცვა.

ირანი ძალიან შეშფოთებული იყო ტრაქტატის დადების გამო, შიშობდა, საბოლოოდ არ დაეკარგა გავლენა საქართველოში. ამიტომ მოიკრიბა ძალ-ღონე საქართველოზე თავდასხმისა და დარბევისათვის. კარგახნის მზადების შემდეგ დიდის ჯარით გამოილაშქრა ირანის შაჰმა ალა-შაჰმად-ხანმა.

1795 წლის სექტემბერს ირანის ჯარი თბილისს მოადგა. ერეკლე თავგამოდებით იცავდა დედა-ქალაქს, მაგრამ თავადებმა უღალატეს. საკუთარმა მემკვიდრემ გიორგიმაც-კი არ მოაშველა ჯარი. არა სჩანდა დახმარება რუსეთიდანაც. თბილისი დაეცა. ჯარის სიმცირის გამო, ბრძოლაში სამეფო კარის თეატრის მსახიობებმაც კი მიიღეს მონაწილეობა.

11 სექტემბერს ალა-შაჰმად-ხანი თბილისში შემოვიდა. ქალაქი დაარბია და დასწვა. ალა-შაჰმად-ხანის ჯარი გორამდე მივიდა, მაგრამ თვითქალაქში არ შესულა. ალა-შაჰმად-ხანი შიშობდა, ერეკლემ ჯარი არ შეპყრობოს და არ დამეცესო. ამიტომ სწრაფად მიატოვა საქართველო, ტყვეები ათასობით წაიყვანა და მრავალი სიმიდრე წაიღო.

შოლოდ ამის შემდეგ მოვიდა დახმარება რუსეთიდან — 2.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი.

ირანის ეს უკანასკნელი შემოსევა საქართველოსათვის კატასტროფული გამოდგა. ქვეყანა, რომელსაც შიგნით ფეოდალური წინააღმდეგობანი ღრღნიდნენ, უძღური გამოდგა გარეშე მტრისათვის საკმაო წინააღმდეგობა გაეწია.

ერეკლე II 1798 წელს გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე იყო უფროსი შვილი, მეფე გიორგი XII, ავადმყოფი და უნებისყოფო ადამიანი. მეფე გიორგის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდნენ მისი უმცროსი ძმები, რომელთაგან იულონი მეფის ტახტის დაკავებას ცდილობდა.

მეფე გიორგი XII-ს სიკვდილის შემდეგ, არსებული წესის მიხედვით, მემკვიდრეობა უნდა გადასცემოდა გიორგის უფროს ვაჟს დავითს. მაგრამ ერეკლე მეფის ცოლმა დარეჯანმა სიკვდილის წინ დააწერინა ერეკლეს ანდერძი, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობის წესი იცვლებოდა და გიორგის შემდეგ ტახტის მემკვიდრე იულონი ხდებოდა. ამ უკანასკნელმა ტახტის ძიების დასაპყრდნობ პუნქტად აირჩია ქალაქი გორი და გორის სამოურაო.

იულონმა და მისმა მომხრე ძმებმა — ვახტანგმა და მირიანმა გამოაქვეყნეს სპეციალური მოწოდება გორის მცხოვრებთადმი ამ მემკვიდრეობის საკითხის შესახებ (1800 წლის 20 დეკემბერს). ამ მოწოდებაში ისინი მართებულად არ იხსენიებდნენ გარდაცვლილ მეფე გიორგის და არწმუნებდნენ მცხოვრებლებს მხარი დაეჭირათ იულონის კანდიდატურისათვის სამეფო ტახტზე: „ახლა ის ეამი მოვიდა, — თქმული იყო მოწოდებაში — მეფის გიორგის შემდგომი ძმა ვინცა ვარ ამას წინად იმის დიდებულების რუსეთის იმპერატორსაც გამოუცხადეთ, აგრეთვე მესაზღვრე ვინცა არის ისპეტორი და აგრეთვე აქ მყოფი ფრანგულმსაცა. ლეთის სიმაართლით და მამის ჩვენის განაწესებით ამას გწერთ, როგორც მამის ჩვენის განწესებულს დამტკიცებულზედ ისე მტკიცედ უნდა დასდგეთ...“

ჩვენ გარშემო ვიქნებით და იქ შემოგვეყარნით. ამაზე კიდევ გვედღრებით, კიდევ გირჩევთ და კიდევ გიბრძანებთ, რომ ეს ჩვენი სიტყვა გაიგონოთ. და თუ თქვენ ამას იქით ამ ჩვენს სიტყვას მაგი ჩვენის განუყვანებელი დაიჯერებთ, ჩვენც ამ სიკეთეს გიზამთ სხვას სიყვარულს და წყალობას. თქვენი ცოლ-შვილის გულისათვის ჩვენ სისხლს დავატყვევებთ და თუ არ დაიჯერებთ, ამოწყვეტა იქნება და ჩვენგან ამ საქმის დათმობა არ იქნება. ჩვენ უვალონი ვიქნებით და თქვენ წინაშე ღვთისა მოვალენი დარჩებით. როგორც თქვენ გწერთ, ასე მთლად ქართლსა და კახეთსა ვწერთ.“

მემკვიდრედ თბილისში გამოცხადებული ბატონიშვილი დავითი თავის მხრივ დიდ საქმიანობას ეწეოდა თავისი მდგომარეობის გასამტკიცებლად. გორის სამოურავოში თავისი ძმა თეიმურაზი დანიშნა და უბრძანა — თავად-აზნაურობა ჩემ სასარგებლოდ დააფიცეო.

დავითი გორის სამოურავოში პოპულარობით არ სარგებლობდა და იულონმა თავის მხარეზე ბევრი თავადი და აზნაური გადაიბირა.

საქმემ სერიოზული მიმდინარეობა მიიღო და ქიშობაში რუსეთის მთავრობაც ჩაერია. რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა მიმართული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციისაკენ (დავითი მეფედ არ დაამტკიცეს, ის ითვლებოდა და ისიც ცოტა ხნით საქართველოს მმართველად). მეფის ტახტის ყოველი ბრეტენდენტი ხელის შემშლელი იყო რუსეთის ცარიზმის პოლიტიკისათვის.

იულონის შეთქმულების მოსასაზრებლად გორში გაიგზავნა ორი როტა ჯარი რუსეთის ჯარის იმ გარნიზონის დასახმარებლად, რომელიც უკვე იდგა გორში. იულონს ძალა არ შესწევდა რუსეთის ჯარისათვის წინააღმდეგობა გაეწია და გაიქცა.

ამავე დროს გამოქვეყნებულ იქნა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მანიფესტი (თბილისში, 12 სექტემბერს, 1801 წ.). ამ მანიფესტის შინაარსის მიხედვით, საქართველო მთლიანად უერთდებოდა რუსეთის იმპერიას. ლაპარაკი აღარ იყო პროტექტორატისა და დანხარების შესახებ. ფაქტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა მაინც ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე მუდმივი საშიშროება შაჰის ირანისა და სულთანის თურქეთის მიერ ჩაყლაპვისა.

ამერიდან ქართველი ხალხის ბედი მკვიდროდ დაუკავშირდა რუს და სხვა ხალხებს, რომლებიც რუსეთის იმპერიაში სცხოვრობდნენ და ფეოდალურ-ბიუროკრატიული ჩაგვრის ქვეშ იყვნენ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ცხადია, ადმინისტრაციული აპარატი რუსეთის ყაიდაზე მოეწყობოდა და არავითარი ანგარიში არ გაეწეოდა ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებასა და სხვა პირობებს.

რუსეთის ემისარმა გენერალმა ლაზარევმა 10 სექტემბერს მოახსენა მთავარსარდალს საქართველოში, გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს: „ვიმოგზაურე რა ქართლში, საჭიროდ დავინახე ქ. გორში, მისი დიდი მოცულობის გამო დავაწესო პოლიციური წესრიგი. ქალაქი მე გავყავ ორ ნაწილად, თითო ეს ნაწილი სამ კვარტალად და ქალაქის გარედ კიდევ ერთი კვარტალი. პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის წარმოდგენით პოლიციებისტრის თანამდებობა დავაკისრე იქაურ მამასახლისს ისაი ამირალოვს და დავნიშნე, სიმონოვიჩის წარმოდგენისთანავე, კერძო და უზნის ბოქაულები, ყველას მათ დარიგება მიეცეც და ვუბრძანე გა-

მაგირი მიეცათ მათთვის ისევე, როგორც თბილისის ჩინოვნიკებისათვის ქალაქის საზოგადოებიდან. პოლკოვნიკ სიმონოვიჩს კი ვუბრძანე, ადევნოს თვალყური როგორც პოლიცემისტერს, ისე მთელს ქალაქსა და ციხეს.

თბილისიდან გორში მივლინებული სტავროვსკი თავის მოხსენებაში დაწვრილებით აღწერს დაწესებულებათა გახსნის ცერემონიალს გორში, რაც მოხდა 1802 წლის 25 მაისს: „გორის სამაზრო დაწესებულებათა გახსნის დღეს, 25 მაისს, შუალამიდან, ეკლესიებში შესრულებულ იქნა მწუხრი. დილის 7 საათზე კი მიცემულ იქნა ნიშანი ზარბაზნის სამი გასროლით, თითო გასროლა ნახევარი საათის შემდეგ. ცხრის ნახევარზე დაიწყო რეკვა წირვისათვის და გაგრძელდა ცერემონიის მისვლამდე ეკლესიაში. მოხელენი, თავადები და აზნაურები, უწყებების თანახმად, რვა საათზე მოვიდნენ სამოქალაქო ექსპედიციის უფროსის ბინაზე. უფროსმა მათ განუმარტა დავალება, რომელიც მან მიიღო ბატონ საქართველოს მთავარსარდლისაგან და საქართველოს მმართველისაგან, გორში სამაზრო დაწესებულებათა უფლის დახმარებით გახსნის შესახებ, თანახმად მისი იმპ. უდიდებულესათის მანიფესტისა, საქართველოს შესახებ შემადგენლობისა და დადგენილებისა. ბრძანა, იქვე წაკითხულ იქნას სია ყველა მოხელისა, რომლებიც განწესებულნი არიან თანამდებობაზე. ამის შემდეგ დაიწყო სვლა ეკლესიისაკენ შემდგენაირი წესით...“

ასწერს რა სვლის წესს, სტავროვსკი აღნიშნავს, რომ მიდიოდნენ პოლიციის მსახურნი, „რომელთა მოვალეობა იყო თვალყური ედევნებინათ, რათა მსვლელობის დროს სიზუსტით ყოფილიყო დაცული სათნოება, სიჩუმე და წესრიგი.“ ეკლესიაში წირვის შემდეგ მანიფესტი წაიკითხეს.

გორის სამოურავოს გაუქმებისას უკანასკნელმა მოურავმა გიორგი ამილახორმა რუსეთის მთავრობისადმი დამსახურებისათვის მიიღო „სტატსკი სოვეტნიკის“ ხარისხი და შემდეგ არჩეულ იქნა ადგილობრივ თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

ამილახორნი ტიპური წარმომადგენლები იყვნენ ქართული ფეოდალიზმისა, მათი დამახასიათებელი იყო ცენტრალური მთავრობისადმი დაუმორჩილებლობა და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების გვერდის ახვევა. ისინი ყმა-გლეხების მკაცრ ექსპლოატაციას ეწეოდნენ და გორის მოქალაქეთაც სძარცვავდნენ.